PRIME Time

N50 (248) ორშაბათი, 16 დეკემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ქვანიას საქმეში ახალი მტკიცებულებები გამოჩნდა

EXCLUSIVE

რა პირობა მისცა მთავარმა პროკურორმა გოგლა ქვანიას?

„ახალ პროკურორთან მქონდა შეხვედრა და შემიძლია, გითხრათ, რომ ის საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში“

ექსკლუზიური ინტერვიუ

EXCLUSIVE

დავით ნარმანია: „თბილისის მერიას მარილის ტენდერი ჩაუვარდა, დღემდე არ აქვს საკმარისი მოცულობის მარილი და იმაზე ძვირი უჯდება მისი შესყიდვა, ვიდრე ეს ჩვეულებრივი ტენდერის შემთხვევაში დაუჯდებოდა. ამას, წესით, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები უნდა უყურებდნენ“

SCANDAL

რამდენს იხდიდა მეგის ქარდავა გურამ შარაძის მკვლელობაში?

- რატომ მიეჯაჭვა ლოგინს მკვლელობის საქმის „ოქროს მოწმე“?
- რა პირობებში გარდაიცვალა მკვლელობის ერთ-ერთი სავარაუდო შემსრულებელი?
- რა კავშირშია ამ საქმესთან გოგა ხაინდრავა?

სკანდალური საქმის დეტალები

EXCLUSIVE

პირველად „პრაიმტაიმში“ - ინტერვიუ შვეიცარიის ყოფილ კონსულთან

ექსკლუზიური ინტერვიუ გრიგოლ გიორგაძესთან

გრიგოლ გიორგაძე: „სასჯელაღსრულება ურთულესი სისტემაა და შესაბამისად, ძალიან დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული თითოეული დღე, თითოეული საათი... სისტემა გაადამიანურდა, რაც ჩვენი ერთწლიანი მუშაობის შედეგია“

EXCLUSIVE

ბედუკაძეს იჭერენ?

ვლადიმერ ბედუკაძე: „რამდენადაც არ უნდა უნდოდეს მავანს ამ საქმის ხელახლა გამოძიების დაწყება, ეს გამორიცხულია“

EXCLUSIVE

რატომ აფარებს ხელს წულუკიანი იპოთეკარებს, შუამავლებსა და ძველი ხელისუფლების ჩინოვნიკებს?

რა გარიგებას სთავაზობენ ჩხატარაშვილსა და ზოდელავას და ვისი დაჭერისთვის ემზადება ხელისუფლება

EXCLUSIVE

მამუკა არეშიძე: „ხელისუფლებას სჭირდება, დასავლეთს დაანახოს, რომ სააკაშვილის დანაშაული საქართველოს ფარგლებს სცდება, ამისთვის სჭირდებათ ზოდელავაც და ჩხატარაშვილიც“

რა გარიგება შედგა თავის დროზე ზურაბ ადეიშვილსა და ზაზა ხატიაშვილს შორის

EXCLUSIVE

„პრაიმტაიმმა“ ხელისუფლების ორი მაღალჩინოსნის ვინაობა დაადგინა

ვინ აშანტაჟებდა ჩხარტიშვილს გუდავაძის სასარგებლოდ?

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რამდენს იცდიდა მეგის ქარდავა

რატომ არ იძიებს საქმეს ახალი პროკურატურა?

რა პირობებში გარდაიცვალა მკვლელობის ერთ-ერთი სავარაუდო შემსრულებელი?

მარიამ ნადირაძე

ნაციონალური ხელისუფლების დროს მომხდარ უამრავ უმძიმეს დანაშაულს შორის ეს საქმე ერთ-ერთი გამორჩეულია. გამორჩეულია თუნდაც იმით, რომ დღეს პროკურატურას პრაქტიკულად მზამზარეული ახლად აღმოჩენილი გარემოებები აქვს, მაგრამ მის ხელახლა გამოძიებაზე რატომღაც მაინც თავს იკავებს.

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში ზოგიერთი სიახლე ერთგვარად მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის დამსახურებაც ყოფილა, თუმცა მისი ბოლომდე მიყვანა ვერ დასცალდა.

მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი ყველა ვერსიას, რაც აქამდე ვრცელდებოდა ამ საქმის ირგვლივ, შევაჯამოთ ის ახალი მტკიცებულებები, რაც გურამ შარაძის ოჯახმა საკუთარი ძალისხმევით მიართვა გამოძიებას, გავეცნოთ ახალი მოწმეების ჩვენებებს, მათ შორის ისეთისაც, რომელიც პირველად „პრაიმტაიმში“ ისაუბრებს და დასკვნების გამოტანაც სრულიად მარტივი გახდება ჩვენი მკითხველისთვის.

მაშ ასე:

2007 წლის 20 მაისი. მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩების კვეთასთან რამდენიმე გასროლა გაისმა. მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გურამ შარაძე მოკლეს. მკვლელობას საპატრულო პოლიციის ერთი ეკიპაჟი შეესწრო, რომელიც მკვლელობაში ეჭვმიტანილს, სახელად გიორგის დაედევნა. იყო ორმხრივი სროლა და საბოლოოდ მრგვალ ბაღთან „დამნაშავე“ დააკავეს და პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. შემთხვევის ადგილიდან პოლიციამ „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო. მოგვიანებით ირკვევა, რომ „მკვლელი“ შარაძის ვაჟის, გიორგი შარაძის მეგობარი, გიორგი ბარათელი იყო...

მოგვიანებით აკადემიკოსის ქალიშვილი, რუსუდან შარაძე ამ ურთიერთობას ასე იხსენებს: „იმ დროს, როდესაც პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია იყო, საქართველოში აქცია გაიმართა, რომელშიც, მთავრობის წევრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა მსახიობებმა, მუსიკოსებმა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა. აქცია გულისხმობდა არასრულწლოვანთა კოლონიიდან ბავშვების დროზე ადრე განთავისუფლებას და სხვადასხვა ადგილებში მათ დასაქმებას. ამაში ჩართული იყო „პირველი არხიც“, სადაც იმ დროს, ბავშვთა და საყმაწვილო გადაცემას ჩემი ძმა ხელმძღვანელობდა. ასე აღმოჩნდა გიორგი ბარათელი მასთან. მანვე შეასწავლა ოპერატორის პროფესია და როგორც პატარა მეგობარი, ისე ჰყავდა. ასე გავიცანი გიორგი ბარათელი მეც და მასთან ყოველთვის თბილი დამოკიდებულება მაკავშირებდა“.

პირველად „პრაიმტაიმში“ – ინტერვიუ შვეიცარიის ყოფილ კონსულთან

ნათუნა ჯანჯალია

გიორგი ბარათელს სასამართლომ თავისუფლების 27 წლით აღკვეთა მიუსაჯა და მკვლელობის მოტივადაც პირადი კონფლიქტი გამოკვეთა. ეს კონფლიქტი ოფიციალური სტრუქტურებიდან თავიდანვე არაოფიციალურად გამოსული ინფორმაციით ერთ მეტად ტრაგიკულ ისტორიას უკავშირდებოდა, რომლის მიხედვითაც, მაშინ როდესაც ბარათელი გიორგი შარაძესთან შვეიცარიაში იმყოფებოდა, თირკმელი ამოიჭრა და გაყიდა, მიღებული თანხა კი მას მეგობარმა „შეუჭამა“. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობის მოტივიც პირადი შურისძიება იყო, ვინაიდან მას გურამ შარაძე თითქოს გაჩერებას აიძულებდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსუდან შარაძე წლების განმავლობაში ამ მკვლელობის მოტივად პოლიტიკურ დაკვეთას ასახელებდა და სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას მოითხოვდა, 5 წლის განმავლობაში, ბუნებრივია, „ყურს არავინ იბერტყავდა“. მოგვიანებით კი, როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, დარჩა შთაბეჭდილება, რომ თითქოს საქმე დაიძვრებოდა, ვინაიდან საქმეში ახალი მოწმეები და ახალი მტკიცებულებები გამოჩნდა:

მტკიცებულება #1

გიორგი ბარათელმა პროკურატურას განცხადებით ხელისუფლების ცვლიდან ერთ თვეში მიმართა, სადაც ის ამტკიცებდა, რომ, როდესაც ის პოლიციამ დაიკავა, მაშინ გურამ შარაძე ცოცხალი იყო. ის თბილისის ზღვაზე აიყვანეს, სადაც იარაღიდან გაასროლინეს. ბარათელმა გაქცევა სცადა და ის მხარში დაჭრეს. ის რეალურად კოსტავას ქუჩაზე დაიკავეს. პოლიცია მას აიძულებდა, რომ საკუთარ თავზე აეღო გურამ შარაძის მკვლელობა, სანაცვლოდ 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, შემდგომ კი განთავისუფლებას ჰპირდებოდნენ. განცხადებიდან ირკვევა, რომ მან ეს დანაშაული ზურაბ ადეიშვილის დაკვეთით და პროკურატურის ზეწოლით აიღო საკუთარ თავზე. ერთ-ერთი, ვინც მსჯავრდადებულზე ზეწოლას ახორციელებდა, ამჟამად ვანო მერაბიშვილის ადვოკატი, მაშინ კი ამ საქმის ზედამხედველი პროკურორი, გიორგი ჩივიაშვილი გახლდათ.

ბარათელმა ხელახლა დაკითხვა მოითხოვა და ეს მოხდა კიდეც.

საქმის ხელახალი გამოძიებისთვის ეს სტარტი ნამდვილად შთამბეჭდავი იყო, თუმცა მოგვიანებით ისევ უკუნი დადგა...

მტკიცებულება #2

მაისში დაიკითხა მეგის ქარდავას ყოფილი მარჯვენა ხელი, რომელიც აღიარებს, რომ ქარდავამ მას დაავალა, სენაკიდან ნაეყვანა ორი სპეცრაზმელი და ორგანიზება გაეკეთებინა შარაძის მკვლელობისთვის. თბილისში მას მითითებებს მისცემდა ცნობილი „მასტერა“. მან უარი განაცხადა ამ დავალების შესრულებაზე, რის გამოც მას სასტიკად გაუსწორდნენ, სცემეს, აწამეს და ციხეშიც ჩასვეს. ის მის წამებაში მონაწილეებსაც ასახელებს, მათ შორის თენგიზ გუნავასაც.

მტკიცებულება #3

ახალ პროკურატურას ჩვენება მისცა ყოფილმა პატიმარმა, გიორგი გათენაძემ, რომელიც მეტად საინტერესო ისტორიას ყვება, რომ პატიმრობაში ყოფნის დროს ის დაიბარეს მელნიკოვთან, რომელსაც ახლდა მეორე პირი და რომელსაც ეტყობოდა, რომ ისიც თანამდებობის პირი იყო. მათგან შეიტყო, რომ რამდენიმე დღეში სხვა საკანში გადაიყვანდნენ და მასთან გიორგი ბარათელს შეიყვანდნენ. მას ევალებოდა, ბარათელი ეიძულებინა, ეღიარებინა შარაძის მკვლელობა გოგა ხაინდრავას დაკვეთით, რომელმაც თავის მხრივ დაკვეთა თითქოს რუსეთიდან მიიღო, იმისთვის, რომ შემდეგ ეს დანაშაული სააკაშვილს დაჰბრალებოდა. მართლაც, ის სხვა საკანში გადაიყვანეს, სადაც გიორგი ბარათელი შეუშვეს. მოწმე ამბობს, რომ მან ბარათელს ყველაფერი უამბო და ურჩია, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ცოცხალი გასულიყო იქიდან და საკუთარი თავისთვის ეშველა. რაკი დავალება ვერ შეასრულა, მას სასტიკად გაუსწორდნენ... გიორგი გათენაძის ოფიციალური ჩვენებაც დევს პროკურატურაში.

მტკიცებულება #4

ჩვენებას იძლევიან მკვლელობის შემსწრე ცოლ-ქმარი, რომლებიც მკვლელის აღწერისას საერთოდაც არ აღწერენ გიორგი ბარათელს...

მტკიცებულება #5

„ალდაგის“ სათვალთვალო კამერიდან ამოღებულ ფირში მკვლელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე გიორგი ბარათელი...

რა თქმა უნდა, ჩვენ მტკიცებულებათა მხოლოდ ნაწილი წარმოგიდგინეთ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, როდესაც არსებობს ამდენი ჩვენება, რა უშლის ხელს პროკურატურას, რომ საქმის ხელახალი ძიება დაიწყოს? ამის გასარკვევად **„პრაიმტაიმი“ გურამ შარაძის ქალიშვილს, რუსუდან შარაძეს დაუკავშირდა:**

– ჩვენ პროკურატურაში უამრავი ახლად აღმოჩენილი გარემოება შევიტანეთ. პირველ რიგში, მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც არასდროს დაკითხულან. მათ სახელებსა და გვარებს ვერ გეტყვით, მაგრამ ეს პროკურატურაში ოფიციალურად დევს... პროკურატურა ვალდებული იყო, საქმის ხელახალი გამოძიება დაეწყო. მე თავიდან „გამაჩერეს“ იმით, რომ შეიქმნებოდა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია. მე დიდად ასეთი კომისიების არ მჯერა. როგორც წესი, ისინი იქმნება დროის გასაყვანად. მე თუ მკითხავთ, სჯობს თავად კანონი გადაიხედოს. იმდენი ახლად აღმოჩენილი გარემოება შევიტანეთ (და ათი ამდენი კიდევ წინ არის), რომ პროკურატურას ყველა საფუძველი ჰქონდა იმისთვის, რომ ახალი გამოძიება დაეწყო. კბილაშვილის პროკურატურამ გურამ შარაძის მკვლელობის საქმის გამოძიებისთვის თითი თითზე არ დააკარა. რამდენჯერმე შევხვდი ლაშა ნაცვლიშვილს, რომელიც მპირდებოდა, რომ ამბავს მაინც გამაგებინებდა, რა ეტაპზე იყო გამოძიება, მაგრამ ისე წავიდა თანამდებობიდან, რომ იმ შეხვედრის შემდეგ ჩემთვის ხმა არ მოუწვდენია. შესაძლოა, ჩემთვის არ ეცალა.

– როდის შედგა თქვენი შეხვედრა?

– ბოლო შეხვედრა, მგონი, აგვისტოს დასაწყისი იყო... მაშინ ვთხოვე, რომ დაკითხულიყო სამეგრელოში მომუშავე პოლიციელი, რომელიც ძალიან საინტერესო ჩვენებას იძლეოდა. ეს პოლიციელი დაიკითხა სამეგრელოში. ლაშა მომეხმარა და ამისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ამის შემდეგ არაფერი გაკეთებულა. მალევე რეორგანიზაცია დაიწყო და ახლახან შევიტყვე, რომ თურმე პროკურატურა გაწმენდილია ნაცვლიშვილის კადრებისგან. ძალიან მაინტერესებს, ნაცვლიშვილის კადრები რას აშავებენ, როცა პროკურატურა „მკვლელი“ სააკაშვილის „მკვლელი კადრებით“ არის გამოტენილი. რა დროს კბილაშვილისა და ნაცვლიშვილის კადრებზე ნადირობაა, როცა მამაჩემის და არამარტო მისი მკვლელებით არის სავსე ეს უწყება?

– თქვენ პროკურატურას სკანდალური მოწმე მიუყვანეთ, მეგის ქარდავას ყოფილი მარჯვენა ხელი. არც მისმა ჩვენებამ დაძრა საქმე?

– მე არ მიმიყვანია, ეს კაცი ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად მივიდა სამეგრელოს მხარის მაშინდელ პროკურორთან, იოსავასთან, რომელიც შემჩნეულია სააკაშვილთან კუდის გადაბმაში და მოითხოვა, დამკითხეთო. იოსავამ არ დაკითხა და მერე იყო, რომ ლაშა მომეხმარა, რის შესახებაც უკვე მოგახსენეთ. სამწუხაროდ, ამ მოწმის გვარს ვერ

გიორგი ბარათელი

რუსუდან შარაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გურამ შარაძის მკვლელობაში?

● რატომ მიეჯაჭვა ლოგინს მკვლელობის საქმის „ოქროს მოწმე“?

● რა კავშირშია ამ საქმესთან გოგა ხაინდრავა?

სკანდალური საქმის დეტალები

EXCLUSIVE

დაგისახელებთ და ვერც იმ სპეცრაზმელების, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ პროკურატურას მათ შესახებ ყველა მონაცემები, მათ შორის ფოტოებიც მივანოდე. ამ სპეცრაზმელებიდან ერთ-ერთი რუსეთში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა მოგვიანებით. ამბობენ, ნარკოტიკების ჭარბი დოზის გამოო, თუმცა მე ვერაფერს ვამტკიცებ, რადგან ასეთი მოტივის შეთხზვა, ან შეკერვა სპეცსამსახურებს წარმატებით შეუძლიათ. მე რომ დღეს დარწმუნებული ვიყო, რომ მათი მოკლულია მამაჩემი, თუ საგამოძიებო ორგანოები არაფერს გააკეთებდნენ, თავადვე აღვასრულებდი სამართალს. რაკი სამეგრელოში დაკითხული მოწმე ამბობს, რომ მან უარი განაცხადა ამ დაკვეთის შესრულებაზე, მე ველარ ვიქნები დარწმუნებული, რომ ეს შეკვეთა საბოლოოდ იმ სპეცრაზმელებმა აღასრულეს.

– მაგრამ ამ პოლიციელის ჩვენება მინიმუმ იმას მაინც ადასტურებს, რომ მამათქვენის მკვლელობა ხელისუფლებაში დაიგეგმა...

– სწორედ ეს არის მთავარი, რომ ქარდავასა და ახალაიას კლანმა დაგეგმა მკვლელობა სამეგრელოში, თორემ შემკვეთი თვითონ სააკაშვილი იყო. ეს აუცილებლად დადასტურდება. ეს ხომ უტყუარი სიმართლეა, რაც ამ მოწმეს თავს გადახდა? როდესაც მკვლელობას უკვეთდნენ, მას მისცეს იარაღი და ფული. იცით, რა უღირდათ გურამ შარაძის სიცოცხლე? 5000 ლარი. ამას პირველად ვამბობ.

– თუ გამოძიება ყოფილი პოლიციელის ჩვენებას გაჰყვებოდა, შესაძლებელი იყო სერიოზულ მტკიცებულებებსა და ფიგურებზე გასვლა. რატომ გაუშვა ხელიდან ეს შესაძლებლობა კბილაშვილის პროკურატურამ?

– როცა მთავარ პროკურატურაში დღის წესრიგში დადგა მოწმის დაკითხვა, ეს ადამიანი ავარიაში მოყვა და ძლივს გადარჩა. უმძიმეს მდგომარეობაში იყო.

– შემთხვევითი ავარია იყო?

– ამაში მეც შემეპარა ეჭვი, თუმცა ეს ადამიანი ამტკიცებს, რომ ნამდვილად შემთხვევითობა იყო. ფაქტია, რომ ის თვეების განმავლობაში ლოგინზე გახლდათ მიჯაჭვული. როცა გამოჯანმრთელდა, არჩევნებამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი. შესაბამისად, ამისთვის ვერავინ მოიცალა. თუმცა, ნაცვლიშვილისგან ამის პირობა მიღებული მქონდა.

– როცა არსებობს ამდენი და ასეთი სერიოზული ახალი გარემოება, თქვენი აზრით, რატომ იკავებს თავს პროკურატურა ხელახალი ძიების დაწყებაზე?

– ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო და შესაბამისად, პოლიტიკური ნებაა საჭირო, რადგან ახალი გამოძიება აუცილებლად მივა საკაშვილამდე. ამას კი უდავოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება სჭირდება.

– ფიქრობთ, რომ ასეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე ირაკლი ღარიბაშვილი თავს შეიკავებს?

– პირიქით... მე აქამდე ველოდებოდი, როდის გადაშენდებოდა სააკაშვილი საბოლოოდ თავისი მკვლელების ბანდით. მე ღარიბაშვილის იმედი მაქვს. ცოტა დალაგდეს სიტუაცია და აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში. ყველას შევხვდები, ვინც საჭიროა. რატომღაც მგონია, რომ ახლა ყველაფერი სხვანაირად წავა.

– მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელია გასული მამათქვენის მკვლელობიდან, მაინც რჩება ამ საქმის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. თუმცა, ბევრს მეხსიერებაში ჩარჩენილი აქვს თავიდან გავრცელებული ვერსია იმის თაობაზე, რომ თითქოს თქვენმა ძმამ გიორგი ბარათელს თირკმელი გაუყიდა და მკვლელობაც შურისძიების მოტივით მოხდა...

– თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, გურამ და გიორგი შარაძეები ბარათელს დასდევდნენ, რომ თირკმელი ამოეჭრა და გაეყიდა? ეს ყველაფერი ბინძური საკაშვილისა და ბინძური მერაბიშვილის ბინძური მეთოდებით გავრცელდა. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ, როდესაც ბოლო წლებში განსაკუთრებით, საქართველოში პოლიტიკური მკვლელობა ხდებოდა, მისი მოტივები საყოფაცხოვრებო ნიადაგზე გადაჰქონდათ და მანიპულირებდნენ მსხვერპლის პირადი ცხოვრების სისუსტეებით. ამით ორ კურდღელს იჭერდნენ – ოჯახს აჩუმებდნენ და ხალხის მასებს არწმუნებდნენ ამ ვერსიის სისწორეში. მამაჩემის პირად ცხოვრებაში ვერანაირი კომპრომატი ვერ ნახეს, რაზეც შეიძლებოდა „სარწმუნო“ ჭორები აეგორებინათ. ამიტომ მიზანში ამოიღეს ჩემი შუათანა ძმა. ამ ვერსიის გასავითარებლად მის წრეში საუკეთესო ობიექტიც მონახეს, გიორგი ბარათელის სახით, ერთი მიუსაფარი, უპატრონო ბიჭი. კარგად შეარჩიეს დროც...

– რას გულისხმობთ?

– მოგეხსენებათ, ჩემმა ძმამ, რომელიც შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშე იყო და დოკუმენტურ ფილმებს იღებდა, 2000 წელს 1 თვით ოპერატორად მიიწვია ბარათელი. როდესაც საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ბარათელს შვეიცარიაში მოუნდა დარჩენა. მან კამერების წინ მაღაზიაში მოიპარა რაღაც ჭინჭი, რის გამოც დაიჭირეს. ამის შესახებ ჩემმა ძმამ აეროპორტში შეიტყო და იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო. ძალიან გულდაწყვეტილი იყო, რა გამიკეთაო. დაუკავშირდა მაშინდელ კონსულს, ხათუნა ჯანჯალიას, რომელიც მოწმეა იმისა, როგორ მოხვდა ბარათელი ციხეში, რა დღეში იყო ჩემი ძმა, რა დაუტოვა ბარათელს და როგორ დაბრუნდა თბილისში. მას შემდეგ, ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ გიორგი ბარათელსა და გიორგი შარაძეს ერთმანეთი აღარ უნახავთ. ის ერთხელ მე შემხვდა შემთხვევით და გამექცა, მე ვერ გამისწორა თვალი. განსაკუთრებით მას ჩემი ძმის რცხვენოდა.

– შვეიცარიაში დარჩენილი ბარათელი საქართველოში როგორ აღმოჩნდა?

– დეპორტაცია გაუკეთეს. ციხეში ის დიდხანს არ დარჩენილა. როგორც ვიცი, ის გადაბოდიალდა ჰოლანდიაში და იქიდანაც გაადეპორტეს.

ბუნებრივია, ჩვენს მკითხველს დაინტერესებს შვეიცარიაში მაშინდელი კონსულის პოზიციაც. ამიტომაც, პირველად „პრაიმტაიმში“ ხათუნა ჯანჯალია ინტერვიუს ამ თემაზე იძლევა:

– ვიცი, რომ გიორგი შარაძის მეგობარი იყო გიორგი ბარათელი. ის შვეიცარიაში მეგობრის სტატუსით ჩამოიყვანა. ისიც ვიცი, რომ უამრავი რამ უყიდა, კარგად აცხოვრებდა, ყველანაირად პატივს სცემდა. ერთ მშვენიერ დღეს შევიტყვე, რომ პოლიციასთან შეექმნა პრობლემა, რაღაც ნივთები მოიპარა. გიორგი იყო შეშლილი, ამდენი რამე გავუკეთე და რით გადამიხადა სამაგიერო, როგორ მოიპარაო?

– თქვენ როგორ ჩაერიეთ ამ საქმეში?

– მე გავაკეთე ის, რაც ჩემს მოვალეობაში შედიოდა: თუ ადამიანებს, რომლებიც აკრედიტებულები არიან, როგორც ემიგრანტები, ლტოლვილები, არ აქვთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ამ შემთხვევაში კეთდება უკან დასაბრუნებელი მოწმობა. მე მას დავეხმარე იმაში, რომ ის ციხიდან გამოეშვათ იმ პირობით, რომ დაბრუნდებოდა საქართველოში. მე მხოლოდ ამ პროცესში მივიღე მონაწილეობა.

– შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ მათ შორის რაიმე უთანხმოება არ ყოფილა?

– მე ბარათელს პირადად არ ვიცნობდი. გიორგი შარაძისგან ვიცოდი, რომ მისი მეგობარი იყო. რადგან ადამიანი საქართველოდან შვეიცარიაში ჩამოგყავს საკუთარი ხარჯებით, ეს ნიშნავს იმას, რომ ძალიან ახლო ურთიერთობა გაქვს.

ერთი სიტყვით, საქმე პრაქტიკულად მზად არის იმისთვის, რომ მკვლელობიდან თითქმის 7 წლის შემდეგ ახალი გამოძიების დაწყების შემთხვევაში, ბოლო წლების ერთ-ერთი სკანდალური დანაშაული სულ სხვა სურათით წარმოგვიდგეს. იქნება თუ არა ამის პოლიტიკური ნება ახალ მთავრობაში, ამას უახლოეს ხანებში შევიტყობთ.

NATIONAL OSTEOPOROSIS FOUNDATION

ადამიანის უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარია თავისუფლად გადაადგილების უფლება!

ოსტეოპოროზი – XX საუკუნის ბოლოს „უცნობი“ დაავადებიდან XXI საუკუნის პირველ დეკადაში დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად იქცა. ის მოექცა სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ოთხეულში და მოიაზრება ისეთ დაავადებებთან ერთად, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები, დიაბეტი, ონკოლოგია. 50 წელს გადაცილებული მოსახლეობის 65-70%-ს უვითარდება ოსტეოპოროზი, რომელსაც ახლავს მაღალი ინვალიდობა და ხშირი მოტეხილობები. ძვლის ნაადრევი დიაგნოსტიკა და ეფექტური ადრეული მკურნალობა – გამოსავალი, იცხოვროთ ოსტეოპოროზული მოტეხილობების გარეშე!

დარეკეთ და დარეგისტრირდით ჩვენს ცხელ ხაზზე – 597–38–00–05, 599–80–57–70.

დენსიტომეტრია – მაღალი ფასდაკლებით, ~~185~~ ლარის ნაცვლად **30 ლარი**

რევმატოლოგის კონსულტაცია – ~~50~~ ლარის ნაცვლად **20 ლარი.**

იჩქარეთ!!!

მისამართი: ლუბლიანას ქ. #18/20, „თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა“.

WOMEN OVER 50 WILL EXPERIENCE OSTEOPOROTIC FRACTURES. AS WILL MEN

ouch!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა გარიგებას სთავაზობენ ჩხატარაშვილსა და ზოდელავას და ვისი დაჭერისთვის ემზადება ხელისუფლება

მარიამ ნადირაძე

მითქმა-მოთქმა ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილის, დავით ჩხატარაშვილის დაკავებაზე ჯერ არ დასრულებულა და საზოგადოებას უკვე ახალი თავსატეხი გაუჩნდა – რა „მისიით“ დაბრუნდა საქართველოში მისი შეფი, მურთაზ ზოდელავა?

ალბათ, მხოლოდ მიამიტები თუ დაიჯერებენ მის განმარტებას საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით: „ჩვენ, სამსახურებრივი მოვალეობის გარდა, მეგობრობაც გვაკავშირებს. ამიტომ ვარ სწორედ აქ, როგორც მისი მეგობარი, ვინაიდან დაინტერესებული ვარ მისი ბედით“. მურთაზ ზოდელავა არ გამორიცხავს იმასაც, რომ გამოძიებას მის მიმართაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული კითხვები. რაღა თქმა უნდა, მის შესაძლო დაკავებაზე ის ამ ეტაპზე არ საუბრობს.

სანამ იმ კულუარული ვერსიების შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, რაც ამ ყველაფერთან დაკავშირებით ვრცელდება, ჯერ ზოდელავას წვლილს შეგახსენებთ იმ სკანდალურ საქმეში, რომელიც ნაციონალური ხელისუფლების დასასრულისა და მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დაკავების მიზეზი გახდა.ზუსტად ერთი წლის წინათ მაშინდელი მთავარი პროკურორი, ზოდელავა აცხადებდა, რომ ციხის კადრების ავტორმა, გლდანის ციხის ყოფილმა თანამშრომელმა, ვლადიმერ ბედუკაძემ, ვიდეოკადრებში 2 მილიონი დოლარი მიიღო თამაზ თამაზაშვილისა და თამაზ ელიზბარაშვილისგან. ეს განცხადებები დღევანდელი გადასახედიდან, სულ მცირე, ადეიშვილისა და ჩხატარაშვილის დაგეგმილი სქემის გახმოვანებაზე მიუთითებს. თუმცა წავა თუ არა უფრო შორს გამოძიება, მისი ბრალის კვალიფიკაციაში, ამას მომავალი გვიჩვენებს.

კულუარებში კი ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება. ზოგიერთი მოსაზრებით ფარცხალაძის პროკურატურას კურსი ადეიშვილის დაკავებაზე აქვს აღებული. ამ ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ ინტერპოლის საიტზე მისი ძებნის შესახებ განცხადება სწორედ მას შემდეგ გამოჩნდა, რაც მთავარ პროკურორად სწორედ ფარცხალაძე დაინიშნა. თუკი ეს მანამდე არ იყო, ამას ნაცვლიშვილი-ხუხაშვილი-ჩხატარაშვილის „დამსახურებად“ მიიჩნევენ. უფრო მეტიც, ჩხატარაშვილის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამართალდამცველების ლოიალური დამოკიდებულება ასე აიხსნებოდა – ის იყო ერთ-ერთი დამაკავშირებელი საქართველოდან გაქცეული ყოფილი ჩინოვნიკებისა და ახალი ხელისუფლების და სწორედ მისი დამსახურებით მოედინებოდა ინფორმაციები სააკაშვილის, მერაბიშვილის ბოკერიას, უგულავას, კეზერაშვილისა და სხვათა და სხვათა დანაშაულების შესახებ, სამაგიეროდ მისივე დამსახურებით ლოიალური იყო ხელისუფლება დათა ახალაიასა და მისი ოჯახის, ასევე ადეიშვილისა და ზოდელავას მიმართ... თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მივხვდებით, რომ ღარიბაშვილის მთავრობა უკვე „ყელამდეა“ ასეთი ინფორმაციებით და უფრო აგრესიულ მოქმედებაზე გადავიდა.


მამუკა არეშიძე

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქამდე ჩხატარაშვილი ხუხაშვილი-ნაცვლიშვილის ტანდემის მფარველობით სარგებლობდა, მისი დაკავება ერთგვარად ამ კავშირის წინაშე არსებული საფრთხის შესახებაც მიგვანიშნებს. უკვე ვრცელდება ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ პრემიერის ყოფილი მრჩევლის საქმიანობით სამართალდამცველები ინტერესდებიან. კბილაშვილის მოადგილე, ლაშა ნაცვლიშვილი კი, სავარაუდოდ, საქართველოში უკვე აღარ იმყოფება. მის ახლო წრეებში საუბრობენ იმაზეც, რომ მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე თანამდებობიდან წასვლის შემდეგ საზღვარგარეთ მისი შვილების მონახულებას გეგმავდა...

იკვეთება ძველი, დავიწყებული კავშირებიც: შევარდნაძის ხელისუფლებაში, როცა ლაშა ნაცვლიშვილი უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, სწორედ ჩხატარაშვილის სამსახურს კურირებდა...

ამ პროცესებში ექსპერტი, მამუკა არეშიძე ძალიან საინტერესო დეტალებს ხედავს. „პრაიმტაიმი“ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ:

– თუ დააკვირდებით, ბაჩანა ახალაიას თითოეული პროცესის შედეგი მორიგ ინფორმაციასთან არის კავშირში. თურქეთში მყოფი დათა ახალაია და სოსო თოფურიძე პორციებად აგზავნიან ინფორმაციებს ნაციონალური ხელისუფლების ლიდერებთან დაკავშირებით. ამ ფონზე კი, როცა ვიცოდით, რომ თავდაცვის ბიუჯეტში 40-მილიონიანი გარღვევა იყო, თავდაცვის ყოფილ მინისტრს გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ბრალი წარედგინება. ეს ტენდენცია გაგრძელდა ჩხატარაშვილთან მიმართებაშიც. მისი დაკავების მოტივმაც გაკვირვება გამოიწვია, როდესაც ვიცოდით, რომ ის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო ყოფილი ხელისუფლების კრიმინალური ეკონომიკური სქემების შექმნაში, ადამიანების დატერორებასა და დაყაჩაღებაში, საკუთრების სასურველ ადამიანებზე გადაფორმებაში. ის ერთ-ერთი ლიდერი იყო და ამ დროს რაზეც დაკავეს, ყველამ ვიცით. მისგან ახლა დაწვრილებით ინფორმაციებს იღებენ.

– ამ ინფორმაციებს, როგორც ამბობენ, ის ისედაც გასცემდა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში...

– არ გასცემდა ისე, როგორც საჭირო იყო. ისიც ვაჭრობდა. ასეთი ადამიანები პირველ შემხვედრს არასდროს აძლევენ ასეთი სახის ინფორმაციებს, ვიდრე პრობლემები არ შეექმნებათ. მისთვის ამ პრობლემის შექმნით ეს თემა მოხსნეს და ჩხატარაშვილი იძულებული გახდა, აქტიურობა დაეწყო. ეს მე დაზუსტებით ვიცი.

– აქტიურობა დაიწყო ადეიშვილის დაკავების მიმართულებით, თუ პროკურატურის განზრახვა უფრო შორს მიდის?

– სხვათა შორის, დღეს ჩემთან ყვარლიდან ჩამოვიდა ხალხი, რომლებიც მიამბობენ, რომ ადეიშვილის მამის მდგომარეობა სულაც არ შეცვლილა, ის ისევ ძველებურად რჩება იმ სივრცის განმკარგავი, არც ხე-ტყის ბიზნესში შეუშლია მისთვის ვინმეს ხელი. ესეც გარკვეული ვაჭრობის საგანია.

– გამოდის, რომ ღარიბაშვილი ადეიშვილის დანდობას რაკი აპირებს, უფრო შორს მიდის მისი გეგმები?

– ღარიბაშვილი არავის დაინდობს. მან გარკვევით გაგზავნა შეტყობინებები, რომ ის არ აპირებს მიკიბვ-მოკიბვას და ტანკივით მიდის, – „თამაშის პირობები ჩემია, თუმცა, ზოგი რამ შემიძლია გავცვალო“, – დაახლოებით ასე გამოიყურება მისი მოქმედების სტრატეგია. ამ სტრატეგიის პირობებში მურთაზ ზოდელავა იძულებული იყო, ჩამოსულიყო.

– მანაც დაიწყო ვაჭრობა?

– მან, ისევე როგორც ბაჩანა ახალაიამ, მოიმზადა საფუძველი. მან წინასწარ აგრძნობინა ამ ხელისუფლებას, რომ ისიც ინფორმაციის მატარებელია და საჭიროა მათთვის.

– თუ ამ ვაჭრობის შედეგად მივიღებთ სურათს, რომ ეს ფიგურები გაცილებით მსუბუქ ბრალდებებზე აიღებენ პასუხისმგებლობას, ვისზე აკეთებს გათვლას ამ ხელისუფლების ახალი სტრატეგია?

– ცალკეული პირების დასჯა შედეგს არ მოიტანს. თევზი თავიდან ყროლდება. ეს თევზი კი უმაღლესი მხედართმთავარია, რომელსაც დასავლეთში საკმაოდ გავლენიანი მეგობრები ჰყავს. ალბათ, ამ ხელისუფლებამ მის მეგობრებზე უნდა იმუშაოს და დაანახოს, რომ სააკაშვილის დანაშაული საქართველოს ფარგლებს სცილდებოდა, როგორც ამან კეზერაშვილის შემთხვევაში იმუშავა. ყველამ დაინახა, რომ მისი გაყიდული იარაღით ამერიკელი ჯარისკაცები იხოცებოდნენ. ასე უნდა მოხდეს სააკაშვილის შემთხვევაშიც, რომ მის პირობებში ნარკოტიკებით ვაჭრობა და იმ ფულის მითვისება ხდებოდა, რასაც დასავლეთი გრანტების სახით აგზავნიდა და ეს საშინელი და დანაშაულებრივი პოლიტიკა დემოკრატიის იდეას აზიანებდა.

– და ეს ადამიანები, ვინც უკვე მოექცა პროკურატურის თვალსაწიერში, რა კონტექსტში განიხილებიან? ამ ადამიანების ჩვენებებს სააკაშვილამდე მივყავართ?

– ალბათ, ასეა. ისინი საფეხურებივით არიან... ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებამ დაინახა, რომ საზოგადოების უკმაყოფილება მწიფდება, განსაკუთრებით მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის არშექმნის გამო...

– გინდათ თქვათ, რომ ამ უკმაყოფილების გადასაფარად და გასანეიტრალებლად შეცვალა პოლიტიკა ფარცხალაძის უწყებამ?

– უფრო მართებული იქნებოდა, გვეთქვა, რომ ფარცხალაძის უწყებამ დავალება მიიღო ღარიბაშვილისგან, რომ ასეთი პოლიტიკა ეწარმოებინა და ამიტომაც გადაწყდა მართლმსაჯულების დამდგენ კომისიაზე ის, რაც გადაწყდა. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ეს კომისია მაინც შეიქმნება და ის საზოგადოების წევრებისგან იქნება დაკომპლექტებული. ეს უკვე გადაწყვეტილია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟვანიას საქმეში ახალი მტკიცებულებები გამოჩნდა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება გადამწყვეტ ფაზაში შედის. გარდაცვლილი ექსპრემიერის ძმა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ საქმეში გამოჩნდა ახალი მტკიცებულებები, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ძიება მალე კონკრეტული შედეგით დასრულდება. გოგლა ჟვანია ვარაუდობს, რომ გახმაურებული საქმეებიდან ზურაბ ჟვანიას საქმე იქნება პირველი, რომელსაც პროკურატურა გახსნილად გამოაცხადებს და ეს უახლოეს თვეებში მოხდება. რა პირობა მისცა არჩილ კბილაშვილის შემცვლელმა გარდაცვლილი პრემიერის ძმას და რას ფიქრობს დეპუტატი გოგლა ჟვანია პარლამენტში, გასულ კვირას გამართულ მუშტი-კრივზე? ამ თემებზე „პრაიმტაიმის“ კითხვებს გოგლა ჟვანიამ უპასუხა.

– ბატონო გიორგი, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ გასულ კვირას პარლამენტში გამართულ მუშტი-კრივზე... თქვენთვის, როგორც ერთი დეპუტატისთვის, რამდენად მოსაწონია ამ ფორმით ურთიერთობების გარკვევა საკანონმდებლო ორგანოში?

– ბუნებრივია, არ არის მოსაწონი, როდესაც პარლამენტის კედლებში მუშტი-კრივი იმართება, მომხრე ვარ, რომ მაქსიმალურად თავშეკავებულები ვიყოთ, მაგრამ აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ოპონენტები „ნაციონალური მოძრაობიდან“ მუდმივად ცდილობენ ჩვენს გამოწვევას. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ჩვენს გაღიზიანებას და არა მარტო ჩვენს, არამედ, ზოგადად, საზოგადოების. შეგიძლიათ, გახვიდეთ ქუჩაში და ნახოთ ეს ყველაფერი. ხალხი გვეუბნება, რატომ ითმენთ ამდენ უტიფრობასო. იმ დღესაც პარლამენტში სოსო გამოვიდა და საუბრობდა ტრაგიკულ მოვლენებზე და ამ დროს ბარამიძე იწყებს რაღაც მანჭვასა და შეურაცხმყოფელ ჟესტიკულაციას. ბუნებრივია, ამან შეიძლება ადამიანი წყობილებიდან გამოიყვანოს. ეს იყო პროვოკაცია ბარამიძის მხრიდან და სამწუხაროდ, სოსომ თავი ვერ შეიკავა. ეს არის შედეგი იმ ავანტიურისტული პოლიტიკისა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ატარებს.

„ბარამიძე თბილისის ქუჩებში რომ გაუშვა, შეიძლება, სახლამდე ვერ მიაღწიოს“

– თუმცა ბარამიძის ჟესტიკულაცია მოჰყვა სოსო ჯაჭვლიანის საკმაოდ შეურაცხმყოფელ განცხადებებს, თუნდაც ცოცხებთან დაკავშირებით...

– სამწუხაროდ, ეს რეალობაა. „ნაციონალებს“ უნდათ, რომ წარსული, რომელიც მათ შექმნეს, უცებ წაიშალოს, ყველამ ყველაფერი დაივიწყოს. ასე არ ხდება. თუ უნდათ, რომ ხალხმა ყველაფერი დაივიწყოს, გაეცალონ პოლიტიკას, ელემენტარულად ადამიანებს ნუ ენახვებიან და აღიზიანებენ. ნორმალური ადამიანი ასე მოიქცეოდა. ამ ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში ძალიან სერიოზული ბოროტებებია ჩადენილი და ეს ყველაფერი ხალხს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. ბარამიძე თბილისის ქუჩებში რომ გაუშვა, შეიძლება გაპუტონ და სახლამდე ვერ მიაღწიოს. ისე არ უნდა იცხოვრო, რომ საზოგადოებას შენდამი ასეთი დამოკიდებულება ჰქონდეს.

– გასაგებია, მაგრამ იგივე გია ბარამიძის მიმართ თქვენც გამოგითქვამთ საკმაოდ მძიმე ბრალდებები, მაგრამ საქმე ცემა-ტყეპამდე არ მისულა...

– დიახ, მე ნამდვილად არ მომიწყვია მუშტი-კრივი და ყოველთვის ვცდილობ, თავი შევიკავო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ვერ მოვიწონებ ასეთ შეხლა-შემოხლას პარლამენტში და ვამბობ, რომ დეპუტატს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს, მაგრამ ყველას ერთნაირი ნერვები არ აქვს, მით უმეტეს, როდესაც მეორე მხრიდან ადგილი აქვს აშკარა პროვოკაციას.

– გასულ კვირას ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხებზე გამართული კონფერენცია ზურაბ ჟვანიას 50 წლის იუბილეს მიეძღვნა... წინა წლებში ბატონი ზურას მეგობრები, მათ შორის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებიც სასაფლაოზე იკრიბებოდნენ...

– მე არ ვიცი, როგორ აღნიშნეს მათ ზურას დაბადების დღე. წინა წლებშიც, საფლავზე ჩვენ სხვა დროს მივდიოდით, ისინი – სხვა დროს. რაც შეეხება კონფერენციას, რომელიც ზურას 50 წლის იუბილეს მიეძღვნა, ნამდვილად საინტერესო ფორმა იყო შერჩეული. ერთი მხრივ, სააკაშვილი და მისი ამჟამინდელი თანაგუნდელები აცხადებდნენ, რომ ზურას მეგობრები არიან და პატივს სცემენ მის ხსოვნას, მეორე მხრივ კი, მე არ მახსენდება, რომ ასე ღირსეულად აღენიშნოთ ზურას დაბადების დღე. ამის ორგანიზება გასწია იმ ხალხმა, რომელიც არასდროს ყოფილა ზურას მეგობარი, იგივე დავით უსუფაშვილზე ვერ ვიტყვი, რომ ზურასთან მეგობრობდა, ხომ?! ეს ადამიანი გულწრფელად მიუდგა ამ საქმეს და ღირსეულად შეაფასა ის ღვაწლი, რომელიც ზურამ გასწია ქვეყნის წინაშე. ამიტომაც გამოვიდა ეს საღამო ასეთი საინტერესო. ესეც მკაფიო მაგალითია იმისა, რეალურად ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ზურასთან.

რა პირობა მისცა მთავარმა პროკურორმა გოგლა ჟვანიას?

– არჩილ კბილაშვილი ისე წავიდა პოსტიდან, რომ გაურკვეველი დარჩა, როდის გახდება ცნობილი გამოძიების საბოლოო დასკვნა და როდის გაირკვევა, რა არის სიმართლე და რა – ჭორი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეში... ახალ მთავარ პროკურორს თუ შეხვდით და რა მოლოდინები გაქვთ?

– პროცესი მიდის. კონკრეტულ თარიღებზე საუბარი ძნელია. ამ საქმეში იმდენად მნიშვნელოვანი მტკიცებულებებია, რომ შეუძლებელია, ეს საქმე არ გაიხსნას. საუბარია ახალ მტკიცებულებებზე. ეს საქმე რამდენიმე თვეში გაიხსნება და თაროზე ნამდვილად არ შემოიდება. ის, რომ 9 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მტკიცებულებების გაყალბება, თავისთავად ქმნის პრობლემას. ახალ პროკურორთან მქონდა შეხვედრა და შემიძლია, გითხრათ, რომ ის საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, გატარდა კიდეც არაერთი ღონისძიება. პროკურატურის ახალმა ხელმძღვანელობამ პირდაპირ დააფიქსირა და საგამოძიებო მოქმედებებიდანაც ჩანს, რომ ზურაბ ჟვანიას საქმე მათი უპირველესი პრიორიტეტია.

– ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ გახმაურებული საქმეებიდან, პირველ რიგში, სწორედ ჟვანიას საქმე გაიხსნება?

– დიახ, თუკი რომელიმე გახმაურებული საქმე გაიხსნება, პირველ რიგში, შეიძლება ეს იყოს ზურას საქმე. მე აღარ განვმეორდები, თუ ვინ და რა დონეზით მონაწილეობდა ამ საქმეში, საზოგადოება გადაიღალა ერთი და იგივეს ლაპარაკით, მათ სურთ კონკრეტული პასუხი და შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ეს პროცესი დიდხანს აღარ გაგრძელდება.

– გასულ კვირას თქვენ დატოვეთ საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი... რა შეუთავსებლობა გქონდათ, ჩვენი მკითხველისთვისაც რომ განმარტოთ?

– თავის დროზე, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შემომთავაზეს, მაშინვე გამიჩნდა კითხვა – ხომ არ იქნებოდა ეს შეუთავსებელი, რადგან იმ დროისთვის ჩემი მეუღლე უკვე მუშაობდა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ. ვესაუბრეთ პარლამენტის იურისტებს, საპროცედურო კომიტეტს და მითხრეს, რომ არანაირი პრობლემა, ამ მხრივ, არ იქმნებოდა. გარემოს დაცვა ჩემი მეუღლისთვის ძალიან ახლო სფეროა, 20 წელია ამ სფეროში მუშაობს და აქედან 14 წელი სამინისტროშია. 2010 წელს ნაციონალებმა გაათავისუფლეს, გასაგები მიზეზების გამო. როგორც ჩანს, აპირებდნენ მორიგი თემის აგორებას, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ აღარ ვიყო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით არანაირი შეუთავსებლობა აქ არ არის, მაინც არ მიღირდა ამაზე აჟიოტაჟის ატეხა.

– საზოგადოების ნაწილი უკმაყოფილოა ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესით... როგორ ხედავთ თქვენ ამ საკითხს?

– მე მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც ფიქრობს, რომ ყველამ ყველაფერზე პასუხი უნდა აგოს. უამრავი დანაშაული, რომელიც გასულ წლებშია ჩადენილი, არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. მაგრამ საქმეს ართულებს ის, რომ ეს დანაშაულები ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს უკავშირდება, ამიტომ მათ მიმართ გატარებული ნებისმიერი კანონიერი ქმედება ერთგვარ დაძაბულობას იწვევს ჩვენს დასავლელ პარტნიორებში. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნებული ვარ, რომ კანონიერება აღდგება, შეიძლება არა ისეთი ტემპით, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება. აბსოლუტური სამართლიანობა არსად, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ყველაფერს მაქსიმალურად გავაკეთებთ.

„ახალ პროკურორთან მქონდა შეხვედრა და შემიძლია, გითხრათ, რომ ის საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ მფარველობდა ტრეფიკინგის დანაშა

მარიამ ნადირაძე

სამი წლის წინათ დაკარგული ნათია გიორგიძის საქმეში ახალი დეტალები გამოჩნდა...



ვინ იყო ქუთაისელი გოგონა, რომელსაც თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში დანანევრებით ემუქრებოდნენ?

„2010 წლის 05 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის N041100789 საქმეზე, ნათია გიორგიძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამჟამად საქმეზე გრძელდება გამოძიება, ხდება სხვადასხვა ვერსიების გადამოწმება“.

ეს პასუხი საგამოძიებო ორგანოდან ძალიან ჰგავს სხვა დანარჩენი საქმეების გარშემო დასმულ კითხვაზე პასუხს. ხშირ შემთხვევაში ასეთი მოკლე კომენტარებით მაშინ შემოიფარგლებიან, როდესაც გამოძიებას სათქმელი არაფერი აქვს. ასე იყო მაშინაც, როდესაც ოფიციალურ ორგანოს კითხვა სამი წლის წინათ დაკარგული გოგონას საქმის გარშემო დავუსვით, ვინაიდან სწორედ მაშინ „პრაიმტაიმი“ ამ თემაზე მუშაობდა.

სამი თვის შემდეგ კვლავ მოვიკითხეთ საქმე და აღმოჩნდა, რომ სიახლეები არის, რის შესახებაც დღეს გიამბობთ.

თუმცა, მანამდე, რაღა თქმა უნდა იმ მკითხველისთვის, რომელსაც შემთხვევით გამორჩა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამოეკითხა ისტორია ამ საშინელი ტრაგედიის შესახებ:

სამი წლის წინათ, 11 ოქტომბერს, დღის სამ საათზე ნათია სახლიდან გავიდა. სამი საათის შემდეგ მასთან კავშირი შეწყდა. ტელეფონი გაითიშა. ოჯახმა მაშინვე განაცხადა პოლიციაში. თითქოს მუშაობდნენ, მაგრამ უშედეგოდ... ეს ამბავი ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე, ქალაქის ცენტრში მოხდა. სწორედ იქ არსებულმა ვიდეოთვალმა დააფიქსირა ბოლოს 19 წლის გოგონა. თავად ნათია ავტოქარხნის დასახლებაში ცხოვრობდა. იმ დროისთვის იმ ქუჩაზე კამერამ შავი ფერის ჯიპიც დააფიქსირა. დღემდე უცნობია, ვინ არის მისი მფლობელი. ვინაიდან იმ ადგილთან, სადაც გოგონას კვალი იკარგება, ახლოსაა მდინარე რიონი, პოლიციამ მუშაობა ძირითადად თვითმკვლელობის ვერსიისკენ მიმართა, რასაც დაკარგულის დედა კატეგორიულად უარყოფს: „თვითმკვლელობა გამორიცხულია. პირადად მე გამორიცხავ. როცა ადამიანი ამ გადაწყვეტილებამდე მიდის, ამას მომზადება სჭირდება. სახლიდან რომ გადის, ის არ გადის დალაგებული გონებით. ნათიამ კი ჩანთაც წაიღო, მობილურიც. მე მაქვს თავი მოსაკლავი და მე გამიჭირდა ამის გაკეთება. ჩემს შვილს კი ამისთვის მიზეზი არ ჰქონდა. გამორიცხულია, ის თავს არ დაიხრჩობდა და ასე რომ ყოფილიყო, დამხრჩვალი მაინც ხომ უნდა გვენახა? პოლიცია კი ფიქრობს, რომ, რაკი მდინარის პირას მივიდა, მას აუცილებლად თავი უნდა დაეხრჩო. არადა ბევრი საეჭვო დეტალია ამ საქმეში. ერთი თვის შემდეგ პოლიციაში იმ ქუჩაზე მცხოვრებმა ძმებმა გუგავებმა ნათიას პირადობის მოწმობა მიიტანეს. თქვეს, რაკი მფლობელი ვერ ვიპოვეთ, მერე სახლში შევინახეთო. იქ ჩანთაც იდო, მაგრამ მერე ეს ჩანთა ვინმემ მოიპარა, თუ სად გაქრა, არ ვიცითო. ჩანთა გავხსენით, პირადობა ამოვიღეთ და ჩანთა იქ დავტოვეთო. მერე, რომ მივბრუნდით, ჩანთა აღარ დაგვხვდაო. მე ეს ყველაფერი ზღაპრად მიმაჩნია და არ ვიცი, თქვენ როგორ მიიჩნევთ ამას. ჩემი აზრით, ვიღაცამ კვალის ასარევად შემოაგდო ეს პირადობა და ამ ბიჭებმა ეს პირადობა სწორედ მაშინ მიიღეს, როცა გამოაჩინეს, თორემ სახლში ვინ ინახავს სხვის პირადობას?.. როგორც ჩანს, ჩემი შვილი სხვა ქვეყანაშია გადაყვანილი. მისი მოკვლაც არავის არაფერში აწყობდა. მისგან რაღაც გამორჩენას ელოდნენ და უნდა გაეყვანათ ქვეყნიდან. 19 წლის გოგო ვინმეს რომ მოეკლა, ამის მიზეზიც არ ჩანს. თუ არც თვითმკვლელობის მიზეზი არსებობდა, ერთადერთი რჩება – ეჭვი ტრეფიკინგზე... ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში ცხოვრობს მინდელის ოჯახი. ამ კაცის მეუღლე საბერძნეთში მიდიოდა არალეგალურად. ეს ამბავი მოხდა შარშან ივნისში. თავის ქმარს დაურეკა ღამის სამ საათზე თურქეთის ერთ-ერთი სასტუმროდან, – აქ ქუთაისელი გოგო მოიყვანეს და იქნებ დავეხმაროთ ამ გოგოსო. სახელიც უთხრა და გვარიც. 20-21 წლის იქნებაო (ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, რომ, ქალბატონის განცხადებით, გოგონას თურქეთში დანანევრებით ემუქრებოდნენ. – მ.ნ.)... ამ საუბრის დროს, ამ კაცის მონათხრობით, მის მეუღლეს წაართვეს ტელეფონი და, მას შემდეგ მე მას აღარ დავლაპარაკებივარო. მალევე ეს ქალი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ერთი სიტყვით, ამ ქალს ჩემი შვილი დაკარგვიდან 2 წლის შემდეგ თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში ჰყავს ნანახი. გიორგიძეები ბევრნი ცხოვრობენ დიმში და ეტყობა, ვინმე თავისიანი ეგონა და იმიტომ უთხრა, დავეხმაროთო... პოლიციასთან რომ მივიყვანე, ეს კაცი უფრო შეშინდა. ვფიქრობ, შეცდომა ზუსტად აქ დავუშვი. პოლიციისთვის ეს ამბავი არ უნდა გამემხილა, რაღაც სხვა ღონე უნდა მეხმარა“.

ნათია გიორგიძის დაკარგვის შესახებ სტატიის გამოქვეყნებიდან 3 თვეზე მეტი გავიდა და სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ საქმეში ახალი დეტალები გამოჩნდა, რომლის შესახებაც ნათიას ოჯახის ადვოკატი, ლედი ტუკვაძე გვიამბობს:

– მე გავაკეთე ალტერნატიული საგამოძიებო სამსახური, სადაც მოწვეული მყავს პროფესიონალთა ჯგუფი, რომლებიც სწორედ ასეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებაში არიან პროფესიონალები. მათ შორის ერთ-ერთს საუკეთესო გამოცდილება აქვს ტექნიკური საშუალებებით მუშაობის. სწორედ ეს ჯგუფი ჩაერთო ნათია გიორგიძის საქმეზე მუშაობაში. მოგეხსენებათ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ გოგონას გარშემო თითქმის ყველანაირი სახის ინფორმაცია იყო დაბლოკილი. როდესაც ქუთაისის მთავარი სამმართველოს უფროსად ზაზა ჩუბინიძე დაინიშნა, სწორედ მასთან შევთანხმდით, რომ მაქსიმუმს გავაკეთებდით გამოძიების დასახმარებლად მტკიცებულებების მოპოვებაში. გადავწყვიტეთ, რომ ასე, ორგანიზებულად გვემუშავა. ამ ადამიანთან თანამშრომლობის შედეგად მოხდა ის, რომ ძალიან ბევრი სიახლე გაჩენილიყო ამ საქმეში და ბოლოს საქმე მხარის მთავარ სამმართველოს გაეთხოვა. მანამდე გამოძიების ძირითადი მიმართულება რიონში დახრჩობისკენ მიდიოდა. ვერ ვიტყვი, რომ მანამდე გამოძიებას არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ქალაქში, სადაც ამდენი ქურდობა, ყაჩაღობა და მკვლელობაა, ჯერ კიდევ არ ჰყავთ იმ დონის სპეციალისტები, რომ ასეთ რთულ საქმეებზე იმუშაონ.

– ძალიან საინტერესოა ამ საქმეში ერთი დეტალი, რომ ნათიას დაკარგვიდან 2 წლის შემდეგ თურქეთიდან ბაღდათში ქალბატონმა მინდელმა, რომელიც მოგვიანებით საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, მეუღლეს იქაურ სასტუმროში მყოფი გოგონას დახმარება სთხოვა. ეს ეპიზოდი გაიშალა? ამ ქალბატონის მეუღლისგან შეიტყვეთ დამატებითი დეტალები?

– მე ბოლომდე არ მინდა ავხსნა ყველაფერი, ვინაიდან ამან შეიძლება ჩვენი გამოძიების შედეგები დაზიანოს...

– ამბობთ, ახალი დეტალები გამოჩნდა საქმეშიო. რის გაშიფვრა შეგიძლიათ ამ ეტაპზე?

– თუნდაც იმის, რომ გოგონას დაკარგვის დღეს, ღამის 11 საათი იქნებოდა დაწყებული, როდესაც მისი მობილური ტელეფონი რამდენიმე წამით ჩაირთო, შესულია მესიჯები. თუმცა ისიც დადგინდა, რომ ეს მესიჯები არ წაკითხულა...

– ეს ახალი დეტალი, ალბათ, ვერ გამორიცხავს გამოძიების ძველ ვერსიებს თვითმკვლელობის, ან უბედური შემთხვევის შესახებ, მით უმეტეს, როდესაც ამბობთ, რომ მესიჯები არ წაკითხულა...

– მართალი ბრძანდებით, თუმცა არის ამ საქმეში სხვა გარემოებებიც, რომლის გაშიფვრაც ამ ეტაპზე რომ შემეძლოს, უფრო საინტერესოდ მოგეჩვენებოდათ ეს დეტალი...

– გინდათ თქვათ, რომ იმ სურათში, რაც თქვენმა ჯგუფმა გაშიფრა, ეს, ტელეფონის ეპიზოდი, ერთ-ერთი საკვანძოა?

– შეიძლება ასეც ითქვას... მოდით, დავბრუნდეთ 2012 წელში, როდესაც თურქეთიდან ქალბატონმა დარეკა და მეუღლეს აცნობა, რომ იქ ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც დანანევრებას უპირებდნენ, შველას ითხოვდა... სწორედ აქ აქვს პოლიციას ყველაზე დიდი შეცდომა დაშვებული, რომ ამას ბოლომდე არ მიჰყვა. ჩვენთვის კი ძალიან საინტერესო დეტალები გამოიკვეთა: კონკრეტული გვარები და სახელები, კონკრეტული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ახორციელებდა საქართველოშიც და საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

– გულისხმობთ, რომ ეს ჯგუფი ტრეფიკინგით იყო დაკავებული?

– დიახ. უფრო მეტიც, ამ ჯგუფს ყოფილ ხელისუფლებაში ჰყავდა მაღალჩინოსანი მფარველი.

– ეს თქვენი ვარაუდია თუ უკვე დადგენილი ფაქტი?

– ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინფორმაციები, რომლებსაც ამ ეტაპზე გადამოწმება სჭირდება. ბევრისთვის ცნობილია ამ დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ბევრმა იცის მისი არსებობის შესახებ, მაგრამ გარკვეული მოსაზრებებით მალავენ ამას. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მოვუწოდო ყველა ამ ადამიანს, რომლებმაც ბევრი იციან ამ საქმის თაობაზე, ითანამშრომლონ ჩვენთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ, მორალური პასუხისმგებლობის გარდა, კანონის წინაშეც

ვინ და რატომ ემუქრება ადვოკატს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ულეგრივ ჯგუფს ძველ ხელისუფლებაში?



„სწორედ ინფორმირებულობის გამო მანქანა ამიფეთქეს და წლების განმავლობაში ტერორის ქვეშ ვიყავით...“

EXCLUSIVE

დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.

– იმ დროს, როდესაც არსებობდა ცოცხალი მოწმე, რომელიც, სავარაუდოდ, ნათია გიორგიძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გაცემის შემდეგ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, მისი მეუღლე ბოლოს და ბოლოს ალაპარაკდა? თქვენი საგამოძიებო ჯგუფი დაეკონტაქტა მას?

– ძალიან მალე ჩვენ ბოლომდე გავხსნით კარტებს. მანამდე ქალბატონ მინდელის ოჯახსაც მოვუწოდებ, ითანამშრომლონ. იქნებ სწორედ მათი პასიურობის გამო მოხდა ის, რომ გამოძიება ცხელ კვალზე ვერ დადგა? არადა გოგონა, რომელსაც დანაწევრებით ემუქრებოდნენ, შველას ითხოვდა. თუნდაც ეს ნათია გიორგიძე არ ყოფილიყო...

– რატომ უნდა დაენაწევრებინათ ეს გოგონა?

– ამ კითხვას სჯობს, ამ ადამიანებმა თავად უპასუხონ.

– ძალიან დამაინტრიგებლად ჟღერს თქვენი ეს მოწოდება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენ ამ ისტორიის უკვე სრული სურათი გაქვთ...

– ჩვენ გვაქვს მხოლოდ ნაწილობრივი სურათი.

– ამბობთ, რომ ამ დანაშაულებრივ ჯგუფს ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსანი მფარველობდა. რამდენად მაღალ თანამდებობას იკავებდა ის?

– გადაჭრით ვერ ვიტყვით მისი მფარველობის შესახებ, თუმცა იკვეთება, რომ ეს ადამიანი რამდენჯერმე დაეხმარა ამ ჯგუფის წევრებს.

– თქვენც კი ძალიან თავშეკავებული ხართ ამ საქმის გარშემო სიახლეების შესახებ საუბრისას... ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ინფორმაციის ტარებით ალტერნატიული გამოძიების ჯგუფი გარკვეული რისკის წინაშე დგებით?

– იმ ინფორმაციის ნაწილს, რასაც დღეს ვაჟღერებ, სწორედ ამ რისკის გასანეიტრალებლად გაწვდით. ამის გამოცდილება, იცით, რომ ჩემს ოჯახს არაერთხელ ჰქონდა, როდესაც სწორედ ინფორმირებულობის გამო მანქანა ამიფეთქეს და წლების განმავლობაში ტერორის ქვეშ ვიყავით... ამიტომაც, როგორც კი ნათია გიორგიძის საქმეზე მუშაობისას ჩემი მისამართით აგრესია წამოვიდა, მაშინვე გადავწყვიტე, რომ ინფორმაციის ნაწილი გამეჟღერებინა...

– რა სახის აგრესიაზე საუბრობთ? გემუქრებოდნენ?

– დიახ.

– ვინ გემუქრებათ? ანონიმი?

– არა. ჩემთვის ცნობილია იმ ადამიანის ვინაობა, ვინც ჩემთან დარეკა. ამ მუქარას სხვა მოწმეებიც ჰყავდა.

– ვინ არის ეს ადამიანი?

– ერთ-ერთი დაინტერესებული პირი, რომელსაც არ უნდა ამ საქმის გახსნა. ის არის ერთ-ერთი მოწმე, რომელმაც, ჩემი აზრით, ბევრი რამ იცის ამ საქმის გარშემო. ეს ადამიანი კავშირშია იმ 2012 წლის შემთხვევასთან, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ. მე ამ ადამიანს პირადად არ ვიცნობ, უბრალოდ, ვიცი, ვინც არის და რა კავშირში შეიძლება იყოს ამ საქმესთან.

– ამ ეტაპზე ხომ არ გაქვთ დადგენილი, ცოცხალია თუ არა ნათია გიორგიძე?

– ამის დადგენას სჭირდება სპეციფიკური გამოძიება, რომლის რესურსიც ჩვენს რეგიონში არ არის. ყველამ წარმოიდგინოს თავი ნათია გიორგიძის დედის ადგილზე, რომელსაც სამი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ უჭამია, თითქოს განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს, არ სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, დადის ფეხით, არ იცვამს თბილად... ვერ წარმომიდგენია, რა აძლებინებს ამ ქალს... იხვეწება, დავუჯეროთ, რომ მისი შვილი მკვდარი არ არის. ძალიან მძიმეა ამ ადამიანის დანახვა. რომ მოუსმინოთ, შეიძლება გული გაგიჩერდეთ.

– რამდენად პერსპექტიულია ამ საქმის გახსნა?

– ამ ეტაპზე შემიძლია გადაჭრით გითხრათ, რომ არ არსებობდა რაიმე წინაპირობა, რის გამოც ნათია გიორგიძეს თავი უნდა მოეკლა. ფსიქოლოგებმა ნახეს მისი ჩანაწერები. დაადგინეს, რომ არის ტიპური 19 წლის გოგონა, ყოველგვარი დეპრესიული წინაპირობების გარეშე. მაშინაც, როცა პუშკინის ქუჩაზე წავიდა, ის მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, სავარაუდოდ, ვინმესთან შესახვედრად... ის მდინარისკენ ჩასვლიდან რამდენიმე წამში ქრება. ისევ გიმეორებთ, რომ ბევრი საინტერესო დეტალი იკვეთება. არ მინდა ვიფიქრო, რომ ასეთი საქმეები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აიყვანონ განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ, როცა ის რომელიმე განსაკუთრებულ ოჯახს შეეხება. და რაკი ნათიას ოჯახს საშუალება არ ჰქონდა, ამიტომაც შეიძლება ეს ისტორია ისევ პასუხგაუცემელი დარჩეს.

მაშინ როდესაც „პრაიმტაიმმა“ 19 წლის გოგონას შესახებ რამდენიმე თვის წინ პირველად დაწერა, ლედი ტუკვაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა: „ყველაზე საინტერესო ჩვენთვის სწორედ ტრეფიკინგის შესახებ ვერსიაა. იკვეთება ვინმე ქეთინო. ჩემი კავშირებით დავადგინე, რომ მას ვინმე ზაზასთან ერთად გადაჰყავდა გოგონები თურქეთში, ეს უკანასკნელი კი 2006 წელს ჩაცხრილეს გაურკვეველ ვითარებაში სალონიკში. ვინ არის ეს ქალბატონი, გასარკვევია. სწორედ მისი გადაყვანილია საბერძნეთში მინდელის ცოლიც. ასე რომ, ამ ქალის გარშემოც ბევრია სამუშაო. იმ დროისთვის ძალიან ბევრი გოგო გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი. თუმცა, მე, როგორც იურისტი, ვერ ვიკადრებ, ვთქვა, რომ პოლიციამ არაფერი გააკეთა. გავეცანი საქმეს და პოლიციას ნამუშევარი ნამდვილად აქვს. მაგრამ დაზარალებულს ბოლომდე დარჩება დაუკმაყოფილებლობის განცდა, ვიდრე საკუთარ შვილს არ ჩაიხუტებს. ამიტომ ეს საქმე აუცილებლად უნდა გაითხოვოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში. თავიდან ბოლომდე უნდა იქნას შესწავლილი ეს საქმე და მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ტექნიკური საშუალება. მით უმეტეს, რომ ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა: ძალიან ბევრი გოგო იკარგება, ბევრი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს შინაგან საქმეთა მინისტრი“.

მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იყო. დღეს ლედი ტუკვაძე ახალ მინისტრს მიმართავს იგივე თხოვნით.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმმა“ ხელისუფლების ორი

მარიამ ნადირაძე

ვინ აშანტაჟებდა ვანო ჩხარტიშვილს ინა გუდავაძის სასარგებლოდ?

„მე რა მაქვს გამოცდილი და რა არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. არის რაღაც კიდევ, რასთანაც შეხება მქონია და იქაც ხუხაშვილის ხელი ურევია. ვნახოთ, ახლა რა გაცხადდება და იმის მიხედვით შეიძლება ჩვენც გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება“

უკვე რამდენიმე წელია, ვიცით, რომ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივს, ქალბატონ ინა გუდავაძეს დავა აქვს მისი გარდაცვლილი მეუღლის თითქმის ყველა ყოფილ პარტნიორთან ქონებასთან დაკავშირებით...

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დარჩა შთაბეჭდილება, რომ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა სწორედ პატარკაციშვილის ოჯახისთვის ქონების დაბრუნებით დაიწყო, როდესაც მას გასული წლის ოქტომბრის პირველივე დღეებში ტელეკომპანია „იმედის“ გასაღები მისმა მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა საჯაროდ და პომპეზურად გადასცა. თუმცა, მოგვიანებით, მოვლენების განვითარებამ სულ სხვა სურათი გამოაჩინა...

ჯერ ჯოზეფ ქეი გამოჩნდა ქართულ ტელეარხებზე თავისი სკანდალური ჩვენებით, რომელიც პროკურატურის სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთ ოქმშიც აისახა. მაშინვე გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ქეი ამ ჩვენების სანაცვლო მისთვის სასურველ სიკეთეს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას დაიბრუნებდა. ასე მოხდა კიდეც. რამდენიმე თვის წინ სასამართლომ გადაწყვეტილება სწორედ ქეის სასარგებლოდ მიიღო...

მოგვიანებით გოგი ჯაოშვილსაც გაუჩნდა პრეტენზიები. საქართველოშიც დაბრუნდა და სამართლებრივი ბრძოლაც წამოიწყო.

თუმცა წრის შევიწროება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის გარშემო ამით არ დასრულებულა. ყველაზე მთავარი დარტყმა ინა გუდავაძისთვის ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება იყო იმ მემორანდუმთან დაკავშირებით, რომელიც გუდავაძესა და ნაციონალურ ხელისუფლებას შორის 2011 წლის 6 ივლისს დაიდო. ივანიშვილის რეპლიკამ, – თმები ყალყზე დამიდგაო, წაახალისა ამ დოკუმენტის გასაჯაროების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მემორანდუმს, მთავრობისა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უკვე მოეხსნა საიდუმლოობის გრიფი, მისი გასაჯაროება მაინც ფერხდება. ბუნებრივია, ამას თავისი ახსნა აქვს და არა მარტო სამართლებრივი, რომლის მიხედვითაც გასაჯაროება ორივე მხარის თანხმობით უნდა მოხდეს. ბევრი ამტკიცებს, რომ ამ პროცესს მაშინაც და ახლაც ის ადამიანები უშლიან ხელს სახელისუფლებო „ვერხუშკაში“, რომლებსაც სერიოზული გავლენები აქვთ.

ამ თემას ქვემოთ უფრო მეტად გავშლით, რადგან სწორედ ეს ფიგურები გახლავან ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის ძირითადი გმირები, მანამდე კი იმის შესახებ მოგახსენებთ, რომ უკვე კუთხეში მიმწყვდეულ გუდავაძეს დარტყმა, რამდენად წარმოუდგენელიც უნდა იყოს, მალე შესაძლოა, პროკურატურიდანაც მიადგეს, ვინაიდან მისი ერთ-ერთი მთავარი ოპონენტის, ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატი მათ დასახელებას მას შემდეგ აპირებს, რაც მასალებს პროკურატურას გადასცემს. ამ მასალების შინაარსობრივი დატვირთვა კი ჩხარტიშვილის მისამართით განხორციელებული შანტაჟი და მუქარაა, რომელიც, როგორც ჩანს, ბიზნესმენმა ჩაიწერა და ახლა ის გამოძიების საგანი გახდება. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც დაუფარავად ლობირებდნენ პატარკაციშვილის ქვრივს.

სანამ იმ რესპონდენტთან დიალოგს შემოგთავაზებდეთ, რომელიც მათ გვარებს ხმამაღლა ასახელებს, მკითხველს მცირე პრეისტორიას შევთავაზებთ იმ დავების შესახებ, რომელიც ჩხარტიშვილსა და გუდავაძეს შორის იყო წარმოშობილი.

თავიდან მათი დავა ყულევის ტერმინალით დაიწყო. მასში პატარკაციშვილს 150 მილიონი ჰქონდა ჩადებული. სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ოლიგარქის შევიწროების გამო, მან ტერმინალის გასხვისება გადაწყვიტა. მის სახელთან დაკავშირებულმა კომპანიამ „კროლ ჰოლდინგ ლიმიტედმა“ ტერმინალი ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ „კარლინას“ მიჰყიდა. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პატარკაციშვილმა აქციათა 24,5 პროცენტი ვანო ჩხარტიშვილს გადასცა. მაშინვე ითქვა, რომ ეს ფორმალური გარიგება იყო. ჩხარტიშვილს ნაციონალური ხელისუფლება იმ დროისთვის ნაკლებად ერჩოდა. მეტიც, როგორც ამბობენ, მას ხელისუფლების გარკვეულ წრეებთან ერთად საერთო ბიზნესებიც კი ჰქონდა აგარის შაქარში, აზოტის ქარხანასა და კაზინო „შანგრილაში“. ის იგებდა გზების ტენდერებსაც. ასე რომ, ნაციონალურ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენისთვის აქციების გადაცემით პატარკაციშვილმა ჩათვალა, რომ ის თავის ქონებას გადაარჩენდა...

„ასეთ საქმეებში ერთი კაცი არასდროს მოქმედებს. ყოველთვის არის ტანდემი. ამ რეალობაში გამოკვეთილია ხუხაშვილისა და ნაცვლიშვილის ტანდემი“



საქმეში ჩახედულები აცხადებენ, რომ პატარკაციშვილმა, ჩხარტიშვილის რეკომენდაციით, ერთ-ერთი პირი, ქავთარაძე აღჭურა დოკუმენტებზე ხელმოწერის, წილის გაყიდვის უფლებით. პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ კი მასთან ასოცირებულმა კომპანიამ, „კოპელა ვინჩერს ლიმიტედმა“ 12 მილიონ 275 ათას დოლარად გაყიდა თბილისის უნივერმაღი. ამ თანხიდან ოლიგარქის ოჯახს თეთრი არ მიუღია.

დავის საგანი იყო ფოთის წისქვილკომბინატიც, რომლის აქტივებიც გაიყიდა და თანხაც იგივე ხელწერით გაქრა. ეს წისქვილკომბინატი პატარკაციშვილის მფლობელობაში მყოფი კომპანია „ბლუტროპიკ ლიმიტედის“ საკუთრებაში იყო. აქციების 92,85 პროცენტი 2 მილიონ 692 ათას 22 ლარად გაიყიდა, 2008 წლის 5 მარტს, როდესაც პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან 3 მხოლოდ კვირა იყო გასული...

იგივე ხერხით გაიყიდა ნავმისადგომები ფოთში, იმავე წლის 10 მარტს...

პატარკაციშვილის ოჯახი დაობდა ოლიგარქის კომპანია „ლაკარპას“ საკუთრებაში არსებულ „ვითიბი ბანკის“ 7,51 პროცენტის აქციებზე და „ენერჯი ინვესტის“ 34 პროცენტ წილზე, რომელიც 7 მილიონ 840 ათასად გასხვისდა. ეს წილი კომპანია „კოლჩესტერმა“ მიიღო, რომელმაც მოგვიანებით გიორგი ქავთარაძეს, როგორც „ლაკარპას“ ნდობით აღჭურვილ პირს გადასცა ეს თანხა მოკლევადიანი სესხით. მალევე, ეს თანხა ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილს გადაერიცხა, დოკუმენტს კი საფუძვლად ფინანსური დახმარება დაედო...

2012 წლის დეკემბერში პატარკაციშვილის ოჯახმა მთავარ პროკურატურას მიმართა და მოითხოვა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის დაწყება. ერთ თვეში თბილისის პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ცხრა ეპიზოდზე გამოძიება შეწყდა. დადგენილების თანახმად აღნიშნული საქმეები არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და დავა სამოქალაქო წესით უნდა გაგრძელებულიყო. თუმცა, მოგვიანებით, ფინანსურმა პოლიციამ გამოძიება სხვა ეპიზოდებზე დაიწყო:

ბადრი პატარკაციშვილის სახელთან დაკავშირებულმა კომპანიამ „კოპელა ვინჩერს ლიმითედ“-მა, ავთანდილ წერეთლისგან თამბაქოს ქარხანა (100%-პროცენტიანი წილით) 8 მილიონ 762 000 ათას დოლარად იყიდა. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში „კოპელას“ წილი, სულ რაღაც, 107 ათას 170 ლარად გადაიფორმა კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ (ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანია), ხოლო შემდეგ ეს წილი სრულად დაუთმო შპს „სმარტ გრუპს“, რომლის დამფუძნებლებიც იმ დროისთვის ვანო ჩხარტიშვილის შვილები იყვნენ. ნათია ჩხარტიშვილი – 51%-ის, მიხეილ ჩხარტიშვილი კი – 49%-ის მფლობელი. „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ პატარკაციშვილის კომპანიის წილი ისე გადაიფორმა, რომ თანხაც არ გადაუხდია...

ლილოს ტერიტორიაზე არსებული მინის ნაკვეთი გიორგი ქავთარაძის მინდობილობის საფუძველზე, გადაიფორმა „სონატა ალიანს ჯორჯიამ“. არც ამ შემთხვევაში მიუღია კომპანიას ის მიზერული თანხა, რომელიც მითითებული იყო ხელშეკრულებაში.

დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ კიდევ ერთი ობიექტი, რომელიც ჩხარტიშვილმა, სავარაუდოდ, მიითვისა – „კოპელას“ საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთია, კოლმეურნეობის მოედანზე – 2008 წლის 5 მარტს ისევ გიორგი ქავთარაძის მიერ გადაფორმდა კომპანია „მენეჯმენტ კონსტანტინ ლიმიტედზე“, შემდეგ კი მალევე, იგივე ნაკვეთი გადაიფორმა შპს „სმარტ ჯგუფმა“ – კომპან-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაღალჩინოსნის ვინაობა დაადგინა

„ინა გუდავაძის საქმეებში აშკარად იყო ჩარეული გია ხუხაშვილი და მას უჭერდა მხარს. ყველანაირად ცდილობდა, მას გადაფარებოდა, მიუხედავად იმისა, მართალი იყო თუ არა ქალბატონი ინა“

EXCLUSIVE

„ეს იქნება გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ბატონი ლაშა ნაცვლიშვილი. ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი ყველა საქმეში ერთად იყვნენ“

იამ, რომლის დამფუძნებლებიც ვანო ჩხარტიშვილის შვილები არიან.

უცნაურია, მაგრამ მთელი ამ მონაცემების ფონზე, რაც ქართული საზოგადოებისთვის იყო ცნობილი, 24 ნოემბერს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების სასამართლოში პატარკაციშვილების ოჯახმა სასამართლო პროცესი ვანო ჩხარტიშვილთან წააგო. ამ შემთხვევაში საქმე ყულევის ტერმინალის აქციებს ეხებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ვანო ჩხარტიშვილი იყო, აქამდე პატარკაციშვილების მიერ სადავოდ მიჩნეული, ყულევის ტერმინალის მფლობელი კომპანიის 49 აქციის ერთადერთი მესაკუთრე, ოჯახს არ გააჩნია დაინტერესება ამ აქციებთან დაკავშირებით და შესაბამისად, არ გააგრძელებს დავას აღნიშნულ საკითხზე.

ასე რომ, პატარკაციშვილების ოჯახმა წააგო საკუთარი ინიციატივით დაწყებული სამწლიანი სასამართლო დავა იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელიც ყველაზე მსხვილი და წონადია მათ მიერ ვანო ჩხარტიშვილისთვის წაყენებულ პრეტენზიათა ნუსხაში.

ამ დავის განმავლობაში ჩხარტიშვილი და მისი ადვოკატები პერიოდულად აკეთებდნენ განცხადებებს ბიზნესმენზე სახელისუფლებო შანტაჟისა და ზენოლის შესახებ.

გასული წლის ნოემბერში ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატმა განაცხადა: „გიგი უგულავა, დავით კეზერაშვილი და ირაკლი რუხაძე ლონდონში ბადრი პატარკაციშვილის მეუღლესთან ინა გუდავაძესთან ჩავიდნენ, ისინი ცდილობენ, „მზის“ ნილი მასზე გადააფორმონ და დაამტკიცონ, რომ ეს არა ჩხარტიშვილის, არამედ პატარკაციშვილისაა... ირაკლი რუხაძე, რომელიც პატარკაციშვილების ქონების მმართველია, ამავდროულად „თავისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებლის კახა ბენდუქიძის ახლო მეგობარიცაა.

„იმედის“ დაბრუნება პატარკაციშვილების ოჯახისთვის იმ დიდი გარიგების შედეგია, რომელიც გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახთან გიგი უგულავამ და იუსტიციის მინისტრის ყოფილმა პირველმა მოადგილემ თინა ბურჯალიანმა გააფორმეს... უახლოეს მომავალში პროკურატურაში საჩივარს შევიტანთ და მტკიცებულებებს წარვადგენთ, თუ რა ზეწოლისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში გახდა შესაძლებელი პატარკაციშვილებისთვის „იმედის“ დაბრუნება... ეს უკავშირდებოდა საკმაოდ გახმაურებულ თემას და თუ გუდავაძე ამას ხელს არ მოაწერდა, ამ ფაქტებს გაამჟღავნებდნენ, რითაც შეიძლებოდა პატარკაციშვილის ოჯახისთვის ღირსება შელახულიყო“, – აცხადებდა გაბუნია.

მოგვიანებით ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ ინა გუდავაძისთვის სწორედ ეს ხელშეკრულება გახდა აქილევსის ქუსლი, რომლისგან ისრის გამოძრობისთვის მას ამჯერად ახალი ხელისუფლების წრიდან დასჭირდა მფარველების გამოძებნა.

ივნისში გაბუნიამ ახალი განცხადება გააკეთა: „ჩვენ კონკრეტული ეჭვი გვაქვს, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის გვერდით დგანან კონკრეტული ადამიანები, რომლებსაც უნდათ შანტაჟის გზით გამოსძალონ ვანო ჩხარტიშვილს გარკვეული თანხა. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ინა გუდავაძესთან წლების განმავლობაში არაერთი შეთავაზება გაკეთდა ამ ბიზნესდავის დასასრულებლად, თუმცა უშედეგოდ. მან ყველაფერზე უარი განაცხადა“.

ყველაზე კონკრეტული და სკანდალური განცხადება კი რამდენიმე დღის წინ გაკეთდა: „2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლების წევრების მხრიდან ვანო ჩხარტიშვილზე ზეწოლა გაგრძელდა. არსებობს კონკრეტული ჩანაწერები და სატელეფონო მუქარები ვანო ჩხარტიშვილის მიმართ განხორციელებული. ეს ყველაფერი გაჟღერდება, უბრალოდ, ამას სჭირდება პროცედურები. ჩვენ მივმართავთ შესაბამის ორგანოს განცხადებით და შესაბამისი ორგანო გააკეთებს განცხადებას. ამ ადამიანებმა, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი“.

გაბუნია ამ დანაშაულის შინაარსსაც განმარტავს და აცხადებს, რომ ჩხარტიშვილს მოჰპარეს პერსონალური ინფორმაცია და სწორედ ამ ინფორმაციის წყალობით ხდებოდა მისი შანტაჟი.

სანამ ჩხარტიშვილის ადვოკატი შესაბამის პროცედურებს წამოიწყებს, „პრიმატაიმი“, თავის მხრივ, შეეცადა გაერკვია, რომელი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს უახლოეს მომავალში. ამჯერად ჩვენი რესპონდენტი **ვალერი გელბახიანია,** რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, კარგად არის გარკვეული პატარკაციშვილის ოჯახის მფარველებსა და მის ბიზნესურთიერთობებში:

– ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომელსაც დაასახელებენ, ყოფილი პრემიერის მრჩეველი, გია ხუხაშვილი იქნება. ის არასდროს მალავდა, რომ ინა გუდავაძის პოზიციებს ლობირებს.

– დიმიტრი გაბუნიაც არ გამორიცხავს ხუხაშვილის დასახელებას, თუმცა აცხადებს, რომ მასზე მაღალი რანგის თანამდებობის პირებიც დასახელდებიან...

– ეს იქნება გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ბატონი ლაშა ნაცვლიშვილი. ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი ყველა საქმეში ერთად იყვნენ.

– თქვენ ამას ვარაუდობთ, თუ?..

– სწორად ვვარაუდობ.

– რას ეყრდნობით?

– ასეთ საქმეებში ერთი კაცი არასდროს მოქმედებს. ყოველთვის არის ტანდემი. ამ რეალობაში გამოკვეთილია ხუხაშვილისა და ნაცვლიშვილის ტანდემი.

– ეს ტანდემი მარტო ამ ორი ადამიანისგან შედგება?

– ეს ორი ნაღდია.

– ამბობთ, ლაშა ნაცვლიშვილიო, მაგრამ მას ჰქონდა ის ბერკეტები, რომ შანტაჟი სისრულეში მოეყვანა, რაც მას არ გაუკეთებია...

– ვანო ჩხარტიშვილიც არ იყო პატარა ფიგურა. მასაც აქვს თავისი სერიოზული გავლენები. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ინა გუდავაძის საქმეებში აშკარად იყო ჩარეული გია ხუხაშვილი და მას უჭერდა მხარს. ყველანაირად ცდილობდა, მას გადაფარებოდა, მიუხედავად იმისა, მართალი იყო თუ არა ქალბატონი ინა. თქვენ გახსოვთ, პრემიერმა მოითხოვა იმ ხელშეკრულების გამოქვეყნება, რომელიც გუდავაძემ სააკაშვილის ხელისუფლებასთან გააფორმა და მერე ისიც ვნახეთ, რომ არ გამოქვეყნდა... ესეც ხუხაშვილის დამსახურებაა, რომ დაიმალა ის გარიგება, რომელსაც პრემიერმა ბინძური გარიგება უწოდა.

– რა სარგებელი უნდა ჰქონოდა ხუხაშვილის ამ მფარველობისგან?

– ის, ალბათ, გარიგებულია რაღაც პირობებზე გუდავაძესთან, თორემ უსარგებლოდ და უხეიროდ ხუხაშვილი ნაბიჯს არ გადადგამს. ჯერ გააკეთოს განცხადება დიმიტრი გაბუნია, ამის მიხედვით, შემდეგ გეტყვით, ჯდება თუ არა ეს იმ ინტერესში, რისი თქმაც ჩვენ გვინდა. შეიძლება მერე ჩვენც ვთქვათ რაღაც.

– თქვენც აპირებთ რამის თქმას?

– შესაძლოა, არ გამოვრიცხავთ.

– თქვენც გქონდათ ამ ტანდემთან რამე შეხება?

– არაფერი პირადული.

– აბა, რასთან დაკავშირებით აპირებთ განცხადების გაკეთებას?

– მე გითხარით, რომ პირადული შეხება არ მქონდა. პირადულის იქით იქნება, ალბათ, რაღაც, რომელიც საერთო ინტერესებში გამოსახვას იპოვის.

– თქვენ პირადად გამოსცადეთ საკუთარ თავზე მათგან შანტაჟი?

– მე რა მაქვს გამოცდილი და რა არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. არის რაღაც კიდევ, რასთანაც შეხება მქონია და იქაც ხუხაშვილის ხელი ურევია. ვნახოთ, ახლა რა გაცხადდება და იმის მიხედვით შეიძლება ჩვენც გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება.

დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ მეტად საინტერესო სურათი იკვეთება: ადამიანები, რომლებსაც ივანიშვილი ყოველთვის კბილებით იცავდა, შესაძლოა, მალე სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტები გახდნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაბუნიას პათოსს მალე შესაძლოა, გელბახიანიც შეუერთდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს წრე კიდევ უფრო გაფართოვდეს. ამასობაში კი მოცემულობა ასეთია: უკვე ახალი პრემიერის პირობებში აღარც ხუხაშვილია მრჩეველი და აღარც ნაცვლიშვილი – გენერალური პროკურორის მოადგილე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ნარმანია: „ყველა ეს საკითხი მაინც უფრო მითიურია და ამ ხმებს ავრცელებდნენ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მოწინააღმდეგეები იყვნენ“

ქეთი ხატიაშვილი

თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში სტარტს ტრადიციულად სკანდალურად იღებს. ბევრი ხმაური, რადიკალური განცხადებები, აგრესიული ტონი და რიგ შემთხვევაში, არაადეკვატური შეფასებებიც კი მოჰყვა ამ კოდექსს. ტრადიციულად იმიტომ, რომ არც ერთი რეფორმა საქართველოში ხმაურისა და მძვინვარების გარეშე არ დაწყებულა.

რა ბედი ელის თვითმმართველობის რეფორმას, არსებული წინააღმდეგობები, რომელიც ხელისუფლებაში იკვეთება, რამდენად შეაფერხებს ამ რეფორმას და რა ძირითადი სარგებელი ექნება ხალხს მისგან. ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ესაუბრა.

დავით ნარმანია:

– ბატონო დავით, თვითმმართველობის შესახებ კოდექსის განხილვა ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. თქვენ და რესპუბლიკელები ლამის საქართველოს დანაწილება-დაშლის სურვილსა და რაღაც შეთქმულებებში დაგადანაშაულეს...

– ყველა ეს საკითხი მაინც უფრო მითიურია და ამ ხმებს ის ადამიანები ავრცელებენ, რომლებიც წლების განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მოწინააღმდეგეები იყვნენ და დღესაც ასეთებად რჩებიან. ეს არიან ისინი, ვინც წლების განმავლობაში, ნაცვლად თვითმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციისა, ცენტრალიზაციის პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ. მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, არამედ იმ რამდენიმე ორგანიზაციასა და ექსპერტსაც, რომლებიც ამ პოლიტიკის მიმდევრები გახლდნენ.

კანონის უპირველესი მიზანი არის: 1. ადგილობრივი ხელისუფლება და ადგილობრივი მოსახლეობა დაუახლოვდეს ერთმანეთს, რომ მოსახლეობამ რაც შეიძლება სწრაფად მიიტანოს არჩეულ თვითმმართველობამდე საკუთარი პრობლემები და მალე მოგვარდეს ისინი. ამისთვის მათ კანონმდებლობით უფრო მკაფიოდ გაწერილი უფლებამოსილებები უნდა ჰქონდეთ, ვიდრე ადრე ჰქონდათ და ასევე, საკმარისი ფინანსური რესურსიც.

ჩვენი მიზანია არა დაყოფა, არამედ ისეთი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა, რომელიც ტერიტორიულად უფრო მცირე ტერიტორიის ფარგლებში იქნება მოქცეული და ახლოს იქნება ამომრჩეველთან. გარდა ამისა, ქალაქები და სოფლები სხვადასხვა სპეციფიკისანი არიან და ამიტომაც, ისევე, როგორც ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, ქალაქები უნდა იყვნენ ცალკე თვითმმართველობები, მათ სხვა ურბანული პრობლემები და თემატიკები გააჩნიათ, სოფლის ტიპის დასახლებები კი – ცალკე თვითმმართველობებად, რადგან იქ უფრო აგრარული და სხვა ტიპის პრობლემები აქვთ.

კანონის მიხედვით, პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ქალაქები, რომლებიც, თავდაპირველი ვარიანტის მიხედვით, 15 ათასზე მეტი მოსახლეობით ხასიათდებიან. თუმცა, შემდეგ ეს ვერსია შეიცვალა და ცალკე თვითმმართველობებად გამოიყოფა მხარის ცენტრებში არსებული ქალაქები. სოფლის დონეზე კი შეიქმნება თემები. მეორე მთავარი, რაც არის თვითმმართველობის რეფორმაში, არის ის, რომ თვითონ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელიც არჩეული იყოს. ქალაქებში – მერები, თემებში – გამგებლები იქნებიან პირდაპირი წესით არჩეულები, რადგან ნდობის უფრო მაღალ ხარისხთან გვექნება საქმე. მოსახლეობა შეძლებს, თავად გააკეთოს არჩევანი და მის მიერ არჩეულ პირს პასუხი მოსთხოვოს. მესამე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არის ეგრეთწოდებული სამხარეო დონე. აქ იქნება წარმომადგენლობითი ორგანო, ეს იქნება საკონსულტაციო ორგანო, რომელსაც თვითმმართველობით ორგანოებში არსებული ადამიანები დააკომპლექტებენ. საბჭო იქნება გუბერნატორის მრჩეველი. უფრო მეტად სამხარეო დონეზეც იქნება სამეურნეო და აღსრულებასთან დაკავშირებული ფუნქციები, რომ უფრო აქტიურად ჩაერთონ პრობლემების მოგვარებაში.

– საბჭოში ვინ შედის?

– საბჭოებში, ჩვენ მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, უნდა შესულიყვნენ არჩეული თვითმმართველობის წარმომადგენლები, ყოველ ათი ათას ამომრჩეველზე საკრებულოს ერთი წევრი, თუმცა, პარლამენტში განხილვების დროს გადაწყდა, რომ იქ უნდა შევიდნენ გამგებლები, მერები და მათი მოადგილეები. ამიტომ ეს საკითხი ტრანსფორმირდა.

– თქვენ თქვით, რომ თვითმმართველობის კოდექსის წინააღმდეგი იყო არა მარტო „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ ექსპერტების გარკვეული ნაწილიც. თუმცა, არაფერი გითქვამთ თავად უმრავლესობის შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე...

– ეს არ ყოფილა დაპირისპირება. ესეც იმ ადამიანების გავრცელებული ჭორია, რომლებიც ყველანაირად, მათ შორის, ძალიან ბინძური წესებით ცდილობდნენ აღნიშნული კანონპროექტის ჩაგდებას, მაგრამ მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ.

– ძალიან მითოლოგიური რომ არ გახდეს ეს ფიგურა, თავად ახსენეთ მითოლოგიური ფაქტები...

– არა, თქვენ ახლა ასე თუ გააგრძელებთ კითხვების დასმას, მე უფლებას დავიტოვებ, რომ არ გიპასუხოთ კითხვებზე. რა შუაშია მითოლოგია? ეს არის ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, ესენი არიან ასოციაციასთან მიტმასნილი ცალკეული ექსპერტები და ასევე, რამდენიმე ხელოვნურად შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მთავარი დანიშნულებაა არა რეფორმის მხარდაჭერა, არამედ მის წინააღმდეგ სვლა. ეს ჯგუფები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხელი შეგვიშალონ.

– ფინანსთა მინისტრსაც ჰქონდა კრიტიკული შენიშვნები და შეკითხვები იგივე ქონებისა და ბიუჯეტის გაყოფის შესახებ. მაგალითად, რა სახის გადასახადები რჩება ადგილზე?..

– ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა კრიტიკული შენიშვნები, თუმცა, მათი ნაწილი იქნა გათვალისწინებული და ასახული. ქონების გამიჯვნასთან და გადასახადების გაყოფასთან დაკავშირებული საკითხები, დამატებით, სხვა კანონებში უნდა აისახოს. მოცემულია კონკრეტული ვადა, როცა უნდა მოხდეს ამ დეტალების მომზადება. რადგან კოდექსი მაინც უფრო ჩარჩო-დოკუმენტია, ჩვენ უფრო იმ მიმართულებით წავედით, რომ ყველა დეტალი მასში ვერ აისახებოდა და რადგან მას დამატებით სხვა კანონები არეგულირებს, სწორედ იმ კანონებში მოხდება დანარჩენი საკითხების გათვალისწინება.

– თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი პოზიცია ამ საკითხზე...

– თვითმმართველობებს თავისი ფუნქციებისა და საკუთარი უფლებების შესასრულებლად სჭირდებათ საკმარისი ქონება და საკმარისი ფინანსები. საკუთრებაში უნდა ჰქონდეთ მათ ტერიტორიაზე არსებული მინა და უნდა ფლობდნენ იმ უძრავ ქონებას, რაც უფლებების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ფინანსურ რესურსებს, ჩვენი დაანგარიშებისა და ხედვის მიხედვით, მათ უნდა ჰქონდეთ საშემოსავლო გადასახადი. მისი ნახევარი მაინც პირველი დონით ადგილობრივ თვითმმართველობაში უნდა რჩებოდეს, გარკვეული ნაწილი, ასევე, სამხარეო დონეზე შეიძლება იქნას აკუმულირებული. ჩვენ გვაქვს ჩვენი გაანგარიშებები, ფინანსთა სამინისტროს თავისი გაანგარიშება აქვს, საბოლოოდ შეჯერდება ეს და მომზადდება ცვლილება.

– ანუ ქონება და გადასახადები არ ჩაიდება თვითმმართველობის კანონში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოადგენთ ეგრეთწოდებული ჩაცუცქული ბიჭების მენტალიტეტს... თუმცა, თქვენ ასევე უპასუხეთ კორკოტას კრიტიკულ განცხადებებს და თქვით, რომ ჯიგარი თქვენც გაქვთ... რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება?

– მე აღარ ვაპირებ ამ საკითხებზე კიდევ ვისაუბრო, რადგან მიმაჩნია, რომ ეს არ არის ანგარიშგასაწევი ფაქტორი. ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება, დაუზარლობა გაცილებით მნიშვნელოვანია თბილისისთვის, ვიდრე ჯიგრიანობა. დღეს თბილისს სჭირდება პრობლემების რეალურად შემფასებელი, რომელიც შეძლებს, გაფილტროს და სიმძიმეების მიხედვით დაალაგოს პრობლემები. პირველ რიგში, მოაგვაროს გადაუდებელი ამოცანები, შემდეგ გადაჭრას მეორე რიგის პრობლემები. რაც არ უნდა დიდი იყოს თბილისის ბიუჯეტი, ყველა პრობლემის ერთდროულად გადაჭრა შეუძლებელია. ამის ილუზია არც მე მექნება, რომ ოთხ წელიწადში მოვაგვარებ ყველა პრობლემას. ამიტომ მიმაჩნია, რომ თბილისს რეალურად სხვა ტიპის მიდგომები სჭირდება, ვიდრე აქამდე იყო. თბილისს სჭირდება ის, რომ დავამარცხოთ დედაქალაქში არსებული კორუფცია, სჭირდება ის, რომ მეტად აქტიურები ვიყოთ ქალაქის პრობლემების მოგვარებაში, ძალიან მჭიდრო კომუნიკაცია გვქონდეს მოსახლეობასთან, პერიოდულად ჩავაბაროთ ანგარიში მოსახლეობას და ისეთი დახურული სისტემა, როგორიც არის თბილისის მერია, ბოლომდე გავხსნათ.

„ისეთი დახურული სისტემა, როგორიც არის თბილისის მერია, ბოლომდე გავხსნათ“

და ის სხვა კანონებით დარეგულირდება?

– დიახ, ასე იქნება. ერთი მხრივ, უნდა დარეგულირდეს ქონების შესახებ კანონით და მეორე მხრივ, საბიუჯეტო კოდექსით.

– როგორც ჩანს, ეს მაინც რჩება წინააღმდეგობის მიზეზად, ხომ არ ფიქრობთ, რომ შეიძლება რეფორმა შეფერხდეს?

– თუ არსებითი წინააღმდეგობები იქნება, ასეთ შემთხვევაში რეფორმა, ბუნებრივია, შეფერხდება, თუმცა, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ რეფორმა რეფორმისთვის კი არ ჩატარდეს, არამედ რეალურად განხორციელდეს. ამიტომაც არა მგონია, რომ სერიოზული სახის წინააღმდეგობები იყოს.

– არ ფიქრობთ, რომ ამ რეფორმის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი გარემოება ეკონომიკური მხარეა. თუ მაინც მიგაჩნიათ, რომ ცალკეული ადამიანები და ჯგუფები მთავარ საფრთხედ რჩებიან?

– არანაირ კავშირში არ არის საქართველოს ეკონომიკური განვითარება თვითმმართველობის რეფორმასთან. ადგილობრივი თვითმმართველობა – ეს არის, ერთი მხრივ, მოქალაქეთა უფლება და მეორე მხრივ, ფუნქციების ისე გადანაწილება, რომ თვითმმართველობამ თავისი საქმე აკეთოს და ცენტრმა – თავისი. დღეს ცენტრი აკეთებს თვითმმართველობის ძალიან ბევრ საქმეს, მათ შორის, ყველაზე მეტს, ალბათ, ჩვენი სამინისტრო. ამიტომ, თუ ეს ფუნქციებიც და ჩვენი რესურსებიც სწორად გადანაწილდება, ყველაფერი უფრო ეფექტურად გაკეთდება. რასაკვირველია, რაც უფრო მეტი იქნება ეკონომიკური ზრდა, მით უფრო მეტი შემოსავლების გადანაწილება იქნება შესაძლებელი ცენტრსა და თვითმმართველობას შორის და მეტი პრობლემის მოგვარებაც.

– მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, აღნიშნული თვითმმართველობის რეფორმის მიღების შემდეგ რომ მოსულიყო აჭარაში ასეთი თოვლი, რომელმაც ამ დღეებში სერიოზული პრობლემები შექმნა და პრაქტიკულად მთელი ქალაქი ელექტროენერგიისა და გაზის გარეშეც კი დატოვა, ეს პრობლემები ბევრად მარტივად მოგვარდებოდა?

– პირველ რიგში, საუბარია იმაზე, რომ თვითმმართველობის პრობლემები იქვე, ადგილზევე მოგვარდეს და რაც შეიძლება მალე. დღეს ჩვენ ვაგვარებთ სოფლებში არსებული წყალმომარაგების დიდ ნაწილს. მაგალითისთვის რომ ვთქვათ, სადღაც სოფელში რომ წყლის მილი გასკდება, ეს განცხადება ჯერ ჩვენამდე უნდა მოვიდეს, შემდეგ ჩვენ ეს განცხადება კომისიაზე უნდა განვიხილოთ, კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, შემდეგ ფული უნდა ჩავურიცხოთ თვითმმართველობას და თვითმმართველობამ უნდა გააკეთოს ის მილი ან ჩვენ უნდა გავაკეთოთ აქედან, წყალმომარაგების კომპანიის საშუალებით, რასაც თვეები სჭირდება. შესაბამისად, როდესაც თვითმმართველობას ექნება საჭირო თანხა, ის მარტივად და დროულად მოაგვარებს პრობლემას, მაშინვე, როგორც კი მოქალაქის განცხადება შევა. ისევე, როგორც სოფლებში გზების თოვლისგან გაწმენდის საკითხს. დღეს ჩვენ ვეხმარებით ასეთი პრობლემის მოგვარებაში, რადგან სოფლებს დღეს საჭირო ტექნიკა არ ჰყავთ. ძალიან ელემენტარულ საკითხებზეა საუბარი. ეს არ არის ქვეყნის დაშლა, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ. ეს არის პრობლემების მოგვარების მარტივი მეთოდი.

– მაგალითად, როცა თბილისში თოვლი მოვიდა, ძალიან მალე მოგვარდა პრობლემა...

– თბილისში თოვლი არ მოსულა, ეს იყო თოვლჭყაპი და ძალიან დიდი განსხვავებაა თბილისსა და რეგიონს შორის თოვლის დონის საკითხში. იცით, რამდენი პრობლემა იყო თბილისში მარილის ტენდერთან დაკავშირებით?

– არ ვიცით და გვითხარით...

– არ არის საჭირო ახლა ამის თქმა, უბრალოდ, თბილისის მერიას მარილის ტენდერი ჩაუვარდა და დღემდე არ აქვს საკმარისი მოცულობის მარილი და იმაზე ძვირი უჯდება მისი შესყიდვა, ვიდრე ეს ჩვეულებრივი ტენდერის შემთხვევაში დაუჯდებოდა. ამას, ნესით, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები უნდა უყურებდნენ... არა, ეს ახალი თემაა.

– რატომ მოხდა აჭარაში სიტუაციის ასე გამწვავება, ხელისუფლება არ იყო მზად თუ სინოპტიკოსებთან არ ჰქონდათ კავშირი?

– ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლება არ იყო მზად ამისთვის. იყო პროგნოზი, რომ მოვიდოდა თოვლი, ამიტომ ჩვენც და სხვა სამსახურებიც შემზადებულები ვიყავით. უბრალოდ, ნალექი მოვიდა უფრო მეტი, ვიდრე ხდება ხოლმე. ამიტომაც ყველაზე მთავარი პრობლემა გახდა ელექტროენერგიის მიწოდება. ეს კი განპირობებული იყო იმით, რომ წლების განმავლობაში არ იცვლებოდა ანძები და ბოძები. გარკვეულ მონაკვეთში გზაც კი ჩაიკეტა და დრო დაგვჭირდა, რომ ის გაგვესხნა. უფრო ვიტყოდი, რომ სწრაფად დიდი რაოდენობის ნალექის მოსვლა გახდა პრობლემა. ანძები დაზიანდა ისეთ ადგილებში, სადაც ფიზიკურად ტრაქტორი ვერ შედიოდა. ამიტომ დაგვჭირდა, რომ ვერტმფრენების დახმარებაც გამოგვეყენებინა. დღეის მდგომარეობით ხულოს ბოლო წერტილამდეა გაწმენდილი გზა.

– ხელისუფლება ახლა მზად არის, მსგავს გამოწვევებს გაუმკლავდეს, თუ არის კიდევ საშიშროება, რომ მსგავსი პრობლემები სხვაგანაც შეიქმნება?

– გზებთან დაკავშირებით პრობლემა, წესით, აღარ შეიქმნება. თუ სადმე მოულოდნელად დიდი თოვლი მოვა, არავის არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ გზები სწრაფად გაიწმინდება, რადგან ასეთ დროს ტექნიკა ვერ შედის, როცა ქარბუქია და შეიძლება იქ შესვლით ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლოს. ამიტომ სპეციალური წესებია დაწესებული პატრულისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. ყველაფერს თავისი ნესები აქვს.

– ხშირად კეთდება ხოლმე პარალელები 9 წელთან დაკავშირებით, ამ კონტექსტში მინდა გკითხოთ, ცხრა წლის განმავლობაში არ შექმნილა მსგავსი პრობლემები, მაშინაც ხომ მოდიოდა მსგავსი რაოდენობის ნალექი?

– წინა ცხრა წლის განმავლობაშიც მოდიოდა დიდი რაოდენობის ნალექი, თუმცა, ყველა ინფორმაცია არ ვრცელდებოდა და არ შუქდებოდა. დღეს ინფორმაციას არ აქვს შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, ცუდიც ისმის და კარგიც.

– თქვენ ახლა, სულ მცირე, „მაესტროს“ აყენებთ შეურაცხყოფას...

– არ ვაყენებ არავის შეურაცხყოფას, მაგრამ შეზღუდვები იყო და ეს ყველამ იცის.

– რაც შეეხება მერობის კანდიდატურას, ვიცით, რომ მოჰყვა აზრთა სხვადასხვაობა თქვენს წამოყენებას მერობის კანდიდატად. ბევრმა იფიქრა, რომ ეს იყო საპირწონე ეგრეთწოდებული ვაკური და თბილისური მენტალიტეტის. პირადად მე სწორედ ამიტომ მომეწონა თქვენი კანდიდატურა, თქვენ არ წარმომე ამ სამინისტროშიც დახურული სისტემა დამხვდა და თითქმის ბოლომდე გავხსენი ის როგორც ჟურნალისტებისთვის, ისე მოსახლეობისთვის. აქ არ არსებობს შემთხვევა, რომ არ უპასუხონ მოქალაქის განცხადებას, ჟურნალისტის კითხვას, ასეთივე უნდა გახდეს თბილისის მერიაც.

– თუმცა თქვენს სამინისტროში ქრთამზე აიყვანეს თანამშრომელი...

– დიახ, მან არასამსახურებრივ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული. გამოძიება გაარკვევს, კონკრეტულად რასთან გვქონდა საქმე. ამ ადამიანმა კონკურსი ვერ გაიარა, მას დეკემბრის ბოლომდე ჰქონდა სამინისტროში მუშაობის ვადა. ოქტომბერში ჩატარდა ტესტირება, რომელიც აღნიშნულმა თანამშრომელმა ვერ გაიარა, ახლა მიმდინარეობს გასაუბრება, პრაქტიკულად შერჩეულია ადამიანი მის შემცვლელად. რამდენიმე თანამშრომელია, რომლებმაც ტესტირება ვერ გაიარეს და ხდება მათი ჩანაცვლება.

ხაზს ვუსვამ, რომ ეს არის გამონაკლისი ჩვენს სამინისტროში, რადგან ერთი წლის მუშაობის პერიოდში ჩვენი სამინისტროს მისამართით კითხვა არ დასმულა. არც ერთი ადამიანი არ დაჭერილა, რადგან ჩვენ მოგვიწია სისტემის გამჭვირვალედ წარმოჩენა, ხარისხის დახვენა, ჩვენ მოგვიწია ხალხის გაშვებაც. კარგია, რომ ეს ფაქტი არ უკავშირდება ჩვენს სამინისტროსთან დაკავშირებულ საკითხს, როგორც კი სამართალდამცავები მოვიდნენ, მაშინვე მივაწოდეთ ყველანაირი ინფორმაცია და მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, მათთან ისევ ვიმუშაოთ.

– თვითმმართველობის კოდექსთან ერთად, პარლამენტში განიხილება საარჩევნო კოდექსიც. საუბარია, ერთი მხრივ, ბარიერის დაწევაზე პარტიების შემთხვევაში და მეორე მხრივ, მერობის ბარიერის აწევაზე. როგორია თქვენი პოზიცია?

– მე მზად ვარ, გადავლახო ნებისმიერი ბარიერი. ბარიერები არ მაშინებს ცხოვრებაში. მზად ვარ, ისევე, როგორც აქამდე ვიყავი მზად. მე არ ვიცნობ საარჩევნო კოდექსის პროექტს, შესაბამისად, არ მაქვს ზუსტი პასუხი, თუმცა, ბარიერი რომ აიწიოს, ამისთვისაც მზად ვარ.

– უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ ბარიერმა აიწიოს 30%-დან 50%-მდე, ეს თქვენგან არ გამომდინარეობს?

– არა, ეს ჩემგან არ გამომდინარეობს. 30%-იანი ბარიერი ოპტიმალურია, ბევრი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს ამას. ეს პოლიტიკოსების გადასაწყვეტი საკითხია.

– ჯერ, ალბათ, ძალიან ადრეა, თუმცა, რა გათვლები გაქვთ და იცით თუ არა უბნები, სადაც შედარებით გაგიჭირდებათ მოგება?

– ჯერჯერობით ამისთვის ცოტა ადრეა, თუმცა, მე მაქვს ჩემი მოსაზრებები, რომელსაც ჩემთვის ვალაგებ. წინასაარჩევნო კამპანიას დავიწყებ მას შემდეგ, როცა მინისტრის პოსტს დავტოვებ. ეს პარალელურ რეჟიმში შეუძლებელიცაა და ამას კანონიც მიკრძალავს. როცა აქტიურ წინასაარჩევნო რეჟიმში ვიქნები, დეტალურად გავაცნობ ამომრჩეველს ჩემს გეგმებს, ვივლი კარდაკარ, უბან-უბან, რომ არ დავეყრდნო მხოლოდ გარედან დანახულ ფაქტებს. შევეცდები, რომ ეგრეთწოდებული რთული უბნებიც ჩემს მხარეს გადმოვიდნენ და ჩემში დაინახონ ადამიანი, რომელიც რეალურად გადაუწყვეტთ მათ პრობლემებს.

– მოგიწევთ, კონკურენცია გაუწიოთ „ნაციონალური მოძრაობიდან“ პოლიტიკურ ფიგურას. თქვენ არ გაქვთ პოლიტიკური გამოცდილება და არც პოლიტიკური ამბიცია. არ ფიქრობთ, რომ ეს რთული იქნება?

– ამომრჩევლებმა დაინახეს, რომ დედაქალაქის მერი არ უნდა იყოს მხოლოდ პოლიტიკური ფიგურა. ძალიან კარგად დაინახეს, რომ ქალაქს სჭირდება მეურნე ადამიანი, ქალაქს სჭირდება ადამიანი, რომელიც დაკავებული იქნება არა პოლიტიკური განცხადებების კეთებით, არამედ რეალური საქმის კეთებით. ეს იქნება განსხვავება ჩემსა და ნაციონალების კანდიდატს შორის. თუმცა, ჯერ არ ვიცი, ვის დააყენებენ საბოლოოდ ისინი, დაველოდოთ და შესაბამისი სტრატეგიით ვიმოქმედებთ. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ სტრატეგიის რადიკალურად შეცვლა დამჭირდება მათი კანდიდატურის დასახელების შემდეგ. მე მაქვს სტრატეგია შერჩეული, ის არის იგივე, რა სტრატეგიაც აქვს ჩვენს კოალიციას.

– გუნდში ყველა მხარს გიჭერთ?

– არის, ალბათ, ორი-სამი განსხვავებული მოსაზრების მქონე ადამიანი.

– ადამიანი თუ პოლიტიკური დაჯგუფება?

– პოლიტიკური დაჯგუფება მონინააღმდეგე ნამდვილად არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„უნიქარდმა“ პარტნიორებთან ერთად უნივერსალური გათამაშება „სამმაგი მოგების შანსი და 10 000 გამარჯვებული“ დაიწყო

„უნიქარდმა“ თავისი ერთგული მომხმარებლისთვის, პარტნიორებთან ერთად უნივერსალური გათამაშება დაიწყო. უპრეცედენტო გათამაშების პრეზენტაცია კომპანიამ რამდენიმე დღის წინ „ივენთ ჰოლში“ გამართა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში „უნიქარდის“ დირექტორმა ბესო აბულაძემ განაცხადა, კომპანია „უნიქარდის“ ყველა მფლობელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, საშუალებას აძლევს გახდეს პორშე კაიენის, 3 ბიზნეს კლასის „ფორდ მონდეოს“, გარემონტებული ბინის - „აქსის პალასი“ საირმეზე ან 10 000 მომენტალური პრიზის, მათ შორის ბარსელონის ტურის მფლობელი.

„უნიქარდის“ დირექტორი, ბესო აბულაძე: „უნიქარდი“, თავის პარტნიორებთან ერთად კიდევ ერთ საჩუქარს სთავაზობს თავის ერთგულ მომხარებელს. ეს არის თავისი შინაარსით უნიკალური გათამაშება. მომხმარებელს ეძლევა მოგების სამმაგი შანსი. რაც შეეხება მოგების სამმაგ შანსს, პირველი - მომენტალური 10 000-ზე მეტი პრიზის მოგების შანსს მომხმარებელი გათამაშების ბილეთის გადაფხეკისას იღებს. საჩუქრების ჩამონათვალი საინტერესო და მრავალფეროვანია: სასაჩუქრე ვაუჩერები, საწვავის ტალონები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, „უნიქარდის“ ქულები, ასევე უნიტური ბარსელონაში. „უნიქარდის“ პარტნიორებში მომხარებელი სხვადასხვა ღირებულებების შენაძენზე იღებს გათამაშების გადასაფხეკ ბილეთს. მეორე - „პორშე კაიენის“ ან სამი „ფორდ მონდეოს“ მოგების შანსს მომხმარებელი იმ შემთხვევაში იღებს, თუ ბილეთის გადაფხეკისას ვერ მოიგებს მომენტალურ პრიზს, გადაფხეკილ ბილეთს მოათავსებს პარტნიორ კომპანიებში არსებულ სპეციალურ ყუთში და დაელოდება გათამაშებას 30 იანვარს, „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში. მესამე - გარემონტებული ბინის „აქსის პალასი საირმეზე“ მოგების შანსი; სახლის მოგების შანსს მომხმარებელი მიიღებს ელექტრონული ბილეთით, რომელიც მომხმარებელს ნებისმიერ პარტნიორთან დაგროვილ ყოველ 10 ქულაზე გადაეცემა.

„უნიქარდის“ მფლობელებს, „ვისოლის“, „სმარტის“, „სოკარის“, „ჯიპისის“, „სითი ფარმას“, „ჯინს გალერი“ ჯგუფის მაღაზიების, „ვულე-ვუს“, „ოქეის“, „მეტრომარტის“, „არაის“ ობიექტებში მოგების სამმაგი შანსი აქვთ.

სოსო ფხაკაძე, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი: „გვინდოდა საახალწლოდ ძალიან დიდი საჩუქარი გაგვეკეთებინა ჩვენი მომხარებლებისთვის. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თვითონ აქცია, მასშტაბურობით, უპრეცედენტოა, რადგან ძალიან ბევრი კომპანიაა ჩართული და უამრავი პრიზი თამაშდება. „ვისოლ ჯგუფიდან“ აქციაში მონაწილეობას იღებს, როგორც „ვისოლი“, ასევე „სმარტი“ და „ვენდი“. დარწმუნებული ვარ, რომ მომხარებელი ძალიან კმაყოფილი იქნება და ალბათ, მომავალშიც შევთავაზებთ ასეთ საინტერესო აქციებს ჩვენ ერთგულ მომხმარებელს“.

მაირ მამედოვი, „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი: „2013 წელს „სოკარი“ გახდა „უნიქარდის“ პარტნიორი. ამის საშუალებით „სოკარის“ მომხმარებელს მიეცა შესაძლებლობა დააგროვოს ქულები „სოკარის“ ქსელში. მოგეხსენებათ „სოკარი“ საქართველოს მასშტაბით არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე. ჩვენი კომპანია ცნობილია ასევე თავისი სოციალური, საქველმოქმედო აქციებითა და ასევე გათამაშებებითაც. ამ შემთხვევაში, ეს გათამაშება არის თავისი მასშტაბით ერთ-ერთი უპრეცედენტო პრიზების რაოდენობითა და მათი ხარისხის მნიშვნელობით. ეს არის წინასაახალწლო საჩუქარი „სოკარის“ მომხარებელთათვის“.

თეა ჯავახიშვილი, „ჯი პი სი“-ს პიარმენეჯერი: „კომპანია „ჯი პი სი“ უკვე წლებია „უნიქარდთან“ თანამშრომლობს. ამ გათამაშებაში „ჯი პი სი“ და „სითი ფარმა“ ფარმაცევტული სექტორით წარმოდგენილია ექსკლუზიურად. მომდევნო წლიდან, „უნიქარდის“ გატარება სააფთიაქო ქსელებში შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ „ჯი პი სის“ და „სითი ფარმას“ ქსელში. აღნიშნული ურთიერთობა ახალ ფაზაში გადადის, რაც რეალურად უფრო აძლიერებს პარტნიორობას და ნებისმიერი ტიპის ერთობლივ აქციას“.

„ნინო ნოდია, ვულე-ვუს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: „ასეთ გრანდიოზულ გათამაშებაში, პირველად ვმონაწილეობთ, თუმცა კი „უნიქარდთან“ მისი დაარსების პირველივე დღიდან ვთანამშრომლობთ. რაც შეეხება აქციას, ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესოა და წინასაახალწლოდ ძალიან დიდი სტიმულია ჩვენი მომხმარებლისთვის და ასე ვთქვათ, დამატებითი ბონუსი. ჩვენთან შემოსული მომხარებელი, ყოველ გახარჯულ 50 ლარზე მიიღებს ერთ ბილეთს, რომელიც ადგილზევე შეუძლია გადაფხიკოს და მომენტალური გათამაშების ბილეთით 10 000 პრიზიდან რომელიმე მოიგოს. თუ არ გაუმართლებს, შეუძლია ბილეთი დოლურაში ჩააგდოს და მიიღოს მონაწილეობა შემდეგ გათამაშებებში“.

ქეთი კოზმანაშვილი, „ოკეის“ წარმომადგენელი: „ჩვენი კომპანია საკმაოდ დიდი ხანია თანამშრომლობს „უნიქარდთან“. ძალიან მნიშვნელოვანია ეს აქცია, რადგან ნებისმიერი ჩვენი მომხმარებელი შეიძლება აღმოჩნდეს გამარჯვებული. ვთვლით, რომ წარმატებული იქნება ეს აქცია, როგორც „ოკეისთვის“ ასევე „უნიქარდისთვის“.

გათამაშება დასრულდება 2014 წლის 20 იანვარს. 30 იანვარს კი „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში გამოვლინდება „პორშე კაიენის“, 3 „ფორდ მონდეოს“ და გარემონტებული ბინის მფლობელები „აქსის პალასში საირმეზე“. „უნიქარდი“ ერთგულ მომხარებელს წარმატებებს უსურვებს. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა გარიგება შედგა თავის დროზე ზურაბ ადეიშვილსა და ზაზა ხატიაშვილს შორის

„გამარჯვებისთვის ზაზას სწორედ ადეიშვილთან მოუწია გარიგება. დათა ახალაიას ის მარტო ვერ მოერეოდა“

„ძლიერი ადვოკატი, ეს არის მთავრობის მტერი. დღევანდელი ხელისუფლება, ისევე როგორც სააკაშვილის ხელისუფლება, მიდრეკილია ადამიანის უფლებების დარღვევისკენ“

ერეკლე სტურუა

2009 წელს, როცა პირველად გახდა ზაზა ხატიაშვილი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე. ითქვა, რომ მას (ანუ ხატიაშვილს) ხელისუფლება, კანდიდატურის მოხსნის სანაცვლოდ, 400 ათას ევროს სთავაზობდა. ეს მაშინ ხაჭაპურიძემ თქვა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ:

– მითხრეს: მიხეილ სააკაშვილს უნდა, რომ ქეთი ქვარცხავა გახდეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე. ზაზა ხატიაშვილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიდეს... როგორც ჩანს, არჩევნებს ხატიაშვილი იგებს და რადგან შენი მეგობარია, როგორც კოლეგას, გთხოვ, ხატიაშვილთან მიხვიდე და უთხრა, რა თანხაც უნდა დაასახელოს, რომელ ბანკსაც მოინდომებს, იმაში გადაურიცხავენ მისთვის სასურველ თანხას. ჯიპი დასჭირდება, თუ რამე დასჭირდება, არც ეს იქნება პრობლემა. პლუს ამას, დაასახელოს ადვოკატების გვარები და კვირაში სამ-ოთხ საპროცესოს უპრობლემოდ გავუკეთებთ, იქნება ეს მკვლელობა, ყაჩაღობა თუ ნარკოტიკების გასაღებაო... მე შესაბამისი პასუხი გავეცი, რომ ზაზა არის უწესიერესი კაცი და მე, როგორც შეთავაზებაზე, ამ თემაზე ზაზასთან საუბარი არ მექნება, მაგრამ, ამ საუბრის შინაარსზე კი აუცილებლად ვეტყვი-მეთქი... ზაზასთვის 400 000 ევრო და ჯიპი შეუთავაზებიათ.

ახლა უკვე, ოთხი წლის შემდეგ, თანხა მილიონ ევრომდე იზრდება. ითქვა, რომ ზაზა ხატიაშვილს, კანდიდატურის მოხსნის სანაცვლოდ, უკვე ერთ მილიონ ევროს სთავაზობდნენ.

ორივე არჩევნებზე ზაზა ხატიაშვილი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ სახელისუფლებო მანქანა მუშაობს და რომ ის სერიოზულ ზეწოლას განიცდის და რომ ხელისუფლებას არ აწყობს და არ უნდა ძლიერი ადვოკატურა: „ძლიერი ადვოკატი, ეს არის მთავრობის მტერი. დღევანდელი ხელისუფლება, ისევე როგორც სააკაშვილის ხელისუფლება, მიდრეკილია ადამიანის უფლებების დარღვევისკენ“ .

პირველ არჩევნებში ზაზა ხატიაშვილის მთავარი კონკურენტი ქეთევან ქვარცხავა იყო. მაშინ ზაზა ხატიაშვილი აცხადებდა, რომ საარჩევნო პროცესში ხელისუფლება იყო ჩართული. ეს მაშინ მან ღიად და ოფიციალურად განაცხადა. თუმცა, სხვა დეტალები არ დაუკონკრეტებია. კონკრეტიკა მედიაში გაჩნდა. ითქვა, რომ ქვარცხავას შსს ლობირებს. უფრო ზუსტად კუდ-ი და დათა ახალაია. მაგალითად, გამოჩნდნენ ინკოგნიტო ადვოკატები, რომლებიც სხვადასხვა მედიასამუალებით აცხადებდნენ:

– ძალოვნებმა ადვოკატების უმრავლესობა თბილისში საკუთარი მანქანებით თავად წაიყვანეს. გვითხრეს, რომ ქვარცხავა სახელისუფლებო კანდიდატი იყო და ხატიაშვილის გამარჯვება არ უნდა დაგვეშვა. კახეთიდან კუდ-ის თანამშრომლების შეთავაზება მხოლოდ შვიდმა ადვოკატმა არ მივიღეთ, რის გამოც ხატიაშვილის მხარდამჭერებად მიგვიჩნიეს. თბილისში საკუთარი ხარჯებით ჩავედით. ძალოვნები დაგვემუქრნენ, რომ დაგვსჯიდნენ. ყველა ჩვენს კლიენტს უარს ეუბნებიან საპროცესო გარიგების გაფორმებაზე და შეღავათების მიღების სანაცვლოდ, ჩვენთან დადებული ხელშეკრულებების გაუქმებას სთხოვენ...

ჟურნალისტებმა ამ შეკითხვით ქვარცხავასაც მიმართეს, თუმცა, ამ უკანასკნელი განმარტებით, ასეთი ხმები და კითხვები მისთვის შეურაცხმყოფელია.

დაპირისპირება იმდენად მძაფრი იყო, რომ პირველმა ტურმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. როგორც ნესი, ასეთ ორთაბრძოლებში კონკრეტული ფიგურების უკან კონკრეტული სტრუქტურები და ინტერესები იკვეთება. ორთაბრძოლაში მარტო ვერ დარჩები განსაკუთრებით მაშინ, თუ დათა ახალაია გებრძვის. თუ შენს წინააღმდეგ ყველა მეთოდს იყენებენ. როგორც მაშინვე ითქვა, სახაზინო ადვოკატებს დავალებული ჰქონდათ, ხმა ზაზა ხატიაშვილისთვის არ მიეცათ.

ამიტომაც, როგორც ახლა საქმეში ჩახედული ადვოკატები ამბობენ, საქმეში ზურაბ ადეიშვილი ჩაერთო

– დიახ, გამარჯვებისთვის ზაზას სწორედ ადეიშვილთან მოუწია გარიგება. დათა ახალაიას ის მარტო ვერ მოერეოდა. ეს ახალაიამ მერე აღმოაჩინა, როცა უკვე წააგო, მანამდე ეგონა, რომ მისი ფსონი გადიოდა ფონს. გარიგება კი მარტივი იყო. ხატიაშვილი გაიმარჯვებდა, ოღონდ ადვოკატებს პროკურატურა და მისი საქმეები არ უნდა ეკრიტიკებინათ და მათი სამიზნე შსს უნდა ყოფილიყო. თუ დააკვირდებით, ასეც მოხდა. ყველა საპროცესო გარიგებას სწორედ ადეიშვილთან დაახლოებული ადვოკატები აკეთებდნენ და ისინი ზაზასთან იყვნენ ასოციაციაში...

შსს არა მხოლოდ ადვოკატების ხელში ჩასაგდებად იბრძოდა, არამედ პოლიტიკოსებისაც. მაშინ ბევრი იწერებოდა ძალოვნებს შორის დაპირისპირებაზე, მათ შორის ახალაიებსა და ადეიშვილს შორის. მართალია, ვანო მერაბიშვილმა თქვა, ახალაიას, როგორც პოლიტიკოსს, არ ვიცნობო, მაგრამ ცნობილი ხდება, რომ შსს ფულს პოლიტიკურ სპექტრშიც ხარჯავდა. მაგალითად, შალვა ნათელაშვილში, რომლის აქციებიც თითქოს სწორედ კუდ-ის მიერ იყო დაფინანსებული. ეს ბიძინა ივანიშვილმაც კარგად იცოდა, ამიტომაც თავის წერილში მასთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა.

ცხადია, არც ზაზა ხატიაშვილი და არც შალვა ნათელაშვილი მსგავს ინფორმაციებს არ ადასტურებენ. ორივე მათგანი ასეთ ინფორმაციებს მათ წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას უკავშირებს.

თუმცა, მედიაში ხშირად იწერება იმის შესახებ, როგორ იყენებს „ნაციონალური მოძრაობა“ ძველ „კადრებს“, ანუ აგენტურას. ამ კონტექსტში კითხულობენ როგორც ზაზა ხატიაშვილის, ისე შალვა ნათელაშვილის ხელისუფლებასთან ოპონირებასაც. ზაზა ხატიაშვილს თავის დროზე თუ ზურაბ ადეიშვილი დაეხმარა, რა თქმა უნდა, ის მუდმივად იქნება მასთან მიბმული ბევრი თემით, მათ შორის ფინანსურადაც, ისევე როგორც შალვა ნათელაშვილი კუდ-თან, თუკი ის სწორედ მათ დაკვეთებს ასრულებდა. ყოველ შემთხვევაში არავის სჯერა, რომ იმ აგენტურასა და იმ პირებს, რომლებიც ძველ ხელისუფლებას კავშირზე ჰყავდა, დღეს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ არ იყენებს. ერთი მხრივ, ეს ლოგიკური იქნებოდა. „ნაციონალური მოძრაობა“ ინარჩუნებს გავლენებს და ბუნებრივია, მას შესაბამისი ბერკეტებიც ექნება...

არის მეორე ფაქტორიც, ნაციონალებთან კავშირზე მყოფი პირები „ქართულმა ოცნებამ“ არ მიიღო, როგორც, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი, ან გიორგი თარგამაძე. შესაბამისად, მათ სხვა არჩევანი არც დარჩათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„უბრალოდ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აკვიატებული აზრები აქვთ“

ქეთი ხატიაშვილი

„რესპუბლიკური პარტიის“ წინააღმდეგ საკმაოდ სერიოზული შავი პიარია აგორებული. თითქმის ყველა კანონპროექტს, რომელსაც კრიტიკური შეფასებები მოჰყვება ხოლმე, სწორედ მათ მიაწერენ. ბოლო დროს, „რესპუბლიკური პარტიის“ ბრალი ხდება ყველაფერი, რაც მთავრობაში ნეგატიური მოხდა. თუმცა, პარალელურად, არც ის ავიწყდებათ, რომ მაინც ყველაფერს „ნაციონალები“ აფუჭებენ, უკვე ოპოზიციიდან. ალბათ, ცუდის კეთების გამო შავი პიარის ავტორებმა ეს ორი ძალა ერთმანეთს დაუკავშირა, ზედ ირაკლი ალასანიას პარტიაც დაამატა და ერთი დიდი შეთქმულება მიიღო, ისინი ხან ღარიბაშვილის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ხან ქვეყანას ყოფენ და ყიდიან და ხან რა, და ხან რა... მოკლედ, როგორც ჩანს, ეს შავი პიარი რესპუბლიკელებს უფრო ართობს, ვიდრე აწუხებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს მათი განცხადებებიდან.

გამონაკლისი არც თვითმმართველობს შესახებ კოდექსი გახდა. აქ შავი პიარის ავტორებს ფანტაზია ნამდვილად არ დაჰკლებიათ. პროექტს მოწინააღმდეგეები „ქართულ ოცნებაშიც“ ჰყავდა. თუმცა, თინა ხიდაშელის განმარტებით გუნდში დაპირისპირება არ ყოფილა, ვითარებაში ყველა გაერკვა და კითხვის ნიშნებიც მოიხსნა. „პრაიმტაიმს“ ამ და სხვა საკითხებზე „რესპუბლიკური პარტიისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი **თინა ხიდაშელი ესაუბრა:**

- აქ, გუნდში, წინააღმდეგობა არ იყო, გუნდში იყო რამდენიმე ადამიანი, რომელსაც გაუჩნდა უკმარისობის განცდა... გუშინ, პარლამენტის სხდომაზეც ითქვა. ჩვენ უფრო მეტი დრო დავუთმეთ გარე ურთიერთობებს, რაც კარგია, ვიდრე გუნდის შიგნით. ჩვენ (რესპუბლიკელებს არ ვგულისხმობ), კოლექტიურს, ყველას ვგულისხმობ, ვინც მონაწილეობდა თვითმმართველობის კოდექსის შექმნაში. პირადად მე ამ პროცესში არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია. არ ვეკუთვნი იმ ადამიანებს, ვინც იტყვის: არაფერ შუაში არ ვარო. ეს „ქართული ოცნების“ კოალიციის პროექტია. ამიტომ, ყველას თანაბრად გვეხება და თანაბრად ვატარებთ პასუხისმგებლობას.

გაირკვა, რომ მეტი ახსნა-განმარტებაა საჭირო, ეს ახსნა-განმარტება გაკეთდა და ყველაფერი თავის ადგილას დადგა. არანაირი პრობლემა და განსაკუთრებული ვნებათაღელვები გუნდის შიგნით არ ყოფილა. პრობლემა, იმით, რაც თქვენ დაიწყეთ, საერთოდ არ არის კავშირში „ქართულ ოცნებასთან“... უბრალოდ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აკვიატებული აზრები აქვთ. ორი ამბავია ძირითადად, პირველი - არის ხალხი, რომელსაც უბრალოდ ასე სწამს და გასაგებია, რომ რაც არ უნდა ხდებოდეს ქვეყანაში ყველაფერი რესპუბლიკელების ბრალია. მაგალითად, გუშინ სერიოზული კამათი მქონდა facebook-ზე ადამიანთან, რომელსაც არ ვიცნობ, რომელმაც თქვა, რომ ავთანდილ ბერიძემ, რომელმაც ტენდერი გამოაცხადა 85-ათასლარიან მაცივრიან ჯიპზე, რესპუბლიკელების ბრალიაო. ოღონდ ეს იმის გათვალისწინებით, რომ ავთო ბერიძე ჩვენ სხვებთან ერთად გავრიცხეთ თავის დროზე პარტიიდან. მაგრამ არა უშავს, მაინც რესპუბლიკელების ბრალია. ანუ არიან ასეთი ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ, რომ ყველაფერი ჩვენი ბრალია.

მეორე კატეგორია, რომელიც გაცილებით უფრო საინტერესო კატეგორიაა - ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილოები არიან რეალობით, ანუ იმ მოცემულობით რაც ქვეყანაში შეიქმნა. იმიტომ რომ ვიღაცა თამაშგარეთ დარჩა, იმიტომ რომ ვიღაცამ თავის დროზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და ამიტომ დღეს გარეთ არის. ვერ ბედავენ და უბრალოდ მშიშრები არიან (პირდაპირი სიტყვებით, რომ ვილაპარაკოთ), ამ საკუთარი წყრომის რეალური ადრესატის დასახელებას... იქნებოდა ეს ბიძინა ივანიშვილი, მისი პრემიერობის პერიოდში, თუ დღეს - ირაკლი ღარიბაშვილი... ფიქრობენ, რომ ამ ფორმით გამოხატონ ეს წყრომა. სინამდვილეში სასაცილოები არიან ეს ადამიანები, იმიტომ რომ მთელი ეს ისტერია, რომელიც მათი მხრიდან იწყება ხოლმე ჩვენს წინააღმდეგ, ძირითადად ამით არის გამოხატული, ანუ ისინი ვერ ბედავენ მათი უკმაყოფილების გამოხატვას მთავარი ადრესატის მიმართ, მაგრამ რაღაცნაირად ხომ უნდა გამოხატონ ეს სიბრაზე და ამიტომ გადაწყვიტეს,ზოგი ჩვენზე, ზოგი „თავისუფალ დემოკრატებზე“ აგორებს ხოლმე ამ კამპანიას. ამიტომ ეს ადამიანები ნაკლებად საინტერესოები არიან.

- საკმაოდ მასშტაბური ამბავი ააგორეს, საუბარი იყო, რომ პარლამენტში ახალი უმრავლესობა იქმნება.

- გასაგებია, ჩვეულებრივი ამბავია, თუ არ არსებობს რეალობა, უნდა შექმნას მითოლოგია, უნდა შექმნას ჭორი. მერე რამდენიმე გაზეთი აჰყვება, ვიღაცა დაიჯერებს, ვიღაცა არ დაიჯერებს. მაგრამ ჩათვლის, უი, რა კარგი ჭორია. მოდი ამის ტირაჟირება გავაკეთოთო. ოღონდ, როგორც წესი, მსგავსი რამე მარგინალურია და არ სცდება რამდენიმე ათეულ ადამიანს და რამდენიმე ერთეულ გაზეთს, რომელიც მუდმივად ამაზე წერს.

- ქალბატონო თინა, მაინც მინდა გკითხოთ, თუ შეიძლება, ამავე კამპანიის ფარგლებში დაიწერა ისიც, რომ თქვენ იყავით დაინტერესებული საგარეჯოში 80 ათასი ლარის ბიუჯეტიდან გამოტანით... (თუ მოგიკრავთ მსგავსი ჭორისთვის ყური?)...

- ბევრნაირი ჭორისთვის მომიკრავს ყური, მაგრამ ამ ჭორებზე რომ დავიწყო ლაპარაკი ძალიან სასაცილო იქნება. არ ვყვები მე ამ ამბებს. რამდენ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვაპირებ. და არ მესმის ვინმე, არსობრივად, ამ განცხადებას რატომ უნდა გამიჯვნოდა...“

„ჭორებზე კომენტარს არ გავაკეთებ... არ მინდა გავაღიზიანო ადამიანები, რომლებიც თამაშგარე მდგომარეობაში დარჩნენ, დაიბოღმნენ და ახლა ეს ბოღმა როგორ გამოხატონ და გადმოანთხიონ, აღარ იციან, ამიტომაც აღარ ვყვები“

EXCLUSIVE

იმე მიზეზის გამო, იმიტომ რომ მემსის მათი და კიდევ უფრო მეტად არ მინდა გავაღიზიანო ადამიანები, რომლებიც (ვთქვი და ახლაც გავიმეორებ) რაღაც მომენტში თამაშგარე მდგომარეობაში დარჩნენ, დაიბოღმნენ და ახლა ეს ბოღმა როგორ გამოხატონ და გადმოანთხიონ აღარ იციან და ამიტომ აღარ ვყვები. მეორე, იმიტომ რომ გაცილებით უფრო სერიოზული საქმეებით ვარ დაკავებული, რომ ამ ადამიანებისთვის პასუხის გაცემისთვის ვიფიქრო. არ მაინტერესებს ეს საკითხი, ასეთ რაღაცებზე კომენტარი არ გამიკეთებია და ახლაც არ გავაკეთებ.

- რაც შეეხება ინციდენტს, რომელიც პარლამენტში მოხდა, ნაციონალებმა პარლამენტის თავმჯდომარისგან მოითხოვეს, რომ ის გამიჯვნოდა არა მხოლოდ, მუშტი-კრივის ფორმას პარლამენტში, არამედ იმ შინაარსსაც, რომელიც ჯაჭვლიანმა თავის განცხადებაში გააჟღერა... ჯაჭვლიანმა მხარი დაუჭერა კრიმინალებს აფრასიძეების სახით და მოითხოვდნენ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე გამიჯვნოდა ასეთ განცხადებას და კრიმინალს. ისინი თვლიან, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ეს, ან ვერ გააკეთა, ან არ გააკეთა. თქვენ რა შეფასებას მისცემდით ამ განცხადებას, რომელიც დათო უსუფაშვილმა გააკეთა. რამდენად იყო შესაძლებელი მას ეთქვა უფრო მეტი...

- თქმით ყველაფრის თქმა შეიძლება. ვინ რას იტყვის ეს მისი გემოვნების ამბავია, საუბრის სტილის და განცხადებების არსის. ამაზე კომენტარებს არ დავიწყებ. რეაგირებას რაც შეეხება, პარლამენტის თავმჯდომარემ ამაზე განცხადება გააკეთა და აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ ის საბავშვო ბაღის გამგე არ არის. საქართველოს პარლამენტი, როგორც დედამიწის ზურგზე ყველა პარლამენტი, ეს არის არსებული ადამიანების კრებული. ისე იქცევიან, როგორც იქცევიან. სოსო ჯაჭვლიანს, ისევე როგორც თინა ხიდაშელს, ან ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერი განცხადების გაკეთების უფლება აქვს პარლამენტში, პარლამენტის ტრიბუნიდან. ეს მას მანდატით აქვს მინიჭებული. გემოვნების ამბავია და პოლიტიკური შეხედულებების ამბავია, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმეს ცენზურა დავუწესო. რა უნდა ილაპარაკოს და რა არ უნდა ილაპარაკოს. ან რანაირი კანონპროექტი უნდა შემოიტანოს, ან არ უნდა შემოიტანოს. მესმის, რომ ეს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ არის გაუგებარი, იმიტომ რომ თავის დროზე ტელეფონზე სამ სიტყვას მიიღებდნენ და მერე იმ სამ სიტყვას იმეორებდა ყველა ნაციონალებში, დაბალი ინტელექტის მქონეც და მაღალი ინტელექტის მატარებელიც. ერთ ხმაში ლაპარაკობდა იმ სამი სიტყვით, რომელსაც წერდა ვინმე უხილავი ხელი. არ ვიცი, ამას ვინ უწერდა. მორჩა ეს ამბავი, ეგრე არ არის მოწყობილი. აღარასდროს აღარ იქნება, იმედი მაქვს. ადამიანებს აღარასოდეს შეუზღუდავს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას. ამას რაც უფრო მალე გაიგებს „ნაციონალური მოძრაობა“, მით უფრო უკეთესი იქნება მათთვის.

თუ ასეთი მნიშვნელოვანია, განცხადებების შინაარსის შეფასება, რასაც ითხოვდა „ნაციონალური მოძრაობა“, მაშ, შეფასებები მათივე განცხადებების შეფასებებით დავიწყოთ.

- „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიიჩნევენ, რომ დავით უსუფაშვილს შეიძლება სერიოზული პრობლემები შექმნოდა უმრავლესობაში, თუკი ის გაემიჯნებოდა ჯაჭვლიანის განცხადების შინაარს... გარკვეული მცირე ჯგუფი მაინც იყო უმრავლესობაში, სოსო ჯაჭვლიანის მომხრე პარლამენტის თავმჯდომარეს კი ამ ჯგუფთან დაპირისპირება არ უნდოდა.

- მე და ჯაჭვლიანი სხვადასხვა ლექსიკით ვსაუბრობთ, თუ იმას გულისხმობთ, რომ ჯაჭვლიანმა აფრასიძეების საქმეში ბარამიძეს ბრალი დასდო - ჩემი სიტყვებით რომ ვთქვათ - არასწორად და დანაშაულებრივად ჩატარებული სპეცოპერაციის გამო, მე აქ სოსო ჯაჭვლიანს ვეთანხმები... მე სხვანაირად ვიტყოდი ამ ყველაფერს, სხვა სიტყვებით ვიტყოდი, თუმცა სხვა მხრივ - არსობრივად - მის განცხადებას თავიდან ბოლომდე ვეთანხმები... აფრასიძეები დამნაშავეთა სამყაროს ნაწილი იყვნენ თუ არა, ეს საერთოდ არაფერ კავშირში არ არის იმასთან, რაც მოხდა სვანეთში იმ სპეცოპერაციის დროს. აქ ნამდვილად ვეთანხმები სოსო ჯაჭვლიანს და არანაირ გამიჯვნას არ ვაპირებ. და არ მესმის, ვინმე საერთოდ არსობრივად ამ განცხადებას რატომ უნდა გაემიჯნოს. თუ ვინმეს ესთეტიკა არ მოეწონა, მეც არ მომეწონა ესთეტიკა და ამასაც ვადასტურებ... დავაზუსტებ, რომ არ ვიცი დათო უსუფაშვილის პოზიცია, თუმცა შენ რომ თქვი, მცირე ჯგუფიაო, ჩათვალე, რომ მეც იმ მცირე ჯგუფში ვარ, ოღონდ გარწმუნებ, რომ ეს დიდი ჯგუფია. იმ სპეცოპერაციაზე, ვფიქრობ, თითქმის ყველა ისე ფიქრობს, როგორც ეს თქვა სოსო ჯაჭვლიანმა, ოღონდ სიტყვების ესთეტიკა, ეს სხვა ამბავია.

- სალომე ზურაბიშვილმა გამოაქვეყნა დეპუტატების შავი სია, იმ დეპუტატებისა, ვინც უკრაინის რეზოლუციას ხმა არ მისცა...

- ეს არის უბრალოდ ტყუილი და ცილისწამება. ის ადამიანები, რომლებიც სალომე ზურაბიშვილის შავ სიაში მოხვდნენ, მათ ხმა „ნაციონალური მოძრაობის“ რეზოლუციას არ მისცეს უკრაინასთან. რეზოლუცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ, იმას ხმა მისცა ყველა დეპუტატმა ვინც იმ მომენტში დარბაზში იმყოფებოდა და არც ერთმა ნაციონალმა. ისინი დარბაზში არ შემოვიდნენ, მათ თავისუფლად შეეძლოთ თავისი ბოიკოტი ამ განცხადების შემდეგ განეხორციელებინათ, უბრალოდ, ვერ მივხვდი სალომე ზურაბიშვილმა ეს რატომ აიტაცა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბარამიძე VS

ქეთი ხატიაშვილი

დავით უსუფაშვილს პოლიტიკური ოპოზიცია უფრო აღიარებს, ვიდრე „ქართული ოცნების“ აპოლიტიკური ჯგუფი. ჰყავს უმრავლესობას ასეთი რანგის დეპუტატებიც. ისინი პოლიტიკოსები არ არიან. მათი აზრით, მსახიობები და მომღერლები უფრო სჭირდება პარლამენტს, ვიდრე იურისტები. ჰგონიათ, რომ კანონმდებლობაში ერკვევიან და მხოლოდ მათ იციან, რა სჭირდება ქვეყანას და, რაც მთავარია, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მათ ჰგონიათ. აი, ასეა მარტივად.

დავით უსუფაშვილისთვის კი პარლამენტი სიტყვების რახარუხი და მუშტების ქნევა კი არ არის, არამედ მძიმე მოლაპარაკებები ოპოზიციასთან, კომპრომისები ყველა დაინტერესებულ მხარესთან... ეს განსხვავებაა, ზოგადად, პოლიტიკოსებსა და არაპოლიტიკოსებს შორის.

დავით უსუფაშვილს უმრავლესობაში იურისტიც ჰყავს და მსახიობიც და ზოგჯერ იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ორივეს. თუმცა, ოპოზიცია მიიჩნევს, რომ არის ისეთი პრინციპული საკითხები, როცა კომპრომისი გვერდზე უნდა გადაიდოს და მკაფიო პოზიცია დაფიქსირდეს. დავით უსუფაშვილმა კი ეს ვერ მოახერხა – ფიქრობენ ახლა ნაციონალები და უსუფაშვილისგან უფრო პრინციპული პოზიციის დაფიქსირებას ითხოვენ. საქმე ფიზიკურ დაპირისპირებას ეხება, რომელიც სოსო ჯაჭვლიანის განცხადებას მოჰყვა პარლამენტში.

ოპოზიციის აზრით, უსუფაშვილმა მკაცრი და პრინციპული პოზიცია ვერ დააფიქსირა, იმიტომ რომ არ უნდოდა სოსო ჯაჭვლიანს დაპირისპირებოდა.

ჯაჭვლიანი, სხვა რამდენიმე დეპუტატთან ერთად, აგრესიულობითა და რადიკალიზმით გამოირჩევა. ეს ის ჯგუფია, რომელიც თავის დროზე საკმაოდ აგრესიულად განეწყო პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ, როცა ბიძინა ივანიშვილმა თქვა: უსუფაშვილი მეუბნება, პარლამენტში იურისტი გვჭირდება და არა მსახიობი. მაშინ ისინი დავით უსუფაშვილისგან ბოდიშის მოხდას ელოდნენ.

ამბობენ, რომ უსუფაშვილმა სისუსტე გამოიჩინა და ამ აგრესიის წინააღმდეგ არ წავიდა. შესაბამისად, არც ჯაჭვლიანის განცხადების შინაარსს გაემიჯნა. მუშტი-კრივი კი დაგმო, მაგრამ შინაარსს არ გაემიჯნა – არ სურდა პრობლემების შექმნა. „რესპუბლიკურ პარტიას“ პრობლემები არ აკლია. და, როგორც ჩანს, დავით უსუფაშვილმა ამ აგრესიულ ჯგუფს ანგარიში გაუწია.

მათთან დაპირისპირებას გარკვეულწილად ქუცნაშვილი და საგანელიძე შეეწირნენ. შეიძლება ეს ცოტა გაზვიადებული შეფასებაა, მაგრამ ასეც შეიძლება ითქვას. ახლა სოსო ჯაჭვლიანი და ლერი ხაბელოვი, ისინიც, ვინც აგრესიული და რადიკალურია, თავს დაუსჯელად გრძნობენ. უსუფაშვილის მხრიდან რეაქცია თუ არ იქნება, ქცევის ასეთი მანერა და მუქარანარევი განცხადებები წახალისებული იქნება პარლამენტში, – მიაჩნია ოპოზიციას. ნაციონალები აცხადებენ, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ აუცილებლად უნდა მოახდინოს ამ ფაქტზე რეაგირება.

დავით უსუფაშვილი არ ჩქარობს, შეფასება მისცეს არა ჩხუბის ფაქტს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ყველამ დაგმო, არამედ იმ განცხადებას, რომელიც ჯაჭვლიანმა გააკეთა. „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწოდებს, გაემიჯნოს არა მხოლოდ ფორმას, ანუ მუშტი-კრივს პარლამენტში, არამედ შინაარსსაც, ანუ კრიმინალურ სამყაროსა და კრიმინალს. ბოიკოტის რეჟიმში მყოფი ნაციონალები დავით უსუფაშვილისგან ჯაჭვლიანის განცხადებისგან გამიჯვნას ელოდებიან.

ჯაჭვლიანის მოკლე განცხადება დასრულდა სიტყვებით: „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო“, რასაც მუშტი-კრივი მოჰყვა, თუმცა მთავარი მაინც ის იყო, რაც დეპუტატმა თავში თქვა:

– ეს ის ბარამიძეა, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ აღიარა, როგორ დაესხა თავს აფრასიძეების ოჯახს 1500 ჯარისკაცით და 12 ვერტმფრენით, ბავშვებს თვალწინ მოუკლა ბიძა და ბაბუა, შებილწეს საფლავები, გაატყავეს ადამიანები, მთელ საქართველოს ამცნეს, რომ კალაძის ძმა და გატაცებული ადამიანების საფლავები აღმოაჩინეს. მათ სურდათ, შეეძულებინათ სვანეთი საქართველოსთვის. სპეცოპერაცია იმით გამართლეს, სვანეთი დავაშინეთ და დავაჩმორეთო. თქვენ თქვენი თავი და ოჯახები დააჩმორეთ...

ოპოზიციის აზრით, უსუფაშვილმა მკაცრი და პრინციპული პოზიცია ვერ დააფიქსირა, იმიტომ რომ არ უნდოდა სოსო ჯაჭვლიანს დაპირისპირებოდა...

გია ბარამიძემ უკვე მოგვიანებით, ჩხუბის შემდეგ, აფრასიძეებთან დაკავშირებით განმარტა:

– როცა მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ვყოფილიყავი შს მინისტრი და მებრძოლა კრიმინალების წინააღმდეგ, ქურდული სამყაროს წინააღმდეგ, კარგად ვიცოდი, რომ ეს დიდ ხიფათს შეიცავდა. მე უკან არასოდეს დამიხევია და არც მათ ამგვარ ხულიგნურ გამოხდომებსა თუ მუქარებზე, რაც უკვე კარგა ხანია გრძელდება, არ ვაპირებ უკან დავიხიოო და ჩემი პოზიციიდან გადავუხვიო. ჩემი ბრძოლა გრძელდება და გაგრძელდება, მეგობრებთან ერთად...

სოსო ჯაჭვლიანი, ასევე მოგვიანებით:

– თქვენ, ალბათ, აკვირდებოდით, როგორ იქცეოდა გიორგი ბარამიძე, როცა მე ვლაპარაკობდი. ქართველ საზოგადოებას ვუხდი ბოდიშს იმის გამო, რაც იქ მოხდა, თორემ ის უარესის ღირსიც იყო, ისე იქცეოდა. მისმა მოძრაობებმა გამაღიზიანა. მე საზოგადოებას, ქართველებს და ქართველ მაყურებელს და ჩვენს ამომრჩეველს ვუხდი ბოდიშს, თორემ გია ბარამიძე უარესის ღირსია.

დავით უსუფაშვილმა ჩხუბის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯაჭვლიანი

რატომ არ გაემიჯნა დავით უსუფაშვილი ჯაჭვლიანის განცხადებას და რა პრობლემები დაინახეს პარლამენტის თავმჯდომარის თავშეკავებულ პოზიციაში

ფაქტი დაგმო, განცხადების შინაარსზე რეაგირება კი არ მოუხდენია:

– პარლამენტში, ორი დღის წინ, ბარამიძე-ჯაჭვლიანს შორის მომხდარი დაპირისპირება ეთიკის არც ერთ წესში არ ჯდება. ყველას მოგიწოდებთ კანონის დაცვისკენ...

ჩვენ ხალხს იმისთვის არ ავურჩევივართ, რომ ამ ტიპის ინციდენტებით ვიყოთ დაკავებული და შემდეგ მისი გარჩევებით პლენარულ სხდომაზე. სხდომა გრძელდება. მე შესვენების დროს მექნება კონსულტაცია უმრავლესობასა და უმცირესობასთან, რათა თავისი სახელი ეწოდოს დღეს მომხდარს. ვიმსჯელებთ, როგორ ავიცილოთ თავიდან მსგავსი გართულებები, რაოდენ მწვავე და ემოციურ საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს საქმე და პარლამენტის წევრის გამოსვლა. ვინაიდან ჩვენ ინციდენტში დავკარგეთ დრო, რომლითაც რამდენიმე დეპუტატს უნდა ესაუბრებლა, ვწყვეტ განცხადებებით გამოსვლის ნაწილს და გადავდივართ დღის წესრიგზე.

რაც შეეხება განცხადებების შინაარსს, ვის რა მოგვწონს და არ მოგვწონს, ამაში შეჯიბრი ძალიან შორს წაგვიყვანს. ძალიან ბევრი განცხადება მახსენდება, პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებული, როდესაც უკიდურესად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, როცა ვისმენდი, რომ თურმე სამშობლოს კი არა, სხვა ქვეყანას ვემსახურები. არ ვიცი, ამაზე დიდი რა ბრალი შეიძლება დავდოთ ერთმანეთს, მაგრამ ამის საპასუხოდ არის ისევ სიტყვა და არა, რამე სხვა... – განმარტა უსუფაშვილმა.

ჯაჭვლიანის შეურაცხმყოფილი გამოსვლისა და ფიზიკურ დაპირისპირებას ლერი ხაბელოვის მუქარაც მოჰყვა. გია ბარამიძეს მან სამჯერ გაუმეორა: გაგიხვრიტავ შუბლსო.

გია ბარამიძემ მოგვიანებით განმარტა, რომ მუქარები მისი მისამართით იყო და განმეორდა კიდეც. ასე რომ, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ეს მხოლოდ განცხადება არ იყო და არც მარტო მუშტი-კრივი – ასეთი ინციდენტები არა მხოლოდ საქართველოს პარლამენტში, სხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც ხდება ხოლმე – ეს იყო მუქარა და აფრასიძეების გამოცხადება არაკრიმინალებად.

რატომ შეიკავა თავი დათო უსუფაშვილმა უფრო მკვეთრი რეაგირებისგან? „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ დამალა, რომ ის გაცილებით მეტს ელოდა. გია ბარამიძე:

– ჩვენ პარლამენტის თავმჯდომარისგან აღნიშნულთან დაკავშირებით ადეკვატურად მკაცრ რეაგირებას ველოდებით. სანქციის ფორმა თავად უსუფაშვილმა უნდა მოძებნოს, ჩვენ მას არ ვუკარნახებთ, რა უნდა გააკეთოს, ის ძალიან კარგი იურისტია...

დავით საყვარელიძემ ეს ინციდენტი პროვოკაციად მონათლა:

– ნათელია, რომ ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია. ჩემი ჟესტიკულაცია გახლდათ აბსოლუტურად ადეკვატური, როდესაც ადამიანი ცდილობს თავისი თავი გააიგივოს სვანეთთან, ან, მით უმეტეს, ის კრიმინალი აფრასიძეები, რომელთა დროსაც, ყველას კარგად ახსოვს, რა მდგომარეობა იყო სვანეთში და როგორი დატერორებული იყო ხალხი. სვანეთის გაიგივება ამ პიროვნებებთან არის სრული უზნეობა და აბსოლუტური შეშლილობა. თუ ამ ადამიანს მიაჩნდა, რომ ისეთი საშინელება ჩაგვიდენია, მთელი წელიწადი და ორი თვეა ამ პარლამენტში ვართ და ხმა არ ამოუღია, ხოლო თუ სამართალდამცავ ორგანოებს აინტერესებთ რამე დეტალების გარკვევა, როგორ მოხდა წარმატებულად ჩატარება სპეცოპერაციის, სადაც, სამწუხაროდ, მათი მხრიდან სროლის გამო პოლიციელების მისამართით, ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე იყო დაპატიმრებული და სასჯელი მოიხადეს მძიმე დანაშაულისთვის, ყველა დეტალთან დაკავშირებით მზად ვართ, თუ ჩემგან რამე აინტერესებთ, გავარკვიოთ, მაგრამ ის სისულელეები, რაც მოყვა ბატონმა ჯაჭვლიანმა, რომელიც ვრცელდებოდა ამ თემასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. ამიტომ უნდა დასრულდეს ეს ინსინუაციები და ამგვარი ცილისმწამებლური განცხადებები

მეგობრებო, სოსო ჯაჭვლიანის დღევანდელი, რბილად რომ ვთქვათ, მდაბიო პროვოკაცია გია ბარამიძის მიმართ, არ გეგონოთ შემთხვევითი! ეს გახლდათ „ქართული ოცნების“ აშკარად პრორუსული ფრთის წინასწარ მიღებული ინსტრუქციით დაგეგმილი სკანდალი, რათა ჯაჭვლიანის პიერ პროვოცირებული ჩხუბით გადაფარულიყო რუსეთისთვის ყველაზე არასასიამოვნო ფაქტი: საქართველოს მხარდაჭერა უკრაინის თავისუფლებისთვის! სოსო ჯაჭვლიანის პირადი ღირსების შეურაცხყოფის შემცველი პროვოკაცია მოჰყვა გია ბარამიძის მიერ გაკეთებულ უკრაინის მხარდამჭერ განცხადებას. ასევე, გადაიფარა მილიარდ ექვსასი მილიონით გარღვეული ბიუჯეტის განხილვა საქართველოს პარლამენტში. გარდა ამისა, პროვოკაცია შეიცავდა კუთხური შუღლის გაღვივების პირდაპირ გზავნილებს (გულისხმობ სვანეთს), რაც ასევე ჩვენი არაკეთილმოსურნე მეზობლის სპეცსამსახურების აპრობირებული პრაქტიკაა. ბოლოს დავამატებ, რომ ჩემს მეგობარს, გია ბარამიძეს, არასოდეს უთქვამს ის, რასაც ჯაჭვლიანი დღეს ურცხვად აბრალებდა!“

ინციდენტი უკრაინის თემაზე მსჯელობას მოჰყვა. გია ბარამიძის განმარტებით: ჩვენ რუსული აგრესია უნდა დაგვეგმო. კიევში თავის დროზე უკრანელი ხალხის მხარდაჭერას ვგრძნობდით და ვალდებული ვართ, სოლიდარულები ვიყოთ მათ მიმართ... მაგრამ ამას უმრავლესობის პროტესტი მოჰყვა, რადგან ისინი რუსეთის ხსენებას ერიდებიან.

საკმარისია ნაციონალებმა სიტყვა აგრესია ან ტერმინი დარბევა ახსენონ, რომ მათ მაშინვე 26 მაისსა და 7 ნოემბერს ახსენებენ. გია აბრამიძე მიიჩნევს, რომ პარალელები არასწორია:

– იცით, უკრაინაში რუსეთი იბრძვის და ცდილობს, უკრაინელ ხალხს თავისუფლებისა და განვითარების გზა წაართვას... ჩვენ განვითარებისა და თავისუფლების საშუალება არავისთვის მოგვისპია...

ზაზა ბიბილაშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი სახეა, ასევე, გამოეხმაურა ამ თემას სოციალურ ქსელებში:

– ერთ ძალიან ცნობილ, მიუკერძოებელ და პროდასავლელ მემარცხენეს უთქვამს, მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ბერკუტი“ უფრო ადამიანურად იქცევა, ვიდრე ქართული პოლიცია იქცეოდა 7 ნოემბერს და 26 მაისსო. მე აღარ მყავს „ფრენდებში“, მაგრამ იქნებ ვინმე ღვთისნიერმა გადასცეთ, რომ მაგას „ადამიანურობა“ კი არა, „დემორალიზება“ ჰქვია – დემორალიზება, რომელსაც იმის გაცნობიერება იწვევს, რომ ამორალურ იდეას იცავ. ეგეთი „ადამიანური“ პოლიცია ჩვენც გვყავდა 2003 წლამდე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სასჯელაღსრულება ურთულესი სისტემაა და შესაბამისად, დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული თითოეული დღე, თითოეული საათი...“

თორნიკე ყაჯრიშვილი

რამდენიმე დღის წინ პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ 2013 წელს გაწეული მუშაობის შედეგები შეაჯამა. უწყების ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის მანძილზე სისტემაში მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა. 2014 წლის პრიორიტეტებიც უკვე განსაზღვრულია. როგორ აფასებენ ერთწლიან მუშაობას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში, რა გააკეთეს და რის გაკეთებას აპირებენ? „პრაიმტაიმი“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პირველ მოადგილეს გრიგოლ გიორგაძეს ესაუბრა.

გრიგოლ გიორგაძე: მოგეხსენებათ, სასჯელაღსრულება ურთულესი სისტემაა და, შესაბამისად, ძალიან დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული თითოეული დღე, თითოეული საათი. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა იმისა, რომ, ერთი მხრივ, აღვასრულოთ სასჯელი, რომელიც კონკრეტულ დამნაშავეს აქვს მისჯილი და, მეორე მხრივ, მათზე ვიზრუნოთ. ადამიანი, რომელიც ჩვენს სისტემაშია, არ აქვს მნიშვნელობა, პატიმარია თუ პრობაციონერი... ჩვენ უნდა მოვახდინოთ მისი რესოციალიზაცია, რადგან საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემდეგ ამ ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს და მათი მხრიდან განმეორებითი დანაშაული აღარ იყოს. ამისთვის უამრავი ღონისძიებაა გასატარებელი. დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს, მათი მუშაობა და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, ეფექტური იქნება. ჩვენი საზომი სწორედ ეს არის, რომ, რაც შეიძლება ნაკლები დანაშაული მოხდეს იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც წარსულში ჩვენს სისტემაში აღმოჩნდნენ. ამიტომაც სამომავლოდ, აუცილებლად მოხდება პატიმრების კლასიფიცირება, მათი საშიშროების, რისკებისა და შეფასების მიხედვით. ის პატიმრები, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი, მაგრამ არ არიან კრიმინალური სამყაროს წევრები, ასეთი უნდა იყვნენ ცალკე. მათ მიმართ უფრო ლიბერალური გარემო და ატმოსფერო შეიქმნება, უფრო მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ გარე სამყაროსთან და ოჯახის წევრებთან, მათივე სურვილისამებრ უნდა შევასწავლოთ სხვადასხვა პროფესიები. სწორედ ამისთვის ჩვენ ვამზადებთ რუსთავის მე-16 დაწესებულებას, რომელიც იქნება, ეგრეთწოდებული საწარმო ზონა. ამჟამად კონკრეტულ კომპანიასთან გვაქვს მოლაპარაკება, რომელიც მილიონ 100 000 დოლარის ინვესტიციებს განახორციელებს, სადაც იქნება ფეხსაცმლის ქარხანა და დასაქმდებიან პატიმრები. ამჟამად სოფელ ლაითურში ციხის მშენებლობა მიმდინარეობს, სადაც განთავსდებიან კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ადმინისტრაციასა და შიდანაგაწესს, შეაქვთ უწესრიგობა ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი ცალკე, მკაცრ პირობებში იქნებიან და მათზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაწესდება. ეს ციხე იქნება რადიკალურად განსხვავებული სიმკაცრის კუთხით.

„ერთ-ერთი მთავარი, რა თქმა უნდა, ეს იყო პენიტენციური ჯანდაცვის პროექტი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, თუმცა უკვე მართლაც რომ კარგი შედეგები გვაქვს“

– როგორ მოხდება პატიმართა კლასიფიკაცია?

– სულ გვექნება ოთხი ტიპის დაწესებულება. პირველ რიგში, როგორც უკვე მოგახსენეთ, გამოიხშირებიან პატიმრები, რომლებიც ცდილობენ, კრიმინალური სამყაროს გავლენის გაძლიერებას ციხეებში. ასეთი კატეგორიის პატიმრების რაოდენობა დღეს უმცირესობაშია, მაგრამ ძალაუნებურად, იქ ისეთი სუბკულტურა და გარემოა, რომ დანარჩენები ემორჩილებიან და იძულებულები არიან, დაიცვან ეს წესები. მათ გავუშვებთ ცალკე, მკაცრ პირობებში, საიდანაც გავლენის მოხდენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. პატიმრების ის კატეგორია, რომლებიც დაბალი რისკის მატარებლები არიან იქნებიან ცალკე დაწესებულებაში და რჩება ორი, ნახევრად ღია და დახურული ტიპის დაწესებულება, რაც ახლა გვაქვს. სწორედ ეს არის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური გზა და ხერხი. ალბათ, გსმენიათ, ადამიანები, რომლებიც რაღაც შეცდომის გამო მოხვდნენ ციხეში, არ იყვნენ კრიმინალური სამყაროს წევრები და იქიდან სულ სხვა მენტალიტეტით გამოსულან. ასე იმიტომ ხდება, რომ კრიმინალებთან ერთად სხედან ციხეში და მათი ცხოვრების წესით ცხოვრობენ

„ადამიანი, რომელიც ჩვენს სისტემაშია, არ აქვს მნიშვნელობა, პატიმარია თუ პრობაციონერი... ჩვენ უნდა მოვახდინოთ მისი რესოციალიზაცია, რადგან საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემდეგ ამ ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს“

ნლების განმავლობაში. ეს არის ჩვენი რეფორმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელსაც განვახორციელებთ. ასეთ პატიმრებს მიეცემათ საშუალება, ნორმალურ პირობებში მოიხადონ სასჯელი, ისინი ცალკე იქნებიან და ვეღარ მოექცევიან კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ. სახელმწიფოს ვალდებულებაა, ინდივიდუალურად შეისწავლოს ეს ადამიანები, კონკრეტულად რა პრობლემები აქვთ, რაში შეიძლება დავეხმაროთ. ამ მიმართულებით მომავალ წელს უმნიშვნელოვანესი რეფორმა ხორციელდება. საერთაშორისო სტანდარტის ფსიქოსარეაბილიტაციო სამართველო იქმნება ყველა ბიუროში, სადაც ფსიქოლოგი და სოცმუშაკი, ინდივიდუალურად იმუშავებენ თითოეულ პრობაციონერთან. რა საჭიროებებიც აქვთ მათ, მათ რეალიზაციას მოახდენენ. მაგალითად, თუ გამოიკვეთა, რომ ვიღაცას სჭირდება კომპიუტერის შესწავლა, ის ადამიანი გაივლის კომპიუტერის კურსებს. ვიღაცას სჭირდება ფსიქოლოგის დახმარება, დაეხმარება ფსიქოლოგი და ა.შ. პატიმრების დიდი ნაწილი სასჯელს ნარკოდანაშაულისთვის იხდის, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სჭირდებათ სპეციალისტთან მუშაობა, რომელიც აუხსნით, რა გავლენა და რა უარყოფითი შედეგები აქვს ნარკოტიკს, ალკოჰოლსა და ა.შ. ეს ყველაფერი კი ძალიან ეფექტურია. ამჟამად 2000 პრობაციონერზე მეტი გვყავდა სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართული ფსიქოსარეაბილიტაციო, კულტურული და საგანმანათლებლო კუთხით. ამ ადამიანიდან განმეორებითი დანაშაული არის 0.8%. ეს ყველაფერი კი პირდაპირ იმაზე მიუთითებს, რომ ეს ადამიანები, ასეთ ღონისძიებები, რომ გყავს ჩართული, მათი მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი მცირდება და მინიმალიზებულია. ამიტომ, ჩვენ ვაძლიერებთ ფსიქოსარეაბილიტაციო მუშაობას. ეს არის ჩვენი მომავალი წლის ერთ-ერთი პრიორიტეტი და პოლიტიკა

– მეტი ინდივიდუალური მუშაობა კონკრეტულ პრობაციონერზე, მეტი ჩართულობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში. ეს ღონისძიებები ძირითადად არის ეკლესიების მშენებლობები, სხვადასხვა ტყე-პარკების დასუფთავება, ხანდაზმულებისთვის სადილის მირთმევა, სპორტული ღონისძიებები, სხვადასხვა ტურნირები და ა.შ. როდესაც პრობაციონერი ასეთ სხვადასხვა აქტივობებში გვყავს ჩართული, უამრავ ახალ მეგობარს იჩენს. რაც ყველაზე მთავარია, ამ ღონისძიებებში ჩვენც ვმონაწილეობთ. სწორედ ეს არის სახელმწიფოს როლი და ვალდებულება, რომ კონკრეტული პრობაციონერის მომავალი უკეთესობისკენ შევცვალოთ. რაც შეეხება პატიმრების კლასიფიკაციას, კონკრეტულ კრიტერიუმებზე ვმუშაობთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ გვყავს სოცმუშაკები, ფსიქოლოგები, უსაფრთხოების თანამშრომლები და ყველა ამ სამსახურის ერთობლივი შეფასებითა და თითოეულ პატიმარზე ინდივიდუალური მუშაობით მოხდება მათი კლასიფიცირება და შესაბამის დაწესებულებებში გადანაწილება.

– ცოტა ხნის წინ პენიტენციური ჯანდაცვის 18-თვიანი პროექტის 11 თვის შუალედური ანგარიში წარადგინეთ, სადაც საკმაოდ კარგი შედეგები დადეთ. მაინც რას თვლით 2013 წლის ყველაზე წარმატებულ რეფორმად?

– ერთ-ერთი მთავარი, რა თქმა უნდა, პენიტენციური ჯანდაცვის პროე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სისტემა გაადამიანურდა, რაც არის ჩვენი ერთნლიანი მუშაობის შედეგი“

EXCLUSIVE

„ამჟამად 2000 პრობაციონერზე მეტი გვყავდა სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართული ფსიქოსარეაბილიტაციო, კულტურული და სამანამანათლებლო კუთხით“

ქტი იყო, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, თუმცა უკვე მართლაც რომ კარგი შედეგები გვაქვს. როდესაც ბატონი სოზარ სუბარი მინისტრად დანიშნა, პირველ რიგში, მან ის განაცხადა, რომ სისტემა უნდა გაადამიანურდეს. ალბათ, აღარ არის საჭირო იმის ახსნა, რა ხდებოდა ადრე და რა აღარ ხდება ახლა. სისტემა გაადამიანურდა, რაც არის ჩვენი ერთწლიანი მუშაობის შედეგი. აღარ ხდება წამება ციხეებში. პატიმრების წამება არ გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ კონკრეტული თანამშრომელი ვიღაცას ანამებს, არამედ წამება არის ისიც, რომ ჯანმრთელობის პრობლემა აქვს და არ ეხმარები. ჯანდაცვის მიმართულებით, კვების მიმართულებით, რაც პირდაპირ ადამიანის ჯანმრთელობას უკავშირდება ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. გარდა ამისა, გადატვირთულობა აღარ არის ციხეებში და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რაც ადრე დიდი პრობლემა იყო პატიმრებისთვის, მოგვარებულია. ეს არის უმნიშვნელოვანესი მიღწევა, რომელიც მოვახერხეთ და შევცვალეთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, მომავალ წელს განხორციელდება ასევე უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რაც პატიმრების კლასიფიცირებას გულისხმობს.

– პირობით ვადამდე, დაახლოებით, რამდენი პატიმარი განთავისუფლდება საახალწლოდ?

– წინასწარ რაოდენობას ვერ ვიტყვით. საშუალოდ შემოსული შუამდგომლობებიდან 15%-ის ფარგლებში ვაკმაყოფილებთ ხოლმე. ეს ხდება ინდივიდუალური შეფასებით, მათ შორის გასაუბრებით, შესაბამისად, წინასწარი ციფრის თქმა გამიჭირდება და არც იქნება კორექტული. პირობით ვადამდე განთავისუფლებაზეც უნდა ითქვას, რომ ეს რეალურად ჩვენი მოსვლის შემდეგ ამოქმედდა. მანამდე პროკურატურა რა სიასაც მოაწვდიდა სამინისტროს, ის ადამიანები თავისუფლდებოდნენ. პრაქტიკულად მკვდარი იყო ამ სამინისტროში პირობით ვადამდე განთავისუფლების მექანიზმი. ორი წლის განმავლობაში 841 ადამიანი განთავისუფლდა. ჩვენი მოსვლის შემდეგ კი 2500 ადამიანი გავათავისუფლეთ პირობით ვადამდე, მათ შორის 300 ქალბატონი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ადამიანებიდან განმეორებითი დანაშაულის მხოლოდ 5% დაფიქსირდა. როგორც უკვე გითხარით, ეს არის საზომი ჩვენი მუშაობისა.

– კიდევ რა ძირითადი პრიორიტეტები იქნება მომავალ წელს?

– ინფრასტრუქტურული პროექტები. ამჟამად 24 ინფრასტრუქტურული პროექტი გვაქვს. სადაც შესაძლებელი იყო კაპიტალურად შეცვლა და გადაკეთება, ვაკეთებთ. მოგეხსენებათ, ასობით ადამიანი ერთ სივრცეში იყო, ბარაკებში, რაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კრიმინალურ სამყაროს აძლიერებს. ჩვენ ბარაკების სისტემაზე უარს ვამბობთ და ვაკეთებთ საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურულ პროექტებს. დავხურეთ ზუგდიდის მეოთხე დაწესებულება და თბილისის ე.წ. „კრიტი“, სადაც პატიმრებისთვის გაუსაძლისი მდგომარეობა იყო. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი არის ის, რომ კაპიტალურად გადაკეთდება ბათუმის საპყრობილე, მნიშვნელოვნად გადაკეთდება მე-9 დაწესებულება, ასევე მნიშვნელოვნად გადაკეთდება მე-12 დაწესებულება. მე-5 დაწესებულებაში დაგეგმილია ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის მოწყობა, სადაც ნარკომანი და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები გაივლიან რეაბილიტაციას.

ადამიანს, რომელსაც სჭირდება სამედიცინო დახმარება, მოგეხსენებათ, ის ჩვეულებრივ პირობებში არ უნდა იყოს. სისტემა უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მასზე ზრუნავდნენ ექიმები. ჯანმრთელობის პრობლემებიდან გამომდინარე, საშიშროების მიხედვით, ადამიანების დახარისხება უნდა ხდებოდეს. მალე დასრულდება და ძალიან მალე გვექნება საერთაშორისო სტანდარტების ციხის ეგრეთწოდებული რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც საშინელ მდგომარეობაში დაგვხვდა. მისი რემონტი მალე დამთავრდება, რომლის აღჭურვაშიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი გვეხმარება. მათი დახმარებით და, რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი მონაწილეობით, საერთაშორისო სტანდარტების დაწესებულება გვექნება. ახლა ჩვენ უფრო მეტი ხარჯი გვაქვს, რადგან ჩვენს სისტემაში ასეთი დაწესებულება არ არსებობდა და პატიმრებს, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება ესაჭიროებათ, გაგვყავს სამოქალაქო სამედიცინო ცენტრებში. ეს ყველაფერი კი ხარჯებთან არის დაკავშირებული. წარმოიდგინეთ, წელს 5000-ზე მეტი პატიმარი გავიყვანეთ სამკურნალოდ. ჩვენი საავადმყოფოს ამოქმედებისთანავე სახელმწიფოს ხარჯები შეუმცირდება, რაც ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

– დაახლოებით რამდენ პატიმარს მოემსახურება ეს საავადმყოფო?

– დაახლოებით, 170 პატიმარს.

– სუიციდის პრევენციის მიმართულებით თუ იგეგმება რაიმე ღონისძიებების გატარება?

– რა თქმა უნდა, სუიციდის პრევენციის პროგრამა შემუშავებულია, რაც აქამდე არ არსებობდა. რეჟიმის შემსუბუქების შემდეგ, პატიმრებში თავი იჩინა ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა. სუიციდი – ჩვენთვის დღეს ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მომავალი წლიდან ციხეებში, სპეციალისტების ჩართულებით, სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება დაიწყება. სუიციდი, ყველა ქვეყნის ციხეების მთავარი პრობლემაა, მას მუშაობა საჭიროა და ჩვენც ვმუშაობთ ამ მიმართულებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას სთხოვენ თოვლის ბაბუას ლე

მირიან ბოქოლიშვილი

ახალ წელს ყველა ბავშვი სთხოვს თოვლის ბაბუას საკუთარი სურვილების ასრულებას... ხშირად ნახავთ სახალისო და უცნაურ სურვილებსაც, თუმცა წერილები, რომელიც იაშვილის კლინიკაში მყოფმა ბავშვებმა მიწერეს თოვლის ბაბუას, გულგრილს ნამდვილად არ დაგტოვებთ. ლეიკემიით დაავადებული პატარების სურვილები თითქმის არაფრით განსხვავდება თანატოლებისგან, ერთი დამატებით - მათ ყველაზე მეტად გამოჯანმრთელების სურვილი აქვთ. წერილები, რომელიც იაშვილის კლინიკის პატარებმა თოვლის ბაბუას სახელზე დაწერეს, ჩვენ რედაქციაშიც მივიღეთ. გადავწყვიტეთ პატარების სურვილები მათი მშობლების ნებართვით გამოგვექვეყნებინა.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, მე მაქვს ძალიან ბევრი ოცნება, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად მინდა გამოჯანმრთელება. ვიყო ძლიერი, რომ ისევ დავუბრუნდე ჩემს საყვარელ სპორტს. ალბათ, აქ დიდი ხნით გავჩერდები. ღმერთს ვთხოვ, რომ მალე გავიდე აქედან. სურვილი მაქვს შევიძინო უბრალო ტელეფონი, ინტერნეტით. ამ ტელეფონით, დარწმუნებული ვარ, დრო მალე გავა, არ მოვიწყენ. მინდა მეწვიოს ცნობილი მორაგბე საქართველოს ნაკრებიდან, რომელიც მაჩუქებს ბურთს ხელმოწერით“, - წერს თოვლის ბაბუას ბათუმელი ჯონი ჯიჯავაძე. მის წერილს თან ერთვის მშობლის მინაწერიც:

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, მინდა, რომ გაგვახარო და სურვილები აგვისრულო. მინდა პულტიანი ტრაქტორი, დენით რომ იტენება. მადლობელი ვიქნები სურვილს თუ ამისრულებთ. დედაჩემის სურვილია ჩვენთან მოვიდეს ილია მეორე. ყველას ძალიან გვჭირდება ლოცვა-კურთხევა, ყველა ღმერთის იმედით ვართ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის, გელოდებით თოვლის ბაბუ“, - წერს 9 წლის ნიკოლოზ ხუბულავა #12-ე პალატიდან.

„გამარჯობა თოვლის ბაბუ, მე ბარბარე გელაშვილი ვარ. ველოდები ახალ წელს, როდის ჩამოხვალ ჩვენთან და სითბოს და სიყვარულს მოგვიტან, კიდევ ჯანმრთელობას, აქ ეს ყველას სჭირდება. მინდა, რომ ყველა ჯანმრთელი დავუბრუნდეთ ჩვენს დედიკოებს და მამიკოებს. ერთი სურვილიც მაქვს: მინდა ახალ წელს ბარბის გასაკრასკები, გასაპრანჭები მომიტანოთ. გკოცნით, თქვენი ბარბარე“.

„ვარ ჯონის მშობელი, ჩემი სურვილია ჩემი შვილის კარგად ყოფნა, იყოს ბედნიერი, ჯანმრთელი, ჭკვიანი და სასახელო ბიჭი. ასევე დანარჩენი ბავშვების ბედიც მაღელვებს. მინდა მათი სურვილები ასრულდეს“.

„გთხოვთ მაჩუქოთ სათამაშო მანქანა, რომელიც პულტით მუშაობს და სკოლის ჩანთა“, - წერს თოვლის ბაბუას 9 წლის შახინ ისლამოვი.

„მე ვარ მარიამ ლომიძე, ოთხი წლის. მსურს მქონდეს ბარბის თოჯინა და „წითელქუდას“ ხმოვანი წიგნი“. მარიამის წერილს თან ახლავს მშობლის სურვილიც:

„მე მარიამ ლომიძის მშობელი ვარ. ჩემი სურვილია, კლინიკას ესტუმროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე, რათა მისი მადლით და ძალით ყველა ბავშვი გამოჯანმრთელდეს. მადლობა უფალს, რომ გყავს ასეთი მადლიანი პატრიარქი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და გააძლიეროს“.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, ძალიან გთხოვ, სამზარეულოს ნაბორი გამომიგზავნე, რითაც შევძლებ ჩემი მეგობრების და ჩემი დაიკოს გამასპინძლებას, სტუმრად რომ მოვლენ. ასევე ძალიან მინდა მესტუმროს „ბასტი“ და „ბუბუ“, - 6 წლის თამთა ბენდელიანი.

„გამარჯობა თოვლის ბაბუა, მე ძალიან მინდა ვნახო ცოცხალი სელაპი. თუ შეძლებთ ნამდვილი სელაპი მომიყვანეთ“, - წერს პატარა ანდრია.

„ჩემო ძვირფასო თოვლის ბაბუა, მე მინდა BEN 10-ის მაგიდა და სკამი. მე ვარ ცირეკიძე გიორგი, 5 წლის“.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, მე ვარ ნიკუშა 2,5 წლის. ძალიან მიყვარს მანქანები, განსაკუთრებით Mc queen-ის მანქანები. მე მთელი წელი ძალიან კარგად ვიქცეოდი, დედიკოს ყველაფერს ვუჯერებდი. ამიტომ ძალიან გთხოვ ახალ წელს Mc queen-ის მანქანა მომიტანე. წინასწარ გიხდი დიდ მადლობას“, - ნიკუშა კუპრავა.

„გილოცავთ შობა ახალ წელს, გთხოვთ მაჩუქეთ დათვის თოჯინა - დიდი. კიდევ ძალიან მინდა ლამაზი სასკოლა ჩანთა“, - 12 წლის ლამია იუსუბოვა.

„მე ვარ დავით ჯუარიანი, ვარ

„ჩვენთან მოვიდეს ილია მეორე. ყველას ძალიან გვჭირდება ლოცვა-კურთხევა, ყველა ღმერთის იმედით ვართ“

„ძალიან ბევრი ოცნება მაქვს, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად მინდა გამოჯანმრთელება. ვიყო ძლიერი, რომ ისევ დავუბრუნდე ჩემს საყვარელ სპორტს“

„ძვირფასო თოვლის პაპა, თუ დედების სურვილსაც გაითვალისწინებთ, ძალიან გვინდა ჩვენს შვილებთან მობრძანდეს უნმინდესი და უნეტარესი“









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...იკემიით დაავადებული ბავშვები?

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, ძალიან გთხოვ, ლამაზი კონკიას ფორმა მომიტანე ჯადოსნური ჯოხით“

„სურვილი მაქვს, შევიძინო უბრალო ტელეფონი“

სამი წლის. მე მინდა თოვლის ბაბუამ მომიტანოს საინტერესო ზღაპრების კრებული“.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. ახალი წლის დადგომას ველოდები და ძალიან მახარებს, რომ კეთილი თოვლის ბაბუა უნდა მოვიდეს ჩემთან, რომელსაც შეუძლია ჩემი სურვილების ასრულება. თოვლის ბაბუა, ძალიან მინდა „მაქ ქვინის“ მანქანა და საწოლის გადასაფარებელი. მინდა ბალიშიც „მაქ ქვინის“ მქონდეს. მიყვარს ქინდერ შოკოლადები. წინასწარ დიდი მადლობა თოვლის ბაბუა ყველაფრისთვის. გელით მოუთმენლად“, - ნიკა ნინიკაშვილი.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, ძალიან გთხოვ ლამაზი კონკიას ფორმა მომიტანე, ჯადოსნური ჯოხით. ამ ჯოხს ვთხოვ გვესტუმროს კონკია, შუა ქალაქის მსახიობების და ლელა წურწუმია მარიამთან ერთად“, - წერს 7 წლის მარიამ კალანდაძე.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, გთხოვთ გვაჩუქოთ ოთახის კარავი, სადაც დავეტევით მე და ჩემი დეიდაშვილები: ნიკოლოზი და თამარი, რომლებიც ერთად ვთამაშობთ. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას, გისურვებთ მრავალ ახალ წელს გაგეხარებინოთ თქვენი სტუმრობით და საჩუქრებით“, - დავით თანდაშვილი.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, გთხოვ მომიტანო მუსიკალური ხმოვანი წიგნები“, - 2 წლის მარიამ მაცაბერიძე. წერილს თან ერთვის მინაწერი: „ჩვენი დიდი სურვილია პატრიარქის მობრძანება ჩვენს განყოფილებაში და მისი ლოცვა-კურთხევა“.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, მინდა სურვილი ამისრულო. მინდა ოტიმუს ტრანსფორმერი. მე ვარ მწვანე კაცი სპაიდერმენი, 4 წლის დავით მეტრეველი. ბევრი რამე გადავიტანე და სურვილი შემისრულე. გელოდოებით თოვლის ბაბუა. დედაჩემის სურვილია ილია მეორე რომ მოვიდეს და დაგვლოცოს ყველა პატარები და ძალა მოგვცეს“.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, ძალიან გთხოვთ მომიტანოთ ფიფქიას ფორმა, თავისი ჯადოსნური ჯოხით. და სტუმრად მოგვიყვანე ლელა წურწუმია“, - 7 წლის ანი კაკაშვილი.

„ძვირფასო თოვლის ბაბუა, პატარა ანასტასიას ძალიან უყვარს ძილის წინ ზღაპრების წაკითხვა. მას ძალიან გაახარებს მუსიკალური წიგნები ფიფქიაზე და ფერიებზე“, - წერია 2 წლის ანასტასია ავალიანის წერილში, სადაც ვკითხულობთ დედის მინაწერსაც:

„ძვირფასო თოვლის პაპა, თუ დედის სურვილსაც გაითვალისწინებთ ძალიან გვინდა ჩვენს შვილებთან მობრძანდეს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მე-2, რომ დაგვილოცოს ჩვენი შვილები. გთხოვთ მიაწვდინოთ ხმა“.

„მე მინდა დიდი თოჯინა თავისი „კალიასკით“, რომ ვატარო. და მინდა ლამაზი დასაჯდომი სკამი. ძალიან, ძალიან მინდა..“, - 2 წლის ლიზი პაპიაშვილი.

ასეთია იაშვილის კლინიკაში მყოფი ბავშვების მოკრძალებული თხოვნები... ისინი თოვლის ბაბუას და საკუთარი სურვილების ასრულებას ელიან. თქვენ კი, ჩვენო მკითხველო, შეგიძლიათ ამ პატარებს ახალი წელი გაუბედნიეროთ... ისინი, ჩვენს მხარდაჭერას საჭიროებენ.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნლების განმავლობაში ნოტარიუსები, შუამ



EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

მაშინ, როდესაც ვილნიუსის სამიტზე საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოხდა, განგვიმარტეს, რომ ამიერიდან, გარდა სხვა სტანდარტებისა, ჩვენი საკანონმდებლო ბაზითაც უნდა მივუახლოვდეთ ევროპას.

„პრაიმტაიმი“ თავის მკითხველს პერიოდულად უამბობს პარაფირების შემდგომ პარლამენტში გასული თუ გასასვლელი კანონპროექტების შესახებ, სწორედ იმ ჭრილში, რამდენად ვცდილობთ ხსენებული ვალდებულების შესრულებას თუ არა, გათვალისწინებას მაინც.

კანონპროექტი, რომლის შესახებაც ქვემოთ უნდა გიამბოთ, ჩვენი მკითხველების განსაკუთრებით იმ ნაწილს დაინტერესებს, რომლებიც ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, ჯერაც იტანჯებიან კერძო იპოთეკარების, ბანკებისა თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზეწოლისგან. ასეთები კი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრნი არიან.

რა ხდება, როდესაც ხელისუფლება ერთი ხელით „ჩათვლას“ აკეთებს ამომრჩეველთან, რეალურად კი, მათი დახმარების ნაცვლად, პრობლემას ძველი ხელისუფლების იმ ჩინოვნიკებს უგვარებს, რომლებმაც თავის დროზე „მარცხენა შემოსავლები“ იმ სეგმენტში გაათეთრეს, რომლის გაკონტროლებას ამ ხელისუფლების პირობებშიც კი არავინ ფიქრობს.

„პრაიმტაიმს“ სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრის თავმჯდომარე, სოფიო ბეროშვილი ესაუბრება:

– გასულ კვირას პარლამენტზე პირველი მოსმენით გავიდა ცვლილებების პროექტი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში“. ეს კანონპროექტი, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ უფლება-მოვალეობები ეზრდება ნოტარიუსს იპოთეკის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას. ეს კანონპროექტი ეხება კონკრეტულ სეგმენტს, ე.წ. მევახშეებს.

– ნოტარიუსის უფლება-მოვალეობათა გაზრდაში რა იგულისხმება?

– ჩამატებულია, რომ ნოტარიუსმა მევალეებს აუცილებლად უნდა განუმარტოს სესხის აღებისას რა რისკების წინაშე დგება. თუ ვთქვათ, ნოტარიუსმა მიიჩნია, რომ ეს ადამიანი ამ სესხს ვერ გადაიხდის, აქვს უფლება, რომ ეს ხელშეკრულება არ გააფორმოს, მაგრამ ეს არის პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი ნოტარიუსის შემოსავლებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, კერძო იპოთეკარები წლების განმავლობაში ერთსა და იმავე ნოტარიუსებთან მუშაობენ და მათი ინტერესი არ არის, რომ ამ ხელშეკრულების დადება ჩაშალონ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ამ კანონპროექტის მე-300 მუხლში შევიდა, რომ, თუ სესხი გაპრობლემდა, ნოტარიუსმა უნდა დაიბაროს ორივე მხარე, მოისმინოს მათი მოსაზრება, თუ ჩათვლის, რომ მსესხებელი ვერ იძლევა ვალის დაფარვის მყარ გარანტიას, შეუძლია საქმე აღსრულებას გადააბაროს.

– რა სახის გარანტია უნდა წარადგინოს მსესხებელმა?

– უნდა წარმოადგინოს მყარი, არგუმენტირებული მტკიცებულება, რომ ის უახლოეს ხანში დაფარავს ვალს. თუ ნოტარიუსი მიიჩნევს, რომ ეს არ არის მყარი გარანტია, სრული უფლება აქვს, გასცეს აღსრულების ფურცელი. ვთქვათ, ვარ ინდმეწარმე. ამ ვალით შემოვიტანე საქონელი, დავასაწყობე და უნდა მოვახდინო მისი რეალიზება ბაზარზე. საინტერესოა, რა სახის წერილობითი გარანტია უნდა დავწერო, რომ ერთ თვეში მოვახდენ ამ საქონლის რეალიზებას? ამას გარდა, რასაც ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად თვლიან და მიაჩნიათ, რომ ეს ევროპული გამოცდილების გაზიარებაა, ის არის, რომ მათ, ვისაც უკვე აქვთ სესხი და აღსრულება არ დაწყებულა, შეუძლიათ, ისარგებლონ აღსრულების ახალი ნორმებით, კერძოდ, წინმსწრები აუქციონით, სადაც მესაკუთრე თვითონ გაიტანს აუქციონზე საკუთარ ქონებას საბაზრო ფასით. თუ ამ შემთხვევაში ქონება არ გაიყიდება, შემდეგ უკვე ტარდება იძულებითი აუქციონი, სადაც ქონება გადის მისი 75 პროცენტი ღირებულებით და შემდეგ კიდევ, რა თქმა უნდა, განმეორებითი აუქციონი ტარდება, სადაც ფასი კიდევ უფრო ვარდება. საინტერესოა, როცა ეს ნორმა შეჰქონდათ პროექტში, რა ცვლილებებს გეგმავდნენ რეალურად? ვთქვათ, როცა ეს პრობლემა მიდგას, ამ ცვლილების გარეშე, რა, აქამდე არ შემეძლო საკუთრების გაყიდვა. რა შეიცვალა ჩემთვის, როგორც მსესხებლისთვის? ჩვენ იმდენად გვაქვს განვითარებული უძრავი ქონების ბაზარი, რომ აუქციონზე ასე ადვილად იყიდება სახლები? ჩვენ შეგვიძლია, გადავხედოთ წინა მონაცემებს, სადაც, აღსრულების მიხედვით, 90 პროცენტის შემთხვევაში თვითონ იპოთეკარი და სესხის გამცემი ორგანიზაცია ყიდულობდა და საკუთრებაში იფორმებდა ასეთ ქონებას.

– როდესაც კანონისმიერად აძლევენ მსესხებელს საკუთარი ქონების აუქციონზე საბაზრო ფასად გაყიდვის უფლებას, იქვე იზღუდება მისი პირდაპირი წესით გაყიდვის უფლება?

– არა, არავითარი მსგავსი შეზღუდვა არ არის. ამიტომაც ვკითხულობ, რეალურად რას უმსუბუქებს ეს ცვლილება მსესხებელს? ამ ყველაფრის ფონზე კი ამ თემაზე მომუშავე სტრუქტურებს ავიწყდებათ მთავარი, რის შესახებაც სასურველია, საუბარი მაინც დაიწყოს, რაც შეიძლება სწრაფად და ინტენსიურად: როცა არსებობს ამ ქვეყანაში შუამავლის ფენომენი, რატომ არ ეხებათ მათ ამ კანონპროექტში არც ერთი სიტყვა? რეალურად შუამავალი არის ადამიანი, რომელიც აცნობს მსესხებელსა და გამსესხებელს ერთმანეთს და ამ „რთული“ მომსახურებისთვის გასამრჯელოს სახით იღებს გასესხებული თანხის 5-დან 10 პროცენტამდე. მსესხებელმა იცის ამ ადამიანის მხოლოდ სახელი და ტელეფონი, არ ფორმდება არანაირი ხელშეკრულება, არ იღებს არავითარ ვალდებულებას. ამ თემატიკის გაზეთები რომ გადავშალოთ, აღმოვაჩენთ, თურმე რატომ ყოფილა ამ ადამიანების არსებობა საჭირო: იმიტომ რომ კერძო იპოთეკარებს, რომლებსაც აქვთ გარკვეული თანხა, არ უნდათ მსესხებელთან ურთიერთობა, პირადი ურთიერთობა აქვთ და შესანიშნავად იცნობენ ამ შუამავლებს და შესაბამისად, ამ უკანასკნელსაც, ვისთანაც კარგი ურთიერთობა აქვს, იმასთან მიჰყავს კლიენტი. გაზეთებში წერია უამრავი განცხადება იმის თაობაზეც, რომ ამ სეგმენტში გახსნილია კონკრეტული შპს-ებიც კი, რომლებიც ხალხს სთავაზობენ სასესხებელი თანხის მოძიებას, მიჰყვებიან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, დაიცავენ მათ ინტერესებს... ძალიან დამაინტერესა მათმა შემოთავაზებამ და ამას წინათ პირადად გავედი მათთან კავშირზე, როგორც კლიენტი. ვკითხე: რაიმე დამადასტურებელ საბუთს გასცემდნენ თუ არა იმის შესახებ, რომ ამ მომსახურებას იღებენ... მიპასუხეს, – არაო. მე, მსესხებელი, ვიხდი ნასესხები თანხის, საშუალოდ, 7 პროცენტს, რომელიც, რა თქმა უნდა, თავისთავად საპროცენტო განაკვეთს მიზრდის. ეს სადმე ფიქსირდება? – არ ფიქსირდება... რამე ხელშეკრულებას მიფორმებენ? – არ მიფორმებენ. გამოდის, რომ მე, მსესხებელი, სიტყვაზე უნდა ვენდო შუამავალს, რომ ის ბოლომდე დაიცავს ჩემს უფლებებს და მომყვება ბოლომდე, ხელშეკრულების შეწყვეტამდე. როცა ვკითხე, რაში გამოიხატება მათგან ჩემი უფლებების დაცვა, მიპასუხეს, რომ თურმე, როცა თანხის გადახდა დამაგვიანდება, ის დაურეკავს გამსესხებელს და ეტყვის, რომ მაგვიანდება ცოტა ხანი და მაპატიოს. ამასთანავე, თუ დამჭირდება თანხის ჩანაცვლება, ის მომიძებნის ახალ იპოთეკარს და ა.შ... ერთ-ერთმა, რომელსაც შპს ჰქონდა, მითხრა, რომ მომცემდა ჩგდ-ს, ანუ ჩეკთან გათანაბრებულ დოკუმენტს. ასეთი დოკუმენტის გამოწერა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც არის გადასახადების გადამხდელი. მას შეუძლია ჩაწეროს, რომ ეს თანხა აიღო კონსულტაციაში. ეს კი არ იბეგრება. ანუ, მოკლედ გეტყვით, რა არის შუამავლის ფენომენის იურიდიული განმარტება: „ნებისმიერი საშუამავლო ურთიერთობა, თავისი არსით, არის ურთიერთობა მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის, რაც მოითხოვს კანონის შესაბამის, აღნიშნული ურთიერთობის ფორმის ოფიციალური ფორმით დაფიქსირებას“. ანუ შუამავალმა ხელშეკრულება უნდა დამიდოს ნოტარიუსთან, სადაც ის აიღებს თავის ვალდებულებებს, რაც გაამართლებს ჩემი მხრიდან იმ 7 პროცენტის გადახდას მის მომსახურებაში. ეს მომსახურება კი მისთვის რამდენიმე ათასს შეადგენს. მით უმეტეს, მას სხვა ჩემნაირი კლიენტებიც ჰყავს. ამის გარეშე იმ შუამავლის თანხა, რომელიც თვეში რამდენიმე ათასს შეადგენს, აბსოლუტურად ჩრდილოვან სეგმენტშია მოქცეული – არ იბეგრება, არსად ჩანს და ეს ყველაფერი ყოველგვარი ვალდებულებისგან განთავისუფლების ფონზე ხდება.

– ფაქტია, რომ ხელისუფლებამ იცის ამ ჩრდილოვანი სე-

სოფიო ბეროშვილი

„გამოდის, რომ ხელისუფლებაში ამაზე, უბრალოდ, თვალს ხუჭავენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ავლები და აღმასრულებლები ერთი ჯგუფია“

„არსებობს ეჭვი, რომ იპოთეკარების თანხებში ინაცვლებს შუამავლების ფული, რომლებსაც კლიენტები მიჰყავთ მათთან და პროცენტებს უყოფენ“

გმენტის არსებობის შესახებ. თქვენი აზრით, რატომ არ იღებენ შესაბამის ზომებს?

– ვერ გეტყვით... საეჭვოა, რომ არ იცნობდნენ საქმის არსს. მარტო გაზეთი რომ აიღონ, სადაც განცხადებების 99 პროცენტში შუამავლების ტელეფონებია დაფიქსირებული, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ამ თანხას აბრუნებენ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე. გამოდის, რომ ხელისუფლებაში ამაზე, უბრალოდ, თვალს ხუჭავენ.

– აღმასრულებელი ხელისუფლების რომელი სტრუქტურის პრეროგატივაა, რომ ეს სეგმენტი გააკონტროლოს და რატომ უნდა ხუჭავდნენ თვალს?

– ეს მთლიანად აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა გააკონტროლოს, მაგრამ, პირველ რიგში, ამისთვის უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა.

– დაახლოებით რა რაოდენობის თანხა რჩება გაუკონტროლებელი?

– ძალიან დიდი... ამის გამოთვლა სულ მარტივად შეიძლება: აიღონ მონაცემები საჯარო რეესტრიდან და ნახონ, რა რაოდენობის გამსესხებელი გვყავს... რამდენიმე თვის წინანდელი მონაცემებით, მათი რაოდენობა 161 ათასს ცდებოდა. დაიწყონ გამოძიება მათი საბრუნავი ფულის წარმომავლობის შესწავლიდან, საიდან აქვთ ეს თანხები იმ კერძო იპოთეკარებს, რომლებიც თუნდაც სამართლიანად იბეგრებიან. არსებობს ეჭვი, რომ იპოთეკარების თანხებში ინაცვლებს შუამავლების ფულიც, რომლებსაც კლიენტები მიჰყავთ მათთან და პროცენტებს უყოფენ. გამოთვლა შეიძლება მიმდინარე იპოთეკით დატვირთული ქონების რაოდენობიდანაც, რომელიც, რამდენიმე თვის წინანდელი მონაცემებით, 132 ათასს ცდებოდა. როცა ამ ურთიერთობებს ჰყავს შუამავალი და ცნობილია მისი გასამრჯელოს პროცენტული, თუნდაც საშუალო რაოდენობა, მარტივი მათემატიკის ცოდნაა საჭირო ამის გამოსათვლელად. ეს ყველაფერი რომ იბეგრებოდეს, ან შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმები ახალ კანონმდებლობაში რომ გაეწერათ, ეს ახალ მთავრობას საშუალებას მისცემდა, წინასაარჩევნო დაპირება შეესრულებინა და იპოთეკით დაზარალებული ხალხისთვის თუნდაც ფონდი შეექმნა. ამ პრობლემის გადაჭრა შეეძლოთ ამით მაინც დაეწყოთ. როცა ეს ყველაფერი გაუკონტროლებელია, ფაქტია, რომ ამით, პირველ რიგში, ბიუჯეტიც ზარალდება.

– არც იპოთეკარები იბეგრებიან?

– კანონმდებლობით იბეგრებიან, მაგრამ იპოთეკარებმა გამოსავალი ნახეს, რომ ამას თავი აარიდონ: აფორმებენ ერთთვიან ხელშეკრულებას, ამ ვადის გასვლის შემდეგ ამ ხელშეკრულებას ნოტარიულად აღარ აახლებენ და შენ, ანუ მსესხებელს, ზეპირსიტყვიერად გითანხმდებიან, რომ, თუ ერთი თვის წინ დადებულ ხელშეკრულებაში გეწერა 3 პროცენტის გადახდის ვალდებულება, ის 5 პროცენტამდე გაიზარდოს. იმიტომ, რომ მათ ჰყავთ ვირტუალური კლიენტები, რომლებზეც შეუძლიათ ამ თანხის 5 პროცენტად გაცემა. თუ ამაზე არ დასთანხმდები, თანხის მთლიანად დაბრუნებას მოგთხოვენ. თუ ამას ვერ მოახერხებ, ერთი თვის წინ დადებული ხელშეკრულება მათ იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველს აძლევს.

ასე ხვდებიან მსესხებლები იპოთეკარებისა და შუამავლების ბადეში და იძულებულნი ხდებიან, მიიღონ მათი პირობები, რადგან ამის შესახებ თავიდან არ დაფიქრებულან. მთელი ეს ოპერაცია იპოთეკარისთვის მარტივი ფულის მიღებას გულისხმობს, ვინაიდან, მას უფრო მეტად აწყობს, მსესხებელმა ხელშეკრულება დაურღვიოს, რადგან ამ შემთხვევაში სამჯერ მეტ ფულს შოულობს. ამიტომაც ვამბობ, რომ, თუ არ მოხდება ხელშეკრულების პირობების მკაცრი რეგულაცია და მსესხებლის უფლებების დაცვა, მუდმივად იარსებებს ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ერთ მხარეს ყოველთვის აწყობს, რომ ხელშეკრულება დაირღვეს.

– ის ცვლილებები, რაც კანონში ამ ეტაპზე შედის, ამ ურთიერთობებში რა ნაწილს აგვარებს?

– არც ერთ ნაწილს არ აგვარებს. ეს ცვლილებები ნოტარიუსს უზრდის უფლებამოსილებას, როცა ეს პირი შეკრულია იპოთეკარებთან.

– ამ ცვლილებების ავტორი რომელი უწყებაა?

– იუსტიციის სამინისტრო. მომხსენებელიც იუსტიციის მინისტრის მოადგილე გახლდათ. მათ კონსულტაციები არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან არ გაუვლიათ, ისე მოამზადეს ეს პროექტი. ჩვენ ფაქტის წინაშე მაშინ დავდექით, როცა ის პირველი მოსმენით გავიდა. კარგი იქნებოდა, კონსულტაციები გაევლოთ იმ ადამიანებთან, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ამ პრობლემაზე და იციან, რა ხდება შუამავალთან სატელეფონო კავშირიდან, იძულებით აღსრულებამდე რა პროცესები მიდის და რა პრობლემები დგას. ფაქტია, რომ ეს ცვლილებები არც ერთ ამ პრობლემას არ აგვარებს. ამას გარდა, ხომ უნდა გაითვალისწინონ ის საერთაშორისო ნორმები, სადაც წერია, თუნდაც რა უნდა ხდებოდეს აღსრულების შემთხვევაში: „საეჭვო და დამაფიქრებელი იქნება, თუ ცალკეული აღმასრულებლები მიიღებენ მხოლოდ გარკვეული ბანკების დავალებებს, რაც მეტყველებს დამკვეთთან გარკვეული დამოკიდებულებითი ურთიერთობის არსებობაზე და შესაბამისად, ეჭვს იწვევს აღმასრულებლის ნეიტრალურობის კუთხით“. წლების განმავლობაში ნოტარიუსები, შუამავლები და აღმასრულებლები ერთი ჯგუფია. ამას სრულიად მარტივად დაადასტურებენ, თუ საჯარო რეესტრიდან მონაცემებს ამოიღებენ და ნახავენ, რომ ერთი და იგივე იპოთეკარი წლების განმავლობაში ახორციელებს სანოტარო ხელშეკრულებების დადებას ერთსა და იმავე ნოტარიუსთან და ერთსა და იმავე აღმასრულებელს აღასრულებინებს საქმეს.

– თეა წულუკიანი ერთ-ერთი ინიციატორი იყო იმისა, რომ იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემა მოგვარებულიყო. ეს ყველაფერი, რაზეც თქვენ საუბრობთ, შეიძლება იუსტიციის მინისტრისთვის უცხო და უცნობი იყოს?

– როგორც ჩანს, ისიც თვალს ხუჭავს.

– რაში მდგომარეობს ინტერესი?

– ვერ გეტყვით... წინა ხელისუფლების შემთხვევაში საუბრობდნენ იმაზე, რომ იპოთეკარებთან ჩინოვნიკების ფული ტრიალებდა. მაგრამ რატომღაც მიჩნდება ეჭვი, რომ მათ, ვისაც ამ სფეროში ფული აქვთ ჩადებული, აცდიან და მისი ამოღების საშუალებას აძლევენ. ძალიან აქტუალურია

„როცა არსებობს ამ ქვეყანაში შუამავლის ფენომენი, რატომ არ ეხებათ მათ ამ კანონპროექტში არც ერთი სიტყვა?“

დღეს მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ მიკროსაფინანსოებისა და ბანკების ფული ტრიალებს კერძო იპოთეკარებთან, რაც რეალობასთან ახლოს დგას, ვინაიდან კერძო იპოთეკარების ბაზრის არსებობას იწვევს საბანკო სექტორისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პოლიტიკა. ის ადამიანები, რომლებსაც უარს ეუბნებიან სესხზე, მიდიან კერძო იპოთეკარებთან. ბანკი ითხოვს, რომ, თუ გინდა აიღო 10-ათასიანი სესხი, უნდა გქონდეს მინიმუმ 1500 დოლარი შემოსავალი. ეს იმ დროს, როდესაც ნოტარიუსი მთხოვს მყარ გარანტიას, რომ მე მაქვს კარგი შემოსავალი იმისთვის, რომ კერძო იპოთეკარისგან აღებული 10 ათასი დავფარო. თუ მე მაქვს მყარი შემოსავალი, მაშინ რა მინდა კერძო იპოთეკართან?

– რამდენად უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამ სფეროს არეგულირებს?

– წაგიკითხავთ საერთაშორისო სტანდარტებით სააღსრულებო ნაწილის გაგრძელებას: „მოვალე, რომლის მიმართაც ხორციელდება ცალკეული კრედიტორის მოთხოვნის იძულებითი აღსრულება, არ უნდა გამოეთიშოს ეკონომიკურ ცხოვრებას, რათა მან შეძლოს საქმიანობის გაგრძელება, ახალი საქმეების წამოწყება, მიიღოს შემოსავლები, რომლებიც იქნება მისი მხრიდან კრედიტორთა დაკმაყოფილების წყარო. აქ ის თავად რჩება თავისი ქონების მენეჯერი. შესაბამისად, ცალკეული კრედიტორის ცალკეული მოთხოვნის აღსრულება ყოველთვის უნდა შემოიფარგლებოდეს იმით, რაც აუცილებელია კონკრეტული კრედიტორის დასაკმაყოფილებლად“. რა გვაქვს კანონმდებლობაში რეალურად? არ ფინანსდება დამწყები ბიზნესი. ამიტომ, ვისაც ბიზნესის წამოწყება უნდა, იძულებულია, ფული აიღოს კერძო იპოთეკარისგან, რადგან მას ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რა თქმა უნდა, უარს ეტყვიან. კერძო იპოთეკართან ხელშეკრულებაში თავიდანვე იდება ისეთი პირობები, რომ ის ვერ შეძლებს ბიზნესის წარმოებას და მოთხოვნად თანხად ჩემი ქონება იყიდება იძულებით აუქციონზე. ანუ, როცა ის კოტრდება საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, ეს არის ისეთი ტრაგედია, რომ ვეღარ ებმება ახალ ეკონომიკურ ცხოვრებაში. საერთაშორისო ნორმები კი მარტივად რომ გავშიფროთ, ასეთ სურათს მივიღებთ: როცა ცალკეული კრედიტორი ითხოვს იძულებით აღსრულებას, მხოლოდ ის ნაწილი უნდა აღსრულდეს, რასაც ის კრედიტორი ითხოვს. როცა ჩემი ბინა ღირს 100 ათას დოლარი, ის არ უნდა გაიყიდოს 50 ათასად, რადგან ჩემი ქონება, რომლითაც მე გარკვეული თანხის გარანტიად ვდგები, ღირს სწორედაც 100 ათასი დოლარი. რეალურად კერძო იპოთეკარები ჯერ მაძლევენ ქონების ღირებულების მესამედს სესხად და მერე მიაქვთ მთელი ქონება. სად არის თანხვედრა საერთაშორისო ნორმებთან? ასეთი აღსრულებით და საკრედიტო სამართლით ჩვენ ევროპა ვერ ვიქნებით, რადგან ამ სფეროში გვაქვს ძალიან დიდი საკანონმდებლო აბსურდი.

რატომ აფარებს ხელს წულუკიანი იპოთეკარებს, შუამავლებსა და ძველი ხელისუფლების ჩინოვნიკებს?

„ოცნების“ პოლიტსაბჭო ავთანდილ ბერიძის საკითხს განიხილავს

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

ავთანდილ ბერიძე: „ასე რომ, დიახ, მე ვარ „VIP“ სტატუსის მქონე ადამიანი“

ეს არის პოლიტიკოსი, რომელიც საკუთარ მანქანაში მანამ არ ჯდება, სანამ კარს დაცვა არ უხსნის, ლიფტში შესვლისას მოსამსახურე პერსონალს ელოდება, რომ ღილაკს თითი მიაჭირონ, საკუთარი კაბინეტის სახელურსაც არ ეხება, არც შესვლისას და არც გამოსვლისას, აქაც დაცვა გარბის წინ, არ აღიარებს სხვა სანომრე ნიშანს, გარდა 001-სა, არ ჯდება მანქანაში, რომლის ღირებულება 83 ათასზე ნაკლებია, უარს აცხადებს ბულვარში ფეხით სიარულზე, არ პასუხობს არც ერთ ჟურნალისტს, თუ არასასურველ კითხვას უსვამს და ყველაზე მთავარი – მისთვის სიტყვა „VIP“ იშიფრება, როგორც „გაბღინძული“... კიდევ უფრო მთავარი კი ქოლგის ისტორიაა. ავთანდილ ბერიძე მსოფლიოში ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელსაც პირადი ქოლგის დამჭერი ჰყავს...

ისე, აჭარას ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის დროიდან არ უმართლებდა, ეს არის ქალაქი, სადაც „ჩაზნექილი სკამები“ ენატრებათ და საკუთარ საოცნებო ხელისუფლებას მიტინგებს უწყობენ ერთადერთი მოთხოვნით – დაგვიბრუნეთ გაზი და ელექტროენერგია...

აჭარისთვის ნეპოტიზმი და მურმან დუმბაძე, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ჟურნალი იყო. კინოს დასაწყისში ავთანდილ ბერიძე გამოჩნდა და ახლა სიუჟეტი კიდევ უფრო იძაბება. „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის განცხადებით, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ შეგნებულად ვერ გააცნობიერა საკუთარი თანამდებობა და საჭიროზე მეტი მოითხოვა, ხალხურ ენაზე რომ ვთქვათ, თავში აუვარდა. სწორედ ამიტომ მას წინ ერთი კარგი განკითხვის დღე ელოდება...



დღეს, 16:47 **სკანდალური ჯიპი ტენდერიდან მოიხსნა**

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მურმან დუმბაძე, აჭარის განათლების სამინისტროსა და უმაღლესი საბჭოს მიერ მანქანების შეძენის ფაქტზე „პირველ რადიოსთან“ კომენტარს აკეთებს. მურმან დუმბაძის განცხადებით ავთანდილ ბერიძემ რამდენიმე წუთის წინ მიიღო გადაწყვეტილება და ე.წ „სკანდალური ჯიპი“ ტენდერიდან მოხსნა „საკითხი ამოწურულია. წერტილი დასმულია. მანქანა მოხსნილია ტენდეიდან, ბატონმა ავთანდილმა რამდენმე წუთის წინ დამირეკა და მითხრა რომ მან მიიღო გადაწყვეტილება და გაითვალისწინა საზოგადოების აზრი და მანქანა მოხსნა ტენდერიდან“-განაცხადა მურმან დუმბაძემ

კახი კალაძე, ენერგეტიკის მინისტრი:

– როგორც ჩანს, ავთანდილ ბერიძე ვერ აცნობიერებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც არჩევნების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებმა დააკისრეს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და იმ ხელმძღვანელ პირებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა ხალხზე და არა საკუთარ კომფორტზე ზრუნვა. ჩვენ ვიზიარებთ საზოგადოების გულისწყრომას და ამავდროულად განვმარტავთ, რომ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი, უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი საშუალებით, რომელიც უფლებამოსილებისა და მოვალეობის ეფექტური შესრულებისთვის არის საჭირო. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უნდა ხდებოდეს გონივრულ ფარგლებში და იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც გვაქვს ქვეყანაში. სამწუხაროდ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, რომელიც ამავე დროს „ქართული ოცნების“ წევრიცაა, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს პასუხისმგებლობას საკუთარი პოლიტიკური ძალისა და რაც მთავარია, საკუთარი ამომრჩევლის წინაშე, რაც საზოგადოებაში სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ის თავად უნდა ხვდებოდეს ამას და თავს იკავებდეს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზე ძვირადღირებული ქონების შეძენისგან, რომელიც არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს მისი საზოგადოების მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის. პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ავთანდილ ბერიძის საკითხს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო უახლოეს სხდომაზე განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

როდის მოიცლის პოლიტსაბჭო ბერიძისთვის, ჯერ არავინ იცის. ბერიძე თავის დროზე რესპუბლიკელების წევრი იყო. ის პარტიიდან ლიდერებმა მურმან დუმბაძესთან ერთად გარიცხეს. მაშინ მთავარი დაპირისპირება რესპუბლიკელების ლიდერებსა და მურმან დუმბაძეს შორის აჭარაში აზიზიეს მეჩეთის ხელახალ აშენების საკითხს მოჰყვა. ბერიძეც ამ „გაუგებრობაში“ აღმოჩნდა და სწორედ ამიტომ იცავს დღესაც დუმბაძე ძველ კოლეგას. თავად ბერიძეს ყველა კითხვაზე აქვს პასუხი, მათ შორის ქოლგაზეც და მათ შორის 83-ათასლარიან ჯიპზეც, რომლის ისტორიასაც ისევ მურმან დუმბაძემ დაუსვა წერტილი.

მურმან დუმბაძე, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი:

– საკითხი ამოწურულია. წერტილი დასმულია. მანქანა მოხსნილია ტენდერიდან, ბატონმა ავთანდილმა რამდენიმე წუთის წინ დამირეკა და მითხრა, რომ მან გადაწყვეტილება მიიღო, საზოგადოების აზრი გაითვალისწინა და მანქანა ტენდერიდან მოხსნა.

სხვათა შორის, აღნიშნული ჯიპის ყიდვა ბერიძეს სწორედ დუმბაძემ ურჩია. თავმჯდომარემ კოლეგასთან წაიწუწუნა, ქედაში მიმავალს ავტომობილის გაუმართაობის გამო უკან მობრუნება მომიხდაო და დეპუტატმაც სასწრაფოდ რჩევა მისცა, 2012-წლიანი „ტოიოტა პრადო“ 2014-წლიანი მოდელით ჩაენაცვლებინა, რომელიც ჯერ გამოსულიც კი არ იყო გასაყიდად. საკუთარ თავს სიურპრიზს ბერიძე თავადვე უკეთებდა, მაგრამ მოსახლეობამ „თოვლის ბაბუობა“ არ აცადა. სკანდალი მაშინ უფრო გამძაფრდა, როცა ბათუმელები ზედმეტად დიდი ნალექის მოსვლის გამო უშუქოდ და გათბობის გარეშე დარჩნენ. გაღიზიანებულმა მოსახლეობამ სწორედ მაშინ მოიცალა „VIP“ პერსონისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ხალხზე ზრუნვის ნაცვლად საკუთარი ცხოვრების გალამაზებით იყო დაკავებული.

შეიძლება ითქვას, რომ ბერიძის პოლიტიკური კარიერა დასრულებულია, უკეთეს შემთხვევაში – თანამდებობის გარეშე დარჩენით, უარეს შემთხვევაში კი – პასუხისგებაში მიცემით. პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, არ არის გამორიცხული, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პასუხისგებაში მიეცეს...

ბერიძემ კი მოხსნა ტენდერი ახალ ჯიპზე, მაგრამ მედიასთან ურთიერთობას საბჭოს გადაწყვეტილებამდე გაურბის. ეს ბუნებრივიცაა, მას ხომ არ უყვარს დამაბნეველი კითხვები... სამაგიეროდ სიამოვნებით საუბრობს ქოლგებსა და ბულვარში მანქანით სეირნობაზე...

ავთანდილ ბერიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (ჯერ კიდევ):

– მე ვარ ბათუმელი, როგორც ჩანს, თქვენ არ იცით ბათუმელების სულისკვეთება, აქ ქოლგა არის ცხოვრების ატრიბუტი. აქაური ადამიანი, როგორც წესი, უქოლგოდ სახლიდან არ გადის, ასევეა ჩემთვისაც. ახლა, როცა მანქანით ვმგზავრობ, თითქმის აღარ მიწევს ქოლგის გამოყენება, მაგრამ, როცა კონფერენციაზე მიდიხარ, წვიმიანი ამინდია და მანქანა გაჩერდა 100 მეტრში, ამოლუმპული ხომ არ შეხვალ დასასწრებად?! ასეთ შემთხვევაში იძულებული ხარ, ქოლგა დაიჭირო. რაც შეეხება იმას, მე მეჭირება ქოლგა თუ ჩემს თანმხლებ პირს, ისე იქნება, როგორც საჭიროება მოითხოვს. თუ ხელები დაკავებული მექნება, რა თქმა უნდა, მე ვერ დავიჭერ. ბუნებრივი პროცესია, როდესაც ორი ადამიანი მოდის, ერთერთს უკავია ქოლგა. იცით, ვერ ვხვდები რაა ამაში გასაკვირი, რომ თქვენზე ასაკით უმცროსმა დაიკავოს ქოლგა? მინდა ჟურნალისტებს გთხოვოთ, რომ აქცენტი გააკეთოთ არა იმაზე, თუ ვის უჭირავს ქოლგა, არამედ იმაზე, როგორ კანონს ვხერთ, ხომ არ ვარღვევთ ჩვენი ქცევით რაიმე კანონს და სხვა... რაც შეეხება ბულვარში ავტომობილით გამოჩენას, იქ არ იყო ჩემი მანქანა. იქ იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს მანქანა, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეს ემსახურება, ხოლო რისი უფლებები აქვს ამ მანქანას, ეს უნდა გადაამოწმოთ იმ სამსახურებში, რომლებიც სპეციალურ სამთავრობო დაცვას ახორციელებენ. აჭარის ტერიტორიაზე სამი ადამიანი სარგებლობს სპეციალური სამთავრობო დაცვის მომსახურებით: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, ყველა ეს ადამიანი ითვლება „VIP“ პერსონად. ასე რომ, დიახ, მე ვარ „VIP“ სტატუსის მქონე ადამიანი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გეგმავს თუ არა ეროვნული ბანკი საბოტაჟის მოწყობას

„ფაქტია, რომ ეს არის ძალიან ღარიბი ბიუჯეტი და სულაც არ არის საოცნებო. დიდი იმედი მაქვს, რომ 2014 წელი იქნება გარდამტეხი და ბიუჯეტი დაახლოებით 9 მილიარდამდე გაიზრდება“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

ლარის კურსის ვარდნა ზუსტად ერთ კვირაში გაჩერდება და დასტაბილურდება. ეკონომიკური ექსპერტების ინფორმაცია დამაიმედებელია, თუმცა ოპოზიცია მოსაზრებას უნდობლობას უცხადებს. ისინი თვლიან, რომ ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის ადგილას თავს ასე არხეინად ნამდვილად ვერ იგრძნობდნენ. ეკონომიკაში რომ პრობლემებია ამაზე ყველა ერთხმად თანხმდება, თუმცა წინადადების გაგრძელება პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ხდება. მაგალითად, უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერს, მიხეილ მაჭავარიანს მიაჩნია, რომ მთავრობამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ლარის კურსს პრობლემები არ შექმნოდა.

ახლა ყველაფერი ეროვნულ ბანკზეა დამოკიდებული, რომელსაც საჭირო რეზერვი ნამდვილად აქვს და ელოდება დროს, როცა პრობლემის მოსაგვარებლად საკუთარი გააქტიურების გადაწყვეტილებას მიიღებს. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ეროვნული ბანკის საბჭო გადაწყვეტს, რომ ლარის კურსი საჭირო ნიშნულზე ქვევით ჩამოვიდა. გაჩნდა მოსაზრება, რომ ეროვნული ბანკი ხელოვნურად გაწელავს პროცესს პრობლემების შესაქმნელად, თუმცა ექსპერტი, ემზარ ჯგერენაია ინფორმაციას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად კი აცხადებს, რომ ბანკში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. გიორგი ქადაგიძის მიმართ უნდობლობას, როგორც ჩანს, მისივე პოლიტიკური ისტორია იწვევს. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტს ძალიან მალე დაიკავებდა, თუმცა ქადაგიძეს საკუთარი ვადები აქვს, რომელმაც შვიდწლიანი ათვლა 2009 წლის თებერვლიდან დაიწყო. შესაბამისად, გიორგი ქადაგიძემ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად, წესით, კიდევ სამი წელი უნდა დაჰყოს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ქადაგიძის შეცვლის სურვილი ნამდვილად არსებობდა. ჯგერენაია აცხადებს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება დროულად იქნება მიღებული, ისევე როგორც წინა თვეებში. აღმოჩნდა, რომ ეროვნულმა ბანკმა ოქტომბერშიც და ნოემბერშიც მცირედი ჩარევა უკვე განახორციელა, თუმცა იყო წლები, როდესაც ბანკი მხოლოდ დოლარის შესყიდვით იყო დაკავებული და რეზერვის გამოყენება არ სჭირდებოდა. სწორედ ამ პერიოდში მოხერხდა საჭირო მილიარდ 9 მილიონიანი რეზერვის მოგროვებაც...

რამდენად არსებობს საშიშროება, რომ ეროვნულმა ბანკმა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ისედაც გაპრობლემებულ ეკონომიკაზე, ამასთან დაკავშირებით თავად ბანკის პოზიცია არ არსებობს. ის ოფიციალური კომენტარებისგან თავს იკავებს. მოსალოდნელ საფრთხეებზე „პრაიმ-ტაიმი“ ეკონომიკის ექსპერტს, ემზარ ჯგერენაიას ესაუბრა.

ემზარ ჯგერენაია, ეკონომიკური ექსპერტი:

- როცა ეროვნული ბანკი ჩათვლის საჭიროდ, რომ გაცვლითი კურსი არის მონეტარული პოლიტიკის დამზიანებელი, საჭიროა კურსის დაფიქსირება, მოახდენს ინექციას, გაყიდის დოლარებს და ამით დაარეგულირებს მდგომარეობას. თუმცა ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული ბანკი ჩათვლის, რომ კურსი გასცდა დასაშვებ ზღვარს.

- რამდენად შეიძლება, რომ ეროვნულმა ბანკმა ხელოვნურად გაწელოს პროცესი და არ მოახდინოს დროული ჩარევა?

- გამორიცხულია, რადგან მსგავსი ქმედება მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება არ არის. სავალუტო ფონდი აკეთებს მონიტორინგს, კონსულტაციებია სხვა დონორებთან, მსგავსი საბოტაჟი გამორიცხულია.

- თავის დროზე, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ახალ ხელისუფლებას ქადაგიძის შეცვლის სურვილი ჰქონდა, მაშინ, ნოდარ ჯავახიშვილი ამბობდა, რომ თავად უნდა გამხდარიყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი...

- არ ვიცი ვის სურდა შეცვლა და ხელმძღვანელობა, მაგრამ ეროვნულ ბანკს ჰყავს საბჭო და შესაბამისად, ის იხილავს გრაფიკის მიხედვით მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. რაც შეეხება ბაზარზე ინექციას და ბაზრის საკითხების დარეგულირებას, ეს მისი პიროვნული საკითხებია, ის არ უკავშირდება არანაირ საბოტაჟს და არანაირ პიროვნულ ბოიკოტს.

- ანუ თქვენ ხელოვნურ პრობლემებს გამორიცხავთ?

- რა თქმა უნდა. იქ ჩვეულებრივად მუშა პროცესია, თქვენ რომ გადახედოთ ეროვნული ბანკის მუშაობის რეჟიმს, ვერანაირად ვერ დაინახავთ ხელოვნული პრობლემების შექმნის მცდელობას.

ემზარ ჯგერენაია: „რაც შეეხება ეროვნული ბანკის ჩარევა-არჩარევის საკითხს, ეს მისი პოლიტიკით განისაზღვრება და ამ ეტაზე არ მიაჩნია სწორად ჩარევა, ამიტომ ის უმნიშვნელო ჩარევას ახორციელებს“

- ბოლოს როდის მოხდა რეზერვის გამოყენება ეროვნული ბანკის მიერ?

- ეროვნული ბანკის მიერ ჩარევა იყო ოქტომბერში, 40 მილიონის დონეზე, ნოემბერში 80 მილიონით ჩაერივნენ და მიმდინარე თვეშიც მოხდა ჩარევა მცირედი ინერციის სახით. მუდმივად ხდება ეს პროცესი.

- წლების განმავლობაში ასე იყო?

- იყო წლები, როცა საერთოდ არ ერეოდა, პირიქით, ყიდულობდნენ მხოლოდ დოლარს და სწორედ ამიტომ არის რეზერვი, არის საკმაოდ დიდი - 2, 9 მილიარდ დოლარს წარმოადგენს. ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მშვიდად და წყნარად იყოს საფინანსო სისტემა. რაც შეეხება ეროვნული ბანკის ჩარევა-არჩარევის საკითხს, ეს მისი პოლიტიკით განისაზღვრება და ამ ეტაზე არ მიაჩნია სწორად ჩარევა, ამიტომ ის უმნიშვნელო ჩარევას ახორციელებს. კურსის ვალატიურობა კიდევ ერთი კვირა გაგრძელდება და შემდეგ ჩადგება ნორმაში. რა თქმა უნდა, ეს საგანგაშოა, ჩვენ ამას მიჩვეულები არ ვართ, რადგან საქართველოში, ბოლო წლებში, ვალუტის კურსი პრაქტიკულად გაყინული იყო და ამიტომ აღმოჩნდა მტკივნეული. სიმძიმეც გასაგებია, თუმცა ეს ჩვეულებრივი ეკონომიკური მოვლენაა ნებისმიერ ქვეყანაში. ეროვნულ ბანკს რომ არ გააჩნდეს რეზერვი, მაშინ ეს იქნება ძალიან საშიში, თუმცა რეზერვი არსებობს და ვიმეორებ, საჭიროების შემთხვევაში ის ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად მიიღებს. ეკონომიკური პროცესები მომავალი წლისთვის გამოსწორდება. ფაქტია, რომ წელს ძალიან ღარიბია ბიუჯეტი და ის სულაც არ არის საოცნებო. დიდი იმედი მაქვს, რომ 2014 წელი იქნება გარდამტეხი და ბიუჯეტი დაახლოებით 9 მილიარდამდე გაიზრდება.

როგორც ჩანს, ექსპერტების აზრი ბიუჯეტის გადანაწილების ხედვაში ერთმანეთს ემთხვევა. ჯგერენაიას მსგავსად ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მთავრობას მმართველობითი ხარჯი უნდა შეემცირებინა და დაზოგილი ფინანსები ეკონომიკის განვითარებისკენ მიემართა. თუმცა ეკონომიკური გუნდის მსგავსად, ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობა ჩვეულებრივი, მიღებული და არასაგანგაშოა ნებისმიერ ქვეყანაში.

ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი:

- იმედი გვაქვს, რომ დეკემბერში გაიზრდება ლარზე მოთხოვნა, ძალიან ბევრი მიზეზის გამო, მაგრამ კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ყველა ინსტრუმენტი არსებობს იმისა, რომ საქართველოში ყველაფერი იყოს პროგნოზირებადი და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ლარის კურსის ცვალებადობაში უჩვეულო არაფერია. თუ გადახედავთ მეზობელი ქვეყნების ვალუტის კურსს დოლართან მიმართებაში, ასევე არის რყევა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ეკონომიკაში. ასე რომ, არაფერი საგანგაშო აქ არ ხდება. ლარის კურსს საფრთხე არ ემუქრება, ეროვნულ ბანკს აქვს შესაბამისი რესურსი ამისთვის. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეგიძლიათ იხილოთ თუ როგორ ხდება კურსის უმნიშვნელო ცვალებადობა, ეს ნორმალურია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შეწყალების კომისია მამალაძის საქმის განხილვაზე უარს აცხადებს

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ლევან მამალაძე

„ძებნილების საქმეების განხილვის უფლება ჩვენ არ გვაქვს“

ლევან პირველი ძებნილი იყო, მაგრამ ის ახალმა ხელისუფლებამ „შეინდო“ და ქართული პასპორტი პირდაპირ ავსტრიაში გაუგზავნა ფოსტით. როგორც თავად პირველი ამბობს, ზედ იუსტიციის მინისტრის საბოდიშო წერილი იყო დაკრული. თეა წულუკიანი ლევან პირველს პასპორტის დაგვიანებისთვის უხდიდა ბოდიშს.

პირველი თბილისში პირველად ცხრაწლიანი „გადასახლების“ შემდეგ ახალი პასპორტით ჩამოვიდა, ყველა ძველი მეგობარი მოინახულა და ისევ ავსტრიაში დაბრუნდა. ეს მისი იდეფიქსი უფრო იყო, ვიდრე პატრიოტული გრძნობების დაოკება. პირველის იდეფიქსი კი ნაციონალებზე გამარჯვება გახლდათ. ყოფილი დეპუტატი მთელი ამ წლების განმავლობაში თავისთვის ჩუმად ფიქრობდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ის სამშობლოდან უსამართლოდ განდევნა. თუმცა წასვლა მისთვის არავის დაუძალებია. პირველმა გადაწყვეტილება საკუთარი თავის სასარგებლოდ მიიღო და ამას არც არასოდეს მალავდა. ვიცოდი, რომ დამიჭერდნენ და იმიტომ წავედიო... საკუთარი აზრები ხმამაღლა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოთქვა. საქართველოში ლეგალურად დაბრუნება პირველმა თავდაპირველად ეგრეთწოდებული ბესელია-კაკაბაძის სიაში მოხვედრით სცადა. პირველ მცდელობაზე არაფერი გამოუვიდა. ის ბესელიამ სიაში არ ჩასვა და ამაზე პირველმა სკანდალის მოწყობა სცადა, თუმცა მისი თავიდან აცილება მრეწველებმა შეძლეს და საკუთარი ძალებით საკუთარი პარტიის წევრის სასარგებლოდ სამართლიანობა აღადგინეს.

ახლა სამართლიანობის აღდგენის რიგში ლევან მამალაძე და ემზარ კვიციანი ჩადგნენ. უფრო სწორად დიდი ხანია დგანან, თუმცა მათი რიგი, იმის მაგივრად, წინ წავიდეს, ნელ-ნელა უკან მიჩოჩავს.

კვიციანს თავდებში საკუთარი და და ყოფილი მინისტრები დაუდგნენ. ლევან მამალაძე კი საკუთარი თავის იმედად არის და შეწყალებასაც პირდაპირ გიორგი მარგველაშვილს სთხოვს.

ლევან მამალაძე:

– ხელისუფლებაში მოსვლამდე დედაჩემი მარგველაშვილს შეხვდა და მივიღეთ დაპირება, რომ ჩემი საქმის განხილვა მოხდებოდა. მე მას დიდი ხანია ვიცნობ. იმედი მაქვს, არ გაუჭირდება საქმეში ჩახედვა და მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ის ბრალდებები კი, რომელიც ჩემს მიმართ იყო წაყენებული, სააკაშვილის რეჟიმმა შექმნა. უკვე 11 წელია, პოლიტიკურ დევნაში ვარ.

პირველის მსგავსად, მამალაძეც მიიჩნევს, რომ პოლიტდევნილთა სიიდან მისი ამოღება უსამართლოდ მოხდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციას მამალაძის განცხადება ჯერ არ მიუღია და როგორც მამალაძის ძმისშვილი, აკაკი მამალაძე აცხადებს, ვერც მიიღებს. ოჯახის წევრები თვლიან, რომ მამალაძის შეწყალების ყველაზე მართებული გზა საპარლამენტო კომისიის მიერ მისი საქმის განხილვა იქნებოდა, თუმცა ეს გზა მიუღწეველი აღმოჩნდა, რადგან რიგით მეორე კომისია აღარ შეიქმნა. შესაბამისად, ამ ეტაპზე არანაირი მექანიზმი აღარ არსებობს და პროცესიც შეჩერებულია.

აკაკი მამალაძე, ლევან მამალაძის ძმისშვილი:

– ამ ეტაპზე საბუთების მომზადება არ მიმდინარეობს. არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია, ვისარგებლოთ. ყველაზე სწორი გზა საპარლამენტო კომისია იყო, თუმცა ეს არ მოხერხდა. ახლა ველოდებით მექანიზმის შექმნას და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ, შეწყალება მოვითხოვოთ.

მამალაძის საკითხის განხილვაზე, საპარლამენტო კომისიის გარდა, შეწყალების კომისიამაც უარი განაცხადა. ალეკო ელისაშვილმა საკუთარი პოზიცია მამალაძესთან და ზოგადად, ძებნილებთან დაკავშირებით უკვე დააფიქსირა.

ალეკო ელისაშვილი, შეწყალების კომისიის ხელმძღვანელი:

– დებულებაში გვიწერია, რომ ჩვენ მხოლოდ იმ მსაჯვრდადებულთა საქმეების განხილვა შეგვიძლია, რომლებიც სასჯელს საქართველოს ტერიტორიაზე იხდიან. ლევან მამალაძე საქართველოში არ არის. ძებნილების საქმეების განხილვის უფლება ჩვენ არ გვაქვს. მათ შეუძლიათ, პირდაპირ პრეზიდენტს მიმართონ. სააკაშვილი ძებნილებს უშვებდა და მარგველაშვილი რას იზამს, არ ვიცი.

თავად მამალაძე აცხადებს, რომ მისი საქართველოში დაბრუნების მეორე გზაც არსებობს. მისივე განმარტებით, პროკურატურას შეუძლია, მოითხოვოს საქმის გადახედვა და განსახილველად სასამართლოს გადაუგზავნოს.

თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მამალაძე დღესაც უნდა სამართლდებოდეს. პროკურორ ვალერი გრიგალაშვილის განცხადებით, ლევან მამალაძეს ახლაც სიამოვნებით გაასამართლებდა, რადგან მიაჩნია, რომ ის შევარდნაძის დროს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ჩინოვნიკი იყო...

ალეკო ელისაშვილი

ვალერი გრიგალაშვილი, პროკურორი:

– შეგიძლიათ, გააჩეროთ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე და ისინი გიპასუხებენ, როგორი პოლიტიკური დევნილიცაა ლევან მამალაძე. აბა, მამალაძე თუ არა, მოლაშვილი თუ არა, ვინ უნდა მიგვეცა პასუხისგებაში? რატომ იყო ჩვენი ქვეყანა მაშინ ჩაბნელებული და გაუბედურებული? როდესაც ლევან მამალაძე, ქრთამის სახით, ათეულ ათასობით ლარს იღებდა, ხალხი ისეთი გაჭირვებული იყო, მაღალსართულიანი კორპუსებიდან ხტებოდა და თავს იკლავდა. რატომ, იცით? მამალაძისნაირი ნაძირალები სახელმწიფო ბიუჯეტს რომ ატყავებდნენ და ხალხს საარსებო საშუალება არ ჰქონდა. მამალაძემ აქ სახელმწიფოს ხარჯზე ფულები აკეთა, მერე რუსეთში წავიდა, იქ მიამატა ქონება და ახლა ჩამოდის და პრეტენზიები აქვს, უკანონოდ დამიჭირესო. მე ის დამსახურებულად მივეცი სისხლის სამართლის პასუხისგებაში და პირდაპირ გეტყვით, კიდევ რომ განმეორდეს იგივე სიტუაცია, კვლავ დიდი სიამოვნებით მივცემ პასუხისგებაში.

ლევან მამალაძეს ბრალი ქრთამის აღებაში, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, ფულის გათეთრებაში ედებოდა. მას სასამართლომ დაუსწრებლად 17-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

მამალაძისგან განსხვავებით, წინ წავიდნენ ემზარ კვიციანის მომხრეები. 19 გენერალ-მაიორი, 7 გენერალ-ლეიტენანტი და 7 ბრიგადის გენერალი, გენშტაბის ოთხი ყოფილი უფროსი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დავით თევზაძე ხელისუფლებას თხოვნით მიმართავენ, ხელი შეუწყონ ემზარ კვიციანის საქართველოში დაბრუნებას.

დავით თევზაძე:

– თუ ემზარ კვიციანი რამეშია დამნაშავე და სერიოზული დამნაშავეა, მაშინ, მით უმეტეს, უნდა ჩამოვიდეს ის და გასცეს მათ პასუხი, ვისაც ის დამნაშავე ჰგონია. ნებისმიერ შემთხვევაში, ის, რომ ამდენი წელია, დევნილობაშია სხვა ქვეყანაში და ამ დროს ოჯახი აქ ჰყავს, არის მიუღებელი.

ნორა კვიციანის განცხადებით, გაუგებარია, რატომ დევნიან მის ძმას, რომელიც 13 წლის განმავლობაში ახერხებდა კოდორის ხეობის შენარჩუნებას. მისივე განცხადებით, თუ ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს კვიციანის მოთხოვნას, ის აქციების გამართვით იმუქრება.

ნორა კვიციანი:

– დროზე დააბრუნონ ემზარი საქართველოში. რისთვის და რატომ იდევნება ჩემი ძმა, არავინ იცის. მით უმეტეს მოღალატედ და კრიმინალად არის გამოცხადებული. ის მზად არის, ყველა კითხვაზე გასცეს პასუხი...

ემზარ კვიციანი შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში პრეზიდენტის სპეციალური რწმუნებული იყო კოდორის ხეობაში. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან პოსტი დატოვა, ახალ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და კოდორის ხეობაში საკუთარ თანამოაზრეებთან ერთად აფარებდა თავს. თუმცა ძალოვნებმა მაინც შეძლეს მისი განიარაღება და სწორედ ამის შემდეგ კვიციანმა მოახერხა საქართველოს დატოვება. სააკაშვილის დროს კვიციანის ადგილსამყოფლის გაგებისთვის 100-ათასლარიანი ჯილდო იყო დაწესებული.

ემზარ კვიციანი



„დროზე დააბრუნონ ემზარი საქართველოში. ის მზად არის, ყველა კითხვაზე გასცეს პასუხი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის სურს არასამთავრობო ორგანიზაციების გაკონტროლება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„არასამთავრობოებისთვის ფულადი გადმორიცხვების გაკონტროლება ეს პირდაპირ ხელისუფლების მიერ კონტროლის დაწესების მცდელობაა“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა შეიძლება არც იცოდა ისე გააჟღერა პუტინის ინიციატივის ანალოგი საქართველოს პარლამენტში. სოსო ჯაჭვლიანის პირადი სურვილია, გაკონტროლდეს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის შემოსავალი, გასავალი და დაფინანსების წყარო. მას აინტერესებს საიდან, სად, როგორ და რაში იხარჯება ენჯეოების ფინანსები. კითხვები, როგორც აღმოჩნდა, სკანდალების მოყვარულ დეპუტატს ამ მიმართულებითაც აქვს.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს რუსეთში დიდი ხნის ჩავლილი თემაა. მაშინ, რუსული ენჯეოებიდან დაწყებული, პოლიტოლოგებით, სოციოლოგებითა და ექსპერტებით დასრულებული, პუტინის ინიციატივას აბსოლუტურად არადემოკრატიულად აფასებდნენ და საკმაოდ მკაცრი პროტესტითაც შეხვდნენ. მაშინ ოფიციალური მოსკოვის სურვილი იყო ყველა არასამთავრობოს უცხოური აგენტის სტატუსი მიკვროდა. ეს კი, პრინციპში, არათუ შეაფერხებდა ენჯეოების მუშაობას, არამედ აბსოლუტურად შეუძლებელს გახდიდა. პოლიტოლოგებმა ენჯეოების საწინააღმდეგო კამპანიის მთავარ ორგანიზატორად მაშინდელი პრემიერი, ვლადიმერ პუტინი დაასახელეს. მისი მიზანი ყველას და ყველაფრის გაკონტროლება იყო, თანაც კანონის ფარგლებში. ანუ პუტინს სურდა საკუთარ უკანონო ქმედებას სამართლებრივი სახე ჰქონოდა. ეს იყო ერთადერთი, რაც რუსეთის მმართველს ანაღვლებდა. დანარჩენს, უბრალოდ, ყურადღებასაც არ აქცევდა. „ეს არის რუსეთის პირველი პირის აბსოლუტურად მიუღებელი საქციელი, რომელიც თვლის, რომ აქვს უფლება აკეთოს ის, რისი გაკეთებაც უნდა. მიუხედავად იმისა, თუ რას იტყვიან და რას მოიმოქმედებენ დასავლეთში ან თუნდაც შიგნით ქვეყანაში აღნიშნული ფაქტის გამო“, - წერს სოციოლოგი ბორის დუბინი.

თუმცა, რუსეთი სხვა არის. ვიცით, რომ იქ ყველაფერს პირადად პუტინი წყვეტს. საქართველოში კი ჯაჭვლიანის განცხადება უფრო ნიადაგის მოსინჯვად აღიქვეს. თემა კი დეპუტატმა საკმაოდ გათვლილად შეარჩია...

სოსო ჯაჭვლიანი, უმრავლესობის წევრი:

- ამ რამდენიმე ხნის წინ იყო ლაპარაკი, რომ საპატრიარქოს თურმე 25 მილიონი აქვს. სხვათა შორის, როცა ამ თემაზე იყო ლაპარაკი, ერთი მომენტი ჩემთვის ვიფიქრე, ასე თუ შეიძლება, რომ საპატრიარქოს შემოსავლსა და ფულზე ვილაპარაკოთ, რატომ არ შეიძლება მაშინ ვილაპარაკოთ იმაზე, როცა უცხოეთიდან შემოედინება ჩვენთან თანხები, არასამთავრობოებზეა ლაპარაკი, და ისიც შევამოწმოთ, ძალიან კარგი იქნება. ჩვენ იმიტომ ვართ სახელმწიფო, იმიტომ ვართ მთავრობა, იმიტომ გვაქვს კანონები, რომ რაზეც გვიჩნდება კითხვა, გვინდა, რომ მივიღოთ პასუხი. მეც ძალიან მაინტერესებს, როგორც ერთ მოქალაქეს: დემოკრატიით, დემოკრატიის სახელით შემოსული თანხები შეიძლება ჩემს სახელმწიფოებრიობას უთხრის ძირს. ხომ შეიძლება? ამიტომ შევამოწმოთ ყველა, ძალიან კარგი იქნება და ყველანი ვიქნებით შემოწმებული.

„თუ შეიძლება, რომ საპატრიარქოს შემოსავალსა და ფულზე ვილაპარაკოთ, რატომ არ შეიძლება მაშინ ვილაპარაკოთ იმაზე, როცა უცხოეთიდან შემოედინება ჩვენთან თანხები, არასამთავრობოებზეა ლაპარაკი, და ისიც შევამოწმოთ, ძალიან კარგი იქნება“

არასამთავრობოებმა რეაქცია ადეკვატურად მოახდინეს. ისინი უმრავლესობის დეპუტატის განცხადებას უკვე აპროტესტებენ და თვლიან, რომ ეს რუსული გეგმის ნაწილია, რომელიც ასე მარტივად არავითარ შემთხვევაში არ დასრულდება... თუმცა ამას მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგან წინასწარვე აცხადებენ, რომ ინიციატივას აღსრულების საშუალებას არ მისცემენ და ყველგან დააფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენებს აღნიშნულ საკითხს, მაშინ არასამთავრობოების პასუხი სა- პროტესტო აქციები იქნება...

მანანა ანდღულაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდები ევროპული მომავლისთვის“ თავმჯდომარე:

- სოსო ჯაჭვლიანის განცხადება ძალიან საფრთხის შემცველია, რადგან დემოკრატიული პრინციპები ირღვევა. არასამთავრობოებისთვის ფულადი გადმორიცხვების გაკონტროლება ეს პირდაპირ ხელისუფლების მიერ კონტროლის დაწესების მცდელობაა. აქედან გამომდინარე, ვინც ახალ ხელისუფლებას მოეწონება ის დაფინანსდება და არც გაკონტროლდება, პროდასავლური ორგანიზაციების გაკონტროლება, სავარაუდოდ, მკაცრად მოხდება. ასე, არა მარტო მე ვფიქრობ, არამედ ასეთივე მოსაზრების არის ძალიან ბევრი არასამთავრობოები. მსგავსი მცდელობა რუსეთშიც იყო. პუტინსაც ჰქონდა მსგავსი ინიციატივა, მიუხედავად ისეთი არადემოკრატიული ქვეყნისა, როგორიც რუსეთია, იქაც კი ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ამ ინიციატივამ.

- ფიქრობთ, რომ ეს ჯაჭვლიანის ინიციატივაა, თუ თვლით, რომ მის უკან გარკვეული პოლიტიკური ძალა დგას?

- არა, არა მგონია, რომ ეს მარტო მისი ინიციატივა იყოს, ბუნებრივია, ეს მისი სურვილიც არის, მაგრამ მან უბრალოდ გააჟღერა ეს სიახლე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ კოალიციაში არიან პრორუსული ძალები, არიან ადამიანები, რომლებიც რუსეთისკენ იხრებიან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ჯაჭვლიანს დაავალეს და მანაც წარმატებით შეასრულა. სხვათა შორის, მან, დანარჩენ დეპუტატებთან ერთად, არც უკრაინას გამოუცხადა სოლიდარობა. ამ და სხვა მისი მოქმედებებიდან გამომდინარე აბსოლუტურად გასაგებია მისი პოზიცია.

- იმ შემთხვევაში თუ მსგავსი საკითხი ხელისუფლების დღის წესრიგში დადგება, როგორ იმოქმედებთ?

- საბედნიეროდ, პროტესტის დასაფიქსირებლად ძალიან ბევრი ბერკეტი არსებობს. ძალიან ბევრი არასამთავრობო ვართ და ასეთ დროს მნიშვნელობა არ ექნება პოლიტიკურ გემოვნებას. საქართველოში არასამთავრობო სექტორი პროდასავლურია. შესაბამისად, იქნება პერმანენტული აქციები, ასევე იურიდიულ მხარეს გამოვიყენებთ, მივმართავთ პარლამენტს, ევროკავშირის ორგანიზაციებს. ეს იქნება პირდაპირ ადამიანის უფლებების დარღვევა. აქედან გამომდინარე, ძალიან აქტიურად ვიმოქმედებთ. თუმცა მე მაინც მგონია, რომ ეს ინიციატივა ვერ და არც განხორციელდება, რადგან ვთვლი, რომ ეს უფრო ნიადაგის მოსინჯვა იყო. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს აინტერესებდათ როგორი რეაქციები მოჰყვებოდა ამ განცხადებას. თუმცა ვთვლი, რომ მსგავსი განცხადებებიც ძალიან სახიფათოა, რადგან ეს არის რუსული გეგმის ნაწილი. უკრაინასთან თუ გავავლებთ პარალელებს, ვნახავთ, რომ იქ პირდაპირ მიდის რუსული აგრესია, იქ ბერკეტიც უფრო მეტია ზეწოლისთვის. საქართველოში ასე ადვილი არ არის. აქ ნაციონალების მოღვაწეობის 9 წელმა მაინც თავისი გააკეთა და მოგვწყვიტა რუსულ ორბიტას.

- როგორც ვიცით, თქვენი ორგანიზაცია სხვა არასამთავრობოებთან ერთად მემორანდუმის გაფორმებას აპირებს?

- ჩვენ, დაახლოებით ათამდე არასამთავრობო ორგანიზაცია, ვაპირებთ გავაფორმოთ მემორანდუმი. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები რეალურად აბსოლუტურად სხვადასხვა მიმართულებებით ვმუშაობთ, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად გვაერთიანებს: საქართველოს წინსვლა ევროპისკენ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ გაერთიანება. ეს იქნება არავალდებულებითი ხელშეკრულება. ჩვენი გზავნილები შეეხება საქართველოს ევროპულ მიმართულებას. კონკრეტული იდეის ირგვლივ ვერთიანდებით.

- შეიძლება ითქვას, რომ ეს „კმარას“ ტიპის გაერთიანება იქნება?

- არა, „კმარა“ იყო ერთი მოძრაობა, ის სხვა იყო. ჩვენ შემთხვევაში უკვე ცალკე არის ჩამოყალიბებული ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებების არის. „კმარა“-ს უფრო ერთი მიმართულება ჰქონდა, ისინი ძირითადად გადაღებებით, ფაქტების დაფიქსირებით იყვნენ დაკავებულები. ჩვენ ვაფორმებთ ხელშეკრულებას, რომ ვითანამშრომლებთ ერთობლივ აქციებზე, ერთობლივ ბრიფინგებზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას პასუხობს გიორგი ვაშაძე თეა წულუკიანს?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“, დიდი ალბათობით, თბილისის მერობის კანდიდატს შიდა პრაიმერისის გზით გამოავლენს, სადაც ერთმანეთს გიგი უგულავა და გიორგი ვაშაძე დაუპირისპირდებიან. როგორ აფასებს მთავარი ოპოზიციური პარტიის პოტენციური კანდიდატი საკუთარ შანსებს? რას ფიქრობს გიორგი ვაშაძე „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატზე და რას პასუხობს თეა წულუკიანს, რომელიც თბილისის იუსტიციის სახლის დაზიანებას, არაპროფესიონალიზმსა და ნაჩქარევ მშენებლობას უკავშირებს? „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ინტერვიუს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერთან, გიორგი ვაშაძესთან.

– პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, რატომ არ მოგწონთ დავით ნარმანია?

– მოდით, შევხედოთ იმ ერთწლიან გამოცდილებას, რომელიც აქვს ბატონ ნარმანიას რეგიონალური განვითარების სამინისტროში. წლების განმავლობაში ეს იყო ერთ-ერთი ეფექტური უწყება, რომელიც ძალიან ბევრ პროექტს ახორციელებდა. წლევანდელი წელი არის ტოტალური ჩავარდნის წელი. არ დაწყებულა არც ერთი ახალი პროექტი. ბევრი პროექტი გააჩერეს, ეს იქნება საგზაო პროექტები, სოფლების გაზიფიცირების პროექტი, წყალმომარაგების და ა.შ. აბსოლუტურად ყველაფერი გაჩერებულია. ერთადერთი, რასაც ნარმანია აკეთებს, ეს არის წინა ხელისუფლების მიერ დაწყებული პროექტების გახსნაში მონაწილეობა, რასაც წინასაარჩევნოდ კარგად იყენებს. მაგალითად, ძალიან მოხარული ვარ, რომ გუდაური-კობის მონაკვეთი გახსნა ბატონმა მინისტრმა და ეს პროექტიც არ გააჩერეს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, ვინ დაიწყო ეს პროექტი. იგივე შეიძლება ითქვას შემოვლით რკინიგზაზე. ეს არის ერთი მიმართულება, მეორე გახლავთ თვითმმართველობის კანონი, რომელიც სწორედ ნარმანიას ჰქონდა ჩაბარებული და რომელმაც, ნახეთ, რამხელა ქაოსი და გაუგებრობა გამოიწვია. ვნახეთ, რამდენად მოუმზადებელი იყო ნარმანია ამ საკითხზე მსჯელობისას. ამიტომ უნდა შევაფასოთ, ადამიანი, რომელიც თბილისის მერად უნდა ავირჩიოთ, უნდა იყოს მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი თუ კარგი მენეჯერი, რომელსაც შეუძლია, ქალაქს გაუძღვეს, განავითაროს სხვადასხვა ურბანული თუ სოციალური პროექტები.

– ანუ თქვენ ნარმანიას წარუმატებელ მოხელედ ახასიათებთ?

– ის ნამდვილად არასწორი კანდიდატურაა. მან ერთწლიანი მუშაობის მანძილზე ვერ გვაჩვენა, რომ შეუძლია პროცესების სწორი გაძღოლა. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მისი სამინისტრო, ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი უწყებაა ქვეყანაში.

– საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისის მერობის კანდიდატს „ნაციონალური მოძრაობა“ პრაიმერისის გზით გამოავლენს?

– დიდი ალბათობით, ეს ასე იქნება, თუმცა 100 პროცენტით ჯერ მაინც ვერ გეტყვით. დაველოდებით, საბოლოოდ როგორ ჩამოყალიბდება თვითმმართველობის კანონი, რა ვადები განისაზღვრება და უკვე ამის შემდეგ ჩამოვყალიბდებით საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

– და თქვენ იქნებით ერთ-ერთი მსურველი...

– ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, თუმცა ვფიქრობ, მონაწილეობა მივიღო თბილისის მერობის შიდა პრაიმერისში, ეს უფრო მომავლის თემაა. ვნახოთ.

– რა იქნება თქვენი უპირატესობა თუნდაც გიგი უგულავასთან შედარებით?

– ჩემი მთავარი შეთავაზება იქნება განსხვავებული მიდგომები, ინოვაციები და ის გამოცდილება, რომელიც მენეჯერული კუთხით დამიგროვდა. ძალიან კარგი სამუშაოები ჩაატარა გიგიმ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, სრულიად შეიცვალა ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურა, იერსახე, მაგრამ ჩემი მიზანი იქნება, ამ სიახლეებით ხალხმა ისარგებლოს. ჩემი მიზანი იქნება, თითოეულმა ადამიანმა მიიღოს სარგებელი საკუთარი ოჯახისთვის.

– საკამათო თემაა – თბილისის მერი პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს თუ კარგი მენეჯერი?

– ვფიქრობ, თბილისის მერი განათლებით კარგი მენეჯერი უნდა იყოს და ამ მიმართულებით გამოცდილებამაც უნდა ჰქონდეს. როდესაც მე იუსტიციის სამინისტროში ვიყავი, აბსოლუტურად დისტანცირებული გახლდით პოლიტიკური პროცესებისგან. დანარჩენი ხალხმა შეაფასოს, რამდენად კარგად მუშაობს ის სისტემები, რომლის შექმნაშიც მე ვმონაწილეობდი.

– ერთ-ერთი ასეთი სისტემაა იუსტიციის სახლი... ის, რაც რამდენიმე დღის წინ თბილისის იუსტიციის სახლთან დაკავშირებით მოხდა, ვგულისხმობ სახურავის დაზიანებას, ვისი პასუხისმგებლობაა? თეა წულუკიანმა მომხდარი ნაჩქარევ და არაპროფესიონალურ მშენებლობას დაუკავშირა...

– ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ის სიხარულნარევი განცხადებები, რომელსაც ჩვენი ოპონენტები აკეთებენ ამ ფაქტთან დაკავშირებით. მინდა წულუკიანს ვკითხო, 34 თვეში რომ აშენებულიყო, 17 თვის ნაცვლად, ვინმე გარანტიას მოგვცემდა, რომ მსგავსი დაზიანება არ მოხდებოდა? რა შუაშია აქ ნაჩქარევი მშენებლობა? ვინ იძლევა გარანტიას, რომ ამა თუ იმ მშენებლობას რაიმე ხარვეზი არ ექნება? მაგალითად, ბათუმის 17-სართულიანი იუსტიციის სახლი უფრო ნაკლებ დროში აშენდა, მაგრამ 7-ბალიანი შტორმი იყო ბათუმში და არაფერი მოსვლია. რეალურად მიზეზი სულ სხვა რამაა. როდესაც ჩვენ ამა თუ იმ მშენებლობას ვხსნიდით, იქვე იქმნებოდა მონიტორინგის სამსახური, რომელიც ახდენდა პერმანენტულ შემოწმებას, ადგენდა ხარვეზებს და მყისიერად სწორდებოდა ეს ხარვეზები. სახლშიც, როცა რემონტს დავასრულებთ, შეიძლება ხარვეზი მერე აღმოჩნდეს, ზუსტად იგივე შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სხვა მშენებლობაზეც. პირდაპირ გეტყვით, ყველა იუსტიციის სახლს გარკვეული ხარვეზები გახსნის შემდეგ ჰქონდა, ამისთვის არსებობდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც დროულ რეაგირებას ახდენდა. ზუსტად ვიცით, რომ ამ სახურავს, რაზეც ახლა ამბავია ატეხილი, ორი თვით ადრე გამოუჩნდა ხარვეზი, გაჩნდა პატარა ნაპრალი, რომელიც გასწორებას საჭიროებდა, მაგრამ არავინ ამას ყურადღება არ მიაქცია. ძლიერი ქარის დროს კი ეს ნაპრალი გაიზარდა და მოხდა ის, რაც მოხდა. თაბაშირ-მუყაოს მასალით არის შიდა ფასადი გაკეთებული და ეს მასალა ჩამოყარა ქვემოთ. არანაირ სახურავის გადახდასა და სერიოზულ დაზიანებაზე საუბარი არ არის. იტალიურ კომპანია „პერმა სტელიზას“, რომელმაც თბილისის იუსტიციის სახლი ააშენა, მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში აქვს აღებული არაერთი პროექტი, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური კომპანია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მისი აშენებულია მილანის საგამოფენო ცენტრი, ათობით შენობა ლონდონში, გერმანიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. არ მესმის, რატომ არ უნდა გაგვეკეთებინა არჩევანი ასეთ სოლიდურ კომპანიაზე. იუსტიციის სახლი არ არის მხოლოდ შენობა, მთავარია მისი შინაარსი, ეს არის მოქალაქეებისთვის მარტივი მომსახურება, მარტივი პროცედურები, ეს არის მართლაც ქართული პროდუქტი. ძალიან მიხარია, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები (მათ შორის ქალბატონი წულუკიანი) იუსტიციის სახლში მასპინძლობენ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციებს და სიამოვნებით აჩვენებენ მათ ქართულ ნოუ ჰაუს. მიხარია, რომ ამაზე საუბრობს ბრიტანეთის პარლამენტი, ჰილარი კლინტონი და სხვა მაღალი დონის პოლიტიკოსები, რომლებმაც მართლაც ვერ დამალეს აღფრთოვანება, როდესაც ეს სიახლე გავაცანით. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ და იუსტიციის მინისტრმა უნდა გადაწყვიტონ – ან მოსწონთ იუსტიციის სახლი და მიჰყავთ სტუმრები, ან ლანძღავენ და ავლენენ ცინიკურ დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ.

– საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ თბილისის მერი აუცილებლად თბილისელი უნდა იყოს და „ჯიგარი ეწვოდეს“... თქვენი დამოკიდებულება როგორია?

– არც ერთ შემთხვევაში არ ვიზიარებ ასეთ შეფასებებს. მეც არ ვარ დაბადებული თბილისში. შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს საქმის კეთება და მენეჯმენტი. მე არ მესმის არც ტერმინი „მეურნე“, რომელიც საბჭოთა პერიოდიდანაა დალექილი ჩვენს მეხსიერებაში. ამბობენ, რომ ნარმანია იქნება კარგი მეურნე, მაგრამ რაში გამოიხატება მისი „კარგი მეურნეობა“? რიკოთზე წამოთოვა და ეგრევე გზა ჩაიკეტა – ეს არის კარგი მეურნის შეფასების კრიტერიუმი? რამდენი წელია ჩვენ მსგავსი პრობლემის წინაშე არ დავმდგარვართ, რომ ქვეყნის ცენტრალური მაგისტრალი პრაქტიკულად პარალიზებული ყოფილიყო. ამ დღეების ამინდის ცვალებადობამაც დაადასტურა, როგორი მეურნეა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოქმედი მინისტრი. ვიცი, რა შეფასებაა მენეჯერი, მაგრამ რას ნიშნავს მეურნე, საერთოდ არ მესმის.

„რიკოთზე წამოთოვა და ეგრევე გზა ჩაიკეტა – ეს არის კარგი მეურნის შეფასების კრიტერიუმი“?

„როცა იუსტიციის სამინისტროში ვიყავი, აბსოლუტურად დისტანცირებული გახლდით პოლიტიკური პროცესებისგან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სპეციალისტების სკანდალური დასკვნა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს მოსახლეობა 34 პროცენტით შემცირდება

რას უპირისპირებს ხელისუფლება საგანგაშო მონაცემებს?

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულ ზღვარს უახლოვდება – ამ დასკვნამდე მივიდნენ სპეციალისტები, რომლებმაც ქვეყანაში არსებული ტენდენციები შეისწავლეს და საკუთარი დასკვნა გამოაქვეყნეს. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარება შეინიშნება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. „თუ საგანგებო ღონისძიებები არ განხორციელდა, 10-15 წელიწადში რაჭა გაუკაცრიელდება და მთლიანად დაიცლება მოსახლეობისგან, შემდეგ კი ანალოგიურ ბედს ლეჩხუმიც გაიზიარებს“, – წერია ნაშრომში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ამ დარგის სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს. ადგილობრივი სპეციალისტების გარდა, არცთუ ისე ოპტიმისტურ მომავალს გვიწინასწარმეტყველებენ საერთაშორისო ექსპერტები. კერძოდ, 2050 წლისთვის გაერო საქართველოს მოსახლეობის საგრძნობ შემცირებას პროგნოზირებს, საუბარია 28-პროცენტიან კლებაზე. ეს მაშინ, როდესაც მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა, პირიქით, გაიზრდება. გაეროს მონაცემებითვე, 2050 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობა – 34 პროცენტით, სომხეთის კი 7 პროცენტით გაიზრდება. რა თქმა უნდა, არავინაა წინააღმდეგი სხვა ერების გამრავლების, თუმცა, სპეციალისტების თქმით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი კლება ამიერკავკასიაში აშკარა დისბალანსს შექმნის.

გასული საუკუნის მონაცემებით, საქართველოში შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1961 წელს გვქონდა, როდესაც 104 ათასი ბავშვი დაიბადა. შემდეგ დაიწყო შობადობის საგრძნობი კლება, 2007 წელს კი გარკვეული მატება დაფიქსირდა, რაზეც სავარაუდო გავლენა იქონია პატრიარქის ინიციატივამ, რომლის თანახმადაც, ყოველი მესამე ბავშვი მისი უწმინდესობის ნათლული ხდება. თუმცა 2009 წლიდან შობადობამ კვლავ საგრძნობლად იკლო. რეგიონების თვალსაზრისით, ბუნებრივი მატება მხოლოდ აჭარაში, ქვემო ქართლსა და თბილისში აღინიშნება, სადაც მოსახლეობის მაქსიმალური კონცენტრაციაა. ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია. როგორც ამბობენ, რეგიონი სასწრაფო დემოგრაფიული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. ამ რეგიონში 80-იან წლებში 66 ათას 700 მოსახლე იყო, წელს ეს მაჩვენებელი 46 ათასს შეადგენს. მაგალითად, ონის რაიონში ფიქსირდება 8 ათას 200 მოსახლე, რაჭაში, 1966 წლის მაჩვენებლით, ამდენი მხოლოდ სკოლის მოსწავლე იყო. 70-იან წლებში შობადობის მაჩვენებელი ამ რეგიონში 5 ათას 500-მდე გახლდათ, 2012 წელს კი მხოლოდ 112-ია. ონსა და ამბროლაურში, 1967 წლის მონაცემებით, 59 სკოლა იყო, დღეს კი მხოლოდ 22 ფუნქციონირებს. ასეთი კატასტროფული ვითარება არ გახლავთ, მაგრამ დემოგრაფიული პრობლემები აქტუალურია ასევე გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთსა და კახეთში.

რას უპირისპირებს ხელისუფლება საგანგაშო სტატისტიკას? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ დემოგრაფიული აღორძინების ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებელს, დეპუტატ დიმიტრი ხუნდაძეს ესაუბრა. მისი თქმით, ეს მართლაც ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა და ამ მიზნით სახელმწიფო უპრეცედენტო პროექტის განხორციელებას აპირებს, რომელიც დემოგრაფიული პრობლემების მქონე რეგიონებში განხორციელდება. საუბარია ოჯახის ყოველ მესამე ბავშვზე ყოველთვიური დახმარების დანიშვნაზე და სხვადასხვა სახის სოციალურ მხარდაჭერაზე.

დიმიტრი ხუნდაძე, დეპუტატი:

– ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ფონდში დაიბადა და მას წარმატებით ახორციელებს ჯანდაცვის სამინისტრო, გახლავთ უფასო მშობიარობის პროგრამა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მინისტრ დავით სერგეენკოს. დღეის მდგომარეობით, 16 ათასამდე მშობიარობაა დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ. ამჟამად, ფონდში მნიშვნელოვანი ინიციატივაა მომზადებული, რომელიც მინდა თქვენი საშუალებით გავახმაურო. საუბარია ყოველი მესამე ბავშვის ყოველთვიურ დაფინანსებაზე. ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები გვქონდა ჯანდაცვის მინისტრთან. დავით სერგეენკო აქტიურადაა ჩართული ამ საკითხში. ჩვენ ახლა „იუნისეფთან“ ერთად ვაკეთებთ გათვლას, რამდენი სჭირდება ახალშობილს, რათა ამ კუთხით განვსაზღვროთ კონკრეტული თანხა.

– რა ასაკამდე დაწესდება ყოველთვიური დახმარება მესამე ბავშვზე?

– ჩვენ ვმუშაობთ, რათა ეს დრო განვსაზღვროთ. სავარაუდოდ, ეს იქნება რამდენიმე წელი. ახალი საფინანსო დოკუმენტით ჯანდაცვის ბიუჯეტში გვემატება 308 მილიონი ლარი. სწორი ოპერირებით ეს თანხა მიზნობრივად გადანაწილდება, მათ შორის ამ პროექტზეც. თუ ჩვენ სწორად განვსაზღვრავთ ფინანსებს, რა თქმა უნდა, ეს იქნება სრულიად რეალური. მით უმეტეს, როდესაც სუბარია ერის ფიზიკურ გადარჩენაზე. ყოველთვიური დახმარება, სავარაუდოდ, 150 ლარით განისაზღვრება. მაღალმთიან რეგიონებში გვინდა, შედარებით მაღალი კოეფიციენტი დავაწესოთ. ვნახოთ, ამ საკითხზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს და მალე ჩამოვყალიბდებით. ჩვენ უნდა მოვახერხოთ და მთიან რეგიონებში მოსახლეობა დავაბრუნოთ. გეტყვით ერთ მონაცემს: 2002 წლის შემდეგ 162 სოფელი საერთოდ აღარ არსებობს, დაცლილია ეს ტერიტორია. გარდა ამისა, არსებობს 172 სოფელი, სადაც მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა 8-10 ადამიანია. ამიტომ აუცილებელია ამ პროექტის სასწრაფოდ განხორციელება. პრაქტიკულად უკვე მზად არის სამუშაო ვერსია, მიმდინარეობს კონსულტაციები ჯანდაცვის სამინისტროსთან და რამდენიმე დღეში გადაწყდება, რა ფორმით წარდგება შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს პროექტი იმ რეგიონებში განხორციელდება, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა. ესაა, პირველ რიგში, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი. მაგალითად, ქვემო ქართლში ამის საჭიროება არ არის, რადგან ბუნებრივი მატებაა. ეს პროექტი რეგიონალური პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდება, რაც მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

მოკლედ, ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას ხელისუფლებაშიც ადასტურებენ და როგორც ირკვევა, შესაბამისი პროექტის განხორციელებაც იგეგმება, თუმცა რამდენად საკმარისია მესამე ბავშვის გაჩენისას ყოველთვიური მატერიალური დახმარება და რამდენად შეცვლის ეს პროექტი საერთო სურათს, ძნელი სათქმელია. ალბათ, კარგი იქნება, ხელისუფლებას იმ დაპირებული ქარხნების მშენებლობაზეც ეფიქრა, რაზეც წინასაარჩევნოდ საკმაოდ ბევრს საუბრობდა. დარგის სპეციალისტები მთიან რეგიონებში მოსახლეობის დამაგრების მთავარ გამოსავალს არა შობადობის მიხედვით დანიშნულ პენსიაში, არამედ სწორედ სამუშაო ადგილების შექმნაში ხედავენ. დაბოლოს, ისევ გაეროს მოსახლეობის ფონდის ინფორმაციით, საქართველოში მოსახლეობის 13 პროცენტი დღეში 1,25 დოლარზე (2 ლარი) ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს. ამდენად ქვეყანაში თითქმის 600 ათასი ადამიანი, ფაქტობრივად, შიმშილობს. ასეთ პირობებში, ცხადია, შობადობის გაზრდაზე საუბარი ზედმეტია. იმავე მონაცემებით, აზერბაიჯანში დღეში 1,25 დოლარიანი შემოსავლით ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი, ხოლო თურქეთში – 3 პროცენტი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაიწყება თუ არა საქართველოში განაჩენების ტოტალური გადახედვა?

my View

მირიან ბოძოლიშვილი

შეყვარებულის დაყაჩაღებისთვის ბრალდებული საქმის გადახედვას ითხოვს

ციხეებში პატიმრები საკუთარი საქმეების გადახედვის მოთხოვნით უკვე რამდენიმე დღეა, შიმშილობენ. „პრაიმტაიმი“ წინა ნომერში უკვე წერდა, რა კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდადებული პირები მოითხოვენ საქმეების გადახედვას: განზრახ მკვლელობა, ნარკოტიკების რეალიზაცია, ქურდული სამყაროს წევრობა და ა.შ... იმ ათობით პატიმარს შორის, ვინც განაჩენის გადახედვას მოითხოვს, 24 წლის გენადი გულაბერიძეცაა. რამდენად რეალისტურია მისი მოთხოვნა, ეს მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ კი გთავაზობთ იმ წერილის შინაარსს, რომელიც რუსთავის #17 დაწესებულებაში მყოფმა პატიმარმა სხვადასხვა უწყებებში დააგზავნა.

„მე უდანაშაულოდ ვზივარ გამოძიების მიერ სპეციალურად „შეკერილი“ საქმით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე (ყაჩაღობა) და 260-ე (ნარკოდანაშაული) მუხლებით გამასამართლა. მე შევძელი და არ ავიღე ჩემს თავზე ის საქმე, რასაც საგამოძიებო ორგანო ცემით, წამებით, დამცირებითა და არაადამიანური მოპყრობით ცდილობდა“, – წერს პატიმარი.

განცხადებაში ის მოკლედ მიმოიხილავს მის ოჯახურ მდგომარეობას და სასიყვარულო ურთიერთობას გოგონასთან. სწორედ ამ ურთიერთობას უკავშირებს გულაბერიძე მის დაპატიმრებას.

„ფული არასოდეს მიჭირდა. მშობლები ცდილობდნენ, ჩემთვის არაფერი მოეკლოთ. 2007 წელს დამაკავეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის და მომისაჯეს ერთი წლით პირობითი მსჯავრი. ამისთვის გირაო შეტანილი მქონდა 2000 ათასი ლარი. 2009 წელს ვიცოდი, რომ პოლიცია დამდევდა და ცდილობდა, დავეკავებინე, რადგან ძვირადღირებული მანქანა მყავდა. ფული არ მაკლდა და უნდოდათ, როგორც იტყვიან, ფული წაერთმიათ. მე ძალიან ვფრთხილობდი და არაფერს და არავის ვეკარებოდი ისეთს, რაც პოლიციის მოსადავებელი იქნებოდა ჩემთან. მხოლოდ ერთადერთი, ვისთანაც ახლოს ვიყავი, ჩემი შეყვარებული ნანა ბრეგვაძე იყო, რომელიც რამდენიმე თვის ადრე გავიცანი და მასთან ვახლობლობდი. ის სასტუმროში ცხოვრობდა და თანხის გადახდაში ხანდახან მეც ვეხმარებოდი, თუმცა ფული სულ ჰქონდა. მიკვირდა, საიდან ჰქონდა ფული, მაგრამ დამამშვიდა, მშობლები მეხმარებიანო და მეც აღარ ჩავძიებულვარ. ის გავაცანი ჩემს ძმასაც და ჩემს მეგობრებსაც, როგორც ჩემი შეყვარებული და ისინიც პატივისცემით ეკიდებოდნენ ნანასაც და ჩემს გრძნობებსაც. მერე ის გადავიდა დაქირავებულ ბინაში ხიმშიაშვილის ქუჩაზე. მალე მეთხრეს, რომ ის დაინახეს ვიღაც თურქთან ერთად ხელგადახვეული. არ დავიჯერე, მაგრამ მაინც მივედი სახლში და ვუთხარი, სიმართლე ეთქვა. თავიდან შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ ეგრევე მომახალა, რომ ის თურქს ხვდებოდა, ფულს სწორედ ის აძლევდა და მითხრა, არ ჩავრეულიყავი მის ცხოვრებაში. იმდენ ფულს მაძლევს, ორივეს გვეყოფა და შენ რას დაეძებო. მე ეგრევე შემჯავრდა ეს ქალი, რამდენჯერმე ხელი დავარტყი და წამოსვლას ვაპირებდი, როდესაც თურქიც შემოვიდა სახლში. ჯერ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მერე პირდაპირ წამოვიდა ჩემკენ, მასაც ხელი ვკარი და გარეთ გამოვვარდი. სულ ეს იყო და ეს.

ორი დღის შემდეგ დამაკავეს ბენზინგასამართ სადგურთან, ჯიბეში ჩამიდეს მარიხუანა, როგორც შემდეგ გავიგე, რადგან მე უფრო „წამალი“ მეგონა. როდესაც წამაქციეს და ბორკილები დამადეს, ერთ-ერთ მათგანს ჩემს თავზე ფეხი ჰქონდა დაჭერილი, კინაღამ კისერი მომტეხა. პირქვე ვიწექი და ვერ დავინახე, მაგრამ ვიგრძენი, როგორ ჩამიდეს უკანა ჯიბეში რაღაც და მერე კარგა ხანს ვყავდი ასე წაქცეული, სანამ ვიღაცები არ მოვიდნენ და არ წამიყვანეს განყოფილებაში. იქ კი ჩემზე აუტანელი წამება, ცემა და დამამცირებელი მოპყრობა ხდებოდა“, – წერს განცხადებაში პატიმარი გენადი გულაბერიძე.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, საქმეში დევს დაზარალებულების ჩვენება (ნანა ბრეგვაძე და მისი თურქი პარტნიორი), რომლებიც მიუთითებენ, რომ გულაბერიძე მათ ყაჩაღობის მიზნით დაესხა თავს. გულაბერიძე განცხადებაში სამართალდამცავი სტრუქტურების იმ წარმომადგენლებსაც ასახელებს, რომლებიც, მისი თქმით, არაადამიანურად ეპყრობოდნენ:

„ზაზა გოგია – ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორი, ვინც „მარიხუანა“ ჩამიდო. ეს დაფიქსირა ვიდეოთვალმა ბენზინგასამართ სადგურზე, თუმცა ჩემი ადვოკატი რომ მივიდა ამ ჩანაწერის ამოსაღებად, ის წაშლილი დახვდა და საწარმოს უფროსმა უთხრა, რომ მაშინვე წაშალეს და ვერც ჩვენებას მივცემ, რადგან გამანადგურებენო. ჩვენების მიცემაზე თანახმაა ამ ბენზინგასამართი სადგურის მოლარე, რომელიც დაადასტურებს იმას, როგორ ჩამიდო ამ თანამშრომელმა „მარიხუანა“ ჯიბეში. ასევე, იტყვის, ვინ წაშალა ჩანაწერი.

ზვიად კონცელიძე და ვაჟა დევიძე – ბათუმის საქალაქო სამმართველოში, ზაზა გოგიასთან ერთად, მცემდნენ დაუნდობლად, რათა მეღიარებინა ყაჩაღობაც და „მარიხუანაც“, რასაც ვერ მიაღწიეს.

პროკურორი გიორგი დავითაშვილი ჯერ სამმართველოში მონაწილეობდა ჩემს მეთოდურ წამებაში, შემდეგ კი, როცა ბათუმის ციხეზე გადამიყვანეს, რამდენჯერაც მოვიდა, იმდენჯერ მიიღო მონაწილეობა ჩემს ცემაში, ციხის უფროს ზაზა ჯიქიასთან ერთად. საერთოდ კი, ციხეში თითქმის 9 თვე განუწყვეტლივ მიდიოდა ჩემი ცემა და დამცირება“, – წერს პატიმარი გულაბერიძე.

P.S. დღეს ეს პატიმარი, სხვებთან ერთად, საქმის გადახედვას ითხოვს, თუმცა რა ბედი ეწევა დაზარალებულების ჩვენებებს და იმ მტკიცებულებებს, რომელიც მის წინააღმდეგ დევს საქმეში, ძნელი სათქმელია. ერთი მხრივ, ცხადია, რომ თუკი ციხეში, ან წინასწარი დაკავების იზოლატორში რომელიმე პატიმრის მიმართ დამამცირებელ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, ეს უნდა გაირკვეს და დამნაშავეც დაისაჯოს, თუმცა, მეორე მხრივ, სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირების საქმეების ტოტალურმა გადახედვამ შესაძლოა, საგამოძიებო ორგანოები ჩიხში შეიყვანოს. განაჩენების მასობრივ გადახედვას, როგორც ჩანს, აქტიური მხარდამჭერები არც მმართველ კოალიციაში ჰყავს. სწორედ ამაზე მიანიშნებს მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის გადავადება. ამ ინიციატივას ლობისტები ქუჩაში ჰყავს, ნანა კაკაბაძის სახით. სადამდე მივა ეს პროცესი, ალბათ, მალე გაირკვევა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბედუკაძეს იჭერენ?

ვლადიმერ ბედუკაძე: „რამდენადაც არ უნდა უნდოდეს მავანს ამ საქმის ხელახლა გამოძიების დაწყება, ეს გამორიცხულია“

მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურა ვლადიმერ ბედუკაძის წინააღმდეგ ახალ მტკიცებულებებს აგროვებს. ამის შესახებ აქტიურად საუბრობენ სახელისუფლებო კულუარებში. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ ციხის სკანდალური კადრების ავტორის წინააღმდეგ გამოძიება, სავარაუდოდ, ახალი წლის შემდეგ განახლდება და ბედუკაძეს პატიმრების წამების მუხლით ბრალს კიდევ ერთხელ წაუყენებენ. როგორც ცნობილია, ციხის სკანდალის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი ყოფილმა მთავარმა პროკურორმა პირადი შუამდგომლობით გაათავისუფლა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. ირკვევა, რომ სრულიად განსხვავებული მიდგომა აქვს არჩილ კბილაშვილის შემცვლელს, რომელმაც უკვე დააპატიმრა ასევე ციხის სკანდალში გახვეული ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ჩხატარაშვილი. ბედუკაძის მსგავსად, ჩხატარაშვილიც აქტიურად თანამშრომლობდა გამოძიებასთან, თუმცა აღმოჩნდა, რომ ერთწლიანი თანამშრომლობა მას არ დაუფასდა.

„აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა აქვს ასეთ თემებზე ახალ პროკურორს და ვიცი, რომ მიმდინარეობს მუშაობა ბედუკაძის საქმეზეც. ახალი წლის შემდეგ, ალბათ, უფრო გაირკვევა და საბოლოოდ გადაწყდება მისი საკითხი“, – გვიყვება მმართველი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელმაც ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობის დაცვა გვთხოვა.

მოკლედ, ჩხატარაშვილს „ამაგი“ არ დაუფასდა. სავარაუდოდ, მის ბედს გაიზიარებს ვლადიმერ ბედუკაძეც, თუმცა ის უკვე დააფასეს მოსკოვში, სადაც გამოჩენილი მამაცობისთვის დაავჯილდოვეს კიდეც.

თავად ბედუკაძე მის წინააღმდეგ გამოძიების ხელახალ დაწყებას გამორიცხავს. მისი განცხადებით, აღნიშნული კადრებით მანიპულირება იმ ადამიანების ინტერესებში შედის, რომლებსაც ბედუკაძის დაკავება სურთ.

„რამდენადაც არ უნდა უნდოდეს მავანს, ამ საქმის ხელახალი გამოძიების დაწყება გამორიცხულია, თუ რაიმე ახალი მტკიცებულება არ აღმოჩნდა, რომელიც ჩემს ბრალს დაადასტურებს. მე რომ მწამებელი და ბრალმდებელი ვიყო, თავისუფლად ვერც პოლიტპატიმართა შეკრებაზე მივიდოდი და ვერც ქუჩაში ვივლიდი. ის შეკერილი საქმე, რომელსაც ადეიშვილი, ჩხატარაშვილი და ზოდელავა აწარმოებდნენ ჩემ მიმართ, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს საქმე ხელახლაა გადასახედი“, – განაცხადა ბედუკაძემ და აღნიშნა, რომ, რომ არა მისი თავგანწირვა, აღნიშნული კადრები დღის სინათლეს ვერასდროს იხილავდა.

ბედუკაძე დარწმუნებულია, რომ მას ვეღარ დააპატიმრებენ. მეტიც, ის ახლა უფლებადამცველის იმიჯის მორგებასაც ცდილობს, ქმნის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მონიტორინგის ცენტრს“.

„არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, თუმცა მე და ბატონმა ზაზამ (იგულისხმება „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ზაზა დავითაია) გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი მონიტორინგის ცენტრი“, რომლის მიზანი იქნება საქართველოში სამართლიანობის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში მონაწილეობა. ჩვენ თავიდანვე ვთხოვთ რეჟიმის მსხვერპლ ყველა ადამიანს, ითანამშრომლოს ჩვენთან და მოგვაწოდოს ინფორმაცია იმ საქმიანობის შესახებ, რის გამოც არიან დაზარალებულები. ჩვენ განზრახული გვაქვს საიტის ამუშავება, სადაც განთავსდება ინფორმაცია დაზარალებული ადამიანების შესახებ. ამ ეტაპზე ორგანიზაციას დაფინანსება არ აქვს, მაგრამ იმედია, სახსრებს მოვიძიებთ“, – განაცხადა ბედუკაძემ.

ძნელი მისახვედრი არ არის, რა სახსრებს გულისხმობს ბედუკაძე. ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ ინფორმაცია მან რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ გაახმოვანა, სადაც ის კრემლთან დაახლოებულ ქართველ ბიზნესმენს, ვლადიმერ ხომერიკს და დუმის რამდენიმე დეპუტატს შეხვდა.

როგორც უკვე გითხარით, სანამ ციხის სკანდალის ერთ-ერთი ფიგურანტი აქტიურ უფლებადაცვით მოღვაწეობას დაიწყებს, შესაძლოა, მის წინააღმდეგ ახალი ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. მით უმეტეს, რომ პროკურატურაში დევს არაერთი პატიმრის ჩვენება, რომლებიც წამებასა და სასტიკ მოპყრობაში სწორედ ბედუკაძეს ამხელენ.

„ახალი წლის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდება მისი საკითხი“

„რუსეთი განაგრძობს სა

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ქართველი ექსპერტები უარყოფენ სომხეთში რუსული სამხედრო ბაზის შეიარაღების გაზრდას. მეტიც, ისინი უპასუხისმგებლოს უწოდებენ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის განცხადებას გიუმრის სამხედრო ბაზის შეიარაღების გაზრდის თაობაზე. თუმცა საკითხი რუსეთ-სომხეთს შორის უკვე გადაწყვეტილიცაა და შესრულებულიც. გიუმრის სამხედრო ბაზა რუსეთის მფლობელობაშია და მისი შემადგენლობა რამდენიმე ობიექტითა და 18 სამხედრო ვერტმფრენით უკვე გაიზარდა. სომხური მედია სიდიდით მეორე ქალაქის სტატუსის შეცვლასაც ვარაუდობს. ამბობენ, რომ გიუმრი მალე დახურული ქალაქი გახდება, სადაც მხოლოდ სპეციალური საშვებით შეუშვებენ. ოფიციალური უწყებები აღნიშნულ ინფორმაციას უარყოფენ, თუმცა ადასტურებენ, რომ რუსეთის მფლობელობაში დამატებით გადავიდა გიუმრის სამხედრო ქალაქი #21, ასევე ერევნის სამხედრო ქალაქი #7, ერებუნის აეროპორტში საწვავი-საპოხის საწყობი და როგორც ამბობენ, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ვერტმფრენების აეროდრომის გადაცემაზეც. სომხეთში რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის გაზრდა სწორედ მოსკოვის მოთხოვნა იყო.

ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულებაში ცვლილება 2010 წელს შევიდა და ის დამატებით 49 წლით გახანგრძლივდა. სწორედ ამ წელს გადაწყდა, რომ რუსეთი სომხეთის საზღვრებს დამატებით გააკონტროლებდა. თუ 2010 წლამდე რუსეთი მხოლოდ ირანი-თურქეთის საზღვრებს აკონტროლებდა, ცვლილებების შედეგად, მან საკუთარ თავზე აიღო სომხეთში სიმშვიდის დაცვა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრებთანაც. ადგილობრივი მედია წერს, რომ საომარი მდგომარეობის დროს რუსეთი ადეკვატურად იმოქმედებს აღნიშნულ საზღვრებთან... „ამ ეტაპისთვის საქართველო არ წარმოადგენს რაიმე საფრთხეს სომხეთისთვის. რეალური მუქარა აზერბაიჯანიდან მოდის, რომელთანაც სომხეთს კონფლიქტი აქვს. საფრთხე ასევე შეიძლება გაჩნდეს თურქეთის მხრიდანაც. რუსეთის სამხედრო შეიარაღების გაზრდაც სწორედ ამ საფრთხეებთან არის დაკავშირებული“, – წერს „კომერსანტი“...

გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ხელისუფლება არასათანადოდ აღიქვამს გიუმრის ბაზაზე შეიარაღების გაზრდას და ამ საკითხზე არც საერთაშორისო ორგანიზაციებთან აწარმოებს მოლაპარაკებას...

გრიგოლ ვაშაძე:

– საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოხატა უკიდურესი შეშფოთება რუსეთის პროვოკაციული ქმედებების გამო, რომელსაც ის ქარელსა და გორის რაიონის სოფლებში ეწევა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არ არის ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეს არის ბიძინა ივანიშვილის საგარეო საქმეთა სამინისტრო და თუ ის უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე ნამდვილად ცუდადაა. იმაზე ცუდად, ვიდრე ჩვენ გვგონია. არ დაგვავიწყდეს, რა განცხადებებით მოვიდნენ ისინი ხელისუფლებაში, ამბობდნენ, რომ რუსეთთან ყველაფერი დალაგდება, ურთიერთობები აღდგება. ყველა ვხედავთ ცვლილებას რიტორიკაში. ისინი ამბობდნენ, რომ იციან ის რეცეპტი, რომლითაც ურთიერთობების დალაგება

გიორგი თავდგირიძე: „პოლიტიკოსებმა საზოგადოება წინასწარვე უნდა მოამზადონ, რომ გარკვეული მუქარა იქნება“

უნდა მომხდარიყო. ახლა აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ეგონათ. თავის დროზე ჩვენც არ ვაკეთებდით განცხადებებს, თუ რუსეთი ჩვენს მოქალაქეს არ გაიტაცებდა, ან რუსეთის სამხედროები არ დაარღვევდნენ ჩვენი მოქალაქეების უფლებებს, ან რუსეთის წარმომადგენლები არ ჩავიდოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და არ გააკეთებდნენ პროვოკაციულ განცხადებებს, ან თუ დამატებითი შეიარაღება არ შევიდოდა... მათ წინა ხელისუფლების რიტორიკა არ მოსწონდათ და დღეს რომ მათ განცხადებებს გადახედოთ, იტყვით, ნახავთ, რომ ისინი ჩვენი განცხადებების ასლია... მაგრამ მთავარი ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლება რატომღაც ხმას არ იღებს იმაზე, რა რაოდენობის დამატებითი შეიარაღება შეჰყავს რუსეთს სომხეთში, რუსეთის სამხედრო ბაზაზე.

– ფიქრობთ, რომ რუსეთი ამას საქართველოს წინააღმდეგ ამზადებს?

– რუსეთს ბერკეტები არ აქვს, იმიტომ რომ ფუნდამენტური საკითხი იყო გადაწყვეტილი ჩვენი ხელისუფლების დროს. ჩვენ არ ვართ დამოკიდებული არც რუსულ გაზზე, არც რუსულ ენერგეტიკაზე. ამის გარდა, რუსული ბაზრის როლი ჩვენს ეკონომიკაში მინიმუმია. რუსეთი ვერ გამოიყენებს ჩვენს წინააღმდეგ ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, პოლიტიკურ ბერკეტებს, სამაგიეროდ შეუძლია გამოიყენოს ორი ისეთი ბერკეტი, როგორიც არის ოკუპირებული ტერიტორიები. იქ ყველანაირ პროვოკაციას უნდა ველოდოთ. და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება გაფრთხილებაა მოსახლეობის მისამართით. რუსეთი განაგრძობს სამხედრო ტურიზმს სამხრეთ კავკასიაში. ამჯერად სომხეთის ტერიტორიაზე დამატებით რამდენიმე ათასი სამხედრო ტურისტი განთავსდება. ასევე, დამატებით რამდენიმე ათასი რუსი სამხედრო განთავსდება გიუმრის სამხედრო ბაზაზეც თავისი შვეულმფრენებითა და სხვა სამხედრო ტექნიკით.

– იცით, როგორია ამაზე ხელისუფლების პოზიცია?

– საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე ხმამაღლა განცხადებები არ უნდა გააკეთოს, მაგრამ ამაზე აუცილებლად უნდა ისაუბროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

– არ საუბრობენ?

– ზუსტად ვიცი, რომ არ საუბრობენ. საქართველოს დიპლომატიის მცდელობები უკიდურესადაა შესუსტებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართულებით.

გადაჭარბებულს უწოდებს ვაშაძის ვარაუდ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ამხედრო ტურიზმს სამხრეთ კავკასიაში“



„მთავარი ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლება რატომღაც ხმას არ იღებს იმაზე, რა რაოდენობის დამატებითი შეიარაღება შეჰყავს რუსეთს სომხეთში, რუსეთის სამხედრო ბაზაზე“

ებს სამხედრო ექსპერტი, გიორგი თავდგირიძე. მისი განცხადებით, გიუმრის სამხედრო ბაზა საქართველოსთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. ექსპერტის განცხადებით, ინფორმაცია დაზუსტებული არ არის და არც რუსეთს გაუკეთებია ოფიციალური განცხადება შეიარაღების შესახებ. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან სამხედრო აგრესიასაც გამორიცხავს...

გიორგი თავდგირიძე, სამხედრო ექსპერტი:

– გიუმრის კონფიგურაციის შეცვლა ასეთი მარტივი არ არის, ეს ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა. ასევე, უნდა გაირკვეს, ეს გაძლიერება თუ მართლაც ხდება, ხდება იმიტომ, რომ აზერბაიჯანის შეიარაღების რაოდენობა არღვევდა ბალანსს და დასაბალანსებლად იზრდება რუსეთის შეიარაღება, თუ ეს ყველაფერი იგეგმება საქართველოს წინააღმდეგ. პოლიტიკოსების მხრიდან ნახევრად გაკეთებული განცხადებები, რომლებიც დადასტურებული არ არის ფაქტებით, უკვე გამაღიზიანებელია. ასეთი სერიოზული ინფორმაციები ასე ზერელედ არ უნდა კეთდებოდეს, რუსეთის მხრიდან ეს ინფორმაცია ოფიციალურად

არ გავრცელებულა. რაც შეეხება შეიარაღებას, ის იცვლება და იზრდება. სხვათა შორის, როდესაც ვაშაძე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, მაშინ ჩვენ შეგვეძლო, ხელშეკრულება გაგვეუქმებინა რუსეთთან, რომლის თანახმადაც რუსეთს აქვს უფლება, გამოიყენოს საქართველოს სივრცე და მოახდინოს სამხედრო დანიშნულების ტვირთების, ორმაგი დანიშნულების ტვირთების, სამხედრო მოსამსახურეების გიუმრის ბაზაზე გადაყვანა. ამისთვის ის არ ითხოვს დამატებით ნებართვას საქართველოსგან. საქართველოს საჰაერო სივრცე არის ერთ-ერთი უმოკლესი გზა, რომელსაც იყენებს რუსეთი ხელშეკრულების ფარგლებში და თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ გააკეთა არაფერი, რომ ეს შეეჩერებინა.

– რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ეს ბაზა?

– გიუმრის ბაზა არის ერთ-ერთი ყველაზე არახელსაყრელი მიმართულება, საიდანაც შეიძლება საქართველოს სამხედრო ოპერაცია ემუქრებოდეს. რუსეთს აქვს ბევრად მნიშვნელოვანი ბაზა ცხინვალის რეგიონში. ამ ბაზაზე კი არ შეიმჩნევა არც რაოდენობრივი და არც სამხედრო ზრდა და მომზადება. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ რუსეთი სამხედრო მოქმედების დაწყებას აპირებს საქართველოს წინააღმდეგ. ნაციონალები ამბობდნენ, რუსეთს ჩვენს წინააღმდეგ ბერკეტები არ გააჩნია და არ გვეშინიაო, ეს არასწორია. რუსეთს, რა თქმა უნდა, აქვს ბერკეტი, თუმცა, ბუნებრივია, მოსახლეობა პანიკაში არ უნდა ჩავაგდოთ. უბრალოდ, უნდა შევძლოთ და ხალხი დავარწმუნოთ, რომ ჩვენ ამ ზეწოლას გავუძლებთ. ნაციონალებს სურთ, რომ „ოცნებას“ რუსეთის ზეწოლის შეეშინდეს, ბოდიში მოიხადონ, აღიარონ, ზეწოლის გვეშინიაო და „უშიშარ“ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუთმონ ხელისუფლება...

– ნაციონალები ამბობენ, რომ ამ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან აუცილებლად და აქტიურად უნდა ილაპარაკონ...

– არანაირ ორგანიზაციებთან ლაპარაკი საჭირო არ არის. მათ ისედაც იციან ყველაფერი ჩვენი თქმის გარეშე. გარე-გარე სირბილი, ვერ ვხვდები, რა საჭიროა. ამ გარე-გარე სირბილის დამაგვირგვინებელი შეიძლება იყოს ნატოში გაწევრიანება, მაქსიმუმ. სანამ ნატოში არ გავწევრიანდებით, მანამ ნატოს მონიტორინგი საქართველოში რუსეთის მდგომარეობაზე ავტომატურად ხორციელდება, იმის მიუხედავად, რას ვიტყვით და რა ხმაზე ვიყვირებთ. ის, რომ რუსეთმა შეიძლება ეკონომიკური ბერკეტები აამოქმედოს, მხოლოდ ჩვენი პრობლემაა და ეს ჩვენს მხრებზე უნდა გადავიტანოთ მხოლოდ. ამ ყველაფრისთვის ჩვენ თავად უნდა მოვემზადოთ. გასაგებია ლოზუნგი, რომ უკრაინაში წყდება ჩვენი ბედი, მაგრამ რეალურად სწორედ აქ, საქართველოში წყდება საქართველოს ბედი. ამის ხედვა „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ჰქონია...

– და „ოცნებას“ აქვს ეს ხედვა?

– ჯერ შევხედავთ ახალ ხელისუფლებას. ჯერ მხოლოდ ნაციონალების გაკეთებულს ვხედავთ. რა გააკეთეს 2008 წელს ნაციონალებმა? ისინი აბსოლუტურად მოუმზადებლები შეხვდნენ. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, გარკვეული შეცდომები და გაურკვეველი პოლიტიკური გადაწყვეტილებები არსებობს, რის გამოც შეიძლება მათი გაკრიტიკება, თუმცა არ ვიცით, როგორ იმოქმედებენ ისინი კრიტიკულ სიტუაციაში. ამიტომ წინასწარ იმის თქმა, რომ ვერ გაუმკლავდებიან, უმადურება იქნება.

– თქვენ რა ბერკეტებს თვლით ყველაზე სახიფათოდ რუსეთის ხელში?

– ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია. წელს კახეთისთვის ძალიან წარმატებული წელი იყო, სწორედ რუსეთში ღვინის გატანის თვალსაზრისით. ამიტომ ეს ბაზარი ხვალ ისევ რომ ჩაიკეტოს, ბუნებრივია, ჭარბი ღვინო ველარ გასაღდება, რთული იქნება სხვა ბაზრების მოძებნა მოკლე პერიოდში. რაც შეეხება ენერგეტიკას, აქაც შეიძლება მოხდეს გარკვეული შეფერხებები, რადგან ელექტროგამანაწილებლები სწორედ რუსული ფირმებია, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უფლება, მოვთხოვოთ ამ ფირმებს, მოიძიონ ალტერნატიული გზები ელექტროენერგიის შესაძენად და მოსაწოდებლად. ყოველ შემთხვევაში აქ ვაჭრობის საშუალება გვაქვს. რაც შეეხება სამხედრო აგრესიას, ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა, მით უმეტეს, თუ კარგად არ იქნება არგუმენტირებული, დასაბუთებული. რუსეთი ვერ შეძლებს, უმიზეზოდ დაიწყოს აგრესია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვყავს უმნიფარი პოლიტიკური სპექტრი, მოუმზადებლები არიან, ისინი პრაქტიკულად ბავშვობის ასაკში არიან, ამიტომ მათზე ზეწოლის მოხდენა და მათ წინაშე კუნთების თამაში ძალიან ადვილია, გარკვეული მანევრები რუსეთის მხრიდან იქნება. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ინტელიგენციის როლი, ჩვენთან კი ინტელიგენცია მხოლოდ ტირილის დროს არის ძლიერი, სამწუხაროდ. ამიტომ პოლიტიკოსებმა საზოგადოება წინასწარვე უნდა მოამზადონ, რომ გარკვეული მუქარა იქნება.

„საქართველოს დიპლომატიის მცდელობები უკიდურესადაა შესუსტებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართულებით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

SHISEIDO



Shiseido - სხეულის, გონების და სულის ჰარმონია

თამარ გორთამაშვილი

„ისი პარის“ მორიგი სიურპრიზი ჟურნალისტებს და საახალწლო საჩუქარი მომხმარებელს. კომპანია ტრადიციას არ ღალატობს და წელსაც, საახალწლოდ, მსოფლიო პარფიუმერულ ბრენდებზე მაღალპროცენტიან ფასდაკლებას აცხადებს. თუმცა ახლა, სულ სხვა თემას მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო. გასულ კვირას, „ისი პარის“ მოწვევით, თბილისში „შისეიდოს“ საერთაშორისო კლასის ვიზაჟისტი ქრისტოფერ კამი იმყოფებოდა და ალბათ, ადვილი გამოსაცნობია ვის ხვდებოდა წილად პირველად მოესინჯა საკუთარ თავზე მისი ჯადოსნური ხელი. „ისი პარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ხატია შამუგიამ ამჯერადაც მედიის წარმომადგენლები მიგვიწვია. „შისეიდო“-სთან ჩემი „მეგობრობა“ რამდენიმე წლის წინ სახის დამატენიანებელი საცხით დაიწყო და დღემდე გრძელდება, თუმცა უფრო ფართო ასორტიმენტით. საოცარი ეფექტი, რომელიც ჩემს ძალიან მგრძნობიარე სახის კანზე ამ საშუალებებმა მოახდინა, ვფიქრობ, რომ სახეზეა, რადგან არასდროს ვუჩივი იმ პრობლემებს, რომლებიც ძალიან ბევრ ქალბატონს სახის კანთან მიმართებაში აწუხებს. სწორედ ამიტომ, სიამოვნებით მივიღე მოწვევა და იაპონელ ქრისტოფერს, საკუთარი, ძალიან პრეტენზიული თავი, თამამად ვანდე და არც შევცდი. ჩემთვის ცოტა რთულია ზუსტად აღვწერო ვიზაჟის ის ტექნიკა, რასაც ქრისტოფერი ფლობს, თუმცა მარტივად შემიძლია გითხრათ შედეგი - მან, ხელის მსუბუქი მოძრაობით, ჩემი იმიჯი რადიკალურად შეცვალა, თუმცა ამ ყველაფერს მხოლოდ ქრისტოფერს ვერ დავაბრალებთ, რომ არა „შისეიდო“-ს დეკორატიული კოსმეტიკა, შედეგი, ალბათ, განსხვავებული იქნებოდა.

რატომ ითვლება „შისეიდო“ უნიკალურ ბრენდად? იმიტომ, რომ ეს კომპანია სხეულის, გონების და სულის ჰარმონიაზეა დაფუძნებული, 140-წლიანი გამოცდილებით. მისი 3 ძირითადი მოთხოვნა, პროდუქციის მაღალი ხარისხი, ბრენდის მაღალი იმიჯი და მაღალი სერვისია. ბრენდი სამ ძირითად ძვირფასეულობაზეა აგებული - სიმდიდრე, მეცნიერება და ომოტენაში. „ყველაფერი უნდა იყოს მდიდრული, სიმდიდრე ავსებს ჩვენს ცხოვრებას“, - ამბობდა ფუკუხარა, რომელმაც „შისეიდო“-ს კომპანია, ჯერ კიდევ 1872 წელს, ტოკიოს შუაგულში, პრესტიჟულ ევროპულ რაიონში - გინზაზე დააარსა. ეს იყო პირველი აღმოსავლური ფარმაცევტული კომპანია იაპონიაში, რომელიც დღემდე უდიდეს კოსმეტიკურ კომპანიად ითვლება მსოფლიოში. იაპონიაში ნომერ პირველია, მსოფლიო ბრენდებში კი მეოთხე ადგილზე.

ალბათ, გაინტერესებთ „შისეიდო“-ს ლოგოს შექმნის ისტორიაც - ბრენდის ლოგოს - კამელიას იდეა, ფუკუხარას ვაჟიშვილს ეკუთვნის. იდეა კი კამელიის ზეთიდან წამოვიდა. მისგან შეიქმნა თმის ერთ-ერთი პროდუქტი, რომელმაც წარმოუდგენელი პოპულარობა მოიპოვა. ზოგადად კამელიის ყვავილი იაპონიაში სიძლიერის და სილამაზის სიმბოლოდ ითვლება.

„შისეიდო“-ს კოსმეტიკა ბუნებრივ და ექსკლუზიურ ინგრედიენტებს შეიცავს, რაც კანს სილამაზის შენარჩუნებაში ეხმარება. მისი პროდუქტები უახლესი ტექნოლოგიებითაა დამზადებული და გამოიყენება მგრძნობიარე კანზეც, რადგან ყველა ტიპისთვის. Pureness - ცხიმიანი კანისთვის; Skincare - დამნამავი ხაზი მიმიკური ნაოჭებისთვის; Bop - პირველ ნაოჭებთან საბრძოლველად და კანის სიმკვრივისთვის; Benefiance - ნაოჭების და სიმშრალის საწინააღმდეგოდ; Future Solution - უნივერსალური ხაზი, რომელიც ებრძვის ნაოჭებს, სიმშრალეს და კანის დაბერებას; White Lucency - პიგმენტურ ლაქებთან საბრძოლველად. კომპანია ასევე აწარმოებს არაჩვეულებრივ კანის დამცავ და გასარუჯ საშუალებებს, ასევე თმისა და ტანის მოვლის ხაზს. კომპანიამ შექმნა არომატი - Kuroho, რომელიც ხელს უწყობს ცელულიტის დამარცხებას.

Bio-Perfomance-ის ხაზის გამოშვების პირველივე წელს, მისი გაყიდვების მაჩვენებელი ევროპაში 90 მილიონს შეადგენდა. მას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში და ევროპულ ბაზარზე ლიდერად ითვლება.

Bio-Perfomance-ის ხაზში გამოყენებულია „შისეიდო“-ს 12 ექსკლუზიური ტექნოლოგია, რომელშიც შედის 109 დაპატენტებული ინგრედიენტი.

არანაკლებ 4 000 აქტიური ინგრედიენტის კომბინაცია იყო ტესტირებული ახალი კრემის BIO-PERFORMANCE Advanced Super Revitalizing Cream ფორმულის შესაქმნელად, რომელიც კომპანიამ დაარსებიდან 140-ე წლისთავზე შექმნა. გამოშვებისთანავე ამ ხაზს საერთაშორისო პრესისგან 24 პრემია მიენიჭა.

100-წლიანი კვლევების შედეგად კანის პიგმენტაციაზე „შისეიდო“-მ აღმოაჩინა ლაქების წარმოქმნის გენეტიკური მიზეზი და ასევე 140-ე წლისთავზე შექმნა უახლესი ფორმულა, რომელიც მიზანდასახულად ებრძვის პიგმენტურ ლაქებს, ლაზერული თერაპიის სიზუსტით.

„შისეიდო“ ასევე წარმოგვიდგენს არაჩვეულებრივ არომატს თანამედროვე ქალბატონებისთვის და მამაკაცებისთვის - Zen, რომლის შეძენაც, „შისეიდო“-ს სხვა პროდუქტების მსგავსად, საქართველოში, „ისი პარის“ ქსელში შეგიძლიათ. ასე რომ, თუ საახალწლოდ საკუთარ თავს ან თქვენთვის საყვარელ ადამიანს გსურთ დაუვიწყარი საჩუქარი გაუკეთოთ - „შისეიდო“ გელით, დაუვიწყარი შთაბეჭდილების გარანტიით.

მკვეთრად გამოხატული დამამშვიდებელი ეფექტი აქვს. „შისეიდო“-ს ყველა პროდუქტი ანტისტრესულ არომატს შეიცავს და არომათერაპიული მოქმედება აქვს. მეცნიერულ კვლევებში „შისეიდო“ მსოფლიო ლიდერად ითვლება.

„შეისეიდო“-მ შეიმუშავა კანის მოვლის საშუალებები

ქრისტოფერ კამი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეპუტატ ფეიქრიშვილს სასამართლოში უჩივლეს

ერეკლე სტურუა

ამ კვირაში დეპუტატ თემურ ფეიქრიშვილის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი გაიმართება. მას აფიორაში ადანაშაულებენ, კერძოდ კი გამოძალვაში. საქმე ეხება წავკისი-ტაბახმელას რაიონში განთავსებულ 4 ათასი კვადრატული მიწის ნაკვეთს, რომელშიც დეპუტატი ლამის მილიონზე მეტს ითხოვს. ჩვენ აქ დეტალების გარჩევას არ შევუდგებით, სიმართლეს სასამართლო დაადგენს, თუმცა, დეპუტატის წინააღმდეგ სერიოზული მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები არსებობს. ბიზნესმენი თამაზ მჭედლიძე წავკისი-ტაბახმელას ტერიტორიაზე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენებას გეგმავს, მან პასუხისმგებლობა წავკისის ტყე-პარკზეც აიღო. ვიღაცებმა, კერძოდ კი, დეპუტატმა ფეიქრიშვილმა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ამ ტერიტორიაზე პატარა მიწის ნაკვეთზე სოლიდური თანხა გააკეთოს. ამ თემამ სოციალურ ქსელებშიც შეაღწია. შეიქმნა სპეციალური გვერდი – „წავკისელი ფეოდალები“. კომენტარში ვკითხულობთ: გვჯერა დოკუმენტების, რომლებიც მოწმობს ფეიქრიშვილების, ლელუაშვილების, ქოროღლიშვილების, ჯაფიაშვილების კორუმპირებულობას. და არ გვჯერა ცარიელი ცრუპენტელა პოსტების... დეპუტატი თემურ ფეიქრიშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბარში მოკლე კომენტარს აკეთებს; ის ამბობს, რომ ბიზნესმენმა თავად წაართვა ხალხს ნაკვეთები: ის თაღლითია, მან ხალხს წაართვა მიწის ნაკვეთები და გაჩეხა ტყე. საერთოდ არ ვიცნობ, არც სასამართლო პროცესზე ვიცი რამე... ვერაფერს გეტყვით... თუმცა, დოკუმენტები სხვაზე მეტყველებს და ადვოკატები მიიჩნევენ, რომ დეპუტატი საქმეს წააგებს. ადვოკატების აზრით, დეპუტატი მარტო არ მოქმედებს: მისი ქმედებები ადასტურებს, რომ ფეიქრიშვილი მოქმედებს ჯგუფთან ერთად, უკანონო ქმედებებით ცდილობს, ხელი შეუშალოს კომპანიას საქმიანობაში. ეს ხელს უშლის კომპანიას და საინვესტიციო პროექტის განხორციელებას და დიდ პრობლემას უქმნის ქვეყნის იმიჯს.

რაც შეეხება თავად ბიზნესმენს, თამაზ მჭედლიძე ადასტურებს, რომ დეპუტატ ფეიქრიშვილის მხრიდან შანტაჟს ადგილი ნამდვილად ჰქონდა: არა მხოლოდ ჩემი შანტაჟი, არამედ იქაური ხალხის, მათ შორის, პირველი ჯგუფის ინვალიდის შანტაჟის შესახებაც შეგვიძლია ხმამაღლა ვისაუბროთ.

ტყის გაჩეხა ცრუ კამპანიაა, ფეიქრიშვილის მიერ ნაყიდი მედიასაშუალებების პროპაგანდა. ჩვენ სახელმწიფომ დაგვავალა, განვახორციელოთ ტყეებში სანიტარიული ჭრა, რაც ტყეს იცავს დაავადებების გავრცელებისგან და ეს ყველა გარემოსდამცველმა კარგად იცის, თუმცა არა ორგანიზაცია „აგარანის“ ხელმძღვანელმა ალექსი ქოროღლიშვილმა. ის არის თემურ ფეიქრიშვილის მძახლის ცოლის ძმისშვილი. და თავად განსაჯეთ, ასეთი კავშირის მქონე გარემოს დაიცავდა, თუ ნაგამგებლარ, ნადეპუტატარ ფეიქრიშვილს, რომელიც ათობით ჰექტარ მიწას ფლობს და ეს ყველაფერი წავკისელთა დაშინებისა თუ შანტაჟის შედეგად ხდება.

დასტურად თქვენც გამოგიგზავნით დოკუმენტებს, რომელიც სრულად გამორიცხავს ფეიქრიშვილის ნაამბობს ე.წ. მართალკაცობაზე... ჩვენ ძალიან ბევრი დოკუმენტი გვაქვს. ნაწილი უკვე მივაწოდეთ საზოგადოებრივ მოძრაობებსა და ჟურნალისტებს. მანამდე სამართალდამცველებსაც მივაწოდეთ, თუმცა ისიც ვნახეთ, რომ მიწოდებამ მხოლოდ მათივე ჯიბე გაასქელა და ჩვენი უფლება კიდევ ერთხელ შელახა. ამიტომ ვიჩივლეთ და იმედი გვაქვს სასამართლოსი. მედიასაც მივაწოდეთ ინფორმაცია და იმედია, ამჯერად მაინც გაირღვევა ფეიქრიშვილისა და მისი გარემოცვის მაგიური წრე.

ისტორია მეორდება... ჩხობაძე, პუტინი და „გაზპრომის დირექტორი“... ახლა უკვე ხუდონჰესის წინააღმდეგ

ისტორია ზუსტად ისევე მეორდება... ქალბატონი ნინო ჩხობაძე დღეს უკვე ხუდონჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა შორის ერთ-ერთი ცნობილი აქტივისტია. ყოფილი მინისტრი შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, დაუსაბუთებელი არგუმენტებით, ხუდონის მშენებლობას რამენაირად ხელი შეუშალოს. სულ ცოტა ხნის წინ გამართულ შეხვედრაზე, რომელიც „თბილისი ქორთიარდ მერიოტში“ შედგა, ჩხობაძემ იმდენად უსუსური არგუმენტები მოიყვანა, ხუდონჰესის მშენებლობის შედეგად დაზარალებული გარემოს შესახებ, რომ თავად მისი მომხრე, ხუდონჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგე, ენერგეტიკოსი მერაბ დადიანიც კი აღაშფოთა და გააკვირვა - „დღეს თქვენ ყველაფერზე ილაპარაკეთ ენერგეტიკის გარდა. ენერგეტიკოსებიდან არც ერთი პიროვნება არ გამოსულა. დასკვნებს რომ აკეთებთ, ის მთავარი საკითხები მაინც გაქვთ შესწავლილი?! ყველანი ლაპარაკობთ, რომ ერთი მილიარდ ექვსასი მილიონი გამომუშავდება და არც ერთმა არ იცით ამ დროს ზუსტი მონაცემი. ამ დალოცვილებმა დაწერეს ეს უკვე. ჩემო ბატონებო, წაიკითხეთ კარგად და ისე ილაპარაკეთ, ეს ყველაფერი არის გზშ-ში“.

ქალბატონ ჩხობაძეს შეიძლება დაავიწყდა (ან სულაც არა), მაგრამ საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორ აცხადებდა ის გაუთავებლად და დაუღალავად, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მარშრუტის საქართველოს მონაკვეთის უსაფრთხოების შესახებ გარანტია არ არსებობდა.

ჯერ კიდევ მაშინდელი ოპოზიციური პრესა წერდა, რომ მინისტრ ჩხობაძის პროტესტი ე.წ. „რუსული პროექტი“ იყო. ბორჯომის ხეობაზე ნავთობსადენის გავლა და ბუნებაზე თავგამოდებული ზრუნვა კი მხოლოდ შირმა იყო გარემოს დაცვის მინისტრისთვის, სინამდვილეში კი მის ზურგს უკან გავლენიანი ჩრდილოელი მეზობელი იდგა.

გარემოს დაცვის მინისტრი საკუთარი პოზიციის შენარჩუნებას ცდილობდა და ჯიუტად აცხადებდა - „მილსადენი ბორჯომის ხეობაზე არ გაივლის!“

მიუხედავად ყველაფრისა, შევარდნაძემ და მაშინდელმა საზოგადოებამ მაინც შეძლო ჩხობაძე იძულებული გაეხადა მილსადენის მშენებლობაზე გარემოს დაცვითი ნებართვა გაეცა. გარემოს დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს და ერთ-ერთმა მათგანმა, „მწვანე ალტერნატივამ“, სასამართლოშიც იჩივლა.

ჩხობაძისვე ორგანიზებით, გარემოს დამცველი და ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მიტინგს მიტინგზე მართავდნენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის შეჩერების მოთხოვნით, თუმცა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ჩხობაძე ვერ აღმოჩნდა ის ჩინოვნიკი, რომელიც თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გატარების პროექტს შეცვლიდა. მთელი მთავრობა მინუს ერთი მინისტრი, ბუნებრივია, ამინდს ვერ შექმნიდა, თუმცა იმდროინდელი გარემოს დაცვის თანამშრომლები იმასაც გვეუბნებიან, რომ ჩხობაძე თვითონ აძლევდა არასამთავრობო ორგანიზაციებს დირექტივებს, თუ როგორ უნდა ემოქმედათ პროექტის ჩასაშლელად. პრეზიდენტმა დატუქსა და ჩხობაძემაც დოკუმენტს ხელი მოაწერა, თუმცა ქალბატონმა მინისტრმა პრინციპულობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნდა. იგი ხომ შევარდნაძემ შეიბრალა და ახალ მთავრობაში ისე შეიყვანა.

საგულისხმოა, რომ ხსენებულ პროექტს რუსეთის იმჟამინდელი ხელისუფლება მკვეთრად გაემიჯნა. რუსული პრესა ჯეროვნად იყო „დატვირთული“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტზე მკვეთრად უარყოფითი მასალებით. რუს ჟურნალისტებს უამრავი არგუმენტი მხოლოდ და მხოლოდ სათავისოდ მოჰყავდათ, რომელთა თანახმადაც პროექტი არ უნდა განხორციელებულიყო.

რუსეთი გაღიზიანებას არ მალავდა. რუსეთის მედია, ბაქოში გამართული თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის საზეიმო ცერემონიალის შეფასებისას, ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ ნავთობსადენი, ეკონომიკური თვალსაზრისით, წამგებიანი იყო და მხოლოდ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა.

„ნავთობსადენს საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცები დაიცავენ. ასე რომ, ამ მშენებლობით შევარდნაძე საქართველოში დიდი რაოდენობით უცხოელი სამხედროების მოზიდვას იმედოვნებს“, – ასეთი განცხადება გააკეთა დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინ ზატულინმა, რომელმაც საქართველოს არშემდგარი სახელმწიფო უწოდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტით, როგორც ჩანს, თავად რუსეთის იმჟამინდელი (და ამჟამინდელიც) პრეზიდენტი პუტინიც იყო დაინტერესებული. იმ პერიოდში საქართველოს „გაზპრომის“ დირექტორი, ალექსი მილერიც კი ეწვია. სავარაუდოდ, პირადად პუტინის დავალებით, მილერი პროექტის ხელის შეშლას ცდილობდა და უფრო მეტიც, მეტად პროვოკაციული განცხადებებიც გააკეთა. მისი თქმით, თუ „ბიპი“ აზერბაიჯანში აქტივებს გაყიდდა, „გაზპრომი“ დიდი სიამოვნებით შეიძენდა ამ აქტივებს. აზერბაიჯანი კი, მოგეხსენებათ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ოპერატორია.

მილერის საქართველოში ვიზიტს აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის, სტივენ მანის ვიზიტი მყისიერად მოჰყვა: „დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლება არ გადადგამს დაუფიქრებელ ნაბიჯს და არ დაარღვევს მის მიერ გაცემულ დაპირებას და ვალდებულებას ისეთ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ენერგეტიკული დერეფნის განვითარებას შეუწყობს ხელს“, - განაცხადა სტივენ მანმა.

ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა, უმეტესწილად, ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან, ეკოლოგიური პრობლემების მომიზეზებით, საქართველოში საკმაოდ სერიოზული დასაყრდენი მონახეს, რათა შეეჩერებინათ ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტი. ან სულაც მოხერხებულად „შემოეგდოთ“ ინიციატივა, რათა შეცვლილიყო ნავთობსადენის მარშრუტი. ამ შემთხვევაში კი შეწყდებოდა ან კიდევ რამდენიმე წლით დაყოვნდებოდა ნავთობსადენის მშენებლობა.

თუმცა, პროექტის განხორციელების შემდეგ, ინვესტორებმა გამოყვეს თანხები გზებისა და ხიდების აღსადგენად, შესაბამისად, დაძლეული იქნა ენერგოკრიზისი და ბორჯომის ტყესაც დღემდე არანაირი საფრთხე არ შექმნია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს, ნინო ჩხობაძეს დავუკავშირდით.

ნინო ჩხობაძე: - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ. ვამბობდი, რომ პირობები უნდა ყოფილიყო ძალიან მკაცრი და ყველა უნდა შესრულებულიყო. ჩვენ სერიოზული დავა გვქონდა კომპანიასთან, იმასთან დაკავშირებით, რომ პირობები ყოფილიყო მკაცრი. გვსურდა, ეს ყველაფერი ისე ყოფილიყო ჩამოყალიბებული, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გატარებისას საქართველო არ დაზარალებულიყო და უსაფრთხოების ნორმები ყოფილიყო დაცული.

და ბოლოს: სარწმუნო წყაროს ცნობით, ხუდონჰესის აშენების მოწინააღმდეგე გარემოს დამცველი ნინო ჩხობაძე კინტრიშის გზშ-ზე მუშაობს, თუმცა თავად ჩხობაძე ამას უარყოფს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანატოლი სობჩაკის ქვრივი ამბობს, რომ საბჭოთა ნოსტალგია არ აქვს



ლუდმილა ნარუსოვა: „ქსენიას გამო უფრო მეშინია...“

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

ანატოლი სობჩაკი საქართველოში ყოველთვის ასოცირდებოდა პრინციპულობასთან, სამართლიანობასთან, დემოკრატიულ და ინტელექტუალურ რუსეთთან.

საქართველოში ის განსაკუთრებულად უყვარდათ. მას დღემდე პატივს სცემენ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების გამო. ზეწოლების, მუქარებისა და კამპანიური ხასიათის შავი პიარის მიუხედავად, მან მაინც თქვა სიმართლე. თქვა, რომ რუსეთმა გამოიყენა მომწამვლელი გაზი და დაარბია ხალხი.

ამ მოვლენებს დღეს უკვე სობჩაკის ქვრივი ლუდმილა ნარუსოვა იხსენებს. „პრაიმტაიმთან“ საუბარში ის საკმაოდ ფრთხილი იყო შეფასებებშიც და ტერმინოლოგიაშიც. მან რამდენჯერმე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 9 აპრილს ხალხი საბჭოთა ჯარმა დაარბია.

ახლახან ის თბილისში იმყოფებოდა, აქ უკვე ქართულ ენაზე გავრცელდა ანატოლი სობჩაკის ცნობილი და ხმაურიანი წიგნი, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიას მიეძღვნა. ანატოლი მაშინ საკუთარი პოლიტიკური კარიერის პიკში იყო.

ლუდმილა ნარუსოვამ, ანატოლი სობჩაკთან ერთად, საკმაოდ რთული, მაგრამ ამავე დროს საინტერესო ცხოვრება განვლო. ის დღესაც შეშფოთებით იხსენებს იმ მუქარებსა და ზეწოლებს, რომელიც ანატოლი საბჩაკისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ რუსი გენერლების მხრიდან მოდიოდა: „იძულებულიც კი გავხდი, ქსენიასთვის ხელი მომეკიდა და საცხოვრებლად ნათესავებთან გადავსულიყავი. 9 აპრილის მოვლენების გამო მან სერიოზული მტრები შეიძინა. მუქარების მიუხედავად, უკან დახევა არც უფიქრია. ჯერ ანატოლიზე თქვეს, ეტყობა, ქართული ფესვები აქვსო, შემდეგ კი უკვე ჩემი შემოწმება დაიწყეს. ეძებდნენ, ვინ მყავდა გვარში ქართველი. როცა ამის შესახებ მეუღლეს შევატყობინე, ის თბილისში იმყოფებოდა, მან ღია განაცხადი გააკეთა: ნუ ეძებთ ქართულ ფესვებს, რადგანაც მე სიმართლეს ვამბობ და ჭეშმარიტებას კი ეროვნება არ აქვსო. ის რომ ჭეშმარიტებას ეროვნება არ აქვს, ახლაც ძალიან აქტუალური თემაა“.

ანატოლი სობჩაკი ოპოზიციაში საბჭოთა ხელისუფლებას ჩაუდგა, მისი შვილი ქსენია სობჩაკი კი – პუტინის ხელისუფლებას, რომელიც საბჭოთა კავშირის აღდგენას ცდილობს, ევროაზიური კავშირის სახით. სობჩაკის ქვრივი ამბობს, რომ ეს პროექტი ეკონომიკური ხასიათისაა და რატომღაც ბევრი აქ პოლიტიკურ ინტერესებსაც ხედავს.

– ვერ გეტყვით, როგორი პოზიცია ექნებოდა ახლა ჩემს მეუღლეს პუტინის ამ წამოწყებაზე, – უთხრა ლუდმილამ „პრაიმტაიმს“, – ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ანატოლის ექნებოდა პრინციპული პოზიცია, თუკი კონსტიტუცია დაირღვეოდა. ეს კონსტიტუცია ჩემი მეუღლის დაწერილია და ეს არის პირველი კონსტიტუცია, სადაც ადამიანის უფლებები ყველაზე მაღლა დგას. მაგრამ იმას, რაც ანატოლის უნდა გაეკეთებინა, ქსენია აკეთებს, ის ხომ ძალიან ჰგავს მამას, მისი გაგრძელებაა.

არც ანატოლისთვის იყო იოლი საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა და, რა თქმა უნდა, არც ქსენია სობჩაკისთვისაა ადვილი პუტინის ოპოზიციაში ყოფნა. ისევ მუქარები, ისევ ზეწოლები... ლუდმილა ნარუსოვა ამბობს, რომ მას შვილის გამო უფრო მეტად ეშინია და განიცდის.

– ჩემი მეუღლე მაინც უფრო ძლიერი იყო, კაცი იყო და ისე არ ვიყავი დაძაბული, როგორც ახლა ვარ, ქსენიას გამო უფრო მეშინია... – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბარში სობჩაკის ქვრივი. როგორც ჩანს, მას კარგად ესმის, რომ მაშინდელი საბჭოთა სისტემა, რომელიც უკვე ინგრეოდა, მაინც განსხვავდებოდა პუტინის მიერ აშენებული სისტემისგან, რომელიც ჯერ საკმაოდ მტკიცეა და დასავლეთიც კი იძულებული ხდება, მის ძალას ანგარიში გაუწიოს.

მაშინაც შიშის ქვეშ ცხოვრობდა და ახლაც მუქარები ისმის მისი ოჯახის მისამართით. ქსენია ძალიან აქტიურადაა ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა დედამისი ამბობს, რომ ქსენია საზოგადო მოღვაწე უფროა, ვიდრე პოლიტიკური ფიგურა. „არა, მე ქსენიას პოლიტიკურ ფიგურად ვერ აღვიქვამ, ის საზოგადო მოღვაწეა“, – განმარტავს ლუდმილა ნარუსოვა „პრაიმტაიმთან“ საუბარში.

სხვათა შორის, სწორედ სობჩაკს უნდა უმადლოდეს პუტინი საკუთარ თავბრუდამხვევ პოლიტიკურ კარიერას, სწორედ ის დაეხმარა და დაასაქმა სოციალისტური გერმანიიდან უკვე პეტერბურგში დაბრუნებული პუტინი. მაშინ ანატოლი სობჩაკი პეტერბურგის პირველი მერი იყო...

– ძალიან გაუჭირდა ანატოლის მერიაში მუშაობა, – იხსენებს „პრაიმტაიმთან“ მისი ქვრივი, – საბოტაჟს უწყოდნენ, ამიტომაც მან ბევრი ახალი კადრი წაიყვანა, მათ შორის ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი. ისინი ენერგიულები იყვნენ, ენებს ფლობდნენ...

დაძაბული ცხოვრების მიუხედავად, სობჩაკის ქვრივი მიიჩნევს, რომ ის ბედნიერი ქალია, რადგანაც ბედმა ანატოლი სობჩაკს შეახვედრა და ასეთი საინტერესო ადამიანის გვერდით მოუწია ცხოვრება.

მათი ურთიერთობა კი მოულოდნელად დაიწყო. როგორც იტყვიან, ეს ბედი იყო. ლუდმილა პირველ ქმარს ეყრებოდა და მეგობარმა გამოცდილ და ჭკვიან ადვოკატთან გაგზავნა, – ჩემი მეგობარია, საბუთების გაფორმებაში დაგეხმარებაო. ეს მეგობარი კი ანატოლი სობჩაკი გახლდათ. თუმცა, სიყვარული და ურთიერთობა მათ შორის უფრო გვიან, თითქმის ერთი წლის შემდეგ მოვიდა. მანამდე კი სულ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს განქორწინების თემაზე.

– როცა განქორწინების პროცედურა დასრულდა, მახსოვს, დედაჩემი იყო ჩემთან და ამ მძიმე წუთებში

მეხმარებოდა. მითხრა, ეს კონვერტი წაუღე, პატივი ვცეთ, ასეთ საქმეში დაგვეხმარაო. მახსოვს, ზამთარი იყო და თეთრი ქრიზანთემები ვუყიდე, რომ მივედი, ყვავილები გამომართვა, ძალიან მიყვარს თეთრი ყვავილებიო, კონვერტი კი უკან გამომიცურა, თქვენ ძალიან ცუდად გამოიყურებით, ახლა ბაზარში გაიარეთ და ხურმა და ბროწეული იყიდეთო. მართლაც, ძალიან ცუდად გამოვიყურებოდი განერვიულებული, ნამტირალევი... თითქმის ერთი წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს. მკითხა, ჩემი სტუდენტი იყავითო? ვერ მიცნო, მე კი მივხვდი, რომ მინდოდა ამ ადამიანს ყოველთვის ვხსომებოდი... ძალიან ბედნიერი ვიყავი, სიძნელეების მიუხედავად, ზეწოლებისა და მუქარების მიუხედავად, რაც ჩვენმა ოჯახმა გადაიტანა, მაინც ვთვლი, რომ ბედნიერი ქალი ვარ, რაკი მის გვერდით მომიწია ცხოვრება.

ანატოლისა და ლუდმილას შორის 14 წელია განსხვავება. ლუდმილა ამბობს, რომ ასეთ ადამიანს ცხოვრებაში ვეღარასოდეს შეხვდებოდა და მისი ერთგული დარჩა...

– ამ მხრივ, ჩემთვის ნინო ჭავჭავაძე იყო სამაგალითო, ის გრიბოედოვის მეუღლე გახლდათ, ძალიან ახალგაზრდა დაქვრივდა და სიკვდილის ბოლომდე მეუღლის ერთგული დარჩა...

ცხოვრება კი გრძელდება. ისევ საინტერესო და ისევ სერიოზულ პროცესებშია ჩართული. საბჭოთა ნოსტალგია არ აქვს და ფიქრობს, რომ რუსეთმა უფროსი ძმის სინდრომი უნდა დაძლიოს, სხვანაირად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ვერაფერი შეიცვლება...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეა თავბერიძე

ჰოვარდის გოსპელის გუნდი თბილისში

ჰოვარდის გოსპელის გუნდი უკვე რამდენიმე დღეა რაც თბილისშია. მომღერლები საქართველოს, ამერიკული ტრადიციული მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობის პოპულარიზაციისთვის ესტუმრნენ. ვაშინგტონში არსებული ჰოვარდის უნივერსიტეტის გუნდი საქართველოში უფასო სემინარებსა და კონცერტებს მართავს. გოსპელის გუნდის მომღერლებმა „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში ერთი სიმღერა ჩაწერეს, მოხდა ვიდეო გადაღებაც, ეს ჩანაწერი ტელემაყურებელს მალე კლიპის სახით მიეწოდება.

ზაზა შენგელია: „გოსპელი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე დაიბადა, როგორც რელიგიური მუსიკა, მაგრამ შემდგომში მან ძალიან დიდი განვითარება განიცადა და დღეს მუსიკალურ ბაზაზე თავისი განსაკუთრებული ნიშა გააჩნია, დღევანდელი გოსპელი დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო მუსიკის ფორმასა და სტილზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ის ძალიან აფრო-ამერიკული ფენომენია და ერთგვარი ტრანსლატორი აფროამერიკული კულტურის, ანუ მისი ექსპრესიულობის მაჩვენებელი, სპონტანური იმპროვიზაციის საოცარი ინტერაქციის მსმენელთან, იწვევს ძალიან დიდ აღმაფრენას და იმედს მსმენელში, ძალიან ემოციურია გოსპელის შესრულება და ძალიან დიდ მუხტს ღებულობს ამ დროს მსმენელი, სამწუხაროდ, ქართველი მაყურებელი მოკლებულია ამ გუნდის მოსმენას, იმ მიზეზების გამო, რომ გოსპელის გუნდი მრავალრიცხოვანია და სუფთა ფინანსურად მათი ჩამოყვანა ძალიან ძვირია, ამიტომ მათი ჩამოსვლა დღეს უიშვიათესი მოვლენაა, ჰოვარდის გოსპელს კოლაბორაცია ჰქონდა ისეთ სახელებთან, როგორიც არის სტივი ვანდერი და ტონი ბენეტი. ყველა სოულის თანამედროვე კაშკაშა ვარსკვლავი თავის დროზე სწორედ თავდაპირველად გოსპელის გუნდებში მღეროდა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამერიკის საელჩოს, რომელმაც მოგვცა საშუალება, რომ ეს უნიკალური გუნდი ჩაგვეწერა ჩვენთან. 25 დეკემბრისათვის, საშობაოდ ვამზადებთ კლიპს, გადაღებულია კადრები, თუ როგორ მუშაობენ ისინი „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში და, რა თქმა უნდა, შემდგომში ეს სიმღერა აუცილებლად დატრიალდება საქართველოს რადიოსადგურებზე და აუცილებლად გაიგზავნება ამერიკაში და ამერიკულ არხებზეც დატრიალდება“.

ჰოვარდის გოსპელის გუნდი 1968 წელს დაარსდა. მაშინ კოლეჯის ამ ტიპის მუსიკალური გუნდი მსოფლიოში პირველი იყო. ახლა კი გუნდი სამოცდაათზე მეტი წევრით ამაყობს. გამორჩეული მუსიკოსები ქმნიან გუნდის განსაკუთრებულ ხმოვანებას, რომელიც მოიცავს, როგორც თანამედროვე და ტრადიციულ გოსპელს, საეკლესიო ჰიმნებს, ასევე მონობაში მყოფი აფრო-ამერიკელების საეკლესიო სიმღერებსაც. გასული ოთხი ათწლეულის განმავლობაში ჰოვარდის გოსპელის გუნდმა შეძლო საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი სტანდარტისთვის მიეღწია. გუნდმა კონტინენტური ამერიკის ფარგლებში მოგზაურობით ეროვნული აღიარება მოიპოვა, ხოლო კანადაში, იტალიასა და ბარბადოსზე გასტროლებით საერთაშორისო სახელი დაიმკვიდრა... ჰოვარდის გოსპელის გუნდზე თავიდანვე იყო დიდი მოთხოვნა. გუნდის მომღერლები სცენაზე გამოდიოდნენ ისეთ ცნობილ ვარსკვლავებთან, როგორიც არიან სტივი ვანდერი, ჯეიმს ქლივლენდი, პატი ლაბელი, კლარკ სისტერსი, დიჯეი ბიზმარკი.

20 დეკემბერს „ტრიო სიმის“ სოლო კონცერტი

„ტრიო სიმის“ სოლო კონცერტი 20 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ეს კონცერტი ჯგუფის 25 წლის იუბილეს ეძღვნება. კამერული ორკესტრის „კამერატა ჯორჯია“-ს და „ბრავო ბენდის“ თანხლებით კონცერტზე 16 მუსიკალური ნაწარმოები შესრულდება. დირიჟორი გიორგი აფრიამაშვილია, კონცერტის რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი. დარბაზში ყველა მსურველს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს „ტრიო სიმის“ ახალი, ოთხდისკიანი ალბომი, რომელშიც ჯგუფის 60 საუკეთესო ქალაქური ნაწარმოებია შესული.

კონცერტის შემდეგ თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ „ტრიო სიმის“ სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება.

„ტრიო სიმი“ 1988 წელს შეიქმნა. წლების განმავლობაში ტრიო ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერების პოპულარიზაციას უცხოეთში ეწეოდა. ჯგუფის წევრებმა ზაზა ვეფხვაძემ, რევაზ გელაშვილმა და ზურაბ ცქიტიშვილმა მრავალი ქვეყანა მოიარეს (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იაპონია და ა.შ.), მხოლოდ დიჟონში „ექსპო 96“-ზე „ტრიო სიმის“ კონცერტებს მილიონამდე ადამიანი დაესწრო. ხოლო 1993 წლიდან დღემდე მარტო საფრანგეთში გამართულია 500-ზე მეტი კონცერტი. ტრიოს გამოშვებული აქვს 5 მუსიკალური ალბომი. 1998 წელს არის ქალაქ რუაიანში (საფრანგეთი) ფესტივალის გამარჯვებული, ხოლო 1999 წელს გაიმარჯვა ბურგუნდიაში ფოლკლორულ ფესტივალზე. 2012 წლის ზაფხულს კი ავინიონის მსოფლიო თეატრალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და 30 კონცერტი გამართა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„Next Level“: „ჩვენ „ნიჭიერის“ ფინალში საჭირო ვართ“

my View

თამარ გონგაძე

გასული ორშაბათის „ნიჭიერის“ ერთ-ერთ ფავორიტ კონკურსანტად ჯგუფ „Next Level“-ს დავასახელებდი. „ლედ ლაითინგის“ შთამბეჭდავი ნომერი ჰქონდათ. მუსიკის ტაქტში ჩასმული სინქრონული მოძრაობით ჯგუფის ხუთივე წევრი, განათებით, ფერებს იცვლიდა. ტექნიკურად ამას როგორ ახერხებენ, ჯგუფის ლიდერი გვიყვება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი ისინი ნამდვილად არიან ნიჭიერები. ჰოდა, მოგებაც უნდათ. „ნიჭიერში“ მეორედ მონაწილეობენ. პირველად შოუს პირველ სეზონში გამოჩნდნენ და ფინალისტებიც იყვნენ.

ოთხი წლის წინ შეიკრიბნენ. მანამდე ყველა მათგანი სხვადასხვა სტუდიებში ცეკვავდნენ. სტილი - ჰიპ ჰოპი, ბრეიქდანსი და ფრისთაილი. ერთმანეთი იპოვეს, დამეგობრდნენ და 2010 წელს „ნიჭიერის“ კონკურსანტები გახდნენ. ჟიურიში მათი გულშემატკივარი გეგა ფალავანდიშვილია. მას შემდეგ არაერთხელ სურდათ ამ შოუში მოხვედრა. მერე გუნდში შემადგენლობა შეიცვალა. ახლა „Next Level“-ის შემადგენლობა ასეთია: ამიკო სამადაშვილი, ირაკლი ლომიძე, თამუნა არშოტია, გაიანე კერობიანი და დაჩო ფიცხელაური. ჩვენ ყველანი გეიმერები ვართ, კლანი გვქონდა, „Next Level“-ი გვერქვა და ჯგუფის სახელწოდებაც აქედან წამოვიდაო, ამბობენ.

ამიკო სამადაშვილი: „საქართველოში ყველა ვამბობთ - ნიჭიერები ვართო. ეს პროექტი კი ამის დამტკიცების საშუალებას გვაძლევს. აქ აჩვენებ რითი შეგიძლია ხალხის გაოცება. ჩვენნაირად ბევრი ცეკვავს, ამიტომ ჩვენ გამორჩეული ნიშა უნდა დაგვეკავებინა. ვფიქრობ, ეს შევძელით. „ლედ ლაითინგში“ საქართველოში პირველები ვართ. ამერიკულ და უკრაინულ „ნიჭიერში“ მსგავსი ნომრები იყო. ახლა გეტყვით ჩვენს პრობლემებს. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა კოსტიუმებია. ეს კოსტიუმები უცხოეთში იყიდება და ბევრნაირი ფუნქცია აქვს. როგორც სცენაზე იწერება განათება, ისე იწერება ამ კოსტიუმის მართვის განათებაც. განათების პულტში სპეციალური პროგრამით დანერ და კოსტიუმს სხვადასხვა ბრძანებას აძლევ, ფერების შეცვლას, ჩაქრობას, ანთებას და ასე შემდეგ. ჩვენსავით, მუსიკის ტაქტში ცეკვასთან ერთად ხელით მართვა არ არის საჭირო. რადგან ვერ გამოვიწერეთ, შოუს დახმარებით აქ შევიკერეთ. ჩვენ არა მხოლოდ ცეკვაზე გვიწევს ფიქრი, არამედ ტექნიკურ მხარეზეც. ხელით ჩვენ თვითონ ვმართავდით კოსტიუმებს, განათებას ფერს ვაცვლევინებდით. გასული ორშაბათის ნომერი 48 საათში მოვამზადეთ, რადგან კოსტიუმები შოუმდე ორი დღით ადრე დამზადდა. კოსტიუმების ელემენტები დატვირთულ რეჟიმში მხოლოდ ხუთი წუთი ძლებდა, მერე ჯდებოდა. დატენვას კიდევ 4 საათი მიჰქონდა. რეპეტიციის დროს მოვიფიქრეთ ასეთი რამ - სპეციალური გადამყვანი ბლოკებით ხუთივე კაბელით დენზე ვიყავით შეერთებული. 6 ვოლტი გადმოდიოდა ჩვენზე. ცეკვის დროს ერთმანეთის კაბელებზე ვადგამდით ფეხს, მერე წყდებოდა. ნომერი ორწუთიანი და ათწამიანი იყო. შოუსთვის ელემენტი გვქონდა გადადებული. ნახევარ ფინალის მესამე გამომსვლელები ვიყავით. შევედით „LG“-ის ოთახში და სცენაზე გასასვლელად ვემზადებოდით. ამ დროს ჩვენი ერთი წევრი, გაიანე ჩაქრა - კოსტიუმი არ ენთებოდა. ტექნიკური პერსონალი დაგვეხმარა და გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიანემ დაიძახა - ავენთეო. ამაში ღმერთის ხელს ვგრძნობ...

ახლა გვინდა, რომ ის კოსტიუმები, რომლებიც სპეციალურად ამ შოუსთვის

ამიკო სამადაშვილი: „დედას ვფიცავარ, მართლა ნიჭიერები ვართ. ძნელია ხალხს აუხსნა - იცი, მე ნიჭიერი იმიტომ ვარ, რომ ჩემს კოსტიუმში დაახლოებით 50 დაუსკოჩავი კაბელია გაყვანილი და როდესაც მეტალს ვეხები, 6 ვოლტი მირტყამს. იმ პირობებში, რაც გვქონდა, მეტის გაკეთებაზე ფიზიკურად არ შეიძლებოდა“

„გული იმაზე მწყდება, რომ ასეთი ნომრისთვის გავწირეთ თავი, რადგან შეიძლებოდა არ გამოსულიყო, კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენეთ ჩვენი ნიჭიერება, რეპუტაცია, რომელიც პირველ სეზონზე მოვიპოვეთ“

გამოიყენება, საფინალოდ მაინც გვქონდეს, უფრო მაგარი ნომერი გამოგვივა. დროც არ არის, რომ ევროპიდან გამოხერილი ჩამოვიდეს. დიდი შანსია, რომ არ გვქონდეს ეს კოსტიუმები და ისევ აქ შევიკეროთ. ყოველ ჯერზე ახალი უნდა გეცვას, ერთჯერადია. მოძრაობაში ფუჭდება, წვრილი დიოდები ტყდება.

ძნელია, ხალხს აუხსნა - იცი, მე ნიჭიერი იმიტომ ვარ, რომ ჩემს კოსტიუმში დაახლოებით 50 დაუსკოჩავი კაბელია გაყვანილი და როდესაც მეტალს ვეხები, 6 ვოლტი მირტყამს. ეს არავის აინტერესებს, შენ მაგარი ნომერი უნდა აჩვენო. ჩვენ მაქსიმალური ვაჩვენეთ. იმ პირობებში, რაც გვქონდა, მეტის გაკეთება ფიზიკურად არ შეიძლებოდა. თუმცა მადლობა ღმერთს, რომ ტექნიკური პრობლემა არ შეგვქმნია, დიოდი არ გამწყდარა, რომელიც ისეთი წვრილია, რომ შეიძლებოდა გამწყდარიყო. რეპეტიციების დროს ნომერი ბოლომდე ვერ მივიყვანეთ, კოსტიუმი გამოდიოდა წყობილებიდან. ნომერი სრულყოფილად პირველად შოუზე გავაკეთეთ. დედას ვფიცავარ, მართლა ნიჭიერები ვართ. სხვა დარწმუნებით იტყოდა, რომ ეს ნომერი არ გამოვა. მე რწმენა მქონდა. გული იმაზე მწყდება, რომ ასეთი ნომრისთვის გავწირეთ თავი, რადგანაც შეიძლებოდა არ გამოსულიყო, ორი ადამიანი არ ანთებულიყო და სისულელე გამოვიდოდა. კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენეთ ჩვენი ნიჭიერება, რეპუტაცია, რომელიც პირველ სეზონზე მოვიპოვეთ. მაშინ კარგ ტიპებად მიგვიღეს. გვიწევს იმის გათვალისწინება, რა შესაძლებლობა არსებობს და ამის მიხედვით ვფიქრობთ ნომერზე. გვინდოდა თოკებით ჩამოშვება, 3D ეფექტის ნომრის მომზადება, მაგრამ ფიზიკურად ვერ მოხერხდა. ფილარმონიაში არ არის ამის ტექნიკა.

- „კა 2“-მა როგორ შეძლო?

- მათ თავიანთი ტექნიკური აღჭურვილობა აქვთ. ეს მათი პროფესიაა. ფინალისთვის გვინდა 5 სარკე დავიდგათ უკან, თითო წევრს თითო სარკე. სარკის ეფექტით ათი ადამიანი იმოძრავებს სცენაზე. შეიძლება პულტმა სინქრონში გიმტყუნოს, მაგრამ სარკეში შენ თავს ხომ დაუსინქრონებ? :) აი, ასეთ რამეებზე ვფიქრობთ. სხვა გზა არ არის.

- მაინც რა კატეგორიის ნიჭიერი ადამიანის შოუა ეს?

- ჩემთვის უნიჭიერესი ადამიანია ზურიუსი, სტვენით რომ მღერის. ეს ნიჭი 1000 კაციდან შეიძლება ერთსაც არ ჰქონდეს. ჩვენი ნომრები ბევრი შრომით და კარგი იდეების განვითარებით მზადდება. საქართველოში ძნელია შენი ნიჭიერება ქართველ მაყურებლამდე მიიტანო, თუ გულისამაჩუყებელი ისტორია არ გაქვს. ამ შოუში ნიჭიერი არ იმარჯვებს. მეგობრები მეუბნებოდნენ, არ გინდა „ნიჭიერში“ გამოსვლა, ჩაწყობით იგებენო. ჩაწყობაა, აბა რა არის, თუ ფული გაქვს, დაგიმესიჯონ და მოიგებო. მაგაზე მეტი ჩაწყობა რა გინდა?

- რატომ აღმოჩნდი ფინალში?

- რა ნომრებიც არის ნახევარფინალში, ვთვლი, ჩვენ ზედმეტნი არ ვიყავით. ფინალს ყურებადს გავხდით, საჭირონი ვართ. ჩვენი ჟანრი ფინალში ყოფნას საჭიროებს.

ჩვენ შეგვიძლია კუს ნაბიჯებით გავასწროთ კურდღელს. ამ ლოგიკით მივდივართ. სტაბილურები ვართ და გვინდა დაწყებული საქმე მოგებით დავასრულოთ. საქართველოს პროექტია, ჩვენც აქ ვართ და ადრე თუ გვიან, გამარჯვება არ აგვცდება. თუ ახლა ვერ გავიმარჯვებთ, მესამეჯერაც მივიღებთ მონაწილეობას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თიკა თხოვდება, ბექა შეყვარებულია

my View

თამარ გონგაძე

ბექა ხოფერია შეყვარებულია, უკვე ორი თვეა. თიკა ჯამბურიამ ცხრა დეკემბერს თავისი „ფეისბუქის“ გვერდზე დადო ბეჭდიანი თითის ფოტო სათაურით - „დანიშნული. ძალიან ბედნიერი ვარ“. მომღერალმა რჩეულის ვინაობა გაასაიდუმლოვა და ჟურნალისტების საყურადღებოდ დაწერა - ცოტა ხანი არ დამირეკოთ, არც მომწეროთო. გასულ ზაფხულს, სამწლიანი განშორების შემდეგ, ბექამ თიკას შერიგება სთხოვა. რამდენიმე კვირის წინ, „პროფილში“, ნათელმხილველმა მომღერალს ქმართან შერიგება უწინასწარმეტყველა. დღეს რაც ხდება წყვილის პირად ცხოვრებაში, უკვე მოგახსენეთ.

ბექა რომ შეყვარებულია, ეს მის გარშემო ყველამ იცის. სიყვარული და საქმე დაახლოებით ერთად მოვიდა მის ცხოვრებაში. ახალი ეტაპის დადგომა ეტყობა კიდეც. საქმიანიც არის და სულ სხვა სტიმულიც აქვს.

ლიკა მელოიანი ბექას ცხოვრებაში სექტემბერში გამოჩნდა. როგორც მათი საერთო მეგობარი ამბობს, გაცნობიდან ერთი თვის თავზე წყვილი მიხვდა, რომ ერთმანეთი უყვარდათ და ეს უბრალო ნაცნობობა არ იყო. ერთმანეთი საერთო სამეგობრო წრეში გაიცნეს. მერე არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის იდეით გამსჭვალული ბექა საქმიან შეხვედრებს რომ აწარმოებდა, ლიკუნა გვერდით ედგა, ყველაფერში ეხმარებოდა. შემოდგომაზე ბექამ ლიკუნასთან და სხვა მეგობრებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტთა გაერთიანება სამართლიანი საქართველოსთვის“ ჩამოაყალიბა. მალევე ორგანიზაციის პრეზენტაციაც მოაწყვეს და საქველმოქმედო საქმიანობის კეთებასაც დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ. გასულ კვირას აფრიკის დასახლებაში N 28-ე საბავშვო ბაღის მიტოვებულ შენობას ეწვივნენ, 28 ოჯახი მოინახულეს. ორხევში კი დახმარება 40 ოჯახს აღმოუჩინეს. „გავათბოთ ერთმანეთი“ - საქველმოქმედო აქცია, რომელიც 12 დღეს გაგრძელდა და დედაქალაქის 12 უბანი მოიცვა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს 12 დღის განმავლობაში შეგროვებული სამოსით, ინვენტარითა და საკონდიტრო საწარმო „ნარცისისგან“ გადმოცემული ტკბილეულით დაეხმარა. „საქმის მიმართ დიდი სიყვარული მაქვს და ეს ძალიან მომწონს. მეტი სტიმულია. შეყვარებულს უფრო უკეთ გამომდის ყველანაირი საქმე. მთლიანად ჩართული ვარ საქმეში, გადართული არ ვარ ფიქრებზე - ახლა სად არის, რას აკეთებს-მეთქი“, - ამბობს ბექა.

ლადუკა დაუშვილი:
(მეგობარი)„სიურპრიზებს ხშირად უწყობენ ერთმანეთს. უცხო თვალიც კი შეატყობს, რომ შეყვარებულები არიან“

ბექა ხოფერია:
„ახლა ძალიან ბედნიერი ვარ და საჭიროდ არ ვთვლი, ამ თემაზე დაწვრილებით საჯაროდ ვისაუბრო. რამდენჯერაც გავაოფიციალურე ჩემი ურთიერთობები და ამაზე ვილაპარაკე, მერე ცუდი რაღაცები მოჰყვა“

ბექა ხოფერია:
„მეც სოციალური ქსელიდან შევიტყვე, კონკრეტულად არაფერი მიკითხავს თიკასთვის“

ლიკუნა მელოიანი:
„დღეს ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს“

ამდენად ლიკუნა და ბექა თანამშრომლები არიან. თუმცა ამას მთლად სამსახურებრივ რომანს ვერ დაარქმევ, რადგან ერთმანეთი ორგანიზაციის დაარსებამდე შეუყვარდათ. შეყვარებულები ერთმანეთს ყოველდღე საქმიან გარემოში ხვდებიან. ამბობენ, რომ ბექა ასეთი შეყვარებული არასდროს უნახავთ. მათი ერთად ნახვა ყველგან არის შესაძლებელი. შეყვარებული ბიჭი თავის რჩეულს ბევრ საჩუქარს ჩუქნის და ანებივრებსო. როგორც გავიგე, წყვილმა ერთმანეთი უკვე მშობლებსაც კი წარუდგინეს. ამბობენ, ლიკუნამ თავისი უშუალობით შეაყვარა თავიო. „ერთგული, თბილი და ყურადღებიანი გოგოა, ბექასაც მეტი რა უნდოდა, გიჟდება ყურადღებასა და სითბოზე, ძალიან შეუყვარდა“, - ამბობს ხოფერიას ერთი ნაცნობი. „ეგ სულ რომანებშია, რა გიკვირთ ახალი ურთიერთობა რომ აქვს“ - ამატებს მეორე. მეგობრები კი პირად საუბრებში ამტკიცებენ, ეს ნამდვილად სერიოზული ურთიერთობააო.

ლიკა მელოიანი 22 წლისაა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტია.

- ბექა, შენი „ფეისბუქი“ და მეგობრები ამბობენ, რომ შეყვარებული ხარ?

- ამ ეტაპზე ძალიან ბედნიერი ვარ და საჭიროდ არ ვთვლი, ამ თემაზე დაწვრილებით საჯაროდ ვისაუბრო. თავს ვიკავებ. რამდენჯერაც გავაოფიციალურე ჩემი ურთიერთობები და ამაზე ვილაპარაკე, მერე ცუდი რაღაცები მოჰყვა.

- თუ ამ ამბის გასაჯაროება არ გინდოდა, „ფეისბუქზე“ რატომ აღნიშნე, რომ ურთიერთობაში ხარ ლიკუნასთან?

- ეგ ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა... :) არ მიყვარს „ფეისბუქზე“ მსგავსი რამეების აფიშირება.

- ბექა, თიკას დანიშვნის ამბავი იცოდი?

- მეც სოციალური ქსელიდან შევიტყვე, კონკრეტულად არაფერი მიკითხავს თიკასთვის.

ბექას მსგავსად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა ლიკუნაც.

ლიკუნა მელოიანი: - ძალიან ბედნიერი ვარ, დღეს ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს და ჯერჯერობით კომენტარებისგან თავს ვიკავებ. დრო როგორც გვიჩვენებს, ისე მოვიქცევი.

- ემზადები იმისთვის, რომ შენით დაინტერესდებიან?

- უკვე მზად ვარ. თუმცა პირად ცხოვრებაში რომ ერევიან, ცოტა დისკომფორტია.

ლადუკა დაუშვილი: - ბექა ჩემი ბავშვობის ძმაკაცია. ლიკუნა ბექასგან არ გამიცვნია, სხვა სიტუაციაში გავიცანი. მიხარია, რომ ერთად კარგად არიან. ორივე კარგი ადამიანია. ერთმანეთის მიმართ ორივე ყურადღებიანია. სიურპრიზებს ხშირად უწყობენ ერთმანეთს. უცხო თვალიც კი შეატყობს, რომ შეყვარებულები არიან. კეთილგანწყობას იწვევენ. ორივეს ბედნიერებას ვუსურვებ.

ლიკა ლობჟანიძე: - მათ ყოველდღე ვნ-

ლიკა ლობჟანიძე:
„იდეალური წყვილია, თბილი და საყვარელი, საქმეს შეხმატკბილებულად აკეთებენ“

ბექა

ლიკუნა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

- ერთმანეთის ჯიბრი თუ რეალობა?

ნინა

თიკა ჯამბურია: „ბექას არ დაურეკავს. როცა იქორწინებს, მე მივულოცავ“

თიკა ჯამბურია: „22 წლის ასაკში მეორე ქორწინებაა და იმედია ბოლო იქნება“

ახლობ, ერთად ვმუშაობთ. ორივეს მეგობარი ვარ. იდეალური წყვილია, თბილი და საყვარელი, საქმეს შეხმატკბილებულად აკეთებენ, თან ხარისხიანად. არაჩვეულებრივი მეგობრები და თანამშრომლები არიან. მიხარია, რომ ჩვენს ორგანიზაციაში ასეთი შეყვარებული წყვილია. თავს ბედნიერად და კარგად გრძნობენ. ერთად ყოველთვის გემრიელად არიან. ნებისმიერი გამვლელი შეატყობს, რომ შეყვარებულები არიან.

მესამე წელია თიკა და ბექა გაყრილები არიან. წყვილს ქალიშვილი ნინა ჰყავს. თიკას ნიშნობის ამბავი მისი მეგობრებისთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა. ზოგმა ისიც თქვა, თიკა იგონებს ამ ყველაფერს, არავინ არ არსებობს მის ცხოვრებაში, იტყუებაო.

- რატომ ამბობენ, რომ რეალურად არ დანიშნულხარ და იტყუები?

- ამას იმიტომ ამბობენ, რომ ბექამ ჩემი ნიშნობის წინა დღეს „ფეისბუქზე“ თავის შეყვარებულთან ერთად გადაღებული ფოტო დადო. ფიქრობენ, რომ თითქოს ამიტომ ვიძიებ შურს და ჩემი ნიშნობა გამოვიგონე. მაგრამ ასე არ არის. ჩემი მეგობრებიც ამბობდნენ, თიკა იტყუებაო, რადგან მათ იცოდნენ, რომ ჯერ არ ვაპირებდი გათხოვებას. მარიკა თხელიძემაც დამირეკა - რას აკეთებ, რა ფოტოს და პოსტებს დებო. მერე მოვიდა, მნახა და მიხვდა, რომ არ ვიგონებდი.

- ვინაობას რომ არ ასახელებ, ესეც ბადებს ეჭვს.

- ვთვლი, რომ ჯერ არ არის საჭირო, რომ მისი ვინაობა ცნობილი გახდეს. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ოფიციალურად არ ვიქორწინებთ. ვფიქრობთ, 31 დეკემბერს ქორწილი მის აგარაკზე გადავიხადოთ. ვნახოთ.

- გათხოვებას არ ვაპირებო, ცოტა ხნის წინ ამბობდი.

- ნამდვილად არ ვაპირებდი. მას მხოლოდ ექვსი თვეა ვიცნობ. ჩამოყალიბებული ადამიანია. ჩემზე 6 წლით უფროსია.

თიკა ჯამბურია:
„ბექამ, ჩემი ნიშნობის წინა დღეს, „ფეისბუქზე“ თავის შეყვარებულთან ერთად გადაღებული ფოტო დადო. ფიქრობენ, რომ თითქოს ამიტომ ვიძიებ შურს და ჩემი ნიშნობა გამოვიგონე. მარიკა თხელიძემაც დამირეკა - რას აკეთებ, რა ფოტოს და პოსტებს დებო. მერე მოვიდა, მნახა და მიხვდა, რომ არ ვიგონებდი“

რატომ ეპარებათ ეჭვი თიკა ჯამბურიას ნიშნობაში?

საზღვარგარეთ მოღვაწეობს. ერთმანეთი ექვსი თვის წინ თბილისში გავიცანით. ახლა აქ არის და დროის დიდ ნაწილს ერთად ვატარებთ. ერთ-ერთ მორიგ შეხვედრაზე მოულოდნელად მთხოვა ხელი და მეც დავთანხმდი. მოგვიანებით მეგობრები შემოგვიერთნენ. ამ ადამიანთან თავს კარგად ვგრძნობ. 22 წლის ასაკში მეორე ქორწინებაა და იმედია ბოლო იქნება.

„ჟურნალისტებს... გთხოვთ, ცოტა ხანი არ დამირეკოთ და არც მომწეროთ. ეს ხალხი გამაგიჟებს. იმის მაგივრად, რომ ბედნიერება მისურვონ, ბეჭდისა და თვლის ზომაზე სახალხო ისტერიკა გამართეს...“ - „ფეისბუქზე“ წერს თიკა ჯამბურია. მომღერლის პოსტს ყოფილი დედამთილი, ხათუნა ხოფერია გამოეხმაურა: „მე 3 ბეჭედი მოგიტანე ნიშნობაზე ბრილიანტებით :((((“...

„მე 5-ს მოგიტან, 3 ცუდად გაქვს დაცდილი“, - პასუხობს თიკა.

- თიკა, შენმა ნიშნობის ბეჭედმა „ფეისბუქზე“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

- ეს ნიშნობის ბეჭედია. ვისაც ჩემი ბეჭდები აინტერესებს, ვეტყვი, რომ საქმრომ კიდევ მაჩუქა ბეჭდები. მაგრამ სამკაულები ხომ არ არის მნიშვნელოვანი?

- მის ვინაობას 31 დეკემბერს გაგვიმხელ?

- დიახ...

- მშობლები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?

- დედას არ უნდოდა ჩემი გათხოვება, არც მამას, თუმცა მოსწონთ სასიძო.

- ბექას არ მოულოცავს?

- არა, ბექას არ დაურეკავს. როცა იქორწინებს, მე მივულოცავ.

- ბექას ახალ შეყვარებულზე რა იცი?

- არაფერი.

- რატომ არ დათანხმდი შერიგება რომ გთხოვა?

- როგორც ჩანს, არ უნდოდა ჩემთან შერიგება, არ იყო მყარი ამ გადაწყვეტილებაში, თორემ შეყვარებულს ასე მალე ვერ გაიჩენდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანსამბლი „სეუ“ ფრანგულ დოკუმენტურ ფილმში



my View
დეა თავგერიძე

EXCLUSIVE



99 წუთი და ცეცხლოვანი ცეკვები. ამჯერად მაყურებლის გასაოცებლად ანსამბლი „სეუ“ ემზადება. კონცერტი 19 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. კონცერტისთვის მზადება ანსამბლმა უკვე თვეზე მეტია დაიწყო. მინიმუმ ექვსაათიანი სარეპეტიციო დღე და საკმაოდ დატვირთული გრაფიკი, ამგვარია დღეს მოცეკვავეების დღის განრიგი. ახალი რეპერტუარით ისინი მაყურებელს დაუვიწყარ საღამოს ჰპირდებიან... სცენის განათებაგახმოვანებაზე ფრანგი პროფესიონალები იზრუნებენ, ასე რომ, ამ მხრივაც სრული კომფორტი გარანტირებულია. როგორც ანსამბლის პროდიუსერი ოთარ ჭუმბურიძე ამბობს - მთავარია საუკეთესო წარმოდგენა და უმაღლესი ხარისხი აჩვენონ საზოგადოებას... ცეკვისა და ხალხური სიმღერების ანსამბლი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში 2011 წელს ჩამოყალიბდა და ადგილობრივი სტუდენტებით დაკომპლექტდა.

ზაალ ჭუმბურიძე, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი: „ამ ანსამბლის შექმნა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბატონ გია კავთელიშვილის იდეა იყო. ჩვენს ანსამბლში სტუდენტები, ასევე ყოფილი სტუდენტები და სხვადასხვა ანსამბლიდან მოწვეული მოცეკვავეები მონაწილეობენ. დაახლოებით 15ცეკვაა წარმოდგენილი, ახალი ცეკვები დავდგით, მათ შორის „ნაბდური“. ძალიან კარგი გამოვიდა და დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებელსაც ძალიან მოეწონება“.

ოთარ ჭუმბურიძე, პროდიუსერი: „19-ში 19 საათზე ფილარმონიაში შოუ პროგრამა 99 წუთი გრძელდება. ეს კონცერტი კულტურაზეა ორიენტირებული. ეს ანსამბლი ყოველთვის საუკეთესო მოცეკვავეებით არის დაკომპლექტებული და ძალიან კარგად ასრულებენ, არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთლიანად კავკასიურ ცეკვებსაც. ჩვენი მოცეკვავეები არ არიან უბრალოდ მოცეკვავეები, ისინი მსახიობი მოცეკვავეები არიან. ჩვენ ვამაყობთ იმ სიმდიდრით რაც ქართველებს გვაქვს და ვცდილობთ, რომ მაყურებელმაც ნახოს, გაიზიაროს და იამაყოს ამით. ვისაც სურვილი აქვს, რომ დროში იმოგზაუროს, იხილოს და საფუძვლიანად გაეცნოს ქართულ კულტურას, აუცილებლად უნდა იხილოს ეს კონცერტი. აქ ქორეოგრაფია საქართველოს ძველ კულტურაზე მოგვითხრობს. საუკეთესო ისტორიულ ნაწილებს ვიღებთ და ვაკეთებთ. ერთი ცეკვაა ალვანური, რომელიც არც ერთ სხვა ანსამბლს არა აქვს, ალვანში ვიყავით და გავარკვიეთ, რომ ქალები კოცონის გარშემო მთიულურის სტილში სწორედ ისე ცეკვავდნენ, როგორც მამაკაცები. რა თქმა უნდა, ეს ცეკვაც არის აქ ჩასმული. ვიღწვით რომ ეს ჩვენი კულტურა გავაღვივოთ, დავნერგოთ, საუკეთესო ფორმით წარმოვაჩინოთ და ვაჩვენოთ ქართველ მაყურებელს. ძალიან აქტიურად და მონდომებით ვემზადებით და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი ისე კარგად გამოვა რისი იმედიც გვაქვს“.

სპეციალურად ამ საღამოსთვის უცხოეთიდან საქართველოს ცნობილი ფრანგი ფოტორეპორტიორი ფრენსის პრიმერსკი ეწვია, ის უკვე წლებია რაც ჩვენი ქვეყნის კულტურას ეცნობა და ამჯერად სწორედ საქართველოს შესახებ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს.

ფრენსის პრიმერსკი: „ამ ანსამბლს ძალიან დიდი ადგილი უკავია ჩემს დოკუმენტურ ფილმში. რადგან სწორად გადმოსცემს იმ ხასიათს, რაც ქართველებს გახასიათებთ. საქართველოში თავიდან, სწორედ ქართულმა ცეკვამ ჩამომიყვანა... ამ საუკეთესოდ დადგმულ ცეკვებში კი საქართველოს კულტურასა და ისტორიას ვეცნობი და ეს ძალიან შთამბეჭდავია. ახალი თაობის ანსამბლია, რომელიც ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, თითოეულ მოცეკვავეს საოცარი მსახიობური ნიჭი და საოცარი გარდასახვის უნარი აქვს. იმ სიგიჟეს, რაც ქართულ კულტურას აქვს, სწორედ ამ ანსამბლში იპოვით. ეს ხელოვანები ქართული ტრადიციული სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაციას ემსახურებიან, ასევე, ფოლკლორის შენარჩუნებაზე ზრუნავენ“.

„კახაბერი და ხანუმები“ ლონდონში

EXCLUSIVE

ამ დღეებში ლონდონში „კახაბერისა და ხანუმების“ პირველი ალბომის პრეზენტაცია შედგა. მუსიკალური პროექტის მუშაობის შედეგი ერთ ალბომში გაერთიანდა. „ანი-დან ჰაემ-დე“ 12 კომპოზიციას მოიცავს.13 დეკემბერს ლონდონის ერთ-ერთ ცნობილ კლუბში მისული სტუმრები ქართული ნაციონალურ-რეგიონური პროექტის მონაწილეები გახდნენ. დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ქართველებს შორის ბევრი იყო უცხოელი სტუმარიც. ისინი ქართველი შემოქმედებით კმაყოფილნი დარჩნენ. „ეს კახაბერისა და ხანუმების“ პირველი კონცერტია ევროპაში. ხანუმებისთვის კაბები ავთანდილმა შექმნა.

კახა ცისკარიძე: „პირველად ჩვენს ისტორიაში შედგა ქართული ჯგუფის, ალბომის პრეზენტაცია ლონდონში, პრეზენტაცია ცნობილ კლუბში 93 feet east-ში გაიმართა. ამ კლუბში ცნობილი ბრიტანელი და არა მარტო ბრიტანელი მუსიკოსები გამოდიან ხოლმე. ჩვენი ბედნიერება საზღვებს გასცდა! ეს არის დღევანდელი რეალობა. მოლოდინი სასიამოვნო იყო, შედეგით კი ბევრად უფრო კმაყოფილები ვართ. ამ პროექტის მიზანია მსოფლიოში, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია თანამედროვე სახით “...

კახა ცისკარიძეს ამ პროექტის საბოლოო ვარიანტამდე, რამდენიმე წელი დასჭირდა. თავდაპირველად კი პოპულარული ბათუმში გახდა. ჯერ კიდევ ჰიტადქცეულ „განდაგანამდე“, მას ბათუმში ბევრი იცნობდა. მის ნიჭს განსაკუთრებით მუსიკალურ წრეებში აღიარებდნენ. კონცერტებს ხშირად მართავდა და თაყვანისმცემლებიც ჰყავდა. კახას მაშინ ეს პოპულარობა დასარტყამ ინსტრუმენტზე დაკვრამ და მუსიკოსობამ მოუტანა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უნიკალური მუსიკალური პროექტი - „მე ვხედავ მზეს“

„ბრავო რექორდსი“ კიდევ ერთ კეთილ საქმეში ერთვება. ამჯერად სტუდია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უდგას გვერდით

„ამ ეტაპზე „ბრავო რექორდს“-ში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, როგორც სიმღერების ჩაწერებზე, ასევე ალბომის დიზაინზე“



„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებმა საზოგადოების სრულფასოვან და ღირსეულ წევრებად უნდა იგრძნონ თავი“

my View
დეა თავბერიძე

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და მხარდაჭერით მუსიკალური ბიზნეს კომპანია „ბრავო რექორდსი“ ახალ მუსიკალურ პროექტს იწყებს. პროექტი გულისხმობს CD ალბომის გამოცემას, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ცნობილი მომღერლების მიერ შესრულებული 10 სასიმღერო კოლაბორაცია შედის. აქ იქნება როგორც ყველასათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი ქართული და უცხოური მუსიკალური ნაწარმოები, ასევე ჯერაც უცნობი სიმღერები. პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელი ცნობილი კომპოზიტორი და მუსიკალური პროდიუსერი რუსა მორჩილაძეა. პროექტის ძირითადი მიზანია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაქსიმალურად ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ზაზა შენგელია: „ბრავოს“ არსებობის სამწლიანი ისტორიის მანძილზე, ეს ყველაზე უფრო ემოციური და გულწრფელი პროექტია. ძალიან თბილი, შემოქმედებითი და უშუალო გარემო შეიქმნა ჩაწერის დროს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელმძღვანელობას და ასევე ყველა მონაწილე ცნობილ მუსიკოსს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დიდი ენთუზიაზმითა და დიდი სიყვარულით დათანხმდნენ დუეტების ჩაწერას. ამ პროექტის საშუალებით ფართო საზოგადოება გაიცნობს მათ, შეიტყობს მათ სახელებს და მოისმენს მათ ხმებს, ნამდვილად ძალიან ნიჭიერები არიან. ამ ეტაპზე „ბრავო რექორდს“-ში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, როგორც სიმღერების ჩაწერებზე, ასევე ალბომის დიზაინზე. პროექტი დეკემბრის ბოლოს დასრულდება. შემდეგ კი ნებისმიერ მსურველს მიეცემა შესაძლებლობა შეიძინოს CD ალბომი, რომელიც „ბრავო რექორდს“-ის სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში გაიყიდება. CD ალბომების რეალიზაციიდან შემოსული თანხა მთლიანად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების მოგვარებას მოხმარდება. ამ ალბომის პრეზენტაცია „ბრავო რექორდსში“ 20 დეკემბერს იგეგმება. მადლობა მინდა გადავუხადო მათ, ვინც ამ პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა. მათ შორისაა კლინიკა „თალიზი“ და „ქეი-ეს-ბი ბანკი“.

თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზი“ ქ. თბილისში 1998 წელს დაარსდა. დაარსების დღიდან კლინიკის მიზანია ქართული ხარისხის სამაგალითო სტანდარტის დამკვიდრება და პაციენტებისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნა. განვლილი პერიოდი, კლინიკის გუნდისთვის, იყო დაუღალავი შრომის, მუდმივი ძიების, ცვლილებების განვითარებისა და სრულყოფის 15 წელიწადი. დაარსებიდან მე-15 წლისთავთან დაკავშირებით კლინიკამ გადაწყვიტა სპონსორობა გაუწიოს „ბრავო რექორდსი“-ს ახალ საქველმოქმედო პროექტს და დახმარების ხელი გაუწოდოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს.

კლინიკა „თალიზი“

თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზი“-სათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი დახმარებით ახალგაზდები შეძლებენ მუსიკალური ნიჭის წარმოჩენას თვითრწმენის განმტკიცებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრაციას. ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა თანამოქალაქეს, ვუსურვებთ მათ მხნეობას და სულიერ სიმტკიცეს.

„ქეი-ეს-ბი ბანკი“

ქეი-ეს-ბი ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროექტის მხარდაჭერა. მოხარულები ვართ, რომ მოგვეცა საშუალება გვერდში დავუდგეთ ნიჭიერ ბავშვებს, ჩვენ გვჯერა მათი წარმატების.

ლევან ყიფიანი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებმა საზოგადოების სრულფასოვან და ღირსეულ წევრებად უნდა იგრძნონ თავი. მსგავსი სახის პროექტებით ჩვენ ვცდილობთ მათ შევუქმნათ ის სივრცე, ის არეალი, რომელშიც ისინი საკუთარი ნიჭისა და შეუზღუდავი უნარების უკეთ გამოვლენას შეძლებენ“.

1. ნინი ბადურაშვილი და შაბან მამედოვი
2. ნინი ქარსელაძე, გიორგი სუხიტაშვილი და ცოტნე და თორნიკე ტურძელაძეები
3. ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა“ და მერი პაპუნაიშვილი
4. ნოდიკო ტატიშვილი მარიამ კაპანაძე და თათია მამუკაშვილი
5. ნატალიკო ქუთათელაძე და თამარ ცალქალამანიძე
6. ბორის ბედია, სულხან გველესიანი და რამინ მიქაბერიძე
7. ლიზა ბაგრატიონი, გიორგი უშიკიშვილი და ნიკა წიკლაური
8. ანსამბლი „შვიდკაცა“და ნატალია ვეფხვაძე
9. „ფორტე“, მაიკო ლომიძე და ანი სიხაშვილი
10. კვინტეტი „Quintessential Five“ და ქალთა კვარტეტი

ზაზა შენგელია:
„ბრავოს არსებობის სამწლიანი ისტორიის მანძილზე, ეს ყველაზე უფრო ემოციური და გულწრფელი პროექტია. ძალიან თბილი, შემოქმედებითი და უშუალო გარემო შეიქმნა ჩაწერის დროს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შალვა რამიშვილისა და ხატია ეკი

my View
დეა თავბერიძე

ჯერ ქალაქში ჭორები გავრცელდა შალვა რამიშვილი ნინო სუხიშვილის მოადგილეზეა შეყვარებული და ცოლს შორდებაო. მერე შალვას „ფეისბუკი“-ს გვერდზე წარწერაც გაჩნდა, „ძვირფასო მეგობრებო, მე მიყვარს ხატია ეკიზაშვილი“. საზოგადოების ინტერესი დიდი იყო, თუმცა, წყვილი სასიყვარულო ურთიერთობაზე ხმამაღალ საუბარს გაურბოდა... ორ ნოემბერს კი ანჩისხატის ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს. მოგვიანებით, შალვამ და ხატიამ მეგობრებთან ერთად თავიანთი ბედნიერება რესტორანში აღნიშნეს. დღეს კი ისინი „პრაიმტაიმის“ სტუმრები არიან და სიყვარულზე პირველად საუბრობენ ასე ღიად...

- სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

შალვა: - „ფეისბუკით“ გავიცანი... ვკამათობდით „სილქნეტზე“ და მის როლზე მედია განვითარებაში. ის ჩემს საწინააღმდეგო პოზიციაზე იყო. არგუმენტირებულად მიტევდა.

- მერე კი ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება?

შალვა: - არა, არ ყოფილა. თუმცა ძალიან მალე შემიყვარდა.

ხატია: - საერთოდ, არ მჯერა ერთი ნახვით შეყვარების და არც შალვა შემყვარებია ერთი ნახვით.

- როგორი ქორწილი და ჯვრისწერა გქონდათ?

შალვა: „არაჩვეულებრივი ქალია. დღესასწაულის ქალი. ისეთი, როგორსაც რემარკის რომანებში იპოვი. სწორი და მართალი“

ხატია: - ვიწრო წრეში აღვნიშნეთ ჩვენი ჯვრისწერა, თუმცა თბილი და მხიარული საღამო გამოვიდა და ყველანი ძალიან გავერთეთ.

შალვა: - მოკრძალებული, მაგრამ მხიარული. იმ დღეს ბედნიერი ვიყავი.

- საქორწინო მოგზაურობაში თუ იყავით?

ხატია: - არ ვყოფილვართ, ვერ მოვიცალეთ. შარშან ვიყავით რამდენიმე დღით ბეირუთში. მე იმდენად ხშირად ვმოგზაურობ, რომ ყველაზე კარგი დასვენება ჩემთვის თბილისში ყოფნაა.

- რა საქორწინო საჩუქარი აჩუქეთ ერთმანეთს?

შალვა: - არ მახსოვს, რომ რამე სპეციალურად მეჩუქებინოს.

ხატია: - ერთმანეთისთვის სპეციალურად ამ დღისთვის არაფერი გვიჩუქნია.

- როგორია თქვენი სახლი?

შალვა: - პატარა და მყუდრო.

- როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე?

ხატია: - ძალიან ჩვეულებრივი, შალვას სამსახურში ვაცილებ და თავად ვიწყებ მომზადებას სამსახურში წასასვლელად. ორივეს, მართალია განსხვავებული, თუმცა დაძაბული და დატვირთული სამუშაო დღე გვაქვს. დღის განმავლობაში ერთმანეთს ტელეფონით მოვიკითხავთ ხოლმე, როცა ვახერხებთ ერთად ვსადილობთ. საღამოს სახლში ვხვდებით.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

ხატია: - ძირითადად სახლში. თუმცა, ისევე როგორც ყველა, ჩვენც დავდივართ კინოში, კონცერტებზე, ხან მეგობრებს ვმასპინძლობთ, ხან კი ყველანი ერთად სადმე ვიკრიბებით (ძირითადად პარასკევის ან შაბათის საღამოს).

შალვა: - ჩემი წარმოსახვითი სამყარო მაქვს, არც თუ ისე ვიწრო და დახშული, მაგრამ ის მაინც ნაჭუჭია. იმ ნაჭუჭში ვატარებ თავისუფალ დროს. იმედი მქონდა, რომ ჩემი ცხოვრების ერთადერთი სიყვარული (გრძნობა, რომელიც ახლა მაქვს) მაიძულებდა ამ სიყვარულთან ერთად გატარებული დროის სისავსე მეგრძნო. ამას ვგრძნობ და ვივსები... ხანდახან კი არაფერი არ არის ისეთი ფუჭი, როგორიც ჩემი თავისუფალი დრო.

- კამათი თუ გიწევთ ხოლმე და რომელი უფრო დამთმობია?

ხატია: - საკმაოდ ხშირად ვკამათობთ და ჩემი აზრით, ეს ნორმალურია. არის საკითხები, რაზეც სრულიად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს, მნიშვნელოვანი არ არის ვინ თმობს და ვინ არა „პოზიციებს“. ჩვენ ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ და ეს არის მთავარი.

შალვა: - თითქმის არც ერთ კამათში მე არა ვარ მართალი.

- სამომავლო გეგმებზეც გვითხარით რამე.

შალვა: - მინდა შვილი, მინდა სახლი, მინდა რომ არ ვიყო ისეთი, როგორიც ვარ, ანუ მინდა ვიყო უკეთესი.

ხატია: - სამომავლო გეგმებზე საჯაროდ საუბარი არ მიყვარს.

- იქნებ გაიხსენოთ ყველაზე ბედნიერი წუთები თქვენს ცხოვრებაში.

შალვა: - ბორჯომში ვიყავით. ციოდა. ხიდზე გადავდიოდით, შევხედე და მივხვდი, რომ ბედნიერი ვარ. არც არანაირი წინაპირობა არ ჰქონდა ამას. არც ვიცი საიდან მოვიდა ეს... უბრალოდ მოვიდა ეს, ისე, ნარკოტიკის სიამოვნება რომ მოდის, ტალღასავით...

ხატია: - საკმაოდ ბევრი ასეთი წუთი იყო, მაგრამ ეს ძალიან პირადია. თუმცა... აი, ახლა გამახსენდა ის წუთი, როცა, ერთი წლის წინ, მორიგი გასტროლებიდან დავბრუნდი და შალვამ საქორწინო ბეჭედი დამახვედრა.

- თუ ერევით ხოლმე ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობაში და თუ აძლევთ ერთმანეთს რჩევებს?

შალვა: - კი, ვაძლევთ რჩევებს.

ხატია: - ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობაში არ ვერევით, თუმცა ერთმანეთს რჩევებს ვეკითხებით.

- რა არის საჭირო ბედნიერებისთვის, როგორია ბედნიერების თქვენეულირეცეპტი?

ხატია: - არ ვიცი... მგონი ასეთი რეცეპტი არ არსებობს... ეს ცხოვრება ხომ კულინარიული წიგნი არ არის? :)

- რისთვის ღირს ცხოვრება?

შალვა: „ბორჯომში ვიყავით. ციოდა. ხიდზე გადავდიოდით, შევხედე და მივხვდი, რომ ბედნიერი ვარ. უბრალოდ მოვიდა ეს, ისე, ნარკოტიკის სიამოვნება რომ მოდის, ტალღასავით“

შალვა: - ბორჯომის ხიდზე მოსული ტალღისთვის და კიდევ იმ განცდისთვის, როცა დავრწმუნდი, რომ მიშას მოვუგე. როგორც ხედავთ, დიდი აზრი არ ძევს მეორეში. ეს მეორე ჩემი კომპლექსის შედეგია. მეორის გათანაბრება პირველთან არ შეიძლება. მე კი ვუთანაბრებ, რაც სწორი არაა, მაგრამ მე არასწორი ვარ ამ შემთხვევაში. ვარ არასწორი, მაგრამ გულწრფელი.

- ხატია, ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა თქვენი შეყვარებულობის პერიოდს, მაშინ როგორ რეაგირებდი ამაზე და დღევანდელი გადასახედიდან რას იტყვით?

- მაშინაც და ახლაც ამბივალენტურად: მტკივნეულად და იმავდროულად ინდიფერენტულად. ვცდილობ, რომ ყურადღება არ მივაქციო არც ერთ ბრალდებასა თუ უსამართლო კომენტარებს. ხანდახან გამომდის, ხანდახან არა.

- რა დადებითი თვისებები აქვს შალვას და ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?

- ვინც შალვას მხოლოდ ეკრანიდან ანდა შორიდან იცნობს, გაუკვირდება, მაგრამ სინამდვილეში ის ძალიან თბილი, გულჩვილი (ხანდახან ცოტა ინფანტილურიც), კეთილი, მშვიდი და კარგი ადამიანია. ყველაზე მეტად რომელი თვისება მომწონს? არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია.

- რით გაბრაზებს ხოლმე?

- :)))) ვბრაზობ, როცა სახლში რაიმე ნივთს აიღებს, თავის ადგილზე აღარ აბრუნებს და მერე მე მინევს მისი ძებნა. ვბრაზობ, როცა სახლიდან გასვლისას ყველა ოთახში სინათლეს ტოვებს ანთებულს :))

- როგორი იყო შალვა შეყვარებულობის პერიოდში და ახლა როგორი ქმარია?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზაშვილის ექსკლუზიურად პირადი

ხატია: „ვინც შალვას მხოლოდ ეკრანიდან ანდა ფორიდან იცნობს, გაუკვირდება, მაგრამ სინამდვილეში ის ძალიან თბილი, გულჩვილი (ხანდახან ცოტა ინფანტილურიც), კეთილი, მშვიდი და კარგი ადამიანია“

EXCLUSIVE

- განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მანამდე „ხატი, მშია, მაჭამე რაა“-ს არ მეუბნებოდა. მანამდეც და ახლაც - ძალიან თბილი და მოსიყვარულეა. საერთოდ, ძალიან კომფორტული ადამიანია თანაცხოვრებისთვის.

- როგორც ვიცი, მექალთანის სახელით იყო ცნობილი, ამას არასოდეს შეუშინებიხარ?

- არა, არ მეშინია. მის სიყვარულში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

- თუ ეჭვიანობ ხოლმე?

- კი, ყოფილა ასეთი შემთხვევებიც.

- როგორც ითქვა, შალვას შენმა სიყვარულმა დაატოვებინა ოჯახი, რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და როგორი ურთიერთობა გაქვს შალვას შვილებთან?

- მგონი პირველი შეკითხვა შალვასთვის უნდა დაგესვათ :) მე არ მჯერა, რომ როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვართ, ვინმე მესამემ ეს ერთობა დაანგრიოს... შალვას სამი არაჩვეულებრივი ბიჭი ჰყავს. სამივე ძალიან ნიჭიერი, ლაღი და ნათელი ბავშვია. მათ, ძირითადად, მაშინ ვხვდები, როცა შაბათ-კვირას ბებიასთან მოდიან და მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს.

- შალვას საყვარელი კერძი რომელია?

- მისი საყვარელი კერძი დედის გაკეთებული კატლეტია. თუმცა ჩემი მომზადებულიც მოსწონს, მაგრამ ნუნუს კატლეტს კონკურენციას ვერ ვუწევ და არც ვცდილობ.

- როგორი კულინარი ხარ და რას უმზადებ ხოლმე?

- კარგ კულინარობამდე, ალბათ, ბევრი მიკლია, თუმცა ჩემს მომზადებულ კერძებს გემრიელად მიირთმევს. შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვამზადებ. ჩემი „ბორშჩი“ უყვარს განსაკუთრებით.

- თვითონ თუ ეხერხება კერძების მომზადება?

- არ ვიცი ეხერხება თუ არა, რადგან არც არასდროს უცდია რამის მომზადება.

- შალვა, რით შეგაყვარა ხატიამ თავი?

- არაჩვეულებრივი ქალია. დღესასწაულის ქალი. ისეთი, როგორსაც რემარკის რომანებში იპოვი. სწორი და მართალი.

- რა მოგწონს ყველაზე მეტად მასში?

- ცხოვრების ასეთი ცოდნა, რაც ნიჭია. ყველამ ვიცით რა არის სწორი და რა - მცდარი. მაგრამ ზოგნი ზოჯერ ავირევით, ვჭუჭყიანდებით. ის კი ასეთია.

- თუ გაქვს რამის შიში და რისი გეშინია ყველაზე მეტად?

- მეშინია, ყველა გაიგებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შალვა ვარ რამიშვილი, სინამდვილეში ისევ 7 წლის ბიჭუნა ვარ, რომელსაც ასე ეშინია წარუმატებლობის და წაგების.

- ხატია რომ ცოლად არ გამოგყოლოდა რას გააკეთებდი?

- ვერ მივხვდებოდი ვინ ვარ სინამდვილეში.

- რომელია ხატიას საყვარელი სუნამო?

- Juliet has a Gun.

- რა შეცვალა ხატიამ შენს ცხოვრებაში?

- ხატიამ თავისი ყოფნით და ამ ყოფნის გაქრობის შიშით მიმახვედრა, რომ სიკვდილი ახლოსაა, მე კი ნამდვილად ღირებული ბევრი ვერაფერი შევქმენი და მცირედიც კი, რაც ჩვეულებრივ ბედნიერებას მომცემდა, ვერ დავიმსახურე. კიდევ იმას ვხვდები, რომ შემოქმედის ნიჭი ინდულგენცია არაა. ხოლო მთავარი ნიჭი სწორად ცხოვრებაა...

- რას ნიშნავს კაცისთვის სასურველი და კარგი ცოლი გვერდით?

- საყრდენს, სიმშვიდეს და განცდას, რომ ცხოვრება შედგა. შიშების გაქრობას.

შალვა: „მეშინია, ყველა გაიგებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შალვა ვარ რამიშვილი, სინამდვილეში ისევ 7 წლის ბიჭუნა ვარ, რომელსაც ასე ეშინია...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანუკა ქებურია ყაზახეთში ბუტიკის გახსნაზე ახალი კოლექციით მიიწვიეს

my View
თამარ გონგაძე

ანუკა ქებურია 13 დეკემბერს ყაზახეთის ქალაქ ასტანაში ბუტიკის გახსნაზე იყო მიწვეული. მოეწყო შოურუმი, ანუკას კოლექცია კი უკვე ბუტიკში იყიდება. გახსნას ასტანას ელიტა და პრესა დაესწრო. დიზაინერმა 2014 წლის ზამთრის ახალ კოლექციაზე სპეციალურად ამ ბუტიკისთვის იმუშავა. თავის ხელწერას ქებურია არ ღალატობს, მისი ბრენდის ქვეშ ისევ ნატურალური ტყავის აქსესუარები - ფეხსაცმელი და ჩანთა მოიაზრება, რომელსაც ამჯერად ყაზახი მომხმარებლისთვის ნატურალური ბეწვი მიამატა. ახალი კოლექციისთვის ანუკამ პონისა და ნორკის ბეწვი გამოიყენა. როგორც დიზაინერი ამბობს, ბეწვეული შარშან კოპენჰაგენში შეიძინა. სიახლეა ის, რომ 2014 წლის კოლექციას მაისურები და კაბებიც შეჰმატა, თუმცა ამბობს, ტანსაცმლის დიზაინში არ გადადის.

„ყველა ქვეყანაში განსხვავებული ტენდენციებია. ამიტომ მინდოდა წინასწარ გამერკვია, რა მოსწონთ, რა აცვიათ ყაზახეთში. ახალი კოლექცია ამის გათვალისწინებით გავაკეთე. სხვათა შორის, ყაზახეთში ძალიან პოპულარულია ქართველი დიზაინერების ნაწარმი. რადგან ასტანაში ცივა, აქცენტი ბეწვზე მაქვს. ფეხსაცმელშიც ციგეიკის დათბილვა გავაკეთე. პირველად ვიმუშავე ბეწვის ჩანთებზე. ძალიან მინდოდა, რომ ეს კოლექცია თბილისში მეჩვენებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, მცირე დროში მომიხდა მასზე მუშაობა და ვერ მოვასწარი. ზამთარი თბილისშიც ცივია და „თბილი კოლექცია“ აქაც აქტუალურია. ჩვენებას თბილისში ვეღარ მოვასწრებ. მაგრამ ფეხსაცმლის მეორე ხაზის გაკეთებაზე ვფიქრობ, რომელიც მაღაზიაში ორი კვირის შემდეგ დაიდება და შედარებით დაბალი ფასი ექნება, ვიდრე ინდივიდუალური შეკვეთისას. მექნება ბუმბულით გაფორმებული მაისურები და კაბები, რომელმაც მოწონება თბილისშიც დაიმსახურა“, - აცხადებს ანუკა.

სამი კვირის წინ ალმა-ატაში მოდის დღეებზე ქართველ დიზაინერებთან ერთად ანუკაც იმყოფებოდა. ჩვენებაში მონაწილეობდნენ - „ინფორმალი“, „მატერია“, „დიზი“... ალმა-ატის პრესტიჟულ მაღაზია „ბექსთეიჯში“ ქართველი დიზაინერების სამოსი გასაყიდად დაიდო. „მე ფეხსაცმელების და ჩანთების ახალი კოლექცია მქონდა წაღებული“.

- როგორც ჩანს, შენ ისევ გააქტიურდი...

- თავიდან აქტიურად დავიწყე. მერე, ერთი პერიოდი პასიურად ვიყავი. ცხოვრების ეტაპებზე ერთნაირად არ ხარ. მომენატრა აქტიურად საქმიანობა. მიხარია, რომ ჩემს პროდუქციაზე არის მოთხოვნა. მეც ვმუშაობ.



COOLIO-ს თბილის

my View
თამარ გონგაძე

ნათია ქანთარია

ქულიოს დანახვისას რაც პირველი თვალში მოგხვდებათ, ეს მისი უშუალობაა. რეპერია, უბრალო და ლაღი. ყველას ესალმებოდა, ფოტოების გადაღებაზე არ დაუწუწუნია, კამერების წინ იპოზიორა. ორგანიზატორი, კლუბ „მოსკოვის“ პიარმენეჯერი - ნათია ცაბუტაშვილი ამბობდა, თავისი ნაბოლარა შვილის ფოტოები გვაჩვენა და წაგვეჭორავა, მიჯერებს, კარგი გოგონა მყავსო. აეროპორტიდან სასტუმრომდე მთელი გზა მღეროდა, კარგ განწყობაზე ჩამოვიდა. იქვე შავი ღვინო დააგემოვნებინეს. ძალიან მოეწონა. ახსოვდა, რომ კარგი ღვინო გვაქვს და მოუთხოვია. „საჩუქრად ჩიბუხი დავახვედრეთ. იქვე გაგვირეპა. მერე დავაბინავეთ „შერატონ მეტეხი პალასში“. პრესკონფერენციაზე კლუბ „მოსკოვში“ კრემისფერი კუბოკრული პალტოთი და კეპით მოვიდა. 50 ნლის რეპერს მომცრო ზომის ღიპი შეენიშნება.

გეგმები სულ შეუცვლია. ჩამოფრინდებოდა, მეორე დღეს კონცერტს ჩაატარებდა და მერე გაფრინდებოდა. ნაცვლად ამისა, კონცერტის დღეს, 12 დეკემბერს, ჩამოფრინდა და 13 დეკემბრის დილის 4 საათზე გაფრინდა. ტურნეს გეგმაც შეუცვლია, რეისებიც გადადებულა... ჩამოფრინდა არა ლოს ანჯელესიდან, არამედ ბიშკეკიდან და სტამბულში არსებული უამინდობის გამო საათ-ნახევრიანი დაგვიანებით ესტუმრა თბილისს. საქსოფონისტთან ერთად რეპერს ჩამოჰყვა მისი ძველი მეგობარი და კოლეგა რეპერი გუასთი. ისინი დიდი ხანია თანამშრომლობენ, გუასთი პირველი ვიზიტის დროსაც ახლდა თბილისში. რეპერს მისი მოთხოვნისამებრ დახვდა ესკორტი, „რენჯროვერის“ მარკის ავტომობილზე გააკეთა არჩევანი. ფრენით გადაღლილმა რეპერმა სასტუმროს ნომერში 40 წუთით განმარტოება მოითხოვა. რესტორან „თბილისში“ კი დახვდა მენიუ, რომელიც ქულიომ თავად შეადგინა: ქათმის ფილე ბრინჯით და სანელებლებით, ყველის ასორტი, ჩიფსები, არაყი „გრეიგუსი“, შამპანური „მოეტი“, „კოკა-კოლა“, „სპრაიტი“, ფორთოხლის, ანანასის და ჟოლოს წვენები. დააგემოვნა ქართული კერძები.

ნათია ცაბუტაშვილი, ორგანიზატორი: - ძალიან მარტივი ადამიანია. მის პროდიუსერთან უფრო რთული იყო კონტაქტი, ვიდრე ახლა პირადად ქულიოსთან. ურთიერთობაში ძალიან უშუალოა. დიდი ხნის ნაცნობივით შეგვხვდა. ჩვენს დახვედრებულ გეგმებს მორჩილად დაჰყვა. ერთი ეგ თქვა, პრესკონფერენციაზე მოსვლამდე სასტუმროში გავჩერდებიო. ფრენით დაღლილი იყო.

ანა კირკიტაძე, „კაპიტანი პლიუსის“ გენერალური დირექტორი: - პრაქტიკულად ჩვენც ორგანიზატორები გამოვდივართ, ისე კი „კაპიტანი პლიუსი“ კონცერტის გენერალური სპონსორია. მისი ჩამოსვლა მთლიანად ჩვენმა კომპანიამ უზრუნველყო. ველოდებოდით ჯერ ლოს ანჯელესიდან, მერე ალმა-ატიდან, საბოლოოდ კი ბიშკეკიდან ჩამოვიდა. თბილისიდან ნიცაში მიდის. კაპრიზი არ ჰქონია, რომ აუცილებლად ბიზნესკლასით გამოვფრინდებიო. ამ დონის ვარსკვლავის ჩამოყვანის სპონსორი პირველად ვართ. მომავალშიც გვინდა კლუბ „მოსკოვთან“ გავაგრძელოთ თანამშრომლობა.

პრესკონფერენცია და საუნდჩეკი

რეპერს თოვლიანი დახვდა თბილისი. „მე მიყვარს თოვლი. სადაც ვცხოვრობ ცივა, ლოს ანჯელესში ჯერ არ მოუთოვია“ ,- გვითხრა ქულიომ. პრესკონფერენციის დაწყებამდე ჟურნალისტებთან რომ გაშინაურებულიყო, მოიკითხა, გვქონდა თუ არა ტატუები? გაოცებული გვათვალიერებდა და ჩვენს ხელებზე სვირინგს ეძებდა. გულწრფელად უკვირდა, რომ სვირინგი არ აღმოგვაჩნდა. რეპერს შვიდი ტატუ აქვს, ერთს, რომელიც მარცხენა ხელზე ჰქონდა, აფიშირებას უკეთებდა. ნელსაცხებელი მოითხოვა და ტატუს გადაუსვა. როგორც ჩანს, ახალი გაკეთებული აქვს, კანი ჰქონდა აფცქვნილი. ტრადიციულად, ღვინოს, ქალებს, საჭმელსა და ძველ და ახალ თბილისს შევეხეთ. 90-იანი წლებისა და 21-ე საუკუნის თბილისის ცვლილება მცირე ხნით ჩამოსული რეპერისთვისაც თვალშისაცემი აღმოჩნდა. ჩაბნელებული თბილისი და შავებში გამოწყობილი ქართველები მძაფრად ჩარჩენია მეხსიერებაში. პრესკონფერენციისა და მცირე მოთელვის შემდეგ ქულიომ „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა. შემდეგ კლ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ში ერთდღიანი ვიზიტი არ ეყო

„უბედნიერესი იყო, დარჩენა უნდოდა. თუ რეისს გადამიდებთ, დავრჩები და ხვალაც ვიმღერებო გვითხრა, მაგრამ ბილეთი ვერ გადავცვალეთ“

„ქართული ღვინო ხომ მიყვარს და ქართველი ქალები არანაკლებ მომწონს და მიყვარს“

უბში 10-15-წუთიანი საუნდჩეკი გაიარა. შეამოწმა კლუბის ჟღერადობა და დაიმედებული წავიდა „ვანოს შოუს“ ჩაწერაზე. აი, მერე კი, თბილისელებს ის საღამო აჩუქა, რაც კარგა ხანს ემახსოვრებათ.

„დავრჩები და ხვალაც ვიმღერებო“

ერთსაათიან კონცერტს 400 სტუმარი დაესწრო. ბილეთის ფასი 60 და 80 ლარი იყო. რეპერმა შეასრულა, როგორც ძველი, ისე ახალი სიმღერები. ჩვენთვის ნაცნობი ჰიტები, ასევე ის კომპოზიციები, რომლებიც ქართველებს არასდროს მოგვისმენია. მაყურებელთან კონტაქტობდა, ემოციური ქართველებიც აყვნენ, ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ. „უბნიცაში გაფრინდა, სადაც თავის ტურნეს გააგრძელებს.

ედნიერესი იყო, დარჩენა უნდოდა. თუ რეისს გადამიდებთ, დავრჩები და ხვალაც ვიმღერებო გვითხრა, მაგრამ ბილეთი ვერ გადავცვალეთ“. რეპერმა დუეტები შეასრულა გუასთისთან. დრო ისე გავიდა, ვერც რეპერმა გაიგო და ვერც კლუბის სტუმრებმა. რეპერი დილის 4 საათზე

„თბილისი უფრო ნათელ ფერებშია“

ქულიო: - ბედნიერი ვარ, რომ თბილისში დავბრუნდი. ვფიქრობ, მე ვიყავი პირველი ჰიპ ჰოპ შემსრულებელი, რომელიც თბილისს ესტუმრა. ჩემი პირველი შეგრძნება, რაც აქ მეუფლება, არის თბილისის მყვირალა და თვალშისაცემი სილამაზე.

ქართველები მაგრად გამოიყურებით, ასე მეჩვენება. ქალაქს შთამბეჭდავი ელფერი აქვს, საშობაო განწყობა იგრძნობა. ჩემი პირველი ვიზიტისას, რაც კარგად მახსოვს, იყო მხოლოდ ერთი ნითელი შუქი, რაც მაშინ მთელ ქალაქში ენთო. ხალხის ჩაცმულობაც სხვანაირი იყო, შავ და ყავისფერ ტონებში. ახლა ყველას ის აცვია, რაც უნდა, ჩანს, რომ თბილისი უფრო მხიარულ და ნათელ ფერებშია.

ოჯახის კულტი

„ქართულ მუსიკას კარგად არ ვიცნობ, არც ქართველ შემსრულებლებს. მსმენია რამდენიმე მუსიკოსზე, რომლებიც უკრავდნენ და ცნობილები იყვნენ. ქართველი გიტარისტი იყო ერთ-ერთი საუკეთესო, რომელიც ოდესმე მომისმენია. სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ მის სახელს.

ნამდვილი მუსიკა, ვფიქრობ, ტკივილის შეგრძნებით მოდის. ვიცი, ქართველი ერი განსაცდელში ხშირად ყოფილა და სწორედ ასეთ გამოუვალ მდგომარეობებში ყოფნისას ჭეშმარიტ მუსიკას ქმნით.

ქართულ ტრადიციებში, რაც ყველაზე მეტად მხიბლავს, ეს ოჯახის კულტია. ეს ცნება თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ოჯახის წევრების მხრიდან ერთმანეთის ზრუნვაში გამოიხატება. სწორედ ეს მთავარი ფასეულობა აქვს დაკარგული ამერიკას. ჩვენ ჩვენს ოჯახს და მის ღირებულებებს, თქვენს მსგავსად, სათანადოდ აღარ ვაფასებთ. ეს არის ის, რაც ყველა ერმა ქართველებისგან უნდა ისწავლოს“.

- შვიდი შვილი გყავთ. მამობამ როგორ შეგცვალათ?

- როდესაც შვილი გყავს, ის, ბუნებრივია, გცვლის. პასუხისმგებლობის გრძნობას გმატებს. სანამ მამა გავხდებოდი, მხოლოდ ჩემი თავისთვის ვცხოვრობდი. უბრალოდ, ბედნიერი და იღბლიანი ვიყავი. ახლა შვილებზე ვარ და მათ კეთილდღეობაზე ვზრუნავ. მე მათთვის ვცხოვრობ. ჩემთვის მთავარია უკვე არა საკუთარი თავი, არამედ შვილები.

სიყვარული, ღვინო და თაფლი

- სიყვარული რა არის?

- სიყვარული ჩემთვის? ზოგადი ცნებაა, როგორ გითხრათ?! სიყვარულია, როდესაც სხვისთვის თავგანწირვის სურვილი გიჩნდება, სხვისთვის ცხოვრება გინდა. ეს ამაღლებული გრძნობაა.

- ქართული ღვინო ბევრს მოსწონს. თქვენც მოგითხოვიათ.

- მიყვარს და აეროპორტში დამახვედრეს. ღვინო ხომ მიყვარს და ქართველი ქალები არანაკლებ მომწონს და მიყვარს:)

- თქვენს მოთხოვნებში ქართული თაფლი შედიოდა. ასე მოგეწონათ პირველი ვიზიტისას?

- განსხვავებული ტკბილეულია და მიყვარს. თან ვერ წავიღებ, არ მომცემენ ამის საშუალებას.

- ქართველს ძალიან გვიყვარს თქვენი „gangster paradise“. თქვენ?

- კი, ეს სიმღერა ჩემი ფავორიტია.

- რაზე მუშაობთ, რა გეგმები გაქვთ?

- გუასთან ერთად ვაკეთებ ახალ პროექტს. ახალი ბიზნესპარტნიორი გვყავს, მანუელ ფოუზი, რომელიც ჯაზშემსრულებელია. ვწერთ საშობაო სიმღერას, „Give Love On Christmas Day“. ეს ძველი სიმღერაა, რომლის ჯაზურ ვერსიასაც ვაცოცხლებთ.

გუასთი: „საქართველო ახლა ერთი დიდი კლუბია“

გუასთი: - მე ქულიოსთან ერთად დავდივარ ყველგან. 1999 წელს ჩამოვედი პირველად. ქულიოსთან ერთად 15 წელია ვმუშაობ. ჩვენ ჯგუფს ჰქვია „3 G“-ი.

- როგორი პიროვნებაა ქულიო?

- ის „ქუულ“ არის, ის ქულიოა :) მაგარი ტიპია. მასთან მუშაობა ყოველთვის სახალისოა. მან მუსიკაში ბევრი მასწავლა და კარიერულ განვითარებაში დამეხმარა. ის არის პიროვნება, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი და მიყვარს. ამას მისგანაც ვგრძნობ, რადგანაც მაძლევს იმის უფლებას, რომ მის ბიზნესს გავუძღვე.

- როგორია თქვენი ყოველდღიურობა?

- კონცერტები, მოგზაურობა, სტუდიური სამუშაოები... ვმუშაობთ ლას ვეგასის სტუდიაში და სხვადასხვა სახლების სტუდიებში. სულ საქმეებში ვართ. ამავდროულად გლამურული ცხოვრების სტილშიც ვჯდებით - მაგარი სახლები, მანქანები, მაგარი გოგონები. დატვირთული გრაფიკი გვაქვს, მაგრამ ასეთივე ხარისხით გართობასაც ვახერხებთ.

- როგორები გეჩვენება ქართველები?

- მომწონს ქართველები. ქულიო ამბობს, რომ ახლა ქართველებს დემოკრატია აქვთო. 10 წლის შემდეგ აქ რელაქსური მდგომარეობა დაგვხვდა. მაშინ მოსკოვიდან აქ ჩამოვედი, ხალხი იქაც და აქაც რაღაცნაირად შებოჭილი მეჩვენა. საქართველო ახლა გამოიყურება როგორც ერთი დიდი კლუბი. ყველა ბედნიერია, თავიანთ გზაზე იღბლიანად მიდიან და ეს მომწონს. მე კმაყოფილი ვარ დღევანდელი კონცერტით. კარგი შოუ გამოვიდა.

გუასთი: „სულ საქმეებში ვართ. ამავდროულად გლამურული ცხოვრების სტილშიც ვჯდებით - მაგარი სახლები, მანქანები, მაგარი გოგონები. დატვირთული გრაფიკი გვაქვს, მაგრამ ასეთივე ხარისხით გართობასაც ვახერხებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N50 (248) ორშაბათი, 16 დეკემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

რატომ ეპარებათ ეჭვი თიკა ჯამბურიას ნიშნობაში?

EXCLUSIVE

თიკა თხოვდება, ბექა შეყვარებულია - ერთმანეთის ჯიბრი თუ რეალობა?

„Next Level“: „ჩვენ „ნიჭიერის“ ფინალში საჭირო ვართ“

EXCLUSIVE

ანუკა ქებურია ყაზახეთში ბუტიკის გახსნაზე ახალი კოლექციით მიიწვიეს

ექსკლუზიურად პირადი

შალვა რამიშვილი და ხატია ეკიზაშვილი

EXCLUSIVE

შალვა: „არაჩვეულებრივი ქალია. დღესასწაულის ქალი. ისეთი, როგორსაც რემარკის რომანებში იპოვი. სწორი და მართალი“

COOLIO-ს თბილისში ერთდღიანი ვიზიტი არ ეყო

EXCLUSIVE

უნიკალური მუსიკალური პროექტი - „მე ვხედავ მზეს“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება